



71

ქარლ მარქის სახელობის საქართველოს სსრ  
სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის

## უ რ ო მ ე ბ ი

Труды Государственной Публич-  
ной Библиотеки ССР Грузии  
им. Карла Маркса.



Transactions of the Georgian SSR  
Karl Marx Library.

№ 0860 III.

სახელმწიფო გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი

1987



ქარლ მარქსის სახელმწიფო საბავთმწიფო სსრ  
სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის

# უკოვები

Труды Государственной Публич-  
ной Библиотеки ССР Грузии  
им. Карла Маркса.



Transactions of the Georgian SSR  
Karl Marx Library.

4384

60860 III.

99  
12  
13  
5

ფიზიკის  
1987





შ ი ნ ა ა რ ს ი

	83-
1. წინასიტყვაობა . . . . .	7
2. Пять лет работы Гос. Публичной Библиотеки ССР Грузии им. К. Маркса . . . . .	9
3. ქრ. შარაშიძე. ქართული შრიფტი ამსტერდამში . . . . .	19
4. ქრ. შარაშიძე. იმერეთის სტამბების ისტორიისათვის . . . . .	39
5. თ. მაჭავარიანი. ახალციხის ბიბლიოთეკის შესახებ . . . . .	52
6. Н. Г. Лордкипанидзе. К формам и методам планирования библиотечной работы . . . . .	57
7. თ. ვეჩხაიზერ-ფირალოვა. მხატვრული ლიტერატურა სამეცნიერო ბიბლიოთეკაში . . . . .	72
8. ივ. ციციშვილი. კატალოგრაფიის კვანძადი საკითხები . . . . .	85
9. ქ. შ. ძველი ქართული საბიბლიოთეკო ფონდებისა და მათი დაცვის საქმისათვის . . . . .	105
10. ტ. კასრაძე. პერიოდიკის ინვენტარიზაციის დაწყობის და ერთეულის საკითხისათვის . . . . .	11
11. E. Застрегер. Систематизация, инвентаризация и хранение музейных произведений . . . . .	131
12. პ. ჭანიშვილი. რეცენზია . . . . .	138
13. სოლ. ყუბანეიშვილი. წერილები თეღო რაზიკაშვილისადმი . . . . .	142
14. ივ. ციციშვილი. კატალოგრაფიული ტერმინები . . . . .	199
15. თ. მაჭავარიანი. ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ . . . . .	212
16. ლეიბნიცი ქართულ ენაზე . . . . .	223
17. ბიბლიოგრაფიული შენიშვნები . . . . .	225



## СОДЕРЖАНИЕ

	стр.
1. Предисловие . . . . .	7
2. Пять лет работы Гос. Публичной Библиотеки ССР Грузии им. К. Маркса . . . . .	9
3. Хр. Шарашидзе. Грузинский шрифт в Амстердаме . . . . .	19
4. Хр. Шарашидзе. К истории типографского дела в Имеретии . . . . .	39
5. Т. Мачавариани. Об Ахалдихской библиотеке . . . . .	52
6. Н. Г. Лордкипанидзе. К формам и методам планирования библиотечной работы . . . . .	57
7. А. Вечхойзер-Пиралова. Художественная литература в науч- ной библиотеке . . . . .	72
8. И. Г. Цицишвили. За принцип коллективного авторства . . . . .	85
9. Х. Ш. О старых библиотечных фондах и о постановке дела хране- ния этих фондов . . . . .	105
10. Т. Касрадзе. К вопросу инвентаризации и расстановки периодики . . . . .	115
11. Е. Зактрегер. Систематизация, инвентаризация и хранение музыкальных произведений . . . . .	131
12. П. Чанишвили. Рецензия . . . . .	138
13. К. С. Письма к Ф. Разикашвили . . . . .	142
14. Н. Г. Цицишвили. Термины каталогографии . . . . .	199
15. Т. Мачавариани. Книга представляющая исторический интерес . . . . .	212
16. Лейбниц на грузинском языке . . . . .	228
17. Библиографические заметки . . . . .	225

## CONTENTS

1. Preface . . . . .	7
2. Five years of work of the Georgian SSR. Karl Marx Library .	9
3. Georgian type in Amsterdam by Sharashidze . . . . .	19
4. On the history of printing in Imeretia, by Chr. Sharashidze .	39
5. On a library in Ahalzhe by T. M. . . . .	52
6. Forms and methods of planning library Work by Lordkipanidze	57
7. Fiction literature in the scientific libraries by T. A. Wechheiser-Piralova . . . . .	72
8. In favor of the corporate-author principles by Iv. Tzitzishvili .	85
9. The old fonds of libraries and their organisation. by H. S. .	105
10. On accession and location of periodicals. by Kasradze . . . .	115
11. On the systematisation, accession and location of musical works by T. Saktreeger . . . . .	131
12. Critique by P. Chanishvili . . . . .	138
13. Lettres to Razikashvili . . . . .	142
14. Terms of catalograpie by Tzitzishvili . . . . .	199
15. On a book of historical importance by T. Machavariani . . .	212
16. Leibnitz in Georgian . . . . .	223
17. Bibliographical remarks . . . . .	225

---

## წინასიტყვაობა

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თავისი არსებობის სულ მოკლე დროში ერთ-ერთ უდიდეს კულტურულ დაწესებულებად ჩამოყალიბდა. მისი დაარსება და გაფართოება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს ვასაბუკობის შემდეგ ლენინური-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუზრვლად გატარების საფუძველზე, მსოფლიო მშრომელების საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. კონტრევოლუციური ტროცკიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალისტების, მემარჯვენეების - კაპიტალიზმის რესტავრატორების, მემარჯვენე-მემარცხენეების ბლოკის და ყველა ჯურის კონტრევოლუციური ნადირალებთან ბრძოლის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტურ, კულტურის აყვავების საფუძველზე ხდებოდა სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ორგანიზაცია და განმტკიცება.

საჯარო ბიბლიოთეკა ეკონომიურად და კულტურულად აყვავებული ორდენოსან საქართველოს კულტურის ერთ-ერთ სიამაყეთაგანია, რომელიც ფართო მასებს და ვიწრო სპეციალისტებს მომსახურეობას უწყვეს თავისი ძვირფასი განძეულით-მარქსიზმ-ლენინიზმის და მეცნიერებათა სხვა დარგებიდან.

საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის „შრომების“ შესამე წიგნი გამოდის ძველ-მოსილი სოციალისტური ოქტომბრის რევოლუციის მე-20 წლის თავის წინ, როდესაც ბიბლიოთეკამ მოათავა თავისი საორგანიზაციო მუშაობა და დაადგა ვალდებულება მუშაობის წარმოებას ბიბლიოთეკონომიის და ბიბლიოგრაფიის დარგში.

წინამდებარე მე-III წიგნი „შრომებისა“ არსებითად განსხვავდება პირველ ორ წიგნისაგან მით, რომ აქ მოთავსებულია წერილები რგორც ბიბლიოთეკონომიის საკითხებზე, ისე ქართული წიგნისა და ბეჭდვის ისტორიის საკითხებზეც და აგრეთვე საინტერესო მასალები ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის (იხ. ამ „შრომებში“ პირველად გამოქვეყნებული—„წერილები თედო რაზიკაშვილის-ადმი“ რომლის დედნები დაკუთვია საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელთნაწერთა საცავში.) ამით ეს ტომი საინტერესოა არა მხოლოდ სპეციალისტ-ბიბლიოთეკარებისათვის, არამედ ჩვენი კულტურის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო მასისათვისაც.

მომავალშიც საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკას განზრახვა აქვს გამოსცეს თავისი „შრომები“, რომელიც ამსახველი იქნება მისი პრაქტიკულ და თეორიულ მუშაობის როგორც საბიბლიოთეკო სპეციალობის, ისე ბიბლიოგრაფიისა და წიგნის ისტორიის დარგებში.

საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია

## ПЯТЬ ЛЕТ РАБОТЫ ГОС. ПУБЛИЧНОЙ БИБЛИОТЕКИ ССР ГРУЗИИ ИМ. К. МАРКСА

Государственная Публичная Библиотека Грузии была учреждена в 1923 году.

В 1918 году при парламенте Грузии была учреждена узковедомственная Парламентская библиотека состоящая приблизительно из 20.000 томов. В основу этой библиотеки были положены главным образом коллекции приобретенные у частных лиц, (Коллекции книг Н. Николадзе, Вейденбаума, проф. Гехтмана и др.). В 1921 году эта библиотека была переименована сначала в библиотеку Ревкома Грузии, а потом в библиотеку Совнаркома Грузии, а в 1923 году, как выше было отмечено, эта библиотека была реорганизована в Государственную Публичную Библиотеку Грузии.

С этого года Г. П. Библиотека начала получать бесплатный обязательный экземпляр всей печатной продукции СССР. Однако до 1931 года библиотека, за неимением соответствующего помещения, находилась в состоянии консервации и единственной функцией которую она выполняла, было собирание и хранение печатной продукции т. е. в сущности говоря она не была библиотекой, но лишь хранилищем книг.

Пять лет тому назад 25 февраля 1931 года в день 10-й годовщины Советизации Грузии в одном из лучших и больших зданий г. Тифлиса, на ул. Кецховели № 5, состоялось открытие Государственной Публичной Библиотеки им. К. МАРКСА.

Массивное и красивое здание не было, однако, приспособлено к нуждам библиотеки (как всякое не специальное) и потребовалось не мало труда, энергии и средств на его приспособление к потребностям библиотеки и на его оборудование.

Здание библиотеки состоит из трех этажей (включая цокольный этаж) площадью в 3,170 кв. метров. Весь нижний (цокольный этаж) отведен под книгохранилище и архивохранилище. Два огромных зала во втором и третьем этажах, общей площадью около 700 кв. метров отведены под читальные библиотеки. Специальные кабинеты и отделы библиотеки возможно рационально, по принципу производственной связи, размещены во втором и третьем этажах здания. Книгохранилище и читальные залы связаны электро-лифтом. Читальный зал оборудован индивидуальными столиками и креслами для читателей, электровызовом читателей и т. д.

В книгохранилище принята форматная расстановка книг, к которой приспособлены стелажы, что дает большую экономию места.

Книгохранилище устроено по магазинной системе т. е. каждый этаж фактически разделен на два этажа путем устройства решетчатого пола, дающего возможность беспрепятственного доступа к верхним полкам.

Были приняты все меры к наиболее экономному и рациональному использованию всего объема помещения библиотеки, однако работа за пять лет так широко развернулась, что в 1936 году она остро испытывает тесноту в помещении.

### ОРГСТРУКТУРА БИБЛИОТЕКИ.

До 1931 года оргструктура библиотеки была построена на принципе предметных и языковых отделов, из которых каждый представлял собою обособленную независимую часть библиотеки. Благодаря этому в работе каждого отдела господствовала кустарщина и отсебятина и библиотека не представляла собою цельного и организованного предприятия, а являлась механическим конгломератом самостоятельных отделов. То обстоятельство, что из общего количества 55 работников 27 человек были „заведующими“, красноречиво говорит о плохой организации дела.

С осени 1931 года была проведена реорганизация библиотеки: вместо существующих предметных и языковых отделов была введена Штейновская схема оргструктуры, на основе которой были сконструированы 1) Сектор комплектования, 2) Обработки книг, 3) Книгохранения, 4) Обслуживания и 5) Справочно-библиографический, (кроме этих секторов отдельно Адм-хоз. часть и Кабинет библиотековедения). Эта система дала большие положительные результаты в деле ликвидации всех недостатков предметной системы оргструктуры, превратив библиотеку в организованно-цельное предприятие.

Одновременно эта система таила в себе элементы функциональности, что давало знать о себе в процессе работы.

В 1934 году на основе постановления 17 партсъезда с целью ликвидации функционалки была вновь проведена реорганизация библиотеки и, вместо 5 секторов, были сконструированы два основных производственных сектора: 1) Сектор научно-библиографический, включивший в себе отдел комплектования, научной библиографии и обработки книг. 2) Сектор обслуживания читателей, который кроме общих и специальных читальных зал, книгохранилища, справочно-библиографического бюро и отдела массовой работы, включил комплексный отдел периодики. Кроме этих секторов отдельно выделены Адм-хоз. часть и Научно-исследовательский кабинет библиотековедения.



## БЮДЖЕТ И ШТАТ БИБЛИОТЕКИ



Рост библиотеки ярко иллюстрируется ростом бюджета библиотеки по годам.

Наименов. осн. статей расхода	1931	1932	1933	1934	1935
1. Зарплата . . . . .	129.960	155.700	222.000	251.464	346.400
2. Хоз.-расходы . . . . .	2.000	22.000	36.000	38.820	37.600
3. Операт. расх. . . . .	14.440	82.300	42.000	209.716	173.750
<b>В ЕГО . . . . .</b>	<b>146.400</b>	<b>260.000</b>	<b>300.000</b>	<b>500.000</b>	<b>557.750</b>

Как видим бюджет в 1935 году увеличился почти в 4 раза сравнительно с 1931 годом.

Еще более характерен качественный и количественный рост работников библиотеки,

	1930		1932		1933		1934		1935		1936	
	кол.	%	кол.	%	кол.	%	кол.	%	кол.	%	кол.	%
1. Адм-хоз. персон. . . . .	6	11	25	29%	29	22,3	27	22,3	26	20,6	24	17,9
2. Перс. габ. комплект. обр. кн. фонд . . . . .	49	89	32	37,2	65	50	60	50	55	43,7	52	38,7
3. Персонал раб. счит-ми . . . . .	—	—	39	33,8	36	27,7	34	27,7	45	35,7	58	43,7
	55	100	86	100	130	100	121	100	126	100	134	100

Приведенная таблица показывает рост количества работников к 1935 году сравнительно с 1931 годом на 55,8%.

Интереснее распределение работников по основным видам работы: в 1931 году адм-хоз. персонал составлял 29% всего количества работников. В 1935 году—17,9%. За счет адм-хоз. персонала увеличился удельный вес производственного персонала библиотеки.

Интересное и несомненно положительное явление—увеличение в процентном отношении количества персонала обслуживающего читателей: если этот персонал в 1931 году составлял 33,8% общего числа работников, то в 1935 году он составляет 43,4% и по числу превышает не только адм.-хоз. персонал но и персонал работающий над укомплектованием и организацией книжного фонда (38,9%), в то время как в 1931 году было наоборот.

Еще более показателен состав работников библиотеки по другим признакам:

## СОСТАВ СОТРУДНИКОВ ГОС. ПУБЛ. БИБЛИОТЕКА В 1935 ГОДУ.



1) По партийности—Членов и кандидатов К. П.—17—12,7%	
Комсомольцев —14— 10,5%	
Беспартийных —103—76,8%	
	<hr/>
	134—100%

До 1931 года не было в библиотеке ни одного работника партийца.

2) По образованию (без адм.хоз. персонала)

1) Высшее . . . . .	47—42,7%
2) Среднее . . . . .	59—53,7%
3) Нез. среднее . . . . .	4— 3,6%
	<hr/>
	110—100%

В их числе 41 чел. окончивших библиотечные курсы т. е. 37,3%.

В 1931 году было со специальным образованием лишь 8 человек т. е. 9,3%.

3) По категориям—Научный персонал—43—39,1%	
Научно-вспомог. персоналу . . . . .	—67—60,9%
	<hr/>
	110—100%

Ныне штат библиотеки можно считать вполне удовлетворительным, чего нельзя было сказать пять лет тому назад.

За пять лет библиотекой была проделана большая работа в деле подготовки библиотечных кадров, в результате чего мы достигли не только создания основного кадра квалифицированных библиотечных работников нашей библиотеки, но и питали нами подготовленными кадрами другие научные библиотеки ССР Грузии.

Подготовка библиотечных работников велась как путем стажировки в процессе работы, так и путем систематических занятий в кружках по овладению техникой и повышения квалификации. Кроме этого, до организации Библиотечного Управления Наркомпроса, в 1932-33 и 1933-34 году Гос. Публичной библиотекой были организованы специальные библиотечные курсы, которые окончили 48 человек.

### КНИЖНЫЙ ФОНД

Основным источником пополнения библиотеки является обязательный экземпляр всей книжной продукции ССР получаемый Гос. Публ. библиотекой ССРГ в одном экземпляре (в 1932 и 1933 г. получались по

два экземпляра всех изданий) и поступление обязательных экземпляров по годам дает следующую картину:

Наименование материала	1931	1932	1933	1934	1935	Всего
1. Книги . . . . .	40 932	37 579	65 538	46 471	50 724	241 183
2. Журналов . . . . .	27 700	14 805	32 261	20 618	21 173	110 563
3. Газет . . . . .	20 200	43 737	53 561	82 262	62 072	261 832
4. Дру . изд. . . . .	1 077	4 064	2 898	453	6 129	14 621
Всего . . . . .	83 915	100 126	154 258	149 803	140 198	628 999

Вторым источником поступления является т. н. инкорпорация т. е. присоединение коллекции различных частных и общественных библиотек.

Таким путем за эти пять лет присоединена бывшая библиотека дома внешкольного работника в количестве 40 000 экз. бывшая библиотека I мужской гимназии в количестве 14 000 экз. бывшая библиотека Реального училища 12 000 и др. Всего за этот период путем инкорпорации поступило 76 738 экземпляров.

Поступление книги путем покупки, составляющий третий источник пополнения, шло сравнительно слабо. Всего за пять лет было приобретено 78 896 экземпляров в том числе книг 4011 ед.:

Всего за пять лет поступило по годам:

Наименование	1931	1932	1933	1934	1935	Всего
1. Книги . . . . .	74 534	44 390	80 450	54 212	56 449	310 035
2. Журнал . . . . .	31 706	15 595	35 141	22 859	25 321	130 622
3. Газет . . . . .	20 200	58 812	70 811	100 227	81 517	331 567
4. Дру . изд. . . . .	1 077	4 064	7 898	454	6 129	14 622
Всего . . . . .	127 517	122 861	189 330	177 752	169 416	786 846

За пять лет библиотечный фонд увеличился больше чем в два раза (на 130%) т. е. за пять лет библиотека приобрела больше материалов чем за предыдущие 10 лет (к 1931 году фонд равнялся приблизительно 600 000 единиц).

### ОРГАНИЗАЦИЯ КНИЖНОГО ФОНДА

Библиотечной обработке подвергается поступающая литература на русском, грузинском, армянском, тюрском и других языках кавказских народностей, а так же на европейских и частично на славянских языках (главным образом украинская). Обрабатывается литература имеющая актуально-политическую, художественную, научную, научно-историческую или библиографическую ценность. Узко-ведомственная литература а так же литература идеологически устаревшая, не имеющая научно-исторического интереса не

обрабатывается. Не подвергается полной библиотечной обработке так-же литература на языках других народностей ССР в выше не перечисленных (напр. чувашская, туркменская, узбекская, таджикская и др.) по следующим соображениям.

1) Отсутствие требования в г. Тифлисе и в Грузии на означенную литературу вследствие чего не оправдалась бы затрата времени и средств на их полную обработку; 2) Отсутствие работников знающих эти языки и могущих обработать их; Литература не подвергающаяся полной библиотечной обработке сортируется по языкам и форме и хранится в ящиках; 3) Отсутствие места где можно было развернуть литературу на этих языках.

Литература подлежащая обработке, в основном уже обработана. Полная библиотечная обработка литературы началась с 1932 года. Обработка книг по годам, дает следующую картину:

Годы	Книги	Журналы	Газеты	Всего
1932	68-369	26-322	51-814	146-505
1933	77-901	52-023	74-879	204-803
1934	121-824	95-434	220-336	437-604
1935	65-621	56-475	48-102	170-198
Всего . . . . .	333-785	230-254	395-131	959-470

На обрабатываемую литературу составляется на книги четыре вида каталогов: алфавитно-контрольный алфавитный, предметный и систематический по международной десятичной системе, а на периодику три вида каталогов: алфавитно-контрольный, алфавитный и хронологический.

В отношении качества каталогов и качества обработки вообще мы смело можем сказать, что Гос. Публичная библиотека ССР Грузии занимает одно из первых мест в СССР.

Большие результаты были достигнуты в деле увеличения производительности и правильной организации труда и рационализации отдельных операций библиотечной обработки книги. Гос. Публичная библиотека Грузии одна из первых в Союзе ввела сдельную систему оплаты труда по основным видам библиотечной обработки книги. В результате сдельщины и ряда рационализаторских мероприятий неизмеримо увеличилась производительность труда, что с очевидностью подтверждается следующей таблицей:

№	Наименование работы	Средн. выр. за 1 ч. дн. в 1931 г.	Средн. выр. за 1 ч. дн. в 1935 г.	Рост в % (на)
1	Наклейка ярлыков . . . . .	70	1.744	546%
2	Штемпелевание . . . . .	400	872	118
3	Основн. описание . . . . .	26	64	146,1
4	Дублирование карточек . . . . .	48	83	73
5	Инвентаризация . . . . .	100	180	64

Особо обрабатываются и хранятся в специальном хранилище в несоразмерной комнате, старопечатные книги и редкие издания. Раритетов выделено около 4000 книг.

Здесь-же следует отметить организацию собственной переплетной мастерской, которая переведена на полный хозрасчет. В год переплетается около 18.000 наших книг (переплетная мастерская будучи на хозрасчете принимает заказы и со стороны). Переплет одной книги нашей библиотеки обходится в среднем 80 коп. в то время как на стороне переплет одной книги стоит 2—3 рубля.

### ОБСЛУЖИВАНИЕ ЧИТАТЕЛЕЙ.

Основные, характеризующие работу библиотеки в целом, показатели обслуживания читателей, дают следующую картину:

	1931	1932	1933	1934	1935	Всего
1. Количество посетителей	13564	24900	52422	74084	114837	279907
2. Кол. выд. кн.	21990	31977	87007	110883	173318	425175
3. Выдача писм. справок	82	290	317	542	595	1826
4. Устройство выставок тематических . . . . .	4	14	12	20	30	80

Эта таблица свидетельствует о колоссальном росте библиотеки. В 1935 году было приблизительно 8—9 раз больше посещения читателей и выдачи книг чем в 1931 году.

Выдача книг производится в двух больших читальных залах 1) Главный читальный зал и 2) читальный зал для периодических изданий.

В 1935 году дополнительно были открыты читальный зал научного работника, Кабинет Кавказоведения и кабинет иностранной литературы.

Открыта так-же постоянная выставка литературы на языках Советских народностей. Выставлены образцы издания на 105 языках. Выставка является убедительной иллюстрацией культурного роста народностей СССР и Советской национальной политики.

Выставка снабжена статистическими данными о количестве населения говорящих на данном языке и их культурной жизни (количество грамотных и т. д.). Выставка время от времени обновляется новыми образцами.

## НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКАЯ РАБОТА БИБЛИОТЕКИ.

Научно исследовательская работа Гос. Публичной библиотеки Грузии велась по двум направлениям.

1) По линии составления библиографических указателей и 2) по линии разработки вопросов библиотековедения.

Научно-исследовательская работа в области библиографии сравнительно не столь широко была развернута. Были составлены указатели 1) Грузинской философской литературы и 2) Грузинской художественной литературы за период первой пятилетки. Началась работа по постатейной росписи Грузинской периодической печати, необходимость которой остро ощущается в работе справочно библиографического отдела; Кроме того ведутся библиографические изыскания по отдельным вопросам Кавказоведения.

Желая избежать параллелизма в работе, с плана работы были сняты ряд актуальнейших библиографических тем, которые прорабатывались другими научными учреждениями. К сожалению некоторые темы не были доведены до конца соответствующими учреждениями а законченные работы в большинстве случаев (как и наши) не изданы и не доступны нам, что ставит нас в большое затруднение при обслуживании библиографическими справками читателей.

Научно-исследовательская работа в области библиотековедения велась в специальном научно-исследовательском кабинете библиотековедения.

Основные задачи, которые были поставлены перед кабинетом библиотековедения заключались: 1) В научно-методической проработке библиотечно-практических вопросов всплывавших в процессе производственной практики самой Гос. Публ. Библиотеки, т. е. кабинет выполнял роль научной производственной лаборатории крупного библиотечного предприятия; 2) Научно-методическая проработка вопросов библиотечной теории и практики т. е. осуществление исследовательской работы в области библиотековедения и 3) Осуществление научно-методической помощи научным библиотекам ССР Грузии.

Все поставленные задачи успешно выполнялись кабинетом. Этой правильной организации научно-исследовательской работы, этой научной лаборатории обязана Гос. Публичная библиотека научной постановкой своей работы и своим положе-

нием в первых рядах Государственных и научных библиотек, Советского Союза.

Все вопросы практики Гос. Публ. Библиотеки начиная от самых крупных и основных кончая самыми мелкими вопросами предварительно прорабатывались и изучались в кабинете. Вопросы оргструктуры, сделки, нормирования, рационализации отдельных процессов, расстановки книг, вопросы каталогов, оборудования и многие другие предварительно проходили через кабинет библиотековедения.

И не только Гос. Публичная библиотека но и почти все научные библиотеки пользовались консультацией этого кабинета.

Теперь можно с полной основательностью сказать что Грузия стоит в первых рядах среди братских республик Советского Союза в деле постановки работы в научных библиотеках. Этого нельзя было сказать пять лет тому назад. Перелом которого добились в этом деле в немалой степени следует отнести за счет того научно-методического руководства которое осуществлялось Гос. Публ. библиотекой и кабинетом библиотековедения. Руководство осуществлялось путем систематической консультации как в кабинете так и на местах а так-же регулярно устраиваемых публичных докладов и массовых консультаций.

Консультацией пользовались почти все научные библиотеки Грузии.

За отчетный период даны 586 консультации по основным вопросам библиотечного строительства.

Кроме проработки практических производственных вопросов и научно-методического руководства кабинет вел и исследовательскую работу в области библиотековедения.

За этот период были проработаны 24 тем. Среди проработанных тем следует отметить: „Методология планирования библиотечной работы“, „Проблема библиографической классификации“, „Проблема общей каталогграфии или документографии“, „Хозрасчет в научных библиотеках“, „История Грузинской библиографии“, „Нормирование и рационализация трудовых процессов в библиотеке“, „Основные принципы конструкции Грузинских предметных рубрик“, „Трехзначные авторские таблицы для грузинской литературы“, „Инвентаризация и расстановка периодики“, „Обработка и хранение брошюр“, „Хозрасчет в детских библиотеках“, „Работа с художественной литературой в научных библиотеках“ и др. Гос. Публичной библиотекой в 1934 году был издан первый том „Трудов Гос. Публичной Библиотеки“, где часть проработанных тем была опубликована, другая часть готовая к печати, подверглась устной публикации путем докладов устраиваемых кабинетом библиотековедения. Отпечатаны „Трехзначные авторские таблицы“, „Основы каталогграфии“, находятся в печати.

Резюмируя работу Гос. Публичной библиотеки за пять лет <sup>Следует</sup> отметить, что за отчетный период библиотека:

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
ბიბლიოთეკა

1) Закончила в основном организацию книжного фонда.

2) Широко развернула обслуживание читательских масс как книгами так и библиографическими справками;

3) Внедрила плановость в библиотечной работе, добилась больших результатов в деле правильной организации и рационализации библиотечного труда, одна из первых ввела сдельщину и добилась чувствительных результатов в деле осуществления хозрасчета в библиотечном хозяйстве;

4) Выковала основной кадр квалифицированных библиотечных работников;

5) Способствовала поднятию на более высокую ступень постановки дела в научных библиотеках Грузии, путем осуществления научно-методического руководства над ними;

6) Заложила фундамент Грузинской научной библиотековедческой мысли, в первые организовав в Грузии научно-исследовательскую работу в этой области.

И так, первое пятилетие—пятилетие организации библиотеки—успешно завершено. В дальнейшем еще более важные и не менее трудные задачи стоят перед Гос. Публичной Библиотекой Грузии, а именно развешивание в ширь работы по укомплектованию библиотеки и по обслуживанию читательских масс, и углубление научно-исследовательской работы в области библиографии и библиотековедения. Успехи первого пятилетия являются верным залогом будущих достижений.

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
ბიბლიოთეკა





ძარტული შრიფტი - ამსტერდამში

1686-87 წ. წ.

სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ ბიორკბომთან მიმართება.

1934 წლის შემოდგომაზე ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკამ მიიღო სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის C. Björkbohm-ის წერილი რამდენიმე შეკითხვით ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესახებ:

1. ვიცნობთ თუ არა ჩვენ არჩილის მიერ მოსკოვში 1705 წელს დაბეჭდილ დავითნის და რამდენად რეალური იმბავია ამ წიგნის მოსკოვის გამოცემა?

2. ლონდონის წიგნთ-საცავის ქართული უთავფურცელო და უთარილო დავითნი, რომლის ერთი ფურცლის ფოტო-პირი გადმოგზავნა ბიორკბომმა — ტფილისში გამოცემული 1705 წელს, თუ არჩილის მოსკოვური გამოცემა?

3. გვინახავს თუ არა სადმე ისეთი ტიპი ქართული დამწერლობისა, რომელსაც წარმოადგენს შევციაში 1705 წლის ახლოს დაბეჭდილი ქართული სასინჯი შრიფტი და ხომ თავისებურია იგი და არ წაიგავს ხუცურის საერთო ტიპს?

წერილთან ერთად ბიორკბომმა გადმოგზავნა შევციაში 1705 წლის ახლოს დაბეჭდილი ქართული სასინჯი შრიფტისა და ლონდონის წიგნთსაცავის დავითნის ერთი ფურცლის ფოტო-პირი.

პასუხად ჩვენ გადავუგზავნეთ ბიორკბომს ვრცელი წერილი, რომლის შინაარსიც მოკლეთ ასეთი იყო:

1. არჩილის მიერ მოსკოვში 1705 წელს დავითნის გამოცემის ფაქტი დადასტურებულია თვით ამ გამოცემის არსებობით, როგორც საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკის კოლექციებში, აგრეთვე მოსკოვის ფეოდალური ეპოქის არქივში<sup>1</sup>. ამ გამოცემის არსებობა ბირველად აღნიშნა პროფ. ა. ხაბანაშვილმა<sup>2</sup>. მას შემდეგ ქართული ნაბეჭდი წიგნის ყოველი მკვლევარი ანგარიშს უწევს მას.

2. ლონდონის წიგნთსაცავის დავითნი, რომლის ერთი ფურცლის ფოტო-პირიც გადმოგვიგზავნა ბიორკბომმა, არ არის არც მოსკოვის 1705 წლის გამო-

<sup>1</sup> სამწიგნობრო მთლიან მოსკოვის ფეოდალური ეპოქის არქივის ცალი არის უდენიქტო. საქართველოს ბიბლიოთეკების ყველა ცალგბს აკლია პირველი ფურცლები და თავფურცელი.

<sup>2</sup> ვერ, „მოამბე“ 1900 წ. წ. III. ა. ხაბანაშვილი, — „ყველა დაბეჭდილი წიგნი სინოდალურ ბიბლიოთეკაში“ გვ. 29.

ტემა და არც ტფილისში 1705 წელს დაბეჭდილი წიგნი — ცნობილია, <sup>რომ</sup> ტფილისის სტამბიდან 1709 წლამდე წიგნი არ გამოუსულა. — ლონდონის წიგნთ-საცავის და ვითინი გაცილებით უფრო გვიანდელი გამოცემა გამოდგება <sup>საბუნების</sup> თველოში მოიძებნა მხოლოდ ერთი უთაროდო ცალი ამ გამოცემისა<sup>1</sup>.

ამ ცალის თაფურცელში დაბეჭდილი ან ზონ I კათალიკოსის ერთი ტიტული, — „ჩუენი უწმინდესის სინოდისა“ — მოწმობს რომ წიგნი ტფილისის სტამბიდან გამოუსულა 1783 წლის შემდეგ (ვინაიდან 1783 წლის რუსეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის დადებული ცნობილი ხელშეკრულების ძალით ჩაირიცხა საქართველოს კათალიკოსი სინოდის წევრად).

3. განსაკუთრებული ინტერესით შევჯერდით ჩვენ ბიორკომის მიერ გადმოგზავნილი შეეციაში 1705 წლის ახლოს დაბეჭდილი ქართული სასინჯი შრიფტის ფორტო-პირზე.

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიის ამ ახალ საყურადღებო საბუთში სამი სახის შრიფტია წარმოდგენილი: პირველი ხუთი სტრიქონი მსხვილად დაბეჭდილს ასომთავრულ — მრგვლოვან ანბანს უკირავს. მას ოდნავ ეტყობა ლათინური შრიფტის გავლენა. განსაკუთრებით მეორე ადგილას მოთავსებული ანის სახესხვაობას. ამასთანავე ოდნავ დარღვეულია ქართული ანბანის თანმიმდევრობა, რაც მსგავსი ასოების არევით უნდა იყოს გამოწვეული. მაგ. ზ (ლ)-სა და ზ (პ)-ს ერთმანეთის ადგილი უკირავთ, ხოლო მ (ბ)-ანი, რომელიც გადმობრუნებულ მ (ნ)-არს წააგავს, გამოტოვებულია და მის ადგილას განმეორებით მოთავსებულია ნ არი.

ეს „ლპსუსები“ ალბათ იმიო აიხსნება, რომ ასოების გამკეთებელს გასკირებია უცხო დამწერლობის ანბანში გარკვევა.

მეექვსე და მეშვიდე სტრიქონზე იმავე მრგვლოვან დამწერლობის შედარებით მომცრო შრიფტს ვხედავთ. აქ დაშვებულია მხოლოდ ერთი შეცდომა: მ (პ)-არის ადგილას მოთავსებულია მსგავსი მოხაზულობის მ (ლ)-ანი. მეოთხე და უკანასკნელი სტრიქონი წვრილი ზომის ნუსხა-ხეყურს უკირავს. ძველი ნაბეჭდი ტექსტების ნუსხა-ხეყურ შრიფტთან შედარებით იგი უფრო მორგვალებულია, უფრო ინდივიდუალური იერისაა. ხელნაწერის მსგავსად, არასაკმარისად გამოჩვენებული, ზოგჯერ გაურკვეველიც (პ. ი. ჯ.).

მაგრამ ინტერესი, რომელსაც იწვევს ეს საბუთი, არ არის მარტოდონ ბალეოგრაფიული ინტერესი — უადრესად საყურადღებოა თვით ფაქტი შეეციაში 1705 წელის ახლოს ქართული სასინჯი შრიფტის დაბეჭდვისა.

ამ მოვლენის ახსნისათვის ქართული წიგნის ბეჭდვის დასაწყისის სამი დიდი თარიღი უნდა მოვიგონოთ:

1629 წელი — პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვა რომში.

1705 წელი — ქართული დავითნის დაბეჭდვა მოსკოვში.

1709 წელი — პირველი წიგნის გამოსულა ტფილისის სტამბიდან.

სტოკჰოლმიდან მოსული საბუთი, როგორც ქრონოლოგიურათ, აგრეთვე, ასე ვთქვათ, გეოგრაფიულადაც არჩილის სასტამბო მოდერნიზაციას უახლოვდება.

<sup>1</sup> პროფესორმა აკაკი შანიძემ, რომელსაც ეს ცალი აღმოაჩნდა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკას შესწირა იგი.

ამ ვარაუდს ამართლებს რამდენიმე ცნობა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება: ჩვენ ვიცით, რომ არჩილმა „გააკეთებინა სტამბა საფრანგეთშია ქართულად და მოატანინა საფასითა თავისთა“ მოსკოვს<sup>1</sup>. ესე იგი არჩილმა გააკეთებია ქართული შრიფტი დასავლეთ ევროპაში და თავის ხარჯით მოატანინა მოსკოვს.

გარდა ამისა გვაქვს თვით არჩილის ცნობა, მოთავსებული მისგან 1705 წელს მოსკოვში გამოცემულ და ვითინის თავფურცულზე, რომლითაც ხსენებული წიგნის დაბეჭდვაში, არჩილის გარდა, მონაწილეობა მიუღია მის ძეს ალექსანდრეს: „ჩემ მიერ შეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრესაა დაბეჭედა წიგნი ესე და ვითინი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს...“<sup>2</sup>.

ჩვენ ვიცით, რომ არჩილის ძე ალექსანდრე, რომელსაც შამა ასახელებს, როგორც თავისს თანამოღვაწეს 1705 წელს გამოცემული წიგნის ბეჭდვაში, ამ დროს და ამაზე 5 წლით ადრე შვეციაში იყო წაყვანილი სამხედრო ტყვედ, ტყვეობიდან მხოლოდ 1710 წელს განთავისუფლდა და, მოსკოვისაკენ მიმავალი, გარდაიცვალა გზაში.

ვიცით აგრეთვე, რომ არჩილს ტყვე შეილთან განუწყვეტილი ურთიერთობა ჰქონდა წერილებისა და ადამიანების მეშვეობით<sup>3</sup>.

ამ ცნობების დაპირისპირება გვაფიქრებინებს, რომ შვეციაში დაბეჭდილი სასინჯი შრიფტი არჩილის სასტამბო მოღვაწეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული და რომ, არჩილის ძის, ალექსანდრეს ღვაწლი 1705 წელს გამოცემულ და ვითინის დაბეჭდვაში, ალბათ, ქართული სასტამბო შრიფტის შვეციაში დამზადებასა და მოსკოვს გადმოგზავნაში თუ გამოიხატა.

ჩვენი მოსაზრების ექვემდებარება დადასტურება შეეძლო სტოკჰოლმის შრიფტისა და მოსკოვის 1705 წლის და ვითინის შრიფტის იგივეობას. მაგრამ ამ შრიფტების შედარებამ არ გვიჩვენა მათი იგივეობა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც დავაკვირეთ, რომ შვეციაში დაბეჭდილი სასინჯი შრიფტი, არჩილის ძის — ალექსანდრე ბატონიშვილის შვეციაში ტყვეობას (1700—1710 წ. წ) უნდა უკავშირდებოდეს.

ჩვენი წერილის საპასუხოთ 1935 წლის თებერვალში მოგვივიდა ბიორკომისისაგან ცნობა, რომ იგი შეუდგა შვეციის სახელმწიფო არქივში ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ საბუთების ძიებას.

1935 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში კი ჩვენ მოგვივიდა ბიორკომისის უკვე დამთავრებული გამოკვლევა ჟურნალ „Nordisk tidskrift för bok-och biblioteksväsen“ Arg. XXII-ის ანბეჭდვის სახით, შევლურ ენაზე, ამ სათაურით:

<sup>1</sup> იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“. ნ. „მცირე უწყება“. ძველი საქართველო, ტ. I გვ. III, გვ. 27. პიროვ. გვ. თაყაიშვილის გა — მა.

<sup>2</sup> პიროვ. ა. სახანაშვილი „ჩველად აღბეჭდილი წიგნის...“ ჟურ. „მონაბე“, 1900 წ. III.

<sup>3</sup> ნ. მ. ბროსე — Notice sur une lettre géorgienne, du roi Artchil à Charles XII, février 1706. Bulletin hist.-philol. T. XI № 11, 12 და Mélanges asiatiques, ტ. II, (LCiv 2), გვ. 211—218. აგრეთვე იგივე რუსულად О грузинском письме царя Арчила к Шведскому королю карлу XII. Уч. Зап. Ак. Н. по первому и третьему отдел. т. II. в. 4. СПб. 1854. გვ. 545 და სხვა.

Б. Эсадзе. Первый генерал-флядейхмейстер при Петре В. Царевич Александр Арчилович. СПб. 1913.

„Henrik III Kevsers Georgiska stilprov“. ამონაბეჭდს ახლავს წერილის ვრცელი რეზუმე, რომელსაც ვაჭვეყნებთ მილიანად, ვინაიდან იგი უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ქართული წიგნის ბეჭდვის და ზოგადკულტურულ-ისტორიის თვალსაზრისით.

## ბ ი ო რ კ ა ო მ ი ს ზ ა მ ო კ მ ლ ე მ ი ს რ ე ზ ე მ ი .

სამეფო ბიბლიოთეკა. სტოკჰოლმი 9 ივლისი 1935. წ.

დიდად პატივცემულო კოლეგა!

ჩემი გამოკვლევა სტოკჰოლმში დაბეჭდილი სასინჯი ტიპების შესახებ ახლა უკვე დამთავრებულია. მე შემიძლია იხსნა მათი წარმოშობა. მაგრამ რაც შეეხება მათ ურთიერთობას მოსკოვის დაეითნის ტიპებთან, რომლებიც 1705 წ. ეკუთვნის, მე, როგორც ამ საქმის გაუცნობელ ადამიანს, არ შემიძლია ჩემი აზრი გამოთქვა. ამ მნიშვნელოვან საკითხს საესებით ვუთმობ ქართული ბეჭდვითი საქმის წარმოშობის მკვლევართ. ჩემი პატარა გამოკვლევა დაიბეჭდა შვედურ საბიბლიოთეკო ჟურნალ: „Nordisk tidskrift för bok och biblioteksväsen „Arg. XXII“-ში, 1935. ამავე ფოსტით გიგზავნით ამ ჟურნალის ცალკე ამონაბეჭდს და თან ვატან მოკლე რეზუმეს, როგორც პატარა სამაგიერო სამსახურს მთელი იმ ღირსშესანიშნავი ცნობებისათვის, რომლითაც თქვენ დამაფაღეთ.

აქ [გამოკვლევაში] უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია აღწერა იმ სასინჯი ტიპისა, რომელიც ერთადერთ ეგზემპლარად არის დაცული, სახელდობრ, სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკაში. მას აკლია გამოშვების აღნიშვნა (Impressum) და თარიღი. მაგრამ თან ახლავს ხელნაწერი ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს სასინჯი ტიპი დაბეჭდილია 1705 წელს ერთი სტოკჰოლმელი ბეჭდვის — ჰეინრიხ — III კაიზერის მიერ. ეს ცნობა ეკუთვნის ერთ ცნობილ [პირს, გვარად] Palmstiöld-ს, რომელიც ამ დროს საზეფო კანცელარიის მდივანად ყოფილა.

მაშასადამე არავითარი საფუძველი არა გვაქვს ამ საბუთის ნამდვილობაში დაეჭვებისათვის. უპირველეს ყოვლისა მე ვიძლევი ქართული ბეჭდვის ისტორიის მოკლე მიმოხილვას, რომელიც თქვენ, რასაკვირველია, არაფერს ახალს არ მოგცემთ. ამისათვის უმთავრესად გამოვიყენე პროფესორი მეკელანინის მიერ 1922 წელს „Der Sammler“-ში მოთაქმებული სტატია და ხახანაშვილის „ქართული ლიტერატურა“.

შემდეგ წარმოდგენილია თვით გამოკვლევა. როდესაც არჩილ მეფე მეჩვიდმეტე საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვში იმყოფებოდა, მას გაბმული ჰქონდა კავშირი უცხოელებთან, რომლებიც ამ დროს რუსეთში მიდიოდნენ. მაგალითად ჩვენ ვიცით, რომ მის [არჩილის] მიერ არის მიწოდებული მასალა ნიკოლა ვიტცენისადმი „ჩრდილო-აღმოსავლეთი ტარტარიის აღწერისათვის“. ამ უცხოელთა

<sup>1</sup> რეზუმეს გერმანული ტექსტი ქართულად თარგმნა ფატი ხუნდაძემ.

<sup>2</sup> ვიტცენის და არჩილის ურთიერთობის შესახებ ნ. M. Brosset. „Histoire moderne de la Georgie“, II, გვ. 349 — 352. არჩილის კავშირს უცხოელებთან მოსკოვში აღნიშნავს მისი თამარაშვილიც ნ. მისი „ისტორია კათ-სა“. გვ. 220 — 221. ქ. მ.

შორის იმყოფებოდა აგრეთვე ერთი შეედი იოჰან შპარვენფელდი — ერთი დიდათ ღირსშესანიშნავი კაცი, რომელიც ბევრს მოგზაურობდა ძველი გუთების კვალის საპოვნელად. ერთ წიგნში, რომელიც მას [შპარვენფელდს] ეკუთვნოდა, და რომელიც ახლა დაცულია ერთ-ერთ შეედურ კერძო კრებულში [კოლექციაში] მან შეიტანა დამატება, რომელიც 96-ე გვერდზე მაქვს აღნიშნული<sup>1</sup>. იქიდან სჩანს, რომ შპარვენფელდი იცნობდა არილ მეფეს, რომ ამ უკანასკნელმა [არილმა] მას ხალათი უბოძა, და რომ, დასასრულ, მან [შპარვენფელდმა] მისთვის [არილისთვის] დაამზადებინა ქართული ტიპები ამსტერდამში კის. კისი იყო თავისი დროის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ტიპების მკრელი — Misztotfalusi Kis Miklos, ე. ი. მისტოფალუსი ნიკოლაუს კისი. ნიკოლაუს კისი დაიბადა ლარიზი მშობლებისაგან ახლანდელ რუმინეთში. ერთ პატარა სოფ. Gluj-სთან 1650 წ. ის მოღვაწეობდა ამსტერდამში, როგორც ტიპების მკრელი და მბეჭდავი. მისი უდიდესი ქმნილება არის 1684 წლის უნგრული სახარების გამოცემა. ეგრეთწოდებული „უკროს სახარება“. 1689 წელს ის ისევ თავის სამშობლოში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა 1702 წელს.

შვეიციაში, — ლინკეინგის ქალაქის ბიბლიოთეკაში, — დაცულია კისის ორი წერილი შპარვენფელდისადმი — 1686 წლის 12 ნოემბრის და 1687 წლის 17 იანვრის თარიღით, — ეს წერილები in extenso გადმობეჭდილია ამ წიგნის 97 გვერდზე<sup>2</sup>. აქ კისი უჩივის [შპარვენფელდს] იმ დაბრკოლების გამო, რომელიც შეხედა მას ამ უჩვეულო [ქართული] ტიპების გამოჭრის დროს. ამბობს — მალე დავამზადებ მათო, მხოლოდ სურს დაწვრილებითი ცნობები ჰქონდეს ვასამრჯელოს შესახებ. ის იძლევა მრავალ ტექნიკურ დეტალს, რომელთაგანაც სჩანს, რომ აქ ლაპარაკია იმავე ტიპებზე, რომელიც მოცემულია სასინჯ ტიპებში. ამგვარად, ტიპები უკვე 1687 წელს ყოფილა მზად. მაგრამ ვასამრჯელოსთან დაკავშირებული დაბრკოლებების გამო ვერ მოხერხებულა მათი დაუსოვენებლივ გადაგზავნა. სწორეთ ამ [1687] წელს დასტოვა შპარვენფელდმა რუსეთი და შემდეგ 1688 წელს არჩილიც დაბრუნდა თავის სამშობლოში. ამგვარად, სრულიად ნათელია რისთვის გაიგზავნა ტიპები სტოკჰოლმში და არა რუსეთში.

სტოკჰოლმში ეს ტიპები დიდხანს იდო ისე, რომ მათთვის არავის მიუქცევია ყურადღება. მაგრამ 1700 წელს არჩილის შვილი ალექსანდრე დატყვევებულ იქნა ნარვასთან და მოყვანილ იქნა სტოკჰოლმში. ამ ქალაქში ცხოვრობდა იგი — 1705 და 1706 წ. წ. გამოკლებით — 1710 წლამდე, როდესაც ის შეუერთდა დატყვევებული რუსის ოფიცერთა ამ ჯგუფს, რომელიც ჩრდილოეთ შვეიციის გზით მიემგზავრებოდა რუსეთში, ტყვეების გადაცვლის წესით. გზაში ის გარდაიცვალა პიტეაში.

სტოკჰოლმში ალექსანდრეს კავშირი ჰქონდა შპარვენფელდთან, რომელიც მრავალი ენის ცოდნის გამო, ტყვეების დაბინავებას ეწარმოებდა. შეედური სახელმწიფო არქივის საბუთებში ჩვენ ვპოულობთ წერილობით მოხსენებას „მელი-

<sup>1</sup> ამ დამატების ქართული თარგმანი ნ. ტევიშოთ, კ. შ.

<sup>2</sup> ნ. ამ წერილების ქართული თარგმანი დამატებაში, კ. შ.

თელი პრინცი<sup>1</sup> შესახებ, როგორც მას უწოდებენ. ეს მოხსენება დაწერილია შპარენგელდის დამახასიათებელი ხელით. ამისდაგვირავად, ალექსანდრეს უნდა ქონოდა ცნობა ამ ტიპების შესახებ. მაგრამ ჩვენ გვაქვს ამის პირდაპირი საბუთი

კანცელარიის კოლეგიუმის 1703 წლის 29 ოქტომბრის სხდომის ოქმში ჩვენ შემდეგ ვკითხულობთ (გვ. 100): „თარჯიმანმა ლინდმანმა წარუდგინა კოლეგიუმს ერთი შეკვრა ტიპები, რომელიც ტყვე პრინციმ მელითელმა ქართული ენის ზოგიერთი ასოსთვის დაამზადებინა. წარმოდგენილია აგრეთვე მათი გადმონაბეჭდი — მოსკოვში გადავზენის ნებართვის შილებების სურვილით“. კოლეგიუმი დაა სკენის, რომ მას თავისთავად არ შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა და ამიტომ ეს საკითხი უშლილეს საბჭოს უნდა გადაეცეს.

ჩვენთვის სრულიად ნათელია [ხსენებული] გადმონაბეჭდისა და სასინჯი ტიპების იდენტურობა. შეიძლება დაბეჯითებითაც ითქვას, რომ ჩვენი ეგზემპლარი სწორედ ის არის, რომელიც ამ შემთხვევის დროს იქნა წარდგენილი, რადგანაც ზევით ნახსენები პალმსკიოლდი იყო სწორედ მდივანად [კოლეგიუმის სხდომაზე]. ამ შემთხვევაში იგი შეცდა: დაბეჭდვის წელი უნდა იყოს 1703 და არა 1705.

საბჭოს ოქმებში ამ საკითხის შესახებ არაფერი მოიპოვება. ეს საქმე ზომ მცირე მნიშვნელობისა იყო, განსაკუთრებით იმ მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან შედარებით, რომლითაც ამ დროს გართული იყო საბჭო. ალბათ ეს საქმე სხვათა შორის მოგვარდა, რადგან ამავე წლის 8 დეკემბერს ალექსანდრე უკვე სწერს მამას: „ტიპები ჩვენს ენაზე უკვე დიდხანია მზათ არის. მაგრამ გამოვზენას ვერ ვებრძავ. სახელდობრ შემინია არ დაიკარგოს“ (ომში დაცემი-ბულთა ყველა წერილები შეედურათ ითარგმნა თარჯიმანის მიერ და გადაეცა ცენზურას. ახლა თარგმანი ინახება სახელმწიფო არქივში).

ჩემ მიერ მოტანილი ამონაწერები დოკუმენტებიდან ხსნიან ქართული ტიპების შევციაში არსებობას. სად დაიკარგა ამ ტიპების ორგინალები — ამისი თქმა არ შეგვიძლია. ალბათ მათი დაკარგვა მერმინდელი ამბავია, ვინაიდან პრინციის სიკვდილის შემდეგ ისინი აღარავის აინტერესებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ არქივში კიდევ ვიპოვე თარიღები, რომლებიც თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს.

როგორც უკვე ითქვა, ის ტყვეთ იქნა წაყვანილი ნარვისთან 1700 წელს სხვა რუსის გენერლებთან: დოლგორუჟისა, ტრუბეცკოისა, ბუტურლინსა და ვაიდესთან ერთად.

ნარვიდან ისინი გადაიყვანეს რველში, სადაც ბატონიშვილი თავის მშობლებთან (სულ 10 კაცი) ერთად, მოთავსებულ იქნა გეჟილ კნობლობთან. ცოტა ხნის შემდეგ ისინი სტოკჰოლმში გადაიყვანეს. პირველ ხანებში ტყვეობა მსუბუქი იყო. მაგრამ მას შემდეგ, რაც შეეძებმა გაიგეს რუსეთში ტყვეთ მყოფ შეეძებთან ცუდი მოპყრობის ამბავი, ის გაცილებით უფრო მკაცრი შეიქნა. გენერლები ხშირად მიმართავდნენ [მთავრობას] თხოვნით დარაჯების თანხლებით სასიერნოთ გაყვანის, მღვდლის მოყვანისა და სხვ. ამგვარობის ნებართვის მიცემისათვის. მაგრამ უშედეგოთ. 1705 წელს შეეძებმა გაიგეს, რომ რუსეთიდან

<sup>1</sup> სიტყვა „მელითელი“ წარმოსდგა რუსული „Иеретинский“ — „Меретинский“ (იშერთი) — ს დამახინჯებით. ქ. შ.

გამოუსტუმრებიათ შვედების რეზიდენტი და რომ რუსეთის რეზიდენტი სტოკჰოლმში საიდუმლო მიმოწერას აწარმოებდა მტერთან. ამას ისიც დაეთოთ, რამდენიმე [რუსის] გენერალმა გაქცევა მოიწადინა. ყოველივე ამან აიძულა ერთობა რუსეთის ტყეები გაეგზავნა სტოკჰოლმიდან პროვინციის სხვადასხვა ქალაქებში. ალექსანდრე გაგზავნეს ლინკეპინგში — შვეციის ერთ-ერთ უდიდეს პროვინციულ ქალაქში. ერთ-ერთ განცხადებაში იგი ჩიოდა, რომ ავით არის და მთლად მარტო ცხოვრება არ შეუძლია. არ შეუძლია აგრეთვე სტოკჰოლმის ვილენის გადახდა. ლინკეპინგში იგი მის ხუთ მსახურთან ერთად (ორი უკვე 1702 წელს დააბრუნეს რუსეთში) მოათავსეს ერთ ერთ საპრობილესში. ლინკეპინგშივე მოუყვდა მას სახლთუხუცესი [Hofmeister] 1706 წელს იგი [ალექსანდრე] მძიმე ავადმყოფი დაბრუნდა სტოკჰოლმს. რამდენიმე შვედ ტყვეზე მისი გადაცემის შესახებ მოლაპარაკება დაწყებულ იქნა მის მიერ და, ნაწილობრივ, მისი მამის მიერ, რომელიც დამეგობრებული იყო შვედ ტყვე გენერალ პიპერთან. ეს მოლაპარაკება პირველ ხანებში უშედეგოთ დარჩა და არჩილ მეფეს მრავალი განცხადება შექმნდა, სადაც იხუცებოდა მისთვის ერთადერთ ცოცხლად დაჩინილი ვაჟის ნახვის საშუალების მინიჭებას<sup>1</sup>. თერთონ ალექსანდრე 1708 წელს შვეციადა მოსკოვში სანი თვით წასვლის ნებართვის მიღებას პატიოსანი სიტყვის საწინდართ, ამ თხოვნას მხარი დაუჭირა აგრეთვე მეფის [კარლოს XII] დედამ.

მაგრამ მეფემ, რომელიც მტად გამბრუნებული იყო შვედ ტყვეებთან ცუდი მოპყრობის გამო, უარყო ეს თხოვნა. 1709—1710 წლებში სტოკჰოლმში შავი ქირი მძვინვარებდა და ამის გამო ტყვეები ისევ პროვინციულ ქალაქებში დაგზავნეს. ალექსანდრე მრავალ სხვა ტყვესთან ერთად Örebro-ში გადაიგზავნა. ბოლოს 1710 წელს გადაიყვდა [ტყვე] ოფიცრების გადაცემა. მაგრამ, რადგან სტოკჰოლმიდან ფინლანდიაზე ზღვით გამგზავრება დაგვიანებული იყო, ამიტომ რუსი ოფიცრები ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრენ, რომ ამ ვხით ქვეითად გადასულიყვნენ ფინლანდიაში. ჩრდილოეთ შვეციაში ამ დროს დიდი სიმშვილი მძვინვარებდა და საცოდავი ადამიანები იძულებული გახდნენ დიდი ტანჯვა გადაეტანათ. პიტენაში ალექსანდრე გარდაიცვალა.

მამა მისი სასოწარკვეთილებით აივსო და მიმართა ხსენებულ პიპერს [თხოვნით], რომ მიეცათ მისთვის შვილის გვამი<sup>2</sup>. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მან ამას მიაღწია. გრათმა პიპერმა ამ საქმის მოსაგვარებლად შვეციაში გამოგზავნა საკუთარი პოფმესტერი და 1711 წლის დეკემბერში დართეს ნება დაუბრკოლებლივ გაეტარებიათ რუსეთში ალექსანდრე ბატონიშვილის კუბო.

ეს ისტორია საქართველოს უბედური ბატონიშვილის და შვეციაში ქართული სტამბის მოწყობის შესახებ — აქ, ჩვენთვის, რასაკვირველია, მტკრე მნი-

<sup>1</sup> რამდენად ენერგიულად იბრძოდა არჩილი შვილის დაბრუნებისათვის სწ.სს, სხვათა შორის, მარი ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ არჩილის წერილიდან შეედების მეტე კარლოს XII-სადმი. ნ. ბროსეს ხსენებული გამოკვლევა. Bulletin. № 11, 12, 1854 წ. გვ. 172—192 და აგრეთვე შ.თ.ს. Г. А. Сношения Петра В. с армянским народом. СПб. 1898, საბუთები №№ 126, 127, 134, ან „მოამბე“ 1899. № III განე I გვ. 18. ქ. 8.

<sup>2</sup> ნ. აგრეთვე Успенков. История царств. Петра В. т. IV Приложение II გვ. 480-არჩილის რუსული წერილი პეტრე I-სადმი, შვილის გადმოსვენების მუდართით სავსე. ქ. 8.

შენელობის საქმეა. თქვენთვის კი მას გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნება, განა მართებული არ იქნებოდა, ფრანუ კოლეგა, ამის შესახებ გამოგვეყენებინათ ქართულ ჟურნალში ან სხვა ორგანოში წერილი, ან თქვენი საკუთარი სახელით? ან ჩვენი ორთავეს სახელით? ეს ცალკე ამონაბეჭდი და ის, რაც თქვენ აქ გაცნობეთ, საკმარისი იქნებოდა. თუ დაგჭირდებათ კიდევ ახალი ცნობები, რასაკვირველია, შე თქვენს განკარგულებაში ვიქნები. მომწერეთ, თუ შეიძლება, რას ფიქრობთ ამ საკითხის შესახებ.

ერთხელ კიდევ უგულითადადესი მადლობით თქვენი დახმარებისათვის.

დავშთები ღრმა პატივისცემით თქვენი მორჩილი ბიორკომი.

ბიორკომის გამოკვლევა რამდენიმე სრულიად ახალსა და ქართველოლოგიისათვის უცნობ ფაქტს გვაძლევს. ზედმეტი არ იქნება ამ ფაქტების შეგავება, იმ მასალებთან შეფარდებით, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება არჩილისა და მისი ძის — ალექსანდრეს პოლიგრაფიული მოღვაწეობის შესახებ.

### ქართული შრიფტის ჩამოსახმა ამსტერდამში

1686-87 წ. წ.

არჩილი მოსკოვში პირველი ჩახელისთანვე (1686 წლის დასაწყისში) შესდგომია ქართული სტამბის მოწყობის საქმეს. მას დაუჭერია კავშირი შვედ მკვლევარ შპარვენფელდთან და მისი მეშვეობით გაუკეთებინებია ამსტერდამში ცნობილი „ასოთმოქანდაკისა და ჩამომსხმელის“ კისისათვის ქართული სასტამბო შრიფტი — ასო-შთაფრულის ორი ტიპი და ნუსხა ხუცურისა — ერთი.

ბიორკომის გამოკვლევა, განსაკუთრებით მისგან გამოქვეყნებულ ტექსტებში კისის ორი წერილისა შპარვენფელდისადმი<sup>1</sup>, საშუალებას გვაძლევს ზედმიწევნით გავითვალისწინოთ ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადების საყურადღებო მომენტები.

არჩილს ამ საქმეში შვედი მკვლევარის გარდა გამოუყენებია კიდევ ერთი პიროვნება:

ამსტერდამის ქალაქის თავი ნიკოლა ვიტცენი.

ქართული წიგნის ბეჭდვის მკვლევართ დღემდის არ მიუტკევეიათ ყურადღება მარი ბროსეს საქართველოს ახალი ისტორიის დამატებისათვის<sup>2</sup>, სადაც იგი იძლევა მნიშვნელოვან ცნობებს არჩილისა და ალექსანდრეს ცხოვრების შესახებ. აქვე გამოქვეყნებულია არჩილის მიერ ნიკოლოზ ვიტცენისადმი მიწერილი „სიყვარულისა და მადლის წიგნი“ ფრანგული თარგმანი.

არჩილის ამ წერილის ფაქსიმილე მოთავსებულია ვიტცენის წინგში „Noed en Oost Tartarije (Amsterdam III გ-მა 1785).

<sup>1</sup> ამ წერილების ლათინური ტექსტის ქართული თარგმანი ნ. ქვეცი, დამატებაში.

<sup>2</sup> Histoire moderne de la Géorgie II. Addition XI<sup>e</sup> § 2 Notice sur les divers séjours du roi Artchil en Russie. გვ. 349 — 453. 1857 წ.



ვინაიდან არჩილის ხსენებული წერილი ქართული წიგნის ბეჭდვის დასაწყისის მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს, ხოლო ბროსეს თარგმანი დედანს ალაგ შორდება, ვაქვეყნებთ აქ მის ქართულ ტექსტს:

ქ. წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ნათესავისაგან დავითისა პანკრატონი მეოთხმოცდაერთე<sup>1</sup> მეფე არჩილ, მეფედ იმერეთისა, კახეთისა, ყოვლისა ლიბთ იმერეთისა. ვმადლობ უფალსა ჩემსა იესოს ქრისტესა მწირობასა შინა ამის ჩემსა, ვითარცა ოდესმე მეფობისა ტახტსა მჯდომი. მოვიწერ წიგნსა ამას მოკითხვისასა სიბრძნისა და მეცნიერებისა კეთილისა გონებისა შენისათვის საჩინოს ქალაქისა ამსტერდამისაგან<sup>2</sup> თავად გამორჩეულსა ნიკოლოზ ვიტცენს<sup>3</sup> და მოვიკითხავ, ვითარცა მეგობარსა შემეცნებულსა ჩემსა.

მერმე გავფიქონეთ თქვენს ადგილზე მჯდომის პატრონის ბარონ ვლარისაგან, რომე თქვენ გარჯილხართ ჩვენი გულისათვის და ჩვენის ენის წიგნის ბეჭედს გვიტყვიანებთ, ჩვენ ამ საქმისათვის დიდათ გავიხარეთ. თქვენი მადრიელი შევიქვინეთ. ამ საქმისათვის ვინებეთ შენთან ჩვენის სიყვარულისა და მადლის წიგნის მოწერა. ჩვენ შენგან შევიქვინეთ მადრიელი, ღმერთი შენგან იქნების მადრიელი. მოველით შენის სიყვითისაგან აღარ დაგვიანოთ, რომ საღრმთო საქმის ყოვნება არა ეამს. ღმერთიან წყალობით წავიმართოს ნება შენი.

დაიწერა წიგნი ესე მოსკოს, თუესა დეკემბერსა ჩვიდმეტსა. დასაბამითგან წელთა<sup>4</sup> შეიღიათას ასოთხმოცდა თხუთმეტსა [1638 წ.] 17 (1)

კელმწიფე პატრონი არჩილ ვამტკიცებ. [ორი ბეჭედი].

ამგვარად, ვიტცენიც გარჯილა ქართული შრიფტის მოჭრისათვის:

„გავიფიქონეთ... რომე თქვენ გარჯილხართ ჩვენი გულისათვის და ჩვენის ენის წიგნის ბეჭედს გვიტყვიანებთ“.

სწერს მას არჩილი და სთხოვს აღარ დაიგვიანოთო. ამ დროს (1638 წ. 17 — IX) შრიფტის გაკეთება-გამოჭრის საქმე დასაწყის სტადიაში არის და ამსტერდამის ქალაქის თავის „გარჯით“ მიდის წინ.

მაგრამ საქმის არსებითი მხარე გაკეთებულა შპარენფელდისა და კისის მიმოწერის გზით. არჩილს, სრულიად გასაგები მიზეზის გამო, არა თუ ვერ მოუხერხებია ამსტერდამში ქართული მწიგნობრობისა და დამწერლობის მეცოდნე კაცის გაგზავნა, არამედ ენის უტოლდინარობის გამო, იძულებული გამხდარა მესამე პირის საშუალებით ეწარმოებია ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე. ეს გარემოება უფლებას აძლევს კისს საყვედურით მიმართოს შრიფტის ჩამოსხმის ინიციატორს:

„რომელიმე იმათანი რომ აქ მოსულიყო, თავიდან აცილებული იქნებოდა ის სიძნელეები და უხერხულობა, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს წმეთანხმებას. არ ეგებოდა მათგან (იგულისხმება არჩილი) ასეთი (სერიოზული) საქმის ბავშვურ გასართობად ჩათვლაო (ნ. კისის წერილი № II)“.

<sup>1</sup> ტექსტში მეოთხმოცდა მეერთე.

<sup>2</sup> ტექსტში ამსტერდამისაგან.

<sup>3</sup> ტექსტში ვილხებს.

<sup>4</sup> ტექსტში იერილთა.

კისის წერილებიდან ირკვევა რომ არჩილს მისთვის გადაუგზავნია ხსენებული სამი ქართული აღფაბეტის ხელნაწერი ნიმუშები, ორ ცალკე ცალკე წიგნის სახით:

„რამდენათაც საქმე ასოების მოყვანილობას შეეხება, აქ (ე. ი. დამზადებულ ნიმუშებში) არც ერთი არ არის (ისეთი), თქვენი ერთისა ან მეორე ეგზემპლარის ამათუბი ასოს მოყვანილობას რომ არ შეესატყვისებოდესო“ — ამბობს კისი II წერილში და იქვე, სხვა ადგილას:

„... მე ხელს ავიღებ ამ რაბულაზე“ (იგულისხმება ხელნაწერი ნიმუშები). ქართული ასოების ხელნაწერი დედნები, როგორც სჩანს, არ ყოფილა შესრულებული გეროვანი სიზუსტითა და კალიგრაფიული სისრულით:

„ვეროპაში არ მოიძებნება არავინ... ვინც შესძლებს ესოდენი ზედმიწევნითი მზგავსებით ასოების გაფორმებას, ამდენად მცონარეთ და დაუდევრად გაკეთებული ნიმუშის მიახდეთო“. ამბობს კისი I წერილში.

და შემდეგ მეორე წერილშიაც:

„როგორღა ვიმსჯელოთ უცხოურ ასოებზე, რომელთა ნაბეჭდი ეგზემპლარის მიღება არ შეიძლება, არამედ (მოკვეპობება) მხოლოდ ხელნაწერი, ისიც ერთმანეთის შორი-შორი“.

ნიმუშების მანკიერობა და ის გარემოება, რომ „ამ საქმეს შორეული ინფორმაციის გზით ხეწმდეგანელომდენ“, განხილავს მიხეი დახელოვნებული ოსტატის მიერ დამზადებული ასოების უკვე აღნიშნული ნაკლოვანებისა.

ეს ნაკლოვანებანი კისმა თავიდან ვერ აიცილა, მიუხედავად უდიდესი სიფრთხილისა, რომელსაც ის იჩინს მისთვის უცხო მოხაზულობის ასოების დამზადებაში. კისი ნაწილ-ნაწილ ამხადებს ასოების ნიმუშებს და ნაწილ-ნაწილვე უგზავნის შპარვენფელდს, მათი ვარგისობის შეფასების თხოვნით. ამას მოწმობს ქვემოთ გამოქვეყნებული კისის წერილი № 1-ს პირველი ფრაზა: „აი კიდევ ნიმუშები უმთავრესად სულ უკანასკნელ დროს დამზადებულ ასოებისა“.

კისის წერილების სხვა ადგილებში გაბნეული გამოჩნთვები მოწმობს, რომ მას ხუთგზის მინც უნდა ქონდეს გადაგზავნილი ასოების ნიმუშების სხვადასხვა ჯგუფი შპარვენფელდისადმი და ალბათ ხუთგზისვე მიწერილი აქვს წერილი ყოველი ჯგუფის შესახებ საკუთრად<sup>1</sup>.

თავისი ეპოქისათვის დამახასიფთებელი რიტორიულიებით, კისი უცხო შრიფტის გაკეთებას „პირველი ყინლის ჩამტვრევას“ უწოდებს და იხვეწება დაჩქარებით აღნობონ მას უკვე გადაგზავნილი ნიმუშების ვარგისობა თუ უვარგისობა:

„გთხოვთ კიდევ — დაჩქაროთ იმის პასუხი, რასაც წინეთ გეკითხებოდით (ნიმუშების პირველი ჯგუფის შესახებ), ვინაიდან მე უგულოთ, ვიწყებ დანარჩენ

<sup>1</sup> ასოების პირველი ჯგუფის ნიმუში წერილითურთ გაგზავნილი უნდა იყოს ქვემოთ გამოქვეყნებული პირველი წერილის წინ. მეორე — ჩვენს 1-ლ წერილთან ერთად. მესამე — პირველ და მეორე წერილს შუა (მომცროს ზომის ასომთავრული შრიფტის ნიმუში); მეოთხე ჯგუფი — ნუსხა ხელუფრის ნიმუშების პირველი ჯგუფი — აქ გამოქვეყნებულ მეორე წერილთან ერთად; ხოლო მეხუთე, და ალბათ უკანასკნელი, ჯგუფის ასოები წერილითურთ — აქ გამოქვეყნებულ მეორე წერილის შემდეგ უნდა გადაგზავნა კისის შპარვენფელდისათვის.

ორ ალფაბეტს იმ შიშით, რომ ვაი თუ რაიმე სახით თქვენი სუოვილის საწინააღმდეგო გზას დავადგე“ (ნ. I წერილი).

ან:

„წინ აღარ წავალ მანამ, სანამ არ მივიღებ თქვენს აზრს წარმოდგენილი სინჯის შესაღებ...“ (II წერილი).

კისი მით უფრო ფრთხილობს, რომ:

„ხელნაწერი ასოები, ზოგიერთი ცვლილების გარეშე, ვერ დაიყვანება იმ მდგომარეობაში, რომ მბეჭდავს ერსახელოს“.

ასეთი „ცვლილების“ შეტანა მოუბდა ადამიანს, რომელიც ამბობს, რომ ვერ იცნობს ასოების (ქართული ასოების) ბუნებას და არ იცის, ესა თუ ის (მოხაზულობა) გვევლინება ასოს შემთხვევით (ცვალებად) თუ არსებით ნაწილად“ (II წ.).

ამის შემდეგ ვსაბუთებ, რომ კისის ნამუშევარმა ვერ გამოიწვია ის ალტაცება, რომელსაც იგი მოელოდა I-ლ წერილში. ამას მოწმობს კისისავე ფრაზა: „თუ ეს ასოებიც (ნუსხა ხუცურის I ჯგუფი) არ მოუფა თვალში იმ ადამიანებს, მე ხელს ავიღებ ამ ტაბულაზე“. (II წერილი).

ანდა:

„საქმარისი საფუძველი არსებობს, რომ შეპატროს ნამუშევარის უსრულდება“... (იქვე).

ასე თუ ისე ასოების დამზადება ბოლომდის ჩატარებული და უკანასკნელი (წერილი ნუსხა-ხუცური) ალფაბეტის შრიფტი, რომლის ხელნაწერი ნიმუშების კალიგრაფიულ მხარეს კისი კენწლავს ფრაზით: „აი, ბატონო, წვლილი ასოები (თუ კი წვლილობა ამ ასოების არსებაში მოიპოვება) თქვენი შესაბამე ალფაბეტისა“ — მას გაუკეთებია სრულიად უშეცდომოთ.

კისს არა თუ დაუშვადებია ასოების ნიმუშები საბეჭდი შრიფტისათვის, არამედ კიდევაც ჩამოუხსხამს ეს შრიფტი. მთელი ამ ნამუშევარისათვის მას, რა თქმა უნდა, შესაფერისი გასამრჯელო გეჟოფნოდა. მის წერილებში მოიპოვება ზოგიერთი ცნობა ამ გასამრჯელოს შესახებ:

„თქვენგან ამ ასოებისათვის! მე მცირედ გასამრჯელოს გღებულობ“... ამბობს კისი I წერილში.

მეორე წერილის ცნობები უფრო კონკრეტულია:

„მე თქვენ მომცეთ დაელება ორი პირველი ალფაბეტის ჩამოსხმისა, მაგრამ არაფერი გიცნობებიათ (სათანადო) თანხის გადახდის შესახებ“ — ამბობს კისი, რაც მოწმობს, რომ ასოების ჩამოსხმისათვის გასამრჯელოს გადახდის საკითხი ამ დროს არ ყოფილა საგსებით გარკვეული და მოგვარებული. ამავე II წერილში გვითხვლობთ:

„თუ თქვენ მოისურვებდით მიგეღოთ ზომები მესამე ალფაბეტის ასოების ჩამოსახმელათ, მინდა იცოდეთ, რომ ეს ასოები ვერ ჩამოსხმება ნახევარ ტალღურზე ნაკლებ ფასად (რა გინდ რა წონისაც იყოს). მაშ ასე, ორი გირვანქა

<sup>1</sup> აქ იგულისხმება ასოების ნიმუშების დამზადება — „გამოქანდაკება“, კისის ტერმინი რომ ეხმაროთ, და არა ჩამოსხმა.

(შრიფტი) იმპერიულ ტალერად, თუნდაც რომ მოაძინებდეს ასოების ჩამოსხმა...  
34795000

ეს არა სრული ცნობები, რომელიც მოიპოვება კისის წერილებში ქართული სტამბის მოწყობისათვის გაწეული ხარჯის შესახებ, ჩვენთვის მით უფრო ძვირფასია, რომ დღემდის არა გვაქვს არაერთი ამგვარი ცნობა, არა თუ ნაკლებად შესწავლილი არჩილის სტამბისათვის, არამედ ებტანგის მიერ ტფილისში მოწყობილი I სტამბის (1709 წ.) შესახებაც კი.

ამგვარად, როგორც პატივცემული ბიორკოპი ამბობს, ქართული ასოების „ტიპები უკვე 1687 წელს ყოფილა მზათ. მაგრამ გასამრჯელოსთან დაკავშირებული დაბრკოლებების გამო, ვერ მოხერხებულა მათი დაფუძნებლიც გადაგზავნა“.

ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვს პირველი მისვლის დროს არჩილი სამხედრო დახმარებასა და პოლიტიკურ მფარველობას ეძიებდა<sup>1</sup> და რუსეთში სამუდამოდ დასახლება არ უფიქრია. ამ პირველ მისვლაზე მან მოსკოვში მხოლოდ ორი წელი გაატარა (1686—1687) და დიდი კულტურული საქმიანობის გაშლისათვის თან არ ზღებია ადამიანების საკმარისი კადრი. ამიტომ, უნდა ყფიქროთ, რომ XVII ს. აუტუნის 80 წლებში არჩილი ქართულ შრიფტს საქართველოში წამოსაღებათ ამზადებდა და არა მოსკოვში სტამბის მოსაწყობათ.

მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. დამზადებული შრიფტის გამოყენება შეაფერხა გასამრჯელოსთან დაკავშირებულმა დაბრკოლებებმა, შპარენფელდის წასვლამ მოსკოვიდან შვეიციაში (1687 წ.) და საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის ვართულების გამო, არჩილის სასწრაფოდ წამოსვლამ მოსკოვიდან 1688 წ.

## სტოკჰოლმში 1708 წელს დაამუშავილი სასინჯვი შრიფტის და მოსკოვის 1705 წლის დავითნის შრიფტის უკომარტობა.

ბიორკოპისადმი 1935 წლის იანვარში მიწერილ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1705 წლის დავითნის და სტოკჰოლმის 1703 წლის სასინჯვი შრიფტის შედარებამ არ გვიჩვენა მათი იგივეობა. ეს გარემოება უარყოფითად სწყვეტს არჩილის მიერ 1686—1687 წ. წ. დამზადებული შრიფტის დავითნის დაბეჭდვის დროს გამოყენების საკითხს. ხსენებული დავითნი და ბეკდილია სხვა შრიფტით და ამ შრიფტს უდავო უპირატესობა აქვს 1687 წლის ტიპებთან შედარებით — გარკვეულობითა და ასოების მოხაზულობის სრული სისწორით გადმოცემით.

რა იყო მიზეზი, რომ არჩილმა ეს შრიფტი არ გამოიყენა? ჩვენ ვიცით, რომ ხელნაწერი ნიმუშების ნაკლულოვანებათა წყალობით კისის მიერ დამზადებული შრიფტი რამდენიმე შეცდომას შეიცავდა. გარდა ამისა ნუსხა-ხუცურის ზოგიერთი ასოები (ა, ი, ჯ) არ იყო საკმარისად შეაფიოდ ამოტვიფრული.

<sup>1</sup> Б. Б. Бротскс Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями от 1639—1770. СПб. 1861 г. LXX, LXXII.

მიუხედავად ამისა არჩილს დატყვევებულ შვილთან კავშირის დაკვირვება ნაწილობრივ მოუწოდებდა 1685—87 წ. წ. დამზადებული შრიფტის მიღება. ეს გასაგებია — ახალი შრიფტის გაკეთებას წინ არაერთი დაბრკოლება ელოდებოდა, როგორც ახალ ხარჯებთან დაკავშირებით, აგრეთვე იმის გამო, რომ იმ დროს იმ დროს მოსკოვში შრიფტის გაკეთებისათვის ტექნიკური შესაძლებლობა ჯერ კიდევ მეტად მცირე უნდა ყოფილიყო. ამავე დროს უცხოეთში შრიფტის შეკეთა და რქიდან მოსკოვს ჩამოტანა — ომიანობის პირობებში, რომელშიაც მოსკოვის სახელმწიფო იმყოფებოდა, საქმარისად რთულ პრობლემას წარმოადგენდა.

ამიტომ არჩილი შეეცადა 1687 წლის ამსტერდამული შრიფტის ჩამოტანას სტოკჰოლმიდან. მაგრამ, ეტყობა, დიდ იმედებს არ ამყარებდა საქმის ამ გზით წარმატებაზე და მის ერთ დროულად უწარმოებია მიმოწერა ალექსანდრესთან შრიფტის გამოგზავნისათვის, თან მიუღია ზომები სხვა შრიფტის დამზადებისათვისაც. და იმ დროს, როცა ალექსანდრე ტიბების გამოგზავნისათვის სათანადო ნებართვის გამოთხოვით იყო გართული (1703 წლის 29 ოქტომბრიდან ამავე 1703 წლის 8 დეკემბრამდე)<sup>1</sup>, არჩილს შიდა ჰქონია ახალი, პირველზე უკეთესი შრიფტი.

დოც. ალ. ბარამიძემ გადმოგვცა 1703 წლის იელისის 3-ის თარიღით დაწერილი — არჩილის წერილი გოლოვკინისადმი. სადაც არჩილი, სხვათა შორის, იხსენიებს „წიწეთ“ — ცხადია 1686—87 წ. წ. — ჩატარებულ მუშაობას და აღნიშნავს, რომ „ახლა“ საქმე უკეთ არის მოწყობილი და შრიფტიც უკეთესია დამზადებულიო:

„И тогда началось дело, недостатком литер и людей к делу приличных, оставилось. А ныне... литеры нашего диалекта построились изрядно и художники к делу сделываются искусны“<sup>2</sup>.

აქედან ცხადია, რომ 1703 წლის იელისის 3-ს არჩილს ჰქონია დამზადებული უწინდელზე უკეთესი შრიფტი და, რაც მეტად საყურადღებოა, სტამბის ასამუშავებლად „დახელოვნებული“, ოსტატებიც\* („Художники. Искусные“) ჰყოლია.

### ალექსანდრესა და არჩილის ბიოგრაფიისათვის.

ბიოგრაფიის შედგენის სახელმწიფო არქივიდან ამოუკრეფია ახალი, ჩვენთვის მეტად საყურადღებო ცნობები, მის შემდეგ, რაც ჩვენი წერილიდან ალექსანდრეს შევდგენის ტყვეობაში (1700—1710) ყოფნის ფაქტი გაიგო.

ეს ცნობები შესაძლებლობას გვაძლევს შევაესოთ ალექსანდრესა და არჩილის შესახებ არსებული მდიდარი, ბიოგრაფიული მასალები<sup>3</sup>. ახალი ფაქტებით

<sup>1</sup> Б. ბიოგრაფიის წერილი.

<sup>2</sup> Моск. центр. архив феодально-крепостн. эпохи „Грузин. дела“. Картон 27, № 2.

<sup>3</sup> ქართული მხატვარების ამ პირველი კადრის არსებობა მოსკოვში 1705 წ. დავითის დაბეჭდვის დროს სხვა სახეობითაც დასტურდება. ნაგრამ ამაზე სხვა დროს.

<sup>4</sup> არსებულ მრავალ მასალათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია M. Brosset, Notice sur une lettre georgienne du roi Artchil à Charles XII 2 fevrier 1706, et sur les divers séjours du roi Artchil en Russie. არჩილის წერილის ქართული ტექსტით დაბეჭდილი Bulletin de la Classe historique-philol. de l'Académie impériale des sciences de St. Pétersbourg. 1854. ტ. XI: № 11, 12. ამავე წერილის რუსული თარგმანი Уч. Зап. Ак. Н. по I и II отд. т. II, вып. 4, 1854. M. Brosset, Histoire moderne de la Georgie. Addition XI § 2. გვ. 349-353.

Эсадзе, Б. Первый генерал фельдцейхмейстер при Петере В. царевич Александр Арчилович Сиб. 1913 г. და სხვა.

შევავსოთ ალექსანდრესა და არჩილის შესახებ არსებული მდიდარი ბიოგრაფიული მასალები და გადაჭრით შევასწოროთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარიღი: ალექსანდრეს ორჯერ გადაგზავნა სტოკჰოლმიდან შვეციის პროვინციულ ქალაქებში, მისი ტყვე-ბიძან გამომგზავრების დეტალები — შიმშილობა, ქვეითად მოგზაურობა, მისი გარდაცვალების აღგილის ზუსტად აღნიშვნა: პიტვა, ჩრდილოეთ შვედიაში და არა რიგა, როგორც იუწყებიან ვახუშტი<sup>1</sup> და სხვები; არჩილის ურთიერთობა შპარენფელდთან, მეგობრობა გრაფ პიპერთან; უკანასკნელ — პიპერის დანხარებით ალექსანდრეს გადმოსვენება, შვეციიდან მოსკოვს<sup>2</sup> და სხვ. საშუალებას მისცემს არჩილისა და მისი შვილის ბიოგრაფს დააზუსტოს XVII საუკუნე-ქართული კულტურის ამ ორი მოღვაწის<sup>3</sup> ცხოვრების ფაქტები.

## ო. რიკოდი მბსკსმს

არჩილის პოლიგრაფიული მოღვაწეობის შესახებ მოპოვებული ახალი მასალების მნიშვნელობის შეფასების სისრულისათვის საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი: დღემდის ჩვენს მეცნიერებაში მიღებული იყო აზრი, თითქოს არჩილს სტამბის მოწყობის იდეა რუსული ბეჭდვითი საქმის აღორძინების გავლენით ჩასახოდას მოსკოვში შეერთებულ მისციელის (1699) შემდეგ. მეაუარამეტე საუკუნის დასაწყისში:

„Известно, что еще до вахтанговского предприятия дядя его... Арчил переселился в Москву, где стал очевидцем успехов русского книгопечатания...“

... с 1703 года стали печататься в столице газеты и календари... Тут и возникла у... (Арчила) мысль создать и грузинскую печать.“

...идея о грузинском книгопечатании родилась в царе Арчиле при близком его знакомстве с усиленными трудами Головина по развитию печати в России еще (?) с 1703 или в последующих годах“ (Хаханов. Очерки по истории груз. словесн., В. 3 გვ. 366, 367).

პროფ. ი. ხახანაშვილზე დაყარებით ამის, სხვადასხვა ვარიაციით, იმერტება ამ პერიოდის ქართული კულტურის ყოველი მკვლევარი.

<sup>1</sup> ნ. ვახუშტის „ცხოვრება იმერეთისა“, გვ. 225. „ქართ. ც-ბა“ II ზეპნ. გ. მ. სპ 1854

<sup>2</sup> ალექსანდრეს გარდაცვალების, შეეციიდან გადმოსვენების და მოსკოვის დონის მონასტერში დასაღვლებების თარიღები დღემდე ს მტად არეული იყო (ნ. ნ. მც-იძე, დასაბუღებული გამოცემა, გვ. 9, 22, 23, 28 და სხვა). ნაშევილად ალექსანდრეს გადმოსვენების ნებაართვა 1711 წლის დეკემბერში არის გატყვეული, როგორც ბირემობის ცნობითაც დასტურება (ნ. აგრფთვე-მ. Brosset, Histoire modern. ტ. II, 353 გვ. რუსული ტექსტი ტრფბეციკოს, გოლოვინის, მილკოვის ზღლოშწერილი საბუთისა, 1711 წლის დეკემბრის 18 ს დაწერილი — ალექსანდრეს ცხდრის შეეციიდან გატარების ნებაართვისა და კუნთს სამი მღვდელი რუსის სანაცვლოდ რუსეთიდან სამი ტყვე შეეციის დატრუნების ვალდებულების შესახებ), აგრფთვე ესაის სენებელი წიგნის გვ. 27, 33-ზე გამოქვეყნებული ბ-ლკოვის წერილი, დაწერილი სტოკჰოლში, 1712 წლის 2 იანვარს, რაც გვემოტრანელოდ მოწოდის, რომ ალექსანდრეს ცხდარი მოსკოვში 1712 წელზე ადრე ვერ იქნებოდა მისვენებული და მისი დასაღვლებების წელი უნდა იყოს 1712 და არა 1711.

<sup>3</sup> ალექსანდრე არჩილისძე ცნობილია ქართ. ლიტერატურაში, როგორც მთარგმნელი.

მაგრამ, რომ ქართული სტამბის მოწყობის იდეა არ ყოფილა შემთხვევით ჩათესილი და ნაჩქარევად აღორძინებული თესლი, ამას მოწმობს ახლად აღმოჩენილი ცნობები<sup>1</sup>.

არჩილი, როგორც ითქვა, მოსკოვში პირველი ჩასვლისთანავე ე. ი. 1686 წლის დასაწყისში — შესდგომია ქართული სასტამბო შრიფტის გაკეთებისათვის ზრუნევა — სწანს მას „საქართლოდან გაჭყოლია სტამბის მოწყობის აზრი“ და ეს აზრი „მომწიფებულა ქართულ განათლებულ წრეებში მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, იმ სოციალ-პოლიტიკური ძვრების ნიადაგზე, რომელიც დასავლეთ ევროპის საეპრო კავიტალის ექსპანსიამ გამოიწვია ამიერ კავკასიასა, კერძოთ ფეოდალური საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულში და, განსაკუთრებით, მაშინდელი ქართლის სამეფოში“<sup>2</sup> არანაკლებ მნიშვნელოვანია ცნობა მოსკოვში მყოფი არჩილის მიერ ქართული შრიფტის ამსტერდამში შეკვეთის შესახებ.

ამ საქითხისათვის დღემდის ჩვენ გვქონდა მხოლოდ იოანე ბატონიშვილის ყრუ ცნობა, რომლითაც არჩილმა „ბიბლიის დასრულებაში მომყვანმან მოსკოვს, გააკეთებინა სტამბა საფრანგეთშია (იგულისხ. დას. ევროპის ქვეყნები) ქართულად და მოატანინა საფასითა თვისითა“<sup>3</sup>.

ახლა, როცა ჩვენ ვიცით არჩილის მიერ ქართული შრიფტის დამზადებისათვის ჩატარებული მუშაობის მრავალი დეტალი XVII ს. 80 წლებიდან — 1705 წლამდე, იოანე ბატონიშვილის ცნობა არავითარ დაექვებას აღარ იწვევს: დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ არჩილს 1705 წლის დადგინების დაბეჭდვის დროს დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ კულტურულ ცენტრში გაკეთებული და ჩამოსხული შრიფტი გამოუყენებია.

გადაპირილად მიგვაჩნია აგრეთვე ერთი საკითხი, რომლის გამო „თავს იმტვრევენ“ ქართული კულტურის მკვლევარები მცხრამტე საუკუნის 80-იან წლებიდან მოყოლებული.

— რა იყო მიზეზი, რომ ეახტანგმა მოსკოვს არ მიმართა ტფილისში სტამბის მოწყობას რომ შუღვა (1709 წლის წინა პერიოდში)?

ამის მიზეზი, გარდა „მოსკოვის სიმორისა“<sup>4</sup>, იყო მოსკოვის პოლიგრაფიული ტექნიკის ჩამორჩენილობა XVIII საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე. ჩვენს მკვლევარებს ავიწყლებათ, რომ 1700 — 1709 წ. წ. რუსეთი ჯერ კიდევ ე. წ. допетровская Русь იყო. ჩვენი დასკვნის სრულ სამართლიანობას ადასტურებს, სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ თვით პეტრე პირველმა რუსული სამოქალაქო (гражданский) შრიფტის შემოღების დროს ამსტერდამს მიმართა სასტამბო ტიპების ვასაკეთებლად.

<sup>1</sup> აქ უნდა ვიფიქსირებთ მ. ბროსეს დღემდის შეუშინებელი ცნობაც.

<sup>2</sup> „ქართული წიგნის ბეჭდვის განვითარების გზები XVII, XVIII სს.“ ამ სტრიქონებს დამწერის დაუბეჭდავი გამოკლევა, წაკითხულ 1933 წლის საფუძვლზე საქართველოს სახ. მეზღუდვის მეცნიერ თანამშრომელთა სხდომაზე.

<sup>3</sup> იოანე ბატონიშვილის „კალმასობიდან“ — ნ. „მცირე უწყება“.. „ძველი საქართველო“, ტ. I. განვ. III, გვ. 27. თავიიშვილის რედაქტ.

<sup>4</sup> პრთვ. აღ. ცაგარელი. Сведения о памятниках грузинской письменности. Труды V-го археологического Съезда в Тифлисе. Москва. 1887. გვ. 106.

„Петр поручил кому то составить образец гражданской азбуки и отправить его в Амстердам, для вылития там нового шрифта. В 1707 году прибывший из Голландии словолитец Антон Демей привез с собою „ново-изобретенных“ русских литер 3 азбуки с пунсонами, матрицами и формами, да два станка на ходу со всяким управлением“... ვკითხულობთ ბროკ. ეფრ. ლექსიკონში (წიგნი 18, IX გვ. 511), —ყოფ. პეტერბურგშიაც პირველი სტამბის მოსაწყობათ „мастеры иноземцы из Риги и Ревеля были высланы“.

## დამატება.

### ბიოგრაფიის გამოკვლევაში ჩართული ზომიერადი ტექსტის ქართული თარგმანი<sup>1</sup>.

აქ ჩვენ ნაწილობრივ ვაქვეყნებთ ბიოგრაფიის გამოკვლევაში ჩართულ საყურადღებო ტექსტების ქართულ თარგმანს.

შპარვენფელდის ხელით „Bibliothèque orientale“ (Paris, 1697-ს) დამატების სახით ფრანგულად მიწერილი ცნობა არჩილის მოსკოვში ცხოვრების შესახებ.

„ჩემს დროს ბაგრატიონთა გვარეულობა შეფობდა იმერეთში, გურგისტანის ნაწილში<sup>2</sup>. და არჩილ მეფეს, რომელიც გამოძევებული იყო და იღვენებოდა, როგორც ოსმალების, აგრეთვე სპარსელებისაგან, ვიცნობდი მე მოსკოვში. წასვლისას მან მაჩუქა ხალათი. მე კი, სამაგიეროთ, შევუკვეთე მისთვის ქართული სასტამბო შრიფტი ამსტერდამში კისს. ის (არჩილი) შეეცადა აღდგენილიყო თავის სამფლობელოში, მაგრამ ვერ მოუხერხდა. ამის გამო დაბრუნდა მოსკოვს, სადაც ცხოვრობს ამ ეამადაც მეფე პეტრე ალექსის ძის ხელისუფლების ქვეშე. 1700“.

### ნიკოლოზ კისის შესანიშნავი „ასოთმოქანდაკისა და ჩამოსხმელის“ შპაკვენიელისაღმე მიწადილი ორი ლათინური წიგნის ქართული თარგმანი.

#### 1. წიგნი.

„აი კიდევ ნიბუში უმთავრესად სულ უკანასკნელ დროს დამზადებულის ასოების, რათა თქვენ შესძლოთ არა თუ მათი გათვალისწინება, არამედ სიხარულით ქვრეტაც. მე ხომ თავს იმედით ვესათნოები, რომ არ მოიძებნება არავინ, ოდნავ მაინც გაცნობილი სტამბისა და სამისო (სასტამბო) დამწერილობის მდგომარეობას და განვითარებას, ვინც ნახავს ამ ასოებს, როგორც ჩემს ნახელოვანებს, აგრეთვე თქვენის ხელისას (ხელთნაწერისას) (და) არ მოიწონებს ჩემს

<sup>1</sup> ტექსტები თარგმნილია პროფ. გრიგოლ წერეთლის დახმარებით, 1-ფრანგული ვინაიდან, ხოლო მე-2 და მე-3 ლათინურიდან.

<sup>2</sup> ბაგრატიონთა გვირგვინის მხოლოდ იმერეთში ბეფობის ცნობა, რა თქმა უნდა, გაუგებრობის შედეგია. კ. შ.



ნამუშევარს. ამიტომ თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ევროპაში არ მოიძებნება არავინ (დაე, ამ სიტყვებში ნუ იქნება ცალიერი კვებნა!), ვინც პირველი ყინულის მტვრევის დასაწყისშივე შესძლებს ესოდენის ჯეროვანობით და ესოდენი ზედმიწევნით მსგავსებით ასოების გაფორმებას, ამდენად მკონარეთ და დაუდევრათ გაკეთებული ნიმუშის მიხედვით. ამის მიღწევაში არამცირედი სარგებლობა გამოიწვია ჩემმა გაწაფულობამ (გამოცდილებამ) სხვადასხვა ხალხთა დამწერობაში — ლათინურსა, გერმანულ-ებრაულში, რაბინულ ებრაულ-გერმანულში, ბერძნულში, სირიულში, სამარიტულ-კობტურში ანუ ეგვიპტურში და, განსაკუთრებით, სომხურში.

ისეთი კაციც კი მოიძებნა, რომელიც პირობით შემეკრა ჩინური ასოების დამზადებისათვის, რომელიც, როგორც თქვენი (ასოები), ჯერ არაოდეს არ ყოფილა ამოტვიფრული ბექდვის საშუალებით<sup>1</sup>. ჩემი სახლგანთქმულობა სწორედ იმანი მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ენებისა და ხალხებისათვის სარგებლობა მომაქვს ამგვარი სამსახურით. ეს (ე. ი. სასტამბო მუშაობა) ხომ განვითარებულ აღამიანთა შორის არ ითვლება მდამალ სამსახურად, არამედ შერაცხულია საგანგებო ხელოვნებად სხვა ხელოვნობათა შორის და ამასთანავე იმ ზომამდის, რომ მაგისტრმა, რომელმაც აქ [ე. ი. ამსტერდამში] სომხებისათვის ასოები დაამზადა, თუმცა ის პირველი არ იყო [მათ დამამზადებელთა შორის], მაგრამ პირველი იყო, როგორც საუკეთესოების დამამზადებელი, — მოითხოვა და მიიღო სომხებისგან, ვითარცა მეორე ევანდრმა, ის პატრივი, რომ მისი [ჩამოსხმული] ასოებით ნაბეჭდ წიგნებში მის სახსოვრად ამოტვიფრული იყო მისი სახელი.

ახლა (გადავდივარ) იმაზე, რასაც მინდა მივაპყრა თქვენი ყურადღება.

1 სტრიქონები თქვენს ხელნაწერებში უფართოესია, ე. ი. უფრო დიდი მანძილით არიან დაშორებული ერთი მეორეს, ვიდრე ჩემს ნიმუშში. თუ ინებებთ, ეს ასოებიც შეიძლება ისე ჩამოისხას, რომ იმავე მანძილით იქნეს [ე. ი. ისეთით როგორც ხელნაწერშია] დაშორებული.

2 თუ თქვენ განზრახვა გაქვთ ბექდოთ წმ. მამათა ანუ სხვა ამგვარივე ხასიათის უფრო დიდი ზომის წიგნები, მაშინ სათუთაა, რომ შესძლოთ ამ ასოებით დაკმაყოფილება. ისინი ხომ მეტად დიდებია მსგავსი მიზნისათვის, ვინაიდან ზემოთ დასმული შემოკლების ნიშნების [ქარაგმების] გამო სტრიქონები მეტად ველარ დაშქიდროვდება [ე. ი. ერთმანეთთან უფრო ახლოს ვერ მიიწევს]. შეიძლება გირჩიოთ რომ იზრუნოთ უფრო მომცრო ასოების დასამზადებლად, იმისთვის რომ წიგნები შემოკლების გზით სათანადო პროპორციის საზღვრებში შემოიქალტონ, და აგრეთვე იმისათვის, რომ საპირობების დროს ხელთ გქონდეთ ასოები notae marginales-სათვის [არშიებზე შენიშვნებისათვის], სათაურებისა და სხვა საპირობებისათვის. სომხებმაც იზრუნეს აგრეთვე რამდენიმე ზომის, ე. ი. წვრილის, ცოტა მოდიდოს და ცოტა კიდევ უფრო დიდი — ასოების დამზადებისათვის.

<sup>1</sup> შესანიშნავ ასომთქმანდაც, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა ცნობა ქართული მხედრული შრიფტის 1629 წ. დამზადების შესახებ რომში. ყოველ შემთხვევაში ასომთავრულისა და ნუსხა ზეფური სასტამბო შრიფტის დამზადება მართლაც ახალი საქმე იყო, ქ. შ.

3. ეს ჩემი ნიბუშები — დაბეჭდილია მხოლოდ კვამლით [ქვარტლით?] [და] არა მელნით, მიუხედავად ამისა ასოების ტანი საკმარისად ცხადია და, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება შემჩნეულ იქნეს განსხვავება იმათში [იმ ასოთა შორის], რომლებიც ერთმანეთის მსგავსი არიან.

4. თქვენგან ამ ასოებისათვის მე მცირე გასამრჯელოს ვღებულობ, იმ დროს, როცა ჩემზე ადრე ორჯერ მეტი აიღო სომხურისათვის მაგისტრმა. მაგრამ შემდეგში მე კიდევ უფრო ნაკლები გასამრჯელოთი ვიმუშავებ, თუ შენ იზრუნებ ჩემ მიერ ამავე ასოების სხვა ახალ აღფაბეტთა დამზადებისათვის. როცა პირველ ყინულს ჩავამტვრევ, მეც ხომ გამზიადვილდება მუშაობა მეორე და შესაძენ, გზის და თქვენთვისაც შევძლებ უფრო ზუსტი და უზადო ასოების გაკეთებას. ყოველს საქმეში ხომ პრაქტიკას მივყავართ სრულყოფისაკენ და პირველ ცდას, რა გინდ საქმეც იყოს, ძალაუნებურად რაღაც უსრულობის ელფერი აძევს.

5. ვთხოვთ კიდევ, დააჩქაროთ იმის პასუხი, რასაც წინეთ მეკითხებოდით. ვინაიდან მე უგულოთ ვიწყებ დანარჩენ ორ აღფაბეტს იმ შიშით, რომ ვაი თუ რამე სახით თქვენი სურვილების საწინააღმდეგო გზას დავადგე. ეს აღფაბეტი კი, ღვთის შეწევნით, უზადო და დასრულებული იქნება.

მშვიდობით.

თქვენი სამსახურისათვის [გამზადებული]

ნიკოლოზ კის [ი] ასოთმოკანდაკე და ჩამომსხმელი.

ამსტერდამი, 12 ნოემბერი.  
1686 წ.

## II. წ ა რ ი ლ ი

[ვუსურებთ] ჯანმრთელობას და ყოველივე წარმატებას კეთილშობილ ბატონს. აი ბატონო, წვლილი (თუ კი წვლილობა ამ ასოების არსებაში მოიპოვება) ასოები თქვენი შესაძენ აღფაბეტისა, რომლებიც [ასოები] მე დავიყვანე ისეთ სიწვლილემდის, რომ იმათ შენარჩუნებული აქვთ მაინც რაღაც სიმსხო, განსაზღვრულ ზანებშიაც კი, რათა მათში სჩანდეს კვალი ხელოვნების დამმოდღერე ბელთა. თუ ერთი ასო მეორეზე უმსხოსათ მოჩანს, ეს იმიტომ, რომ იგი უფრო მაგრად ამოტვიფრებულია. გრძელი ასოების პროპორცია არ შეიძლება სხვანაირი იყოს, ვინაიდან ასოები რომ უგრძესი ყოფილიყო, ზედა და ქვედა ასოები ერთმანეთს დაუშლიდნენ. ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საქმე ასოების მოყვანილობას შეეხება, აქ არც ერთი არ არის ისეთი, თქვენი ერთისა, ან მეორე ეგზემპლარის ამა თუ იმ ასოს რომ არ შეესატყვისებოდეს. ამიტომ, თუ ეს ასოებიც არ მოვლა თვალში იმ ადამიანებს, მეხელს ავიღებ ამ ტაბულაზე, რომელიც იმათ-

განი, რომ მოსულიყო აქ, თავიდან აცილებული იქნებოდა ის სიძნელები და უხერხულობა, რომელიც ხელს უშლიან ჩვენს შეთანხმებას. არ ეგებოდა მათგან ასეთი [სერიოზული] საქმის ბავშვურ გასართობად ჩათვლა: სიმხეთიდან აქ თვით ეპისკოპოსი, დიდად სახელოვანი კაცი, მოვიდა ასეთივე საქმისათვის თვალყურსადევნებლად. იშვიათ ფრინველად ჩათვლება ამ ქვეყნად ასოთმოქანდაკე, რომელიც ისეთ უზადობამდის მისულიყოს ამ ხელოვნებაში, რომ ჩამოესხას საუკეთესო, თუნდაც უბრალო ლათინური ასოები, რომელნიც ესოდენ ჩვეულებრივი არიან და რომელშიაც ის [ასოთჩამომსხმელი] თავიდანვე ნაეარჯიშევიდა. როგორღა ვიმსჯელოთ უცხოურ ასოებზე, რომელთა ნაბეჭდი ეგზემპლარის მიღებაც არ შეიძლება, არამედ (მოგვეტოვება) მხოლოდ ხელით ნაწერი. ისიც ერთმანეთის შორი-შორი, რამდენადაც საქმე შეეხება პროპორციას, ან ასოების მოყვანილობას [ან ცალკეულ ნაწილებს]? და, ვინაიდან ხელნაწერი ასოები, ზოგიერთი ცვლილების შეტანის გარეშე, ვერ დაიყვანება იმ მდგომარეობამდის და პროპორციამდის, რომ მბეჭდელს ემსახუროს, რანაირად უნდა მივიღოთ შესაძლებლობა მართლად მსჯელობისა და ამ საქმეში ყველაფრის ჯეროვანად მოწესრიგებისა ან მე, ან ვინმე სხვამ, რაც უნდა მოსაზრებელი იყოს იგი, თუ ჩვენ ვერ ვიცნობთ ასოების ბუნებას და [არ ვიცით] ესა თუ ის გვევლინება ასოს შემთხვევით [ცვალებად] ანუ არსებით ნაწილად? ეს ყოველივე უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანებმა და გვაპატიონ თუ იმ საქმეში, რომელსაც ისინი შორეული ინფორმაციის გზით ხელმძღვანელობენ, რაიმე გამოვიდეს ისე, რომ მათ სდომოდათ უკეთ გამოსულიყო. ამასთანავე იმათ იციან, რომ ეს პირველ ცდას წარმოადგენს ამგვარ საქმეში და რომ ამ მიზეზის გამო საქმარისი საფუძველი არსებობს, რომ მეპატიოს ნამუშევარის უსრულობა.

მე მინდა კიდევ შემდეგი ვთქვა მეორე ალფაბეტის ასოებზე, რომლის სინჯიც, დაზვანე დაბეჭდილი, თქვენი მონდობილობის თანახმად, როგორც ტექსტის შესადგენად, აგრეთვე მთელი ალფაბეტის ასოების წესრიგის [თანამდევრობის მიხედვით] გამოსამქლავნებლად, გასულ კვირაში გამოვიგზავნეთ. იქ ასოხანის 12 კულების სხვაგვარად მოლუნვა მე ჯეროვანად ვერ შევქელი.

თქვენ მე მომეკით დავალება ორი პირველი ალფაბეტის ჩამოსხმისა, მაგრამ არაფერი ვიცნობებოთ [სათანადო] თანხის გადახდის საშუალების შესახებ. თუ ანგარიში სწორია (რის პრეტენზიასაც აცხადებს ვაჭარი, რომელთანაც მე საქმე მაქვს), რილასთვის კიანურდება საქმე? თუ საქმე გაგრძელდება და თქვენ მოისურვებდით მიველოთ ზომები მესამე ალფაბეტის ასოების ჩამოსახმელებად [ამ შემთხვევაში], მინდა იცოდეთ, რომ ეს ასოები ალბათ ვერ ჩამოსახმეება ნახევარ ტალერზე ნაკლებ ფასად (რა წონისაც უნდა იყოს). მაშ ასე, ორი გირვანქა—იმპერიულ ტალერად, თუნდაც რომ მოიძნელებდეს ასოების ჩამოსხმა

მათი სიწველილის გამო და [მოიძინებდეს მათი] დაკავშირება (ისინი ხომ რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა უდგებოდნენ ერთმანეთს) იმათი კიდურების თავისებურობის, უკეთ რომ ვთქვა, მანჭულობის ანუ განშტოებულობის გამო.

მაინც კი ამ აღფაბეტში [ე. ი. შესამეში], რომლის ნახევარზე ცოტა მეტი მზად არის, წინ აღარ წავად მანამ, სანამ არ მივიღებ თქვენს აზრს წარმოდგენილი სინჯის შესახებ. მე გავაკეთე და აქვე (ე. ი. გავზავნილ სინჯში) წარმოგიდგინთ უპირატესად იმ ასოებს, რომლებიც ცოტად თუ ბევრად გვანან ერთმანეთს, რომ თქვენ შესძლოთ გაარჩიოთ და გაარკვიოთ მათში, როგორც მსგავსება, აგრეთვე განსხვავებაც. დანარჩენზე სხვა დროს.

მშვიდობით კეთილშობილო ბატონო, და მაპატიე თავისუფლება [ჩემი წერილის].

მსახური თქვენი უცუღშობილესი ნიკოლოზ კის[ი].  
ასოთ-მოქანდაკე და ჩამომსხმელი.

ამსტერდამი.  
17 იანვარი 1687.

## იმერეთის სტამბების ისტორიისათვის

(1800—1803).

ქართული ნაბეჭდი წიგნი იყო პირველი ნაღმი, რომელმაც ააფეთქა ფეოდალური შეზღუდულობა და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა საქართველოს კულტურულ გაერთიანებას მეთვრამეტე საუკუნეში.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო: წიგნის გამოსვლა სახელოსნოს ფარგლებიდან და წიგნის წარმოების მექანიზაცია ყველგან იწვევდა გონებრივი მოძრაობის საოცარ გაცხოველებას, ყველგან ითრევდა ამ მოძრაობაში ფართო მასებს. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა სიტყვა, ასე ვთქვათ — იდეოლოგიური მხარე წიგნისა, — ჯერ კიდევ ძველი იყო, და ქრისტიანულ-ეკლესიურ ხასიათს ატარებდა.

სრულიად ვასაგებია, რომ პირველი ქართული სტამბა ეკონომიურად დაწინაურებული ქართლის სამეფოს ცენტრში — ტფილისში მოეწყო (1709 წ.) და ქართლის ხელისუფალთა ხელში პოლიტიკური გაერთიანებისა და ფეოდალური ეკლესიის დამორჩილებისათვის ბრძოლის ძლიერ იარაღად გადაიქცა<sup>1)</sup>.

ტფილისის ძველი სტამბებიდან გამოსული წიგნები თანაბარი სიუხვით აღმოჩნდა შემონახული, როგორც აღმოსავლეთის, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხეში. კერძოთ იმერეთ-გურია-სამეგრელოს მონასტრებიდან და ძველი ოჯახების სკივრებიდან ჩვენი წიგნთსაცავების რარიტეტებს არაერთი უნიკალური ნაბეჭდი გამოცემა შემატებია. სხვათა შორის ვახტანგის სტამბის მხედრული შრიფტით ნაბეჭდი ეამნის (1722 წ.) ერთადერთი ცალი და ირაკლის სტამბის ხუცური ლოცვანის (1749 წ.) ნაშთი — ჭუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის წიგნთსაცავში დაცული.

ტფილისის სტამბის წიგნის ასეთი ფართო გავრცელებულობა, იმერეთში სასტამბო საქმის განვითარების დაგვიანების ერთერთ მიზეზად უნდა ჩავთვალოთ:

<sup>1)</sup> საყურადღებოა, რომ ქართველი სამღვდელთების კლერიკალურ-რეაქციონერმა ნაწილმა სწორედ ამგვარად შეაფასა სტამბის მნიშვნელობა. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ რეაქციონერი სამღვდელთა ქართლში შეეცადა ზელი შეეშალა სტამბის საქმის განვითარებისათვის. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ისტორიის ეს საყურადღებო ფაქტი სპეციალურ გამოკვლევას მოითხოვს.

ენიდან მთელი XVIII ს. მანძილზე იმერეთის მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებდა ტფილისის სტამბის წიგნი.

მაგრამ სასტამბო საქმის დაგვიანებით განვითარება დასავლეთ საქართველოში უმთავრესად ამ კუთხის კულტურულ-ეკონომიური ჩამორჩენილობის შედეგი იყო.

და თუ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე სასიკვდილოდ განწირული იმერეთის სამეფო საკუთარი სტამბის მოწყობის გზას დაადგა, ამისი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ტფილისის სტამბის განადგურებაში (1795 წ.) უნდა ვეძიოთ. მართალია, აღ-მამამღ-ხანის შემოსევის შემდეგ ტფილისის სტამბამ ერთხელ კიდევ შესძლო ფეხზე წამოდგომა და ორიოდე წიგნის გამოცემა მოახერხა (დავით ბატონიშვილის ნაბრძოლი და დაუჯდომელი — 1800 წ.). მაგრამ ეს მომავლადის უკანასკნელი გამბრძოლება იყო.

ნამდვილად 1795 წელს განადგურებულ ქართულ სასტამბო საქმეს ტფილისში მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ შეექმნა ნიადაგი ხელახალი აღორძინებისათვის, სრულიად ახალსა და განსხვავებულ პირობებში.

იმერეთის სტამბის წარმოშობა უკავშირდება აგრეთვე იმ პოლიტიკურ პოზიციას, რომელიც დაიჭირა „ოსმალეთის გავლენის სფეროში“ მყოფმა იმერეთის ხელისუფლებამ თვითმპყრობლური რუსეთის ექსპანსიის მიმართ.

იმერეთის ძველ სტამბებს მოკლე ისტორია აქვს. უმნიშვნელოა აგრეთვე ამ სტამბებიდან გამოსული წიგნების რიცხვი (სულ 10 სახელწოდება). მაგრამ თვით ფაქტი იმერეთში (1800—1817 წ. წ.) სტამბების არსებობისა უდიდეს კულტურულ-ისტორიულსა და ეკონომიურ ინტერესს წარმოადგენს.

როდის დაარსდა იმერეთის სტამბა?

ეს საკითხი დღემდის არ ყოფილა ჯეროვანად გაშუქებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. უკანასკნელ წლებში გამოსული გამოკვლევები ქუთაისის სტამბის ისტორიას 1803 წელს დაბეჭდილი სახარებებით იწყებენ<sup>1</sup>.

არ შეუწერდებით აქ ზ. ჭიჭინაძისა და პროფ. ალ. ხახანაშვილის დაუსაბუთებელ რწმუნებაზე, თითქოს ქუთაისში სტამბა მეთვრამეტე საუკუნის II ნახევარში მოწყობილიყოს<sup>2</sup>, ვიტყვი თ მხოლოდ, რომ პროფ. ა. ცაგარელი თავის „Свед. о памятн. груз. письменности“ (Вып. 1 СПб. 1886 წ. გვ. 96) ყრუთ იხსენიებს ქუთაისის სტამბის არსებობას 1800—1810 წ. წ.: „книг. напечатанных в Кутаисской царской типографии 1800—1810 г. г. к. и ныне мало“.

მაგრამ მისი ნაშრომის სამ წიგნში არ არის აღწერილი და მოხსენებული ქუთაისის სტამბის 1803 წელზე ადრე დაბეჭდილი არც ერთი გამოცემა.

1932 წლის გაზაფხულზე საქართველოს მუზეუმის დირექციის დავალებით ჩვენ მიერ ჩატარებულ მუშაობის დროს, ყოფილი საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმის ბიბლიოთეკის წიგნების კოლექციაში აღმოჩნდა ქუთაისის 1800 წელს

<sup>1</sup> იბ. დ. კარიკაშვილი — ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია (ტფ.) 1829 წ. გვ. 106.

<sup>2</sup> გუგუშვილი — ქართული წიგნი (1629—1929) ტფ. 1929 წ. გვ. 93, 94.

ჭრ. რაჭველიშვილი — ქართული სტამბის წიგნი (ტფ.) 1934 წ. გვ. 38.

<sup>3</sup> ზ. ჭიჭინაძე — ქართული სტამბები 1627—1916 გ. 103.

А. Хаханов — Очерки по истории груз. словестности в. 3 გვ. 368.

დაბეჭდილი „წიგნი ფსალმუნთა“, რის წყალობითაც მოეფინა შუქი ქუთაისის პირველი სტამბის მოწყობის საქმეს.

ფსალმუნის ამ ცალის პირველ დაზიანებულ გვერდზე, რომელიც ყდაზე იყო მიწებებული, კარგად არის შენახული წარწერა და თარიღი, მაგრამ წიგნს შიგადაშიგ აკლია ფურცლები და ბოლო (411, 412) გვერდები.

ამავე 1932 წლის ნოემბერში, ქუთაისის მუზეუმის ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს, ჩვენ შეგვხდა 1800 წლის ქუთაისის დავითნის უფრო სრული ცალი.

ამ წიგნის დაზიანებული ფურცლები ამკინძავს გაუმთელებია. შავი, ნატიფი ყდა კარგად არის შენახული. გარედან წიგნს უხის № 147, შივნით—№ 37, აკლია გვ. ა-ვ [1—4] ანუსაჟლია ხუცური ასოებით უიბ [412] გვ.

თავფურცელზე გვითხულობთ:

„სადიდებლად წმიდისა თანაარსისა და განუყოფელისა ცხოველყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, დროსა ყოვლად უბრწყინუალესისა, უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა სოლომონ მეორისა, მეფისა ყოვლისა საიერეთოჲსასა და კეთილმორწმუნისა დედოფალთ-დედოფლისა მარიამ დადიანის ასულისასა, კურთხევითა ყოვლად სამღვდელთა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთათა, დაიბეჭდა ღვთივ სულიერი წიგნი ესე ფსალმუნთა მეფისა წინასწარმეტყველისა დავითისა სამეფოსა ქალაქსა ქუთათისს, პალატსა სამეფოსა, წელსა დასაბამითგან სოფლისა ხტ [6300] ქრისტეს აქეთ ჩყ [1800], თვესა ნოემბერსა, რიცხვსა აი [10].“

დავითნის ტექსტის ბოლოში 411—412 გვერდზე მოთავსებულია მეტად საყურადღებო ცნობები ქუთაისის პირველი მესტამბისა და სტამბის მოწყობის შესახებ:

„აღესრულა. დიდება ღმერთსა. თუესა აპრილსა კე [25], ქრისტეს აქეთ ჩყა [1801].“

შემდეგ გვერდზე:

„ზედამხედველობითა ქილიუთართ უხუცის როსტომ ნიჲარაძისათა“.

„ორამატეიისა კანონსა ზედა შესწორებულ იქმნა ტფილისის დაბეჭდილს დავითნზედ. როგორც ის იყო, ისე გავმართეთ.“

„სტამბისა ამის ნაკლების შემასრულებელი დათიკა მესხი“.

„მუშაკთა სამღთოსა ამის წერილისათა არა მცირედი შრომა გვიხილავს, ვინაიღგან გამოუცდელნი ვიყავით და მერეთ ზამთარი და ყინული იყო ბეჭდვაშია და რომელიც ნაკლულევანება იხილოთ, ნუ გვწყვეთ ამის მიზეზისათვის, ლოცვა ყავთ ჩვენთვის, რათა ყოვლად უმჯობესსა ღირს გვეყოს უ[ფალმა]ნ მაღლითა თქვენითა“.

სულ უკანასკნელ ფურცელზე მოთხრობილია სტამბის მოწყობის ამბავი:

„მებრძანა მათის უმაღლესობის ქრისტეს მოყუარის ჩვენის კემწიფის მეორის მეფის არჩილის ძის სოლომონისაგან მე, მისსა მონასა პაიქაძე გიორგი მესტამ-

<sup>1</sup> ხუნებული ფსალმუნის თარიღი — ქრისტეს აქეთ ჩყ (1800) მოძებნა და ამოკითხა ქეთ. ლომთათიძემ.

<sup>2</sup> ტექსტში „ყინელი“.

ბეს გულსმოდგინედ სურვილით საღმრთო ნიჭისა ამის უფროსა მარგარიტისა სტამბის გამართვა და გაკეთება, და მე მორჩილ ვიქმენ, ვითა საღმრთოსა კეთილ საქმიერებისა და წარვედ რუსეთად მოსკოვს, და რომელიც სახმარის სტამბას ესაჭიროებოდა, ყოველიც (სოულად და უნაკლულად მოვიტანე საფასითა მისის უმაღლესობისათა და გავაკეთე ქუთაისი!), ვითა ჯერ იყო, რომელიც არაოდეს ყოფილიყო იმერეთში და პირველად დავებეჭდე სულთა განმანათლებელი წიგნი ესე ფსალმუნი მეფისა დავითისი, რომელიც სტამბასა და ბეჭედსა ამას შინა მრავალსა ნაკლულ(ე)ვანებასა და აღმოაჩინეს, მაგრამ მიზეზებიცა მქონდა. პირველი ესე რომ ზამთარი და ყინული იყო, და იმ ეამად დაბეჭედვა და მუშავება არ იქმნებოდა, მაგრამ რადგან, [მართ]ის მოყურათა იმერთა ერთა ხილვა მსურდათ სტამბისა, ამათმა სიყურათუმა აღარ დამაყენა. მეორედ — ვინც მუშაკნი მყვანდნენ, ყოველნივე გამოუცდელნი იყვნენ, და მესამედ — ესე, როგორც სხუას ქვეყნებში სხვადასხვა ოსტატნი იმყოფებიან, მე თანაშემწენი არავინ მყვანდა და ამ მიზეზებისათვის გვედრები ყოველთა მომიტეთთ ამისი ნაკლულევანება და ლოცვა ჰყოთ, რათა შემდგომად სტამბისა ამის ნაკლულევანებისა, აღსრულვებასა ღირს მყოს უფალმა [ნ] მაღლითა თქუნითა“.

გიორგი პაიჭაძის ეს საყურადღებო „უწყება“ თვალწინ გვიშლის ქუთაისის პირველი სტამბის მოწყობის მთელ სურათს:

ირაკვია, რომ სოლომონ II-ს ბრძანებით და მისგანვე ხარჯის ვალებით მესტამზე გიორგი პაიჭაძე გამგზავრებულა მოსკოვს და „სრულად და უნაკლულად“ მოუტანია იქიდან. რომელიც სახმარის სტამბას ესაჭიროებოდა“ და მოუწყვია პირველი სტამბა ქუთაისში „რომელიც არაოდეს ყოფილიყო იმერეთ ში““.

ამ პირველი სტამბის პირველი წიგნი ყოფილა ხსენებული ფსალმუნი, რომლის ბეჭედვა დაწყებულა 1800 წ. ნოემბრის 10 დამთავრებულა 1801 წლ. აპრილის 25-ს:

„პირველად დავებეჭდე სულთა განმანათლებელი წიგნი ესე ფსალმუნი მეფისა დავითისი“, ამბობს პაიჭაძე.

„უწყებაშივე“ აღნიშნულია ქუთაისის ამ პირველი სტამბის წიგნის ნაკლულევანებანი, რომელიც „ზამთრისა და ყინულის“ გარდა, გამოწვეული ყოფილა ახლად გამართული საბეჭდავის მოუწყობლობით და განსაკუთრებით მცოდნე და გამოცდილი მუშაკების უყოლობით:

„ვინც მუშაკნი მყვანდნენ ყოველნივე გამოუცდელნი იყვნენო“ — ჩივის — „უწყების“ ავტორი, — რომელსაც კარგად ესმის, რომ წესიერად მოწყობილ სტამბას ოსტატების მთელი შტატი უნდა ჰყავდეს.

„როგორც სხუას ქვეყნებში სხვადასხვა ოსტატნი იმყოფებიან, მე თანაშემწენი არავინ მყვანდაო“.

მართლაც, 1800—1801 წლის ფსალმუნის დაბეჭდვა თითქმის მთლად პაიჭაძის საქმე უნდა იყოს. სტამბის მუშაკად აქ კიდევ ორი კაცი იხსენიება: ზე-

\*) სოლომონ II-საგან გიორგი პაიჭაძის მოსკოვს გაგზავნისათვის იხ. აგრეთვე Пурпеладзе. Груз. дворян. грамоты, Т. 1881 г. გვ. 56—57 1800 წ.



დამხედველი—ქილიფთართ—უხუცესი როსტომ ნიჟარაძე და „სტამბისა ამისა ნაკლების შემსრულებელი დათიკა მესხი“.

ამ პირთაგან პირველი—ქილიფთართ—უხუცესი\*) როსტომ ნიჟარაძე—სხვა წყაროებითაც არის ცნობილი. მას იხსენიებს, სხვათა შორის, იპერატორი ალექსანდრე I-ლის ელჩი იმერეთში სოკოლოვი. სოკოლოვის ცნობით როსტომ ნიჟარაძე ემსახურებოდა სოლომონ მეფეს დარბაზობის დროს, როგორც მერიქი ფე. იგივე ქილიფთართ—უხუცესი ნიჟარაძე გაგზავნილი იყო სოლომონის მიერ დადიანთან საზავო მოლაპარაკებისათვის.\*\*)

როსტომ ნიჟარაძე სრულიად შემთხვევითი პირი უნდა იყოს ქუთაისის I სტამბის მოწყობის საქმეში და მისი როლი ჩვეულებრივი მწეობისა და სტამბის მუშაკთა საქმიანობის მეთვალყურეობის ფარგლებს ალბათ არ სცილდებოდა\*\*\*).

რაც შეეხება დათიკა მესხს, რომელიც „სტამბისა ამის ნაკლების შემსრულებელი“ ყოფილა—ის ცოტად თუ ბევრად გაცნობილი უნდა ყოფილიყო სასტამბო ტექნიკას, ვინაიდან ე. კარიჭაშვილის განმარტებით „სტამბის ნაკლების შემსრულებელი... არის წვრილი რემონტის გამკეთებელი (ეს თანამდებობა მუდამ მესტამბეს აქვს ნაკისრები).\*\*\*\*)

1800—1801 წლის ფსალმუნში მოხსენებულ სტამბის სამ მუშაკთაგან ეს იყო პირი—როსტომ ნიჟარაძე და დათიკა მესხი—ერთხელაც აღარ იხსენებიან იმდროინდელ გამოცემებში ამათი სახელი შერჩა მხოლოდ ქუთაისის სტამბის ახლად აღმოჩენილ პირველ ნაბეჭდ წიგნს.

რაც შეეხება გიორგი პაიჭაძეს, რომელიც სოლომონ მეორის შემდეგ პირველ პირად ჩანს ქუთაისის სტამბის მოწყობის საქმეში, მისი აზრები უფრო რთული და ძნელად გასარკვევია. ჩვენ დავინახეთ, რომ იმას ქუთაისის სტამბისათვის გაუწევია დაახლოებით ისეთივე სამსახური, როგორიც მიხაილ სტეფანეს ვილმა უნგროვლახელმა გასწია ვახტანგის სტამბისათვის: გიორგი პაიჭაძე წასულასოლომონის დეალებით მოსკოვს; ამავე სოლომონის ხარჯით ჩამოუტანია იქიდან სტამბის სრული მოწყობილობა, გაუმართავს სტამბა ქუთაისში და საკმარისად მძიმე პირობებში დაუბეჭდავს ცნობილი „წიგნი ფსალმუნთა“. ამ წიგნის ბოლო გვერდზე აღბეჭდილია მისი ღვაწლი, როგორც სტამბის მომწყობისა და თითქმის ერთადერთი დახელოვნებული ოსტატისა. (იხ. ზემოთ).

აი, ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანის სახელი, ქუთაისის სტამბის მეორე წიგნში—1803 წელს დაბეჭდილ სახარებაში,—სტამბის ახალ მუშაკთა რიგში უკანასკნელად იხსენიება:

\*) ქილიფთართ—უხუცესი—მეფის კარის სამხედლო თანამდებობა იყო.

იხ. „დასატრლამალი“. ტფ. 1886 წ. გვ. 186 და ჩუბინაშვილის ლექსიკონი ს. პ. ბ. 1887 წ. გვ. 1339. ქილიფთართ—მწე სასმელთა, ლენინთა, პირის მელენი....

\*\*\*) Соколов „Историческое изображение Имеретии...“ М. 1874. გვ. 40, 41.

\*\*\*\*) დ. კარიჭაშვილის მოხსენებული წიგნი გვ. 98, ტრამინი ხედავს ხედავს დეველის განმარტება.

\*\*\*\*\*) იქვე.

„დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამის სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაძის გიორგისათა“.—ვეკითხულობთ აქ (სახარება... ქუთაისი. 1803).

გარდა ამისა, ირკვევა, რომ 1803 წლის სახარება გამოსულა ორივე ვარიანტის სახით. ეს ვარიანტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მხოლოდ უკანასკნელ გვერდის ერთი ლექსით: ვარიანტი პირველი—სტამბის მუშაკთა შორის იხსენიებს „დაზგის მმართველს და სტამბისა ამის სახმართა ზედა გამრჯელს“ გიორგი პაიჭაძეს, ხოლო ვარიანტი მეორე ამავე წლის სწორედ ასეთივე გამოცემა, ბოლოშია ცი აღარ იხსენიებს გიორგი პაიჭაძეს. ამ ვარიანტიდან გიორგი პაიჭაძის სახელი მთლად ამოვადებულია, ხოლო „დაზგის მმართველად“ იხსენიება ზაქარია არქიმანდრიტი.

ცხადია, რომ 1803 წლის სახარების ბეჭედივს პროცესში სტამბის მუშაკთა შორის რაღაც კონფლიქტი მომხდარა და დამთავრებულა გიორგი პაიჭაძის სრული დამარცხებით და იქნებ გაძევებითაც.

რა ხასიათის უნდა ყოფილიყო ეს კონფლიქტი?

ამის ნაწილობრივ გარკვევას გვიაღვილებს საქართველოს მეზეუმის ხელნაწერების განყოფილების ერთი საბუთი<sup>\*)</sup>. იგი ხელმოწერილია არქიმანდრიტი ზაქარიას მიერ და წარმოადგენს „ამხანაგობის წიგნს“, დაწერილს 1803 წ. მარტის 3. ზაქარია არქიმანდრიტი პარობით ეკერის გიორგი პაიჭაძეს, რომ მასთან ერთად იმუშავენ სოლომონ II-ს სტამბაში, რომ ეს ორი ამხანაგი—პაიჭაძე და ზაქარია არქიმანდრიტი—თანაბრად გასწევენ სასტამბო ხარჯსაც, ხოლო წმინდა შემოსავლის ნახევარს ისინი მისცემენ „ბატონს“—ანუ სოლომონ მეფეს, რომლის ხარჯითაც მოწყობილია სტამბა, ხოლო მეორე ნახევარს თვითონ გაინაწილებენ. სტამბის მესამე მუშაკს კი, რომელიც ამ საბუთში გვარის დაუსახელებლად „რომანოზად“ იხსენიება, ორთავემ ჯამაგირი უნდა მისცეს „და სიყვარულით შეიტკბონ“.

საბუთში გათვალისწინებულია ხსენებული რომანოზისაგან ამხანაგობის წიგნით შეკრულთა მიმართ მტრული დამოკიდებულების გამომჟღავნების შესაძლებლობაც, მისი მხრით—„ამხანაგებისადმი“ „წინააღმდეგობა და ორგულობა“. საბუთის ძალით ამ შემთხვევაში ზაქარია არქიმანდრიტმა, „მის ძმობასა და სიყვარულზე ხელი უნდა აილოს“ და გიორგი პაიჭაძის „ძმობა, ამხანაგობა და სიყვარული უმეტესად შეიტკბოს და შეითვისოს“...

საბუთი დაწერილია 1803 წლის მარტის 3-ს<sup>\*\*)</sup>, ხოლო, ამავე 1803 წლის სახარების უკანასკნელ (56) გვერდზე ჩვენ ვხედავთ სტამბის მუშაკთა ჩვეულებრივი მოხსენიების შემდეგს ორს ვარიანტს:

<sup>\*)</sup> ეს საბუთი გადმოცემა დოკუმენტმა ნ. ბერძენიშვილმა.

<sup>\*\*)</sup> ეს საყურადღებო საბუთი „სასტამბო წარმოების“ ნიადაგზე აღმოკენებულ წიგნად ჩაინტერესო სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის სურათს გვიხატავს. მაგრამ ამაზე სხვა დროს.



## I ვარიანტი

მდაბალი არქიმანდრიტი ზაქარია ლოცვას გვეედრები ყოველთა მიერ რომელმან ვიგულსმოდგინე მუშაკობად ამისსა და განეშართე კანონთა ზედა წმიდა ესე სახარება ყოვლითა სიმკაცრითა;

—:—

ბრძანებითა მათის უმაღლესობისათა მოწოდებულ იქნა რუსეთით და გაკეთდა სტამბა ესე კელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა.

—:—

დაზგის მმართველობითა და სტამბის ამის სახმართა ზედა ვარჯითა პაიქაძის გიორგისათა:

—:—

სტამბისა ამის მუშაენი გვეედრებით ყოველთაგან შენდობასა.

—:—

„ამხანაგობის წიგნის“ ზემოთ ხსენებული შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ ქუთაისის სტამბის მუშაკთა შორის კონფლიქტის მიზეზი ყოფილა სწორედ ის რომანოზი, რომლისთვისაც პირობის ძალით ამხანაგებს ჯამაგირი უნდა ეძლიათ.

ეს რომანოზი, ანუ რომანოზ ზუბაშვილი მოურავისძე რაზმაძე—არის ტფილისის სტამბის ცნობილი მუშაკი. იგი გაწვრთნილია კონსტანტინოპოლიდან მოწვეული ოსტატის მიერ 1781—82 წელში და არაერთხელ იხსენიება ტფილისის სტამბის გამოცემებში 1784—1794 წ. წ. როგორც მესტამბე. ალამაჰმად-ხანის მიერ ტფილისის აოხრების გამო (1795 წ.) იგი გადაიხვეწება მოზდოვს\*), ცნობილი გაიოზის დავალებით მარტოდ მარტო აწყობს ქართულ სტამბას მოზდოვს (1796—1802)\*\*), ხოლო 1803 წლის მარტში, იგი, როგორც დოცენტი ნ. ბერძენიშვილის მიერ გადმოცემული საბუთი მოწმობს (იხ. ზემოთ), უკვე ქუთაისის სტამბის მუშაკია, თვით სოლომონ II-ის ბრძანებით მოწოდებული რუსეთით (ე. ი. მოზდოვით). აქ მას გაუკეთებია ქუთაისის სტამბა, ე. ი. ჩაუტარებია ძირითადი რეფორმა სასტამბო შრიფტისა და მთელი ტექნიკის განახლება-გადახალისებისათვის.

\*1 ნ. გ. ბოკორიძის „რაჭის ისტორიული ძეგლები“, საქ. მუხ. მოამბე Vll ტფ. 1931, გვ. 256, დამატებითაჲთ.

\*\*1) იქვე.

ამ გადახალისებას მოწმობს 1803 წლის „სიხარება“: ქალაქი, შრიფტი, მექედის მთელი ტექნიკა—შმაღლეს ხარისხამდის არის ასული.

ჩვენ ვცნობილობთ ტფილისის სტამბის ნიჭიერ ოსტატის და მოზღოვის სტამბის დამაარსებელის საუცხოვოდ ჩამოსხმულს, მკაფიო და ლამაზ შრიფტს, რომელსაც ვერ შეედრება გიორგი პაიჭაძისეული „ფსალმუნის“ ტრაფარეტული შრიფტი.

ამავე წელს (1803) ქუთაისის სტამბას წილად ხვდა კიდევ ერთი ძირითადი ცვლილება: სოლომონ 11-მ 1803 წლის 8 (3) თიბათვის თარიღით დაწერილი საბუთით „გაწყობილი სტამბა“ ჩააბარა სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს: „დიდსა ერთგულსა ჩემსა სახლთუხუცესსა წერეთელსა დიდსა თავადსა ჩემსა ზურაბს გარწმუნებ ზედა მდგომელობასა ჩემისა ამის სტამბისა, ვითარცა უპირველესსა ნიჭსა პატივისასა“ო, ამბობს სოლომონი ამ საბუთში\*).

სოლომონის ხსენებულ განკარგულებას თავისთავად უნდა გაეუქმებია ზაქარია არქიმანდრიტისა და გიორგი პაიჭაძის „მხანაგობის წიგნი“ და მით დაეჩქარებია უკმაყოფილო პაიჭაძის ჩამოშორება ქუთაისის სტამბის საქმეებისგან.

მეტად საყურადღებო ცნობებს გვაძლევს ვილაც „გიორგი მესტამბის“ შესახებ ა. ე სოკოლოვი თავისს Путешествие мое в Имеретию-ში.

სოკოლოვი გადმოგვცემს 1802 წ. ზაფხულის ამბებს იმერეთში და იხსენიებს ვინმე გიორგის: Георгий, который живучи в Кутаисе, промышлял книгопечатанием“. ეს სტამბის მრეწველი გიორგი—სოკოლოვს ტფილისის მოქალაქეთ და ვაჭრად მიაჩნია—„курпец“, тифлисский уроженец“—სოკოლოვისავე ცნობით ეს ტფილელი ვაჭარი რატომღაც იულონ ბატონიშვილს გაჰყულია ქართლიდან იმერეთს ლტოლვის დროს.

ქუთაისის 1-ლი სტამბის მბეჭდავთა შორის ჩვენ მხოლოდ ერთ გიორგის ვიცნობთ—პაიჭაძეს. მაგრამ წყაროებში გიორგი პაიჭაძე იხსენიება აზნაურად და არა ვაჭრად\*\*). არსად არა სჩანს აგრეთვე მისი ტფილელ მოქალაქეობის კვალი. გვაქვს კიდევ პ. კარბელაშვილის ყრუ ცნობა, თითქოს გიორგი პაიჭაძე ანტონ კათალიკოსის მოწაფე ყოფილიყოს\*\*\*).

შესაძლებელია სოკოლოვი, როგორც უცხო კაცი და ენის უცოდინარი, ურევს პაიჭაძის სოციალური წარმოშობის ცნობებს და ის—Георгий, который живучи в Кутаисе, промышлял книгопечатанием და ჩვენი გიორგი პაიჭაძე ერთი ღ იგივე პიროვნება არის.

\*) ეს საბუთი პირველად გამოქვეყნდა ძვრნ. „კვალში“ 1896 წ. №27 გვ. 471, როგორც „საისტორიო მასალა“—„ზეპირსიტყვაობის წიგნთსაცავის“, (?) საბუთი.

პ. გუგუშვილმა ამ საბუთის თარიღი შეცთომით ქუთაისის სტამბის დაარსების თარიღად ჩათვალა და ზღუდვარედ დაბეჭდა იგი. (ნ. გუგუშვილი, პ. „ქართული წიგნი“ გვ. 94 სქოლიო).

\*\*) Пурцеладзе. Груз. двор. грамоты гв. 56, 57, (Т. 1881).

Акты Кавказ. Археограф. Коп. т. IV § 239. 1458.

\*\*\*) პ. კარბელაშვილი. „იერარქია“—წ. 1, გვ. 153 (ტფ. 1900).

ამ შემთხვევაში სრულიად გასაგები ხდება პაიჭაძის გაწირვა სოლომონ 1-ისაგან, ვინაიდან სოკოლოვის გიორგი, გარდა წიგნის ბეჭდვის წარმოებისა, ჯაშუშობასაც ეწევა: იგი აწვდის იმერეთის შინაური მდგომარეობის შესახებ ცნობებს ალექსანდრე 1-ლის მოციქულს—სოკოლოვს.\*).

1803 წლის შემდეგ გიორგი პაიჭაძე მოსკოვის ქართულ სტამბაში მუშაობს ცნობილი ვარლამ ერისთავის (შემდეგში საქართველოს ეგზარხოსის) ხელმძღვანელობით, როგორც „მესტამბე“, „ანბანის მჭრელი“, „გამწყობი“, პლაცის მჭრელი“, „ჩამკითხველი“ და „სტამბის სახმართა გამმართველი“, (ნ. 1805—1808 წ. წ. მოსკოვში დაბეჭდილი სადღესასწაულოს მინაბეჭდები).

1810 წ. გიორგი პაიჭაძის კანდიდატურას წამოაყენებს ვარლამ ერისთავი ტფილისის სტამბის აღდგენის უამდგომლობის დროს (ნ. АКТЫ К. А. К. Т. IV § 239). მაგრამ ჩვენ არ ვიცით—დაბრუნდა პაიჭაძე საქართველოში, თუ სამუდამოდ დარჩა სანკტპეტერბურგში, სადაც იგი 1810 წ. იმყოფებოდა (ნ. იქვე).

ამგვარად ირკვევა, რომ:

1. იმერეთის პირველი სტამბა მოეწყო და ამუშავდა 1800 წელში და არა 1803 წელში, როგორც ირწმუნებიან ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიკოსები.

2. პირველი სტამბის მოწყობი ქუთაისში ყოფილა არა ცნობილი მესტამბე რომანოზ რაზმაძე—ზუბაშვილი; არამედ გიორგი პაიჭაძე.

**Хр. Шарашидзе.**

## К ИСТИРИИ ТИПОГРАФСКОГО ДЕЛА В ИМЕРЕТИИ.

РЕЗЮМЕ

(1800—1803).

Документально установлена дата основания типографии в Имеретии—1800 год, вопреки утверждениям исторической литературы, будто первая печатная книга вышла из Кутаисской типографии в 1803 году (Проф. А. Цагарели в своих „Сведениях о Груз. письменности“ хоть и указал 1800 год, как год начала книгопечатания в Имеретии, но никакими данными этого не подтвердил и не дал нам описания ни одной книги, напечатанной ранее 1803 года).

В 1932 году в бывшей библиотеке Грузинского Историко-Этнографического общества К. Ломтатидзе был найден „Псалтырь“, на титульном листе которого читается, что „книга сия“ напечатана в Кутаисе в 1800 году, при царе Соломоне II-м. Экземпляр этот оказался дефектным—не

\*) А. Е. Соколов. Путешествие мое в Имеретию г.г. 39, 61, (Москва. 1874).

доставало последних страниц. Эти то последние страницы, хорошо сохранившегося экземпляра того же издания библиотеки Кутаисского Историко-Этнографического общества, дают целый ряд ценных сведений об устройстве первой типографии в Кутаиси в 1800 году и о первых ее работах.

Выясняется, что в 1799—1800 г. г. по приказу Имеретинского Царя Соломона II-го и на его средства, в Москву был послан типографщик Георгий Паичадзе, который привез в Кутаис типографию, устроил ее и приступил к печатанию первой книги (Псалтырь) 10-го ноября 1800 года, закончил его 25-го апреля 1801 года.

Любопытно, что вторая книга, вышедшая из Кутаисской типографии в 1803 году (Евангелие) была отпечатана в 2-х вариантах: на последней странице 1-го варианта отмечается, что в печатании этой книги, между прочим, принимал участие Георгий Паичадзе; из набора же второго варианта изъяты полностью эти строки и читатель получает впечатление, будто честь устройства Кутаисской типографии принадлежит известному Тбилисскому типографщику Романозу Размадзе-Зубашвили. Нет сомнения, что вследствие каких то внутренних трений и интриг, имя основателя первой Кутаисской типографии сохранилось только на библиографически-редком издании Псалтыри 1800 года.

Это заключение подтверждается документом, переданным автору доцентом Н. Бердзенишвили. Документ этот рисует нам также любопытные экономические взаимоотношения, сложившиеся между владельцем типографии (царь Соломон II-й) и типографскими работниками. Вышедшие из Кутаисской типографии с 1803 года книги свидетельствуют, что Романоз Зубашвили-Размадзе произвел коренную реформу типографского шрифта и мастерски справился со всеми затруднениями, стоящими на пути развития Кутаисской типографии.

Автор статьи дает библиографическое описание Кутаисской Псалтыри 1800 года и публикует исторические данные об устройстве первой типографии в Кутаисе.

---

## ON THE HISTORY OF PRINTING IN IMERETIA

(1800—1803)

by Chr. Sharashidzé.

### Summary.

The author proves documentally the year 1800 to be the foundation date of the first typography in Imeretia, though up to now it was generally considered by historians to have been 1803.

Prof. Zagarelli was the only one to mention 1800, but failed to describe the book printed at the time.

A psalm—book, printed in 1800 was in 1932 in the former library of the society of History and Ethnography.

A second copy, better preserved, is to be seen in the museum library in Kutaïs.

The title page contains an inscription about the book being printed on November 10, 1800, during the reign of king Solomon II of Imeretia and the queen Maria, daughter to prince Dadiani.

Interesteng informations on the printers and the development of the printinghouse are given at the end of the text, pp. 411, 412.

Another inscription quothes king Solomon's order to a certain printer George Paichadze bidding him to bring to Kutaïs from Moscow at the king's expense the necessary equipment for a typography.

Two various copies of the New Testament were printed in 1803; the first of them contains a notice about George Paichadze taking part in the printing (see p. 36). In the second copy these lines are absent.

A document found by N. Berdznishvili, M. S. states that in the course of 1803, the printing type was reformed by Romanos Zubashvili-Rasmadzé, summoned from Mosdok to Kutaïs for the purpose; the New Testament is printed technically better.

Following conclusions may be drawn:

I. The first printing-house in Imeretia was not founded in 1803 as it is generally affirmed by the historians, but in 1800.

II. The mounting of the first printing-house was not conducted by Romanos Zubashvili-Rasmadzé, but by George Paichadzé.



579

\*\*\*\*\* ( \* \* \* ) \*\*\*\*\*

զբաժնէ Իշխմանը պատմութեան մասին յիշատակեալ ընթացքով  
 ճշտութեամբ տեսնելու համար, որոնք իր ժամանակներս մշակուած  
 են և որոնք կարգաւորուած են իւր ժամանակներս կողմէն : Բայց  
 ինչպէս իմանալ իր ժամանակներս իր ժամանակներս : Ինչպէս  
 իմանալ իր ժամանակներս : Ինչպէս իմանալ իր ժամանակներս :  
 Ինչպէս իմանալ իր ժամանակներս : Ինչպէս իմանալ իր ժամանակներս :  
 Ինչպէս իմանալ իր ժամանակներս : Ինչպէս իմանալ իր ժամանակներս :

---

Քանի որ արդարեալ ընտանիքներ կան, որոնք իրենց մտայնական  
 կրթութեամբ և իրենց գիտելիքով և իրենց կարողութեամբ կարող  
 են լինել իրենց ժամանակներս և իրենց ժամանակներս :

\*\*\*\*\*

Քանի որ արդարեալ ընտանիքներ կան, որոնք իրենց մտայնական  
 կրթութեամբ և իրենց գիտելիքով և իրենց կարողութեամբ կարող  
 են լինել իրենց ժամանակներս և իրենց ժամանակներս :

\*\*\*\*\*

Քանի որ արդարեալ ընտանիքներ կան, որոնք իրենց մտայնական  
 կրթութեամբ և իրենց գիտելիքով և իրենց կարողութեամբ կարող  
 են լինել իրենց ժամանակներս և իրենց ժամանակներս :

---

Ընդամենը եւս մտայնական իշխման մասին իմաստները :  
 Ընդամենը եւս մտայնական իշխման մասին իմաստները :



Նախնական, յուլիանոս, 1833 թ. 3-րդ լուսանկարը



հիշ

\*\*\*

բարձր Կոյր Կանգնողու Կոթմեա՝ Տե Տեղովկոմե ին լին Եւ  
 Տե որոշուող Յիծող Յան Եւ Տեղը որի Տեղանմ ցա-  
 ցուանե Տե Տեմե Տեղու Եւ Տեղեղ Տե Տեղուտե Տե Տեղ-  
 տե \* Կարող տեղեմե Տե Տեմե Կարող Տե  
коллективного автора дополнительное, то ряд произведений останется только с одним основным (на заглавие) описанием, так как дополнительное описание факультативно и от него отказываются в ряде случаев, особенно когда дело идет о произведениях с характерными названиями. Таким образом, ряд произведений выпадет из алфавитного перечня произведений данного коллектива. Следовательно, алфавитный каталог лишится специфически ему свойственной особенности—показать и концентрировать всю творческую деятельность данного автора, независимо от того, имеем ли мы дело с индивидуальным или коллективным автором. б) Современная каталогграфия не придерживается фетишизации титульного листа и внесла в него разумные изменения. Так, описывая произведения индивидуальных авторов, в заголовок описания выносят не всегда то, что имеется на титульном листе. (Например, книги Тулина описываются на Ленина и т. п.).

Наконец детально разбираем изданную в текущем 1936 г. Всесоюзной книжной палатой „Инструкцию по книгоописанию“ в части, касающейся коллективного автора.

Усматриваем противоречия между некоторыми пунктами раздела о коллективном авторе.

Так в пункте III говорится, что произведение печати должно быть описано под коллективным автором в тех случаях, когда название его включает в себя наименование издавшего его учреждения.

Также, когда оно не может быть названо без упоминания опубликовавшего его коллектива. Таким образом в эту категорию могут попасть произведения печати как узковедомственного, так и широковедомственного характера, что противоречит пунктам II и VI, где говорится, что ведомственные в широком смысле издания описываются под заглавием.

С другой стороны пункт первый, где говорится, что все произведения узковедомственного характера описываются под коллективным автором, предполагает и такие узковедомственные издания, названия которых не включают наименования издавшего их коллектива, а автор устанавливается по предисловию, надзаголовку или тексту. Таким образом инструкция создает два критерия для определения коллективного автора: в пункте III определяющим моментом являются внешние данные произведения печати, в то время как в пункте I таковым является характер самого произведения, что усложняет толкование коллективного автора.

Находим, также что при определении коллективного автора деление произведений на узковедомственные и широковедомственные может создать путаницу. Так например, историческое постанов-

жение ВКП (б) о школьной реформе, согласно пунктам II и VI, не может быть описано под коллективным автором ВКП (б), т. к. не носит узковедомственного характера.

Наконец пункт VI названной инструкции совершенно искажает самый принцип коллективного авторства, т. к. вместо вопроса установления автора выдвигается вопрос назначения трактуемого произведения.

#### Общее заключение статьи.

1. Десятилетний опыт применения принципа коллективного авторства для ведомственных изданий всецело подтвердил все его преимущества.

2. Не убедительны доводы лиц, предлагающих основное описание ведомственных изданий делать на заглавие, а дополнительное на коллективного автора.

3. Определение коллективного автора, данное в инструкции по книгоописанию, изданной Всесоюзной книжной палатой, нельзя считать удовлетворительным в виду его сложности и наличия противоречий.

4. Не целесообразно в названной инструкции также указание, что при определении автора ведомственных изданий, кроме редакционной и ведомственной компетентности издавшего его учреждения принимать во внимание и назначение данного произведения.

5. Определение коллективного автора, данное в Англо-американской инструкции и проще, и понятнее.

6. В порядке дня должен стоять главным образом вопрос об упрощении и унификации правил оформления заголовка описания произведений коллективных авторов, так как принятая у нас Англо-американская инструкция в этой ее части дает слишком сложные правила.

---

## IN FAVOR OF THE CORPORATE—AUTHOR PRINCIPLES

by Iv. Tzitzishvili

### Summary.

1. The advantage of applying the corporate—author principles to institutional editions is fully proved by a ten years practice.

2. The arguments of those who offer to use the title for the main entry in the institutional editions and the corporate author for an added entry lack conviction.

3. The definition of the corporate author given in the All Union Book Chamber instruction cannot be regarded as satisfactory because of its complexity and contradictions.

4. Aimless is the indication of the same instruction that in the case of defining the author of the institutional edition its designation must be taken in regard as well as the editor's and publishing institution's competence.

5. The definition of the corporate author in the anglo-american instructions is simpler and easier to understand.

6. A special attention in the order of the day must be drawn to the question of simplifying and unifying the rules for forming the caption of the entry in the works of the corporate author.

The anglo-american instruction adopted by us, gives in this part most complicated rules.

---

## ძველი ქართული საზოგადოებრივი ფონდებისა და მათი დაცვის საკმისათვის.

მეტწილად საუკუნის საქართველოს არ მიუღია ერთ ადგილას თავმოყრილი და მოწესრიგებული წიგნადი შემკვიდრებობა, თუმცა ფეოდალურ საქართველოს ოდესღაც მდიდარი სამონასტრო და კერძო წიგნთსაცავები მოეპოვებოდა.

ცნობილია მთელი რიგი დიდი წიგნთსაცავებისა ძველ საქართველოში: მცხეთის, გელათის, ტბეთის, გარეჯის უდაბნოსი, დოდოს მონასტრისა და სხვა. არაერთი შესანიშნავი ქართული წიგნთსაცავი მოიპოვებოდა აგრეთვე საქართველოს გარეშე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ათონის ქართველთა მონასტრის დიდი წიგნთსაცავი, რომელიც ერთი რუსი მიმომხილველის ვ. ბარსკის აღწერილობით 1726—1744 წლებში ათონის ყველა სხვა მონასტრების წიგნთსაცავებზე დიდი ყოფილა. იმ 3.000-ზე მეტ ხელნაწერში, რომელიც აქ ინახებოდა, ქართულ წიგნებს გარდა დაცული იყო ბერძნული, ლათინური და სხვა იშვიათი ცალეები. შესანიშნავი იყო აგრეთვე იერუსალიმის ქართველთა ჯმეარის მონასტრის წიგნთსაცავი, სინას მთის ქართული მონასტრის წიგნთსაცავი და სხვ.<sup>1</sup>

ძველ ქართულ საბუთებში შემონახული ტერმინები: „საღმრთო წიგნი“, „სამეცნიერო“, „საკითხავი“, „საერო ანუ გარეშე“—წიგნი, მოწმობს რომ ძველადვე არსებულა გარკვეული კლასიფიკაცია წიგნთსაცავებში თავმოყრილი ხელნაწერებისათვის.

მოიპოვება ცნობები ძველი ქართული კატალოგისათვის, რომლის ერთი ფრაგმენტი აღმოაჩინა სინას მთაზე განსვენებულმა აკადემიკ. ნ. მარმა<sup>2</sup>.

ხსენებული წიგნთსაცავები, რომელთა კულტურული ღირებულება თავის დროზე მეტად დიდი იყო, გამოუკლებლივ სამონასტრო იყო. მათ არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ის საჯარო ხასიათი, რომელიც ბურჟუაზიული ეპოქის წიგნთსაცავებს მიეწია.

ამას, სხვათა შორის, მოწმობს მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის უგანათლებულესი ქართველის—სულხან-საბა ორბელიანის დღიური, რომელსაც იგი ვეროპის ქვეყნებში მოგზაურობის დროს (1713—1715 წ.) აწარმოებდა.

რომში ყოფნის დროს საბამ ნახა და თავის დღიურში აგვიწერა ამ ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები: ტაძრები, სასახლეები, მუზეუმები და ბიბლიოთე-

<sup>1</sup> დაწვრილებით ძე. ქართული წიგნთსაცავების შესახებ ნ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართული დამწერლობათა—მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ ტფილისი, 1926 წ. გვ. 83—89.

<sup>2</sup> ნ. ივ. გვ. 84.

კებიც. საბა ვადმოგვეცემს ძლიერ შთაბეჭდილებას, რომელიც მას მიუღია ერთი კარდინალის წიგნთსაცავის ანუ, როგორც საბა უწოდებს „საწიგნო სახლის“ დათვალიერების დროს:

„ერთს კარდინალს ერთი საწიგნო სახლი აეშენებინა დიდი და პატიოსანი — ამბობს საბა—და კედლის ძირის ძირიდან მალა თავამდე ოთხგნითვე წიგნი ეწყო უანგარიშო და მრავალი“.

ეს ბიბლიოთეკა მხოლოდ კერძო სარგებლობისათვის არ ყოფილა დანი ნული, არამედ იმისთვის:

„რომ, ვინც მავისთანა კაცი იყოს, წიგნის ყიდვა არ შეეძლოს, იქ მივიდეს და რაც წიგნი ითხოვოს, მიაოთმოდენ. რასაც ხანს იკითხავდა და გარეთ ვერ გაიტანდა“.

საბა აღნიშნავს ბიბლიოთეკის ამ საჯარო ხასიათს, როგორც მისთვის ახალ ამბავს. ვასაოცარი და უჩვეულოა მისთვის აგრეთვე წიგნების სიმრავლე:

„კ (20) მკათათვეს—სწერს ის თავის დღიურში—წადედით კარდინალის სა- ნახავათ... თავის სახლები დამატარა. უწინ საწიგნე მაჩვენა. მრავალი უცხო და უცხო წიგნები სასულიერო და სახორციელო. მერმე სხვა საფილოსოფოსო წიგნებში შემოყვანა.—პლატონ, არისტოტელი და მათი ამხანაგები დახატული, რასაც სახისა ყოფილან. და მათი წიგნები. ოთხი-ხუთი ამისთანა სახლი წიგ- ნის მაჩვენა“.

საბა სწუხს, რომ ვერ მოახერხა ბიბლიოთეკის კარგად გაცნობა. ამის მი- ზეზი ის ყოფილა, რომ მასპინძელი—კარდინალი—დაყვებოდა მას და საბა მოე- რიდა ამ დიდი კაცის შეწუხებას. ამ გარემოების გამო კიდევაც ენამახვილობს თავისი დამახასიათებელი ჭეშმარიტად:

„... სულ ყველა ვერ გავსინჯე... კარდინალი დამდევდა... თქვენც მოგე- სენებათ, დიდა კაცს მოკრძალება უნდა მაგრამ კარდინალის სიდიდე არ გინა- ხავთ და რით შეიტყობთ“—ო, მიმართავს საბა თავის თანამემამულეთ („საბას მოგზაურობა“. რუსთაველის ინსტიტუტის ხელნაწერი).

## II.

საბას მოგზაურობის (1713—1715) შემდეგ მეცხრამეტე საუკუნის მიჯნამდე საქართველოს ცალკეულმა ფეოდალურმა ერთეულებმა მრავალი გამანადგურე- ბელი ქარიშხალი გადაიტანეს. კერძოდ ტფილისი მეთვრამეტე საუკუნის განმავ- ლობაში რამდენჯერმე წაილეკა სისხლით და ცეცხლით გადაიბუჯა. წიგნის სა- განძურებმა უმთავრესად პროვინციაში შემოინახეს თავი. დიდი ნაწილი ბაგრა- ტიონების გვარეულობამ წაიღო თან რუსეთში.

ამისა თუ სხვა მიზეზების გამო მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ტფილისის არც ერთი ბაბლიოთეკა არ გააჩნდა. ცნობილია როგორ უჩივის ნ. ბარათაშვილი ტფილისის კულტურულ ჩამორჩენილობას:

„ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“:

ქალაქი, სადაც იმავე ბარათაშვილის თქმით არ იშოვება „დამიტრიევსკის ლექსები და ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა“. (ნიკოლოზ ბარათაშვი- ლის წერილები).

ასე იყო 1841 წელს. უფრო ადრე—1832 წლის შეთქმულების გამომდინარეობის დროს, სოლომონ დოდაშვილი სკოლების სინცირეს და უბიბლიოთეკობაის პოლიტიკური უკმაყოფილებების მიზეზადაც ასახელებს:

„მე შევიტანე წინადადება, ამბობს ის თავის ჩვენებაში, შეგვეგვროვებია შემოწირულება და... გვეყიდა ბიბლიოთეკა, სტამბა... დავხმარებოდით გინანზის ღარიბ მოწაფეებს“-ო. ამასვე იმეორებს იგი სხვა ჩვენებებშიაც.

რამდენად მწვავე ყოფილა ბიბლიოთეკის მოთხოვნილება ორმოციანი წლების ტფილისში, მოწმობს ის ფაქტიც, რომ ამ დროს (40-ან წლების დასაწყისში) კერძო ინიციატივით არსდება აქ პირველი ბიბლიოთეკა. დიმიტრი ყიფიანი თავის მემუარებში გვამბობს, როგორ გამოითხოვა მან საამისო ნებართვა მთავარმართებელ გოლოვინთან:

„გოლოვინს გამოუცხადე რამდენიმე ჩემი ტოლამხანაგის სურვილი, რომ... დაგვეარსებია კერძო საამხანაგო ბიბლიოთეკა“... (დ. ყიფიანი, მემუარები ტფ. 1930 . გვ. 104-107).

დიმიტრი ყიფიანსავე შეუდგენია „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკის“ წესდების პროექტიც. ბიბლიოთეკის შედგენაში მონაწილეობა მიუღია მთელს მაშინდელს მოწინავე თ. აზნაურულ ახალგაზრდობას. ამათ შორის აღსანიშნავია ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი და სხვ.

„კერძო ბიბლიოთეკამ“ იარსება დიმიტრი ყიფიანის ბინაზე 1848 წლამდე. 1848 წელს მეფის ნაცვლის კანცელარიასთან მთავრობის ხარჯით მოეწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც მიზნად ისახავდა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკად გადაქცევას.

1858 წელს ყოფილ კავკასიის მუზეუმთან ჩამოყალიბებული საჯარო ბიბლიოთეკა „ტფილისის კერძო ბიბლიოთეკას“ საბოლოოდ იერთებს და მისი წიგნები თავის წიგნად ფონდში შეაქვს.

ჩვენთვის დიდად საინტერესო იქნებოდა ხსენებული „კერძო ბიბლიოთეკის“ წიგნების გაცნობა. ამ წიგნების ნუსხა, სხვათა შორის, ალბათ დაგვანახებდა რა წარმატებით მიმდინარეობდა ქართველი ფეოდალური ახალგაზრდობის ახალი გემოვნების განვითარება და როგორ ყრუვდებოდა ქართულ არისტოკრატიულ წრეში ძველი კულტურული ტრადიციებიდან მომავალი გზები.

სამხედრო და სამოხელეო მუნიციპალიტეტული გამოწყობილი ფეოდალური ინტელიგენცია ამ დროს რუსის მოხელეების და გამარტსებელი სკოლის წყალობით მასობრივად ასიმილაციაქმნილი იყო. ჯერ კიდევ 1846 წელს ოფიციალური ვაზ. „Кавказ-ი“ აღნიშნავს ამ ფაქტს:

„ტუზნეცებმა (იგულისხმე თავად-აზნაურული ფენა) იმდენად შეითვისეს რუსული ენა, რომ რუსებში ვეღარ გამოარჩევთო“. „ყველა დაწესებულებებში გარუსებული ტუზნეცები მუშაობენო“ და სხვ.

ეს იყო ევრეთწოდებული „მამების“ თაობა, რომელსაც არ აღმოაჩნდა არც ძალა, არც მოთხოვნილება საუკუნობრივი კულტურული მემკვიდრეობის მიღებისა და დაცვისათვის. ძველი კულტურის ნივთიერი და სულიერი ნაშთები ახალი სოციალ-ეკონომიური ურთიერთობით წარმოშობილ ადამიანების მოსვლას

ელოდებოდა: ფეოდალური კულტურის დაუფლება და შენახვა, დიალექტიკის კანონის ძალით, ბუ-ჟუაზიული სულისკვეთებით შეპყრობილ ადამიანებს უნდა ეკისრაო.

### III.

ბატონყმობის საფუძვლების შერყევა ჩვენში, მიუხედავად თავისი ნახევრადობისა, უდიდესი მოძრაობის დასაბამად გადაიქცა. უდაბლესი ფენებიდან დაიწყო ქართული წიგნის, თეატრის, სკოლის მოთხოვნილება. ქართულმა კულტურამ, კერძოდ—წიგნმა, 60-იანი წლების შემდეგ თავი დააღწია სამოწყალო მდგომარეობას, რომელშიაც „ციცქრის“ პერიოდში (1852-1866) იმყოფებოდა.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გავ. „ღროების“ ირგვლივ თავმოყრილი, საქმარისად ქრელი შემადგენლობის ხალხი. მათ აერთიანებდა „ეროვნული სი-ცოცხლის ნებისყოფა“:

„ჩვენ გვინდა—ცოცხალ-ვიყოთ ჩვენის ენით, ჩვენის ხასიათით, ჩვენის ჭეყნით, აცხადებს ს. მესხი („ღროება“ 1879. № 1).

„აკაკიები, ბაკაკიები, მესხი, მეველე, მელიქ-ალეში“—უმთავრესად ფეოდალური წრიდანე იყვნენ გამოხული, მაგრამ გრძობდენ ბურჟუაზიული ეპოქის მაჯის ცემას და შეცნობილად თუ შეუცნობლად ამ ეპოქის აყვავების ორიენტა-ნიისაკენ სწორდებოდნენ. ამ წრეში თანდათან საპატიო ადგილს იჭერს ქართ-ლი „რაზნოჩინეცი“.

„ღროების“ 10 წლის იუბილეზე (1866-1876) მისი უხუცესი თანამშრომელი დიმიტრი ყიფიანი ამბობს:

„რა არის ახლა, ან ვინ არის ამ ახლანდელს ჩვენს წყობილებაში ჩვენი წი-ნამორბედი, ჩვენი დამმოდერებელი, ჩვენი მეგობარი და შეინახე.—ეს არის სტამბა, ეს არის ბეჭედა“.

„ქართული სკოლა, ქართული წიგნი, ქართული თეატრი“—დაიწერა ლოზუნ-გათ ღროშაზე 70-80 წლების ბურჟუაზიული მოღვაწეების ჯგუფმა.

წიგნების შეგროვების, დაცვის, ბეჭდვის და ხალხში გავრცელების ნამდვილი ციებ-ცხელების სურათს ხატავს თავის ფურცლებზე 70-80 წ.წ. „ღროება“. ყა-ლიბდება გამოცემელთა წრეები, იხსნება წიგნის მაღაზიები, კეთდება ახალი ქართული შრიფტი, ეწყობა სტამბები ტფილისში და შორეულ პროვინციებშიც კი.

მთელი ეს „დუღილის პერიოდი“ ერთგვარ სამზადისს წარმოადგენს „ქართ-ველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ დიდი კულტურული საქმიანობის გაშლისათვის (1879 წ.). თ. აზნაურული თანხებით ფეხადგმული, „წერა-კითხვის საზოგადოება“—ახლად ჩასახული ქართველი ბურჟუაზიის ზრუნვის საგნად ხდება. ერთი მეორეს ეჯიბრება შეწირულების გაღებაში. ვისაც ფული არ გა-აჩნია, ის სწირავს ნივთებს, უმთავრესად ძველ ქართულ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს. „ღროების“ თანამშრომლები უდიერად იჭრებიან ფეოდალური ოჯახების მუედროებაში და მოითხოვენ, რომ ძველებური სკივრების სიღრმეში მიმალული შედეგები საყოველთაოდ გამოიტანონ; გამოაგზავნონ ტფილისში „ღროების“ რედაქციაში, წ. კ. ბიბლიოთეკაში დასაცავად ან დასამეკად.



განსაკუთრებულ ენერჯიას იჩენს ვინმე სხვიტორელი<sup>1</sup>. მან გამოამჟღავნა „დროების“ ფურცლებზე, რომ ცნობილი ბიბლიოფილის გრიგოლ წერეთლის მემკვიდრე ალექსანდრე—უმაღლეს ქართულ საზოგადოებრივობას ძველი წიგნების იშვიათ საგანძურს, როცა თავადმა ალექსანდრე წერეთელმა გაზეთის ფურცლებზე აკაკი დაასახელა მისთვის უსიაზონო წერილის ავტორად და სატყვეწოდ უარყო თავის ოჯახში ძველი წიგნთსაცავის არსებობა, აკაკი მას იმავე „დროებაში“ გამოეხმაურა მოსწრებული წერილით. საყურადღებოა, რომ „სხვიტორელის“ ვინაობაზე დიდხანს არ შეჩერებულა და მორჩილებით ბოდიში მონიხადა:

—რაკი ალ. წერეთელი ბრძანებს, რომ მას ძველი წიგნები არა აქვს, უქველად ასე იქნებაო. მაგრამ ის კი უდავოა, რომ არსებობს „ერთი ხელნაწერი რეველი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ანდაზებს, შეკრებილს მამა მისის თ. გრ. წერეთლისაგანო. ეს ანდაზები ანბანზე არიან დაწყობილი... იწყება ამ ანდაზით: „ავი ძალლი არც სხვას აქმევს, არც თვითონ სკამსო“ და ბოლოვდება... ლექსით: ფილოსოფოსნი შემოკრბნენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა—ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა. თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდი გვარი შეილობა“.

„წერა-კითხვის“ წიგნთსაცავისთვის წიგნების ენერჯიული შემგროვებელი ზ. ჰიქინაძე სურამში მცხოვრებ ოჯახნიკიტების ოჯახში ქართულ ხელნაწერების კრებულის არსებობას აღწევს „დროებას“ და იმედს გამოსთქვამს, რომ „აღამიწლიდამ შენახულს არ დააღბობენ გამოუქვეყნებლად“.

ყოველი წიგნადი ერთეული—ძველი ხელნაწერია ესა, ძველი ნაბეჭდი წიგნი თუ ახლად გამოცემული „არსენას ლექსი“, „დედა—ენა“, „სიბრძნე სიკრთის“ მგორე ან მესამე გამოცემა, ერთნაირის ყურადღებით და სიყვარულით არის აღრიცხული „დროების“ მესვეურთა მიერ.

წიგნების შეგროვების ამ ფართო, საჯარო ავტაციის წყალობით 1889 წელს დაარსებული „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნთსაცავი და ბიბლიოთეკა სწრაფად იყვება ხელნაწერებით, ძველი ნაბეჭდი წიგნებით, ახალი გამოცემებით. „ვეფხისტყაოსნის“ პირველმა რედაქციამ გადასცა მას სხვადასხვა პირთაგან შეკრებილი „ვეფხისტყაოსნის“ 16 უძველესი ხელნაწერი.

ყოველ ქართველ მოღვაწეს თუ მეცნიერს კანონად მიიჩნია უანდერძოს „წერა-კითხვის“ თავისი ბიბლიოთეკა.

მაგრამ წიგნთსაცავი თვითონაც იძენს, როგორც ქართულს და რუსულს, აგრეთვე უცხოურ გამოცემებს—პერიოდიკას, წიგნებს. განსაკუთრებით საქართველოსა და კავკასიის მცოდნეობის ლიტერატურას. წ.კ. ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავის 1880 წელსავე შედგენილი წესდების (§ 6) ძალით. „არავეითარის სახით

<sup>1</sup> სხვიტორელი არის ფსევდონიმი დავით წერეთლისა და არა აკაკისა, როგორც ეს ზოგიერთებს დავით წერეთლის სიტყვებზენივე ეგონათ და როგორც ფიქრობდა აკაკი ბიოგრაფი განსვენებული სერგო გორგაძე (ნ. შიხა წერილი „აკაკი წერეთელი“ გვ. XXX აკაკი წერეთელი“ რჩეული ნაწერები, ტ. 2. ტფ. 1926 წ.) ნ. ვახ. „ივერია“ 1886 წ. № 149 გვ. 1. ახალი ამბავი.

და არავის“ არ უნდა მისცემოდა ბიბლიოთეკიდან წიგნი შინ წასაღებად („დროება“ 1880 წ. № 124).

ამ დიდი მზრუნველობის წყალობით „წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა“ ჯერ კიდევ 1884 წელში წარმოადგენდა უდიდესი კულტურული ღირებულების დაწესებულებას.

აი როგორ შეფასებას აძლევს ამ წიგნთსაცავს 1884 წლის „დროების“ (№ 180) მეთაური წერილი:

„ჩვენ მოვლეთ კიდით-კიდემდე ჩვენი ... ქვეყანა. არ დავადეთ განუჩხრეკელად არც ერთი სახლი, არც ერთი კუთხე, სადაც კი შესანიშნავი რამ გვეგულებოდა, და აქ შევკრიბეთ ყოველივე, რითაც ვამაყობთ და რასაცა შეუძლია მოჰფინოს მცირედიც არის სხივი ჩვენს... ისტორიას“.

„წ. კ. წიგნთსაცავი იქნება ჩვენი ისტორიის გამომკვლეველისათვის საუკეთესო და აუცილებელი თანამშრომელი. იგი იქნება ჩვენი ენის მასწავლებელი, ჩვენი გაღარიბებული ლექსიკონის გამამდიდრებელი“.

ეს შეფასება არ იყო გადაჭარბებული „წ. კ. წიგნთსაცავის“ მიმართ.

შემდგენი ის ერთი ხუთად უფრო გამდიდრდა და გაიზარდა: ორი ოცეული წლის განმავლობაში მან თავის წიაღში მიიღო და განადგურებას გადაარჩინა მთელი ნაღები ფეოდალური საქართველოს წიგნადი მემკვიდრეობისა და მეცხრამეტე საუკუნის პერიოდული გამოცემების და წიგნების უსრულესი კომპლექტებისა.

#### IV.

1905 წლის რევოლუციამ ქართულ კულტურას განვითარების უფრო ფართო პერსპექტივები გადაუშალა. გაღრმავებულმა ისტორიულმა და ეთნოგრაფიულმა ძიებამ წარმოშვა ახალი, მძლავრი კულტურული დაწესებულება—საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომლის მუზეუმთანაც 15-20 წლის მანძილზე გაიზარდა მნიშვნელოვანი საბიბლიოთეკო ფონდი, შერჩეული იშვიათი ცოდნით და სიყვარულით. რაც კი დარჩენოდა შეუგროვებელი „წერა-კითხვის საზოგადოების“ ფართო „ლაშქრობას“. ის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა დაეინებული ღვაწლით ძველი ოჯახებიდან, მივიწყებული მონასტრების კედლებიდან გადავიდა ხსენებულ წიგნთსაცავში. ამ ბიბლიოთეკამ, მიუხედავად თავისი შედარებითი სიმცირისა (სულ 40.000 ტომი), დაიჭირა მეორე ადგილი „წერა-კითხვის წიგნთსაცავის“ შემდეგ. მან მიიღო ქართული ბურჟუაზიული წრეების მოწინავე ჯგუფისაგან უხვი შემოწირულება წიგნების, კარადების და სხვ. ინვენტარის სახით. განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. თუმანიშვილისაგან შეწირული 34—ერთნაირი კარადა და კავკასოლოგიისათვის საგანგებოდ თავმოყრილი იშვიათი კოლექცია. ამავე ბიბლიოთეკაში გადავიდა ცნობილი ქართველი მეცნიერების—მის. თამარაშვილის, კირიონის, სიმონ ავალიანის, დიმ. ბაქრაძის, ალ. ფრონელის, ალ. სარაჯიშვილის და სხვათა ბიბლიოთეკები, ზოგი მთლიანად, ზოგი ნაწილობრივ. აქვე არის გრიგოლ ორბელიანისეული გაზე-

თების ცალგები, თვით პოეტის ხელით მიწერილი შენიშვნებით, მაგალითად „დროების“ ის ნომრები, რომელსაც ნაპირები აკრელებული აქვს სერგი შესხის ენის შესახებ შენიშვნებით და სხვ. იოანე ბაგრატიონისეული (ბატონიშვილის) ენციკლოპედია ფრანგულ-გერმანული ტექსტით და მდიდარი ილიუსტრაციებით, რომლის ყოველ სურათს ამ მეცნიერის ხელით მიწერილი აქვს შესატყვისი ქართული ტერმინი: „ვეფხის ტყაოსნის“ ნაბეჭდი გამოცემების თითქმის სრული კოლექცია: ინგლისური, ფრანგული, გერმანული, უნგრული თარგმანი ამ პოემისა, მთარგმნელებისაგან მიძღვნილი, „საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოებისადმი“, წარწერებით. ისტორიული პირებისაგან დარჩენილი წიგნების ცალგები, უდიდესი მნიშვნელობის წარწერებით. მაგალითად ირაკლი მეფის (II)—ეული წიგნები. როგორც მოწმობს წარწერა, ამთგან ერთი მიძღვნილია ცნობილი კ აიოზისაგან; მეორეს მიწერილი აქვს საყურადღებო თავგადასავალი ამ წიგნისა რომელიც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაუტყვევებიათ და ერევანში გაუყიდათ, ხოლო შემდეგ გამოუსყიდიათ ტყვეობიდან და ტფილისშივე ჩამოუტანიათ; ალექსანდრე ირაკლის-ძე ბაგრატიონის წიგნი, საყურადღებო წარწერით, შესყიდული ირანში და „საისტორიო—საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეწირული“.

აქ არის ძველი ნაბეჭდი წიგნების მდიდარი კოლექცია, სადაც უნიკალურ ცალგებია დაცული. სხვათა შორის XVIII საუკუნის ტფილისის სტამბის კორექტურულე ფურცლები და სხვ. მრავალი იშვიათი, სამუზეუმო ერთეული.

სხენებული ორი მთავარი წიგნთსაცავის შემდეგ უნდა აღინიშნოს კიდევ რამდენიმე დიდი დაწესებულება საბჭოთა საქართველოში, რომელსაც გააჩნია იშვიათი წიგნების მნიშვნელოვანი ფონდები; მაგ. „საქართველოს ცენტრალური არქივი“, ქუთაისის „საისტორიო—საეთნოგრაფიო მუზეუმის ბიბლიოთეკა“, „საჯარო ბიბლიოთეკის რაირტეტები“ და სხვა. ამ ფონდების კოლექციები შედარებით ნაკლებათ ცნობილია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ შემონახული და კარგად დაცული უნდა იყოს მრავალი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა.

ზუგდიდში, თელავში, ბათუმში და სხვა ადგილებშიაც შესაძლებელია მოგვეპოვოდეს უცნობი უნიკუმები.

მთელი ეს წიგნადი სიმდიდრე ნაწილობრივ ცნობაში მოყვანილია. საქიროებს შემოწმებას, აღრიცხვას და საგანგებო წესებით დაცვას.

ორი უდიდესი კოლექცია, სახელდობრ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისეული წიგნთსაცავი“ და „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისეული ბიბლიოთეკა“ შეტანილია ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდში: პირველი—1929 წლიდან, ხოლო მეორე—1934 წლის 1-ლი მაისიდან. ეს გარემოება ვერ შეუწყობს ხელს სხენებული იშვიათი კოლექციების ჯეროვნად დაცვას. უნივერსიტეტის ფონდები, ძალა-უნებურად, ემსახურება სასწავლო მიზნებს, რაიც სრულიად შეუწყნარებელია სამუზეუმო, საგანგებო წესებით დასაცავი ცალგების მიმართ. აღსანიშნავია, რომ „წერა-კითხვის წიგნთსაცავის“ ფონდი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ არის აღწერილი დ. კარიკაშვილის ნაბეჭდ კატალოგებში, ათეული წლების განმავლობაში შეუმოწმებელი რჩება. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადო-

ეპისეულმა“ ბიბლიოთეკამ კი სულ 16 თვის მანძილზე (1934 წლის 1-ლ მაისიდან 1935 წ. 1-ლ სექტემბრამდე) სამჯერ გამოიცვალა ადგილი და სრულიად შეგვმოდა გადაჯგუფ-გადმოჯგუფება ხვდა წილად.

როგორც „წ. კ. წიგნთსაცავს“, აგრეთვე „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისეულ ბიბლიოთეკას“ ჰქონდა ფასდაუღებელი მნიშვნელობის ხელნაწერების კოლექციები. ეს კოლექციები 1929 წლის შემოდგომიდან „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს“ გადაეცა და საგანგებოთ არის დაცული უწვევ ოთახებში (სეიფებში).

ლოლიკურად სრულიად თანამიმდევარი და გამართლებული იქნებოდა ხელნაწერების და უნიკალური ნაბეჭდი წიგნების თანაბარი შეფასება და ერთნაირი წესით დაცვა და უზრუნველყოფა ყოველგვარი საფრთხისაგან.

ნაბეჭდი წიგნი, თუ იგი ერთ ცალად მოგვეპოება, ან მისი მხოლოდ ერთეულებია დაცული წიგნთსაცავში, ზოგიერთ ხელნაწერებზე მნიშვნელოვანია; ვინაიდან სწორედ მისი ნაბეჭდობა ანიჭებს მას უდიდეს სოციალურსა და იდეოლოგიურ ძალას, რაც ყოველ ხელნაწერ ერთეულს არ გააჩნია.

ჩვენ ვიცით რა დიდი ყურადღებით ეკიდება საბჭოთა ხელისუფლება წიგნის შენახვის და დაცვის საქმეს. 1924 წლიდან ამოქმედებული „სახელმწიფო წიგნის პალატა“ აწარმოებს ყოველი ახალი გამოცემის რეგისტრაციას, აწერას და სავალდებულო ცალეების განაწილებას წიგნთსაცავებს შორის. ამიერიდან ნაბეჭდი გამოცემა, იქნება ეს ღირსშესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევა, თუ უბრალო სააფიშო ფურცელი, უზრუნველყოფილია დაკარგვისაგან. უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს განსახკომმა სპეციალური საბიბლიოთეკო სექტორის შექმნით საფუძველი ჩაუყარა საბიბლიოთეკო საქმის გვემიან მოწესრიგებას მთელი რესპუბლიკის ფარგლებში.

მარტო 1935 წლის ზაფხულის თვეების განმავლობაში საქართველოს ცაკმა და სახკონსაბჭომ გამოსცეს ზედიზედ ორი კანონი, რომლებიც მიზნად ისახავს ბიბლიოთეკების უზრუნველყოფას ყოველ შევიწროვებისაგან და დაზიანებისაგან.

ჩვენს თვალწინ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში აღმოცენდა მთელი რიგი ახალი საჯარო და სპეციალური (სამეცნიერო) ბიბლიოთეკებისა; წარმოუდგენლად გაფართოვდა და გაცხოველდა მუშაობა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისა, რომელიც ყოველდღიურად ასობით და ათასობით მკითხველს იზიდავს. მაგრამ ამ დიდმა მიღწევებმა არ უნდა მიაყრუოს ჩვენი ყურადღება ძველი საბიბლიოთეკო ფონდების დაცვის მიმართ.

რამდენად დიდია დღესაც იშვიათი წიგნების თავის მოყრის მოთხოვნა, ამას მოწმობს თუნდაც იმავე საჯარო ბიბლიოთეკაში მოწყობილი სარაირტეტო განყოფილება. სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენ დღესაც ვეძებთ ბაზარ-ბაზარ ძველ იშვიათ გამოცემებს, გვეალებს განსაკუთრებული ზომებით დავიცვათ ის, რაც მოგვეპოება ხსენებულ დიდ ფონდებში.

აი ამ გარემოებამ გამოიწვია 1933 წელში საქართველოს სახ. მუზეუმის დირექციის და ამავე მუზეუმის ზოგიერთი თანამშრომლის მიერ იშვიათი ცალე-

ბის და ძველი ფონდების შემოწმების, აღრიცხვის და დაცვის პროექტის დამუშავება. პროექტი გულისხმობდა ამ საქმის გაშლას რესპუბლიკის მასშტაბით.

საქართველოს სახ. მუზეუმის დირექციამ დაამტკიცა პროექტი და სათანადო თანხის გაღებით შეუდგა მუშაობას. 1933-1934 წ. წ. შემოწმებული იქნა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისეული ბიბლიოთეკის ფონდი და შესდგა ქრონოლოგიური ნუსხა ქართული ნაბეჭდი გამოცემებისა 1629-1866 წ.წ.

დაწყებული მუშაობა შეაჩერა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისეული ბიბლიოთეკის ბედის შემოსენებულმა ცვლებადობამ.

ამჟამად 1933 წელში დაწყებული დიდი საქმე თითქმის შეჩერებული და მივიწყებულია.

და დღეს ისევ დგას ჩვენს წინაშე ძველი ფონდების შესწავლის, აღრიცხვის და დაცვა-მოწესრიგების გადაუდებელი და მნიშვნელოვანი ამოცანა.

### X. III.

## О СТАРЫХ БИБЛИОТЕЧНЫХ ФОНДАХ И О ПОСТАНОВКЕ ДЕЛА ХРАНЕНИЯ ЭТИХ ФОНДОВ

(Р В З Ю М Е)

Древняя Грузия имела богатые книгохранилища, как на территории феодальной Грузии, так и вне ее границ. Старинные рукописи сохранили нам любопытные термины, свидетельствующие о наличии библиотечной классификации в древней Грузии. До нас дошли фрагменты каталога какой-то древней грузинской библиотеки.

Книгохранилища феодальной Грузии в свое время имели высокое культурное значение. Но они все, без исключения носили или частный или монастырский характер. Та широта и публичность, которую придала библиотеке буржуазная эпоха, были чужды книгохранилищам древней Грузии.

Об этом свидетельствует между прочим дневник известного просвещенного грузина XVII, XVIII в. в. лексиколога Сулхана-Саввы Орбелиани. Описывая памятники искусства и культуры, посещенные им во время путешествия по Зап. Европе (1713—1715 г.г.) С.С. Орбелиани подробно останавливается на описании римских библиотек и отмечает их публичный характер, как нечто для него новое.

Исторические катастрофы, ареной которых была территория Грузии в XVII, XVIII в.в. уничтожили ценные книжные сокровища г. Тбилиси. Значительные книжные фонды были вывезены грузинской царской династией в Россию в начале XIX века.

В силу этих обстоятельств в 1-ой половине XIX в. В Тбилиси не было ни одной общественной библиотеки.

В 40-ых годах прогрессивная грузинская феодальная молодежь открыла в Тбилиси (1848 г.) „частную библиотеку“, которая впоследствии была передана в 1-ую Публичную библиотеку при Кавказском Музее (с 1858 г.)

Только тот мощный сдвиг, который вызвала половинчатая „крестьянская реформа“ 60 годов, всколыхнув самые низшие слои грузинского народа, способствовал пробуждению глубоких национально-культурных потребностей. Грузинская школа, грузинский театр, грузинская книга, стали в центре внимания буржуазно-феодалных прогрессивных слоев груз. интеллигенции.

В 70 годах газ. „Дроеба“ повела широкую агитацию за создание культурного центра грузинской жизни и за собиание памятников грузинской письменности в этом центре.

В 1879 г. было основано „Общество распространения грамотности среди грузинского населения“, которое, благодаря щедрым пожертвованиям, создало богатейшее в Грузии книгохранилище: „Библиотеку общества распространения грамотности среди грузин.“

Революция 1905 года открыла еще более широкие перспективы для культурного развития Грузии. Она породила углубленный научный интерес к истории Грузии. Создается научный центр—Историко-Этнографическое общество Грузии и при нем Музей, с редким подбором книг. Библиотека при Музее Историко-Этнографического общества Гр. собирает все, что осталось в Грузии после „культурного похода“ О-ва распространения грамотности среди грузинского населения“. В эту библиотеку поступает богатейшая кавказоведческая коллекция Туманишвили, частные библиотеки целого ряда грузинских ученых и множество книг уникального значения.

Кроме названных главных книгохранилищ можно указать библиотеки Центрального Архива Грузии и Историко-Этнографического Музея в Кутаиси, которые должны располагать также богатыми коллекциями разных изданий. За последние десятилетия пертней и руководящими органами был принят целый ряд законодательных и практических мер, обеспечивающих надлежащую охрану книжных фондов. Выросли, окрепли и расширились десятки новых специальных (научных) и общественных библиотек. Но все эти достижения не должны усыпить нашу бдительность по отношению к охране старых книгохранилищ, имеющих большую научную и историческую ценность.

Необходимо провести проверку, строгий учет и регистрацию всех этих ценных коллекций и создать для их хранения и научного использования самые благоприятные условия.

Дело учета и регистрации названных фондов имеет величайшее культурное значение и оно не терпит отлагательств.

## პერიოდიკის ინვენტარიზაციის დაწყების და ერთი წლის საკითხვათა შესახებ

საბიბლიოთეკო ტექნიკის საკითხებში ინვენტარიზაციის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. წიგნების ფონდის სწრაფმა ზრდამ ჩვენ სინამდვილეში ბიბლიოთეკების წინაშე ინვენტარის სახის შეცვლა—გამარტივების ამოცანა წამოაყენა. ამ საკითხის სიმწვავეს დროულობას, ცხადყოფს ის კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელსაც თუნდ ეურნალ: „Книга и профсоюз“ 1927 წ. და უმთავრესად „Кр. библиотечка“-ის 1927 და 1932—33 წლებში ფურცლებზე ვხვდებით. კამითის სავანია არა მარტო ინვენტარის ფორმა, წიგნური იყოს იგი, „ზედნადები“ (накладные), თუ სხვა სახის (ამ პოლემიკის გინიბილვას ჩვენ არ შეუდგებით), არამედ ინვენტარის მიზნის და დანიშნულებაშიც არის აზრთა სხვადასხვაობა.

ზოგიერთი ინვენტარს მეტად ამარტივებენ კლუბების ინვენტარი (кр. ბიბლ. 1932 წ.) ანბანურ კატალოგს წარმოადგენს და არავითარი დამახასიათებელი თვისება ინვენტარისა მას არ გააჩნია. მეორე მხრივ არც ისინი არიან მართალნი, რომელნიც ინვენტარის აღწერილობას აფართოვებენ. კირილოვის ინვენტარი („кр. ბიბლ.“ 1933 წ.) შეიცავს წიგნის კატალოგრაფიულ აღწერილობას—მოკლედ რომ ვსთქვათ იგი დამბეჭდილ კარტაქებს შეიცავს, რაც ინვენტარისათვის ზედმეტია. ინვენტარის ძირითად ამოცანებს—კი ვერ უბასუბებს. „ინვენტარი—სწორე შენიშნავს პეტროვისკი („кр. ბიბლ.“ 1933) წიგნის-ინვენტარის ფორმის დახასიათებისას — ბიბლიოთეკის ოფიციალური მატერიალური დოკუმენტია საერთო ფონდის შეფასებისათვის. ინვენტარიზაცია-კი ბიბლიოთეკაში შემოსულ წიგნების აღრიცხვის ერთი მომენტიაგანია“, ერთი სიტყვით უნდა ვეცადოთ განვტვირთოთ ინვენტარი ზედმეტი ჩანაწერებისგან, მაგრამ ძირითადი ფუნქციები და დანიშნულება არ ჩამოვაშოროთ.

პერიოდიკის ინვენტარიზაცია დაუმუშავებელია. იმ ლიტერატურაში, რომელიც ხელთ მქონდა, არც ერთი წერილი არ მოიპოვება სპეციალურად ამ საკითხზე. წიგნების ინვენტარის აღწერის დროს ან სრულიად გვერდს უვლიან პერიოდიკის ინვენტარიზაციას, ან გაცვრით ამბობენ, თუ როგორ უნდა ჩაიწეროს მათ მიერ მოყვანილ სახის ინვენტარში ფურნალები. პერიოდიკის ინვენტარიზაცია წიგნების ინვენტარიზაციაზე ნაკლები აქტუალური საკითხი არ არის, მაგრამ საკითხის დაუმუშავებლობის ერთი მთავარი მიზეზთაგანი პერიოდიკის ინვენტარიზაციის სირთულეა. რაში გამოიხატება იგი?

ინვენტარში წიგნი რომ ჩაიწერება და თავის საინვენტარო №-ის მიიღებს, მისი ჩაწერა მოთავსებულია. იმ შემთხვევაში, თუ წიგნი დაიკარგა, სხვას გადაეცა და სხ. დამატებით ჩაწერა ხდება შენიშვნაში. სულ სხვა მდგომარეობაა პერიოდის ინვენტარიზაციის დროს.

პერიოდის ძირითადი დამახასიათებელი თვისება მისი პერიოდულობაა არ ვიცით როდემდის განაგრძობს გამოსვლას, („*нмчслимая бесконечность*“ შამურიაის გამოთქმით). ჩვენ გვიხდება ინვენტარიზირება ერთის მხრივ გამოცემების, რომლებმაც უკვე შეწყვიტეს გამოსვლა (ძველი ფონდები) მეორე მხრივ მიმდინარე პერიოდისა. მიმდინარე პერიოდისაშიც გვაქვს ძველი წლების ფონდები.

საინვენტარო ერთეული, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არის 1 წლის ერთი კომპლექტი. მაშინ, როდესაც ინვენტარში გატარების დროს წიგნი მიიღებს თავის №-ს და ამით მოთავსდება მისი ჩაწერა, პერიოდისაში არასრული კომპლექტების გამო (ზოგიერთი №№ გვაკლია, ზოგი-კი რამდენიმე ცალად გვაქვს) ამ ჩაწერის დამატება—შეცვლა სჭირდება ხოლმე. ხარვეზები ძალიან ართულებენ პერიოდის ინვენტარიზაციას. ბიბლიოთეკას უმეტეს შემთხვევაში დაქსაშული (*разрозненные*) კომპლექტები აქვს. მათი შევსება—ცალკეულ №№-ზე შექმნა—სხვადასხვა დროს ხდება. ზოგიერთს ბიბლიოთეკა ყიდულობს, ზოგს ხომ სხვა ბიბლიოთეკიდან იღებს გაცვლის სახით და სხვ. პირობებში; უნდა შევიტანოთ ეს ცალები ინვენტარში სათანადო აღნიშვნით?

აგილოთ მეორე მხარე: პერიოდის კომპლექტებიდან იკარგება ცალკე №№, მაგრამ მთელ კომპლექტს ხომ ვერ ჩავთვლით დაკარგულად? კომპლექტის საინვ. №-ს ვერ გამოვაცხადებთ გამორიცხულად. ფასის საკითხი კიდევ მეტიდ ართულებს პერიოდის ინვენტარიზაციას. ბიბ-კა იხდის ხელისმომწერის წლიურ ფასს, შეაქვს ინვენტარში პირველი №-ს მიღებისთანავე და ამ ფასის ანგარიშში მთელი წლის განმავლობაში იღებს ცალკე №№-ს. მეორე მხრივ განა კომპლექტის ყველა №№-ში ერთ ფასს იხდის ბიბლიოთეკა? როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ სხ. და სხ. დროს შექმნილი ცალკე №№-ბი ერთი ფასი არ უჯდება ბიბლიოთეკას. ყველა ამას დაუმატოთ პერიოდულობის სხვადასხვაობა (წელიწადეულები, კვარტალური, ყოველთვიური, დეკადური, ექვსდღიური და ყოველდღიური პერიოდული გამოცემები), №№-ს რეგულარული და არარეგულარული გამოცემა (წმინდა სახის და არა წმინდა სახის „შრომების“ „უწყებებისა“ და სერიალური გამოც. ტიპის პერიოდისა), პერიოდ. გამოცემების სახელწოდების შეცვლა, გამოცემების გაერთიანების და დამატების საკითხები, რომ ჩვენთვის გასაგებია ვახდენს ის გარემოება, რომ პერიოდის ინვენტარიზაციისათვის დღესაც არ არის გამოუმუშავებული ინვენტარის ცოტათი თუ ბევრად ერთგვარი სახე. არის ცდა სხ. და სხ. ბიბლიოთეკაში ინვენტარის ფორმის გამომუშავებისა, მაგრამ ამას ადგილობრივი ხასიათი აქვს.

ამ წერილის მიზანია საბიბლიოთეკო ლიტერატურაში და ტფილისის ზოგიერთ ბიბლიოთეკებში არსებული ინვენტარის ფორმების აღწერა და მათი როგორც დადებით, ისე უარყოფითი მხარეების განხილვა.



I ფორმა—პერიოდიკის ინვენტარიზაცია წიგნებთან ერთად. ამ შემთხვევაში პერიოდიკასაც წიგნების ინვენტარში ატარებენ. ე. წ. „სკელ“ ჟურნალებს შილებს-თანავე სწერენ ცალკე ინვენტარის №-თ თითოეულ ყდას, როგორც წიგნს. წერილ-ჟურნალებს, ბიულეტენებს და სხ. ამგვარ გამოცემებს წლის განმავლობაში აღრიცხავენ საკონტროლო კარტაებზე, ხოლო წლის ბოლოს მთელი წლის კომპლექტს ერთ ინვ. №-თ გაატარებენ ინვენტარში. ამ სახის ინვენტარი სხვადასხვა ვარიანტებით მოჰყავთ კოლექციის და მეცნიერების საბიბლიოთეკო სახელმძღვანელოში 1923 წ. გამოც., ხაყინას—საბიბლიოთეკო სახელმძღვანელოში, ბალიკას. („Кр. ბიბლ.“ 1924) ტოლკაჩოვის („Кр. ბიბლ.“ 1932). კირილოვის („Кр. ბიბლ.“ 1933),

რა გვეთქმის ინვენტარის ამ ფორმაზე? პატარა ბიბლიოთეკებში, სადაც სულ რამდენიმე სახელწოდებაა, შეიძლება ვაწარმოოთ პერიოდიკის ინვენტარიზირება წიგნებთან ერთად. მაგრამ ძირითადად ეს არ არის მისაღები. როგორც წიგნებიდან პერიოდიკის გამოყოფა საჭირო, ისე მისი ინვენტარიზაციაც ცალკე უნდა სწარმოებდეს მით უპეტესს, რომ როგორც ქვევით დავიხაზავთ, პერიოდიკის ინვენტარის ფორმა განირჩევა წიგნების ინვენტარის ფორმისაგან.

II ფორმა—პერიოდიკის წიგნი—ინვენტარი, რომელიც გათვალისწინებულია 1 წლისათვის. ამ წიგნის თითოეულ ფურცელზე ადგილი აქვს დათმობილი თითო ასოს (წიგნი „ალფაბეტი“) და ანბანურ რიგზე იწერება ამათუი წლისათვის გამოწერილი პერიოდიკა. ინვენტარს აქვს შემდეგი უჯრები (გრაფები): 1) გამოც. ტომოგრაფიული № 2) სახელწოდება და ქალაქი 3) გამოცემის წელიწადი 4) №№ 5) კომპლექტის ფასი 6) შეტენის საბუთი 7) რამდენი კომპლექტია გამოწერილი 8) შენიშვნები. თუ ერთ ასოზე ბევრი სახელსოდება არის გამოწერილი (მაგ. ж, с, т) შეიძლება ორი ფურცელიც დაეთმოს, პირიქით, როდესაც ერთ ასოზე ცოტა სახელწოდებაა (x, u, y, e, ж) ერთ ფურცელზე ორი-სამი სახელწოდება მოთავსდება. ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე გამოქმული პერიოდიკა ერთ წიგნში იწერება ცალკეაღკე „ალფაბეტიში“ ე. ი. წიგნი გაყოფილია 3 ანბანად. ბიბლიოთეკის მიერ გამოწერილი პერიოდიკა გადაიწერება ამ წიგნში მაშინ, როდესაც ხელისმოწერა უკვე გაფორმებულია და ფული ვადარიცხული და მიღების სრული გარანტია არის. თუ რომელიმე სახელწოდებაზე ბიბლ. ჯარი მიიღო და ფული დაუბრუნდა, სათანადო შენიშვნაში აღინიშნება. წლის განმავლობაში დამატებით გამოწერილი სახელწოდებები ან სხ. გზით შეტენილი პერიოდიკა ჩაემატება წიგნში სათანადო ანბანის დაცვით. ზომით წიგნი 32×23 არის. ყოველწლიურ აღრიცხვისა და მიმდინარე ცნობებისათვის ინვენტარის ამ ფორმას აუცილებლად ღირსეუბები აქვს, მაგრამ რა თქმა უნდა ამ ფორმას დამატებით დაემატება ვერ ჩავთვლით, რადგან დროებით ხასიათს ატარებს და პერიოდულ გამოცემის კომპლექტებს არ ეძლევა საბოლოო საინვენტარო №, რაც ინვენტარიზაციის ძირითადი კანონია. სწორედ ამ მიზეზით ეს ფორმა, რომელიც გამოვიმუშავეთ 1929 წელს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერიოდიკის ინვენტარიზაციისათვის შეცვლილია სხვა უფრო რაციონალური ფორმით). ასეთივე სახის ინვენტარი ცოტაოდენ ცვლილებებით შემოიღო იმ წლებში საქ. უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლის ბიბ-კამ.

ინვ. №	ტომ. ნომერი	ხ ა ზ ე ლ წ ო ა დ ე ბ ა	გამოწ. წელ.	№№	ბარეზ. №№		კომპ. ფასი		შეძენის საბუთი	შინაშეგები
					მან.	კაბ.	მან.	კაბ.		
211	კ. 147	მ ნ ა თ თ ბ ი ტ ჯ	1935	1-12					გამოწ. ქვ. 29915	
212	-	"	-	1-12					სავალდ. გვ.	
213		"	1936						გამოწ. ქვ. 11275	
214		"	1934	1-12					გაცვლით მიხდ.	
215		საბჭოთა ხელოვნება	1936						გამოწ. ქვ. 11275	
216		ბოლშევიკი	1936						"	
217		აბაღაზრდა ბოლშევიკი	1936						"	
218		პარტმშენებლობა	1935						სავალდ. გვ.	
219										
220										
221										
222										
223										
224										
225										
226										
227										
228										
229										
230										
231										
232										
233										
234										
235										
236										
237										
238										
239										
240										

III მეტად საინტერესო ფორმა პერიოდიკის წიგნური საბის ინვენტარისა გამოიხევა ცენტრარქივის ბიბლიოთეკისათვის ე. ლ. ბროსხემ. იგივე ფორმა შიილა ცოტა ცვლილებებით რუდენკომ ინდუსტრიალურ ინსტიტუტის ბიბლიოთეკისთვის.

ე. ბროსეს მიერ შემუშავებული ინვენტარი შემდეგი უჯრებისაგან შესდგება: 1) თარიღი (როდის გატარდა ინვენტარში) 2) ინვენტარის № 3) სახელწოდების № 4) შიფრი 5) სახელწოდება. გამოც-ადგილი. 6) გამოცემის წელიწადი. 7) რაოდენობა № № 8) რამდენი № აკლია კომპლექტს 9) რამდენი ყდაა 10) დაუკანე № № რაოდენობა 11) კომპლექტის ფასი. 12) თითოეულ № ფასი, 13) რეალური ფასი 14) დუბლეტების რაოდენობა № № ც. 15) კომპლექტის შევსების თარიღი 16) კომპლექტის შევსების № ცალი. 17) შექმნის წყარო 18) შენიშვნები.

ამ ინვენტარის ძირითადი აზრი ის არის, რომ ინვენტარში აღნიშნულია არა ის, თუ რა და რა № № არის კომპლექტში, ე. ი. სპეციფიკაცია არამედ პირდაპირ № №-ს რაოდენობა სამაგიეროდ ყოველთვის ნათლად ჩანს კომპლექტის ხარვეზების რაოდენობა, რადგან კომპლექტები სისტემატიურ შევსებას მოითხოვენ, რაც ჩვეულებრივ შენიშვნებში აღინიშნება; ამ ინვენტარის დამახასიათებელი ის არის, რომ შენიშვნების მაგიერ ამისათვის გამოყოფილია ცალკე უჯრა. დუბლეტებისათვისაც ცალკე უჯრა არის გამოყოფილი, ასე რომ ინვენტარში ტარდება მხოლოდ ძირითადი ფონდი, ხოლო დუბლეტები აღრიცხულია აქვე და კომპლექტების შესავსებ ერთგვარ მარაგს წარმოადგენს. ამ ინვენტარის დადებითი მხარე აუცილებლად ის არის, რომ საკმაო ზუსტად აღნიშნავს ინვენტარიზაციის ყველა მომენტებს. როგორც დუბლეტების და ხარვეზების, ისე ფასის საკითხში, აუცილებლად გათვალისწინებულია პერიოდიკის სპეციფიკური თანსებურებანი, მაგრამ საკმაოდ ბევრ დროს კი წაართმევს ბიბლიოთეკარს ამ ინვ-თ მუშაობა.

IV პერიოდიკის ინვენტარი ფორმით წიგნი დამხმარე სააღრიცხვო საკონტროლო კატალოგით შემოღებულია ე. მარქსის სახელობის საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში. შემოსული პერიოდული გამოცემა იწერება წიგნში შემდეგი უჯრებით: 1 (ინვ. № 2) სახელწოდება ქალაქი, 3) წელიწადი. ინვენტარის 1 ნომერი ეძლევა 1 წლის კომპლექტს. ინვ-ს № № თანმიმდევრობით მიდიან, როგორც წიგნის ინვ.-ში. გარკვეული წლის პერიოდული გამოცემის პირველი № იწერება ინვენტარში შემოსვლისთანავე და ყველა დანარჩენ № №-ს წლის განმავლობაში ეძლევა საერთო ინვენტარის №. სპეციფიკაცია (№ №-ს ჩამოთვლა) სულ არ ხდება ამ ინვენტარში არამედ იგი ცალკე სააღრიცხვო კარტაქებზე სწარმოებს—ასე, რომ ეს ინვენტარი ერთგვარი რეესტრის როლს ასრულებს საკონტროლო კატალოგისათვის და ორივე ერთად გვაძლევს ინვენტარს. პერიოდიკის ინვენტარიზაციის სიძნელებებს, რაც ზემოდ იყო აღნიშნული (კომპლექტების შევსების და ფასის საკითხი ეს ფორმა ყველაზე მარტივად და მოხერხებულად სჭრის. წიგნ-რეესტრში არ შეაქვთ ფასი სრულიად და ამით სწყვეტენ ფასის სიძნელებებს. სამაგიეროდ დამუშავების პერიოდში, როდესაც გადააბარებენ წიგნსაცავს აქტივთ აღნიშნავენ ლირებულებას და ამგვარი ანგარიშით ყოველთვის შეუძლიანთ ფონ-

დის შეფასების სწორი ცნობის მიცემა. რადგან კომპლექტების № №-ს სპეციფიკაცია ჩამოთვლილი არ არის, ამისათვის აცილებული აქვს ამ ინვენტარის № №-ს ჩამატება ან შენიშვნაში გამოკლებაზე ფიქრი.

ამ ინვენტარის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, იქ სრულიად არ არის აღნიშნული „შეძენის საბუთი“. მართალია, ტფ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა ძირითადად იღებს სავალდებულო ეკზემპლიას და ეს ისე მწვავედ არ აგრძობინებს ამ უჯრის უქონლობას, მაგრამ ალბად ამ ბიბლიოთეკასაც უხდება ძველი ფონდის დამუშავება, ძველი კომპლექტის მიღება, ან შეძენა ყიდვით გინდა შემოწირულებით, ან ნაწილობრივ გამოწერით. ამისათვის ამ უჯრის დამატებით ინვენტარი არ წააგებდა. იგივე ბიბლიოთეკის სპეციფიკური პირობებით უნდა აიხსნას „ფასის“ უჯრის უქონლობა, თუმცა ფასის მხრივ პერიოდიკის დამუშავება უნდა ითქვას კარგად არის გადაწყვეტილი ზემოაღნიშნული მეთოდით, მაგრამ. ინვენტარის წიგნში მაინც როგორმე უნდა იყოს შეფასების მომენტი გათვალისწინებული.

V ფორმა ძირითადად იგივეა, რაც მეოთხე, შემუშავებულია თბ. სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის ჩვენს მიერ მ. ცისკარიშვილის მონაწილეობით. აქაც წლიური კომპლექტი იღებს ერთ ინვენტარის №-ს. უჯრა 1) ინვენტარის № № იწერებიან თანმიმდევრობით, როგორც წიგნის ინვ.-ში. არარეგულარულად გამოსული პერიოდული გამოცემანი, ან ისეთები, რომელნიც ატარებენ არა წმინდა პერიოდიკის სხვა დამახასიათებელ თვისებებს, ჩაიწერებიან არა წლიურ კომპლექტებად, არამედ ტომობრივ და თითოეული ყდა ცალკე ინვენტარის №-ს იღებს, ხოლო თუ ტომი შეიცავს ნაკვეთებს ყველა ნაკვეთები 1 საინვ. №-ს მიიღებენ. რომ ტომი მთლიანია, ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ ტომის უკანასკნელ ნაკვეთის შემდეგ ჩვეულებრივ გამოდის ხოლმე საერთო თავფურცელი ყველა ნაკვეთებისათვის. სერიალური გამოცემებიც, რადგან არარეგულარულად გამოდიან, ცალკე ინვენტარის №-ს მიიღებენ. 2) პერიოდ. გამოცემის ტაოგრა. ნიშანი. 3) სახელწოდება. ქალაქი. 4) გამოცემის წელი. 5) კომპლექტის სპეციფიკაცია არ იწერება პირველი №-ს მიღებისთანავე. სახელწოდება გატარდება ინვ.-ში, რომ წლის განმავლობაში კომპლექტს ინვენტარის № ჰქონდეს. წლის ბოლოს სააღრიცხვო კატალოგიდან შეჯამებული სპეციფიკაცია გადადის ინვ.-ში, თუ კომპლექტი ხარვეზიანია აღინიშნება დანაკლისი № № სპეციფიკაციისა საერთო წესის მიხედვით. ვახუთების სპეციფიკაცია ინვენტარში სრულებით არ იწერება. იქ აღნიშნულია მხოლოდ რამდენ ყდად არის აკინძული, ან შეკერილი კომპლექტები. 6) ფასი იწერება მთელი კომპლექტისა. ხარვეზების შემთხვევაში ფასი მაინც მთელ კომპლ. იწერება, ხოლო ხარვეზიანი კომპ. ფერადი ფანქრით აღინიშნება. 7) შეძენის საბუთი ინვენტარისათვის საერთო წესით აღინიშნება. 8) შენიშვნებში აღინიშნება გამოცემის სხვა და ხარვეზიანი გზით გასვლა ბიბლიოთეკიდან, ჟონებიდან ჩამოწერა. ინვ. ფურცელი ზომით არის 36×28. იწერება ორივე გვერდზე, თითო გვერდზე 30 სტრიქონია.

უდავო ღირსება ამ სახის ინვენტარის, ისევე, როგორც შეოთხისაც არის ინვენტარის № №-ს თანმიმდევრობა. ინვენტარის ბოლო ნომერი ყოველთვის გვიჩვენებს კომპლექტების რაოდენობას ბიბლიოთეკაში—ამით იგი ახლო დგას

Լեզվաբանական թանգարանի ցուցակ  
 Կառուց. Բաժնի 1931 -



մզ. թվական տարեթիվ	մզ. №	գրքի Ս. Էջեր	ԶԳ. №	Կրկնը տարեթիվ	Գրքի կրկնը Կ.Տ. ԳԻՏ.	Գրքի տեսակ	Գրքի փոխառում	Ընդհանուր	Գրքակազմ
1936 10/III	1	1930	1 - 12			ճ. քերական			
"	2	1931	1-10			"			
"	3	1932	1-12			"			
"	4	1933	1-12			"			
"	5	1934	1-12			Կրկնը, 1936:			
"	6	"	" "			Կրկնը, 1936:			
1935 I, V	7	1935	" "			"			
"	8	"	" "			Կրկնը, 1936:			
"	9	1936				Կրկնը, Կ. 11325			
"	10	"				Կրկնը, 1936:			

ԵՊՀ ԳԻՏ. ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ

წიგნ—ინვენტართან. ძველი ფონდის აწერისას ერთი სახელწოდების კომპლექტები თანმიმდევრობით აიწერება და ერთად მოექცევიან, ხოლო შემდეგ შეძენილი ან მიმდინარე კოპილები სხვა და სხვა ადგილას მოხვდებიან ინვენტარში. ასე რომ ერთი სახელწოდების ერთად მოქცევა ძველ ფონდებში ნაწილობრივ მიღწეულია, ხოლო მიმდინარე პერიოდიკაში ეს დარღვეულია.

VI ფორმა წარმოდგენილია პრაქტიკის სახით. თითოეული სახელწოდება იწერება ცალკე ფურცელზედ. მართალია გვეტყვიან, რომ ინვენტარის ამოცანა არ არის აუცილებლად ერთად მოათავსოს ერთი სახელწოდების ჩაწერა. პერიოდიკის ძირითადი თვისება, როგორც აღვნიშნეთ მისი პერიოდულობაა. რამდენი წელიწადიც არ უნდა გამოდიოდეს, იგი ერთ მილიან ერთეულს წარმოადგენს. მას თავისი არსებობის ისტორია აქვს ბიბლიოთეკაში. სახელწოდების გაცელის, სახელწოდების შეფასების, სახელწოდების შემოწმების და სხვა შემთხვევებში. ფონდის შემოწმება მხოლოდ ასეთი ინვენტარის მიხედვით ხდება. იღეა პერიოდიკის კომპლექტების ერთად გაერთიანებისა ინვენტარში თავისთავად საინტერესოა და ახალი ამ ფორმას აუცილებლად დამუშავება, და რაც მთავარია, პრაქტიკაში გამოცდა სჭირდება.

ინვენტარის ამ ფორმას შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: თითოეული სახელწოდება ცალკე ფურცელზე იწერება. თავზე იწერება სახელწოდება, ქალაქი და გამოც. პირველი და ბოლო წელიწადი (предельные даты). მარჯვენა, ზემო კუთხეში ტაოგრაფიული ნიშანია. 1) პირველ უჯრაში იწერება კომპლექტის ჩაწერის თარიღი. 2) ინვენტარის № ამ სახელწოდების ფარგლებში. კომპლექტი იღებს 1 საინვენტარო №-ს. 3) გამოც. წელი, კომპლექტის ფასი, შეძენის საბუთი და შენიშვნები ჩაიწერება პერიოდიკის ინვენტარიზაციის ზემოდმოყვანილ წესით. სირთულეს იწვევს „სპეციფიკაცია“ ხარვეზიანი კომპლექტისა. თუ ბიბლიოთეკამ რამდენიმე ხნის წინად მიიღო ვთქვათ მე 45-ე კომპლექტის ხარვეზი იგი ახალ ადგილას დაიწერება, ფაქტიურად შემოსვლის თარიღით და შემოსავლის წყაროს ჩვენებით, ხოლო კომპლექტის № იგივე დაიწერება, რომლის ხარვეზიც იგი არის ე. ი. 45, თუმც შეიძლება 47-ს მერე მოხედეს. ინვენტარის მიზანი უფრო არის მოგვეცინ ცნობა თუ რა გზით შემოვიდა ბიბლიოთეკაში, როდის და რა ღირს ვიდრე ის, რომ ერთად იყოს, ეს № გაერთიანდება ყველა კატალოგში, გარდა ინვენტარისა.

უჯრაში: გასული პერიოდიკა აღინიშნება რომელი №, ან კომპლექტი გავიდა ბიბლიოთეკიდან და რა მიზეზით. აქვე პატარა უჯრაში გასული პერიოდიკის ღირებულება აღინიშნება და ბოლოს—შენიშვნები. ფურცლები ამ ინვენტარისა ტაოგრაფიული თანმიმდევრობით აწყვიან. ზომით—21×28.

მთავებული პერიოდიკის ინვენტარიზაცია (ის გამოცემები, რომლებიც აღარ გამოდიან) არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან ეს გამოცემები აღარ გამოდიან და ადგილის მარაგს წინასწარ ვივარაუდებთ. ამგვარი ინვენტარი აკინძულ საინვენტარო წიგნს წარმოადგენს. რაც შეეხება ისეთ გამოცემებს, რომელნიც გამოსვლას განაგრძობენ, აკინძულ წიგნში ვერ გავატარებთ, რადგან არ ვიცით კიდევ რამდენ ხანს იარსებებს ეს გამოცემა და შეიძლება ფურცლის ჩამატება

დაგვირდეს-გარეგნულად ამ ინვენტარის ჩვეულებრივი ბლოკ—ბარათული კატალოგის სახე ექნება.

რა უზერხულობას ხედავენ ამ ინვენტარის ფორმაში? წიგნ-ინვენტარის მონხრები გვეტყვიან, რომ ახალი ფურცლის ჩართვას მოითხოვს და ეს შეუძლებლად გახდის წინასწარ პავინაციას, რაც ინვენტარისათვის აუცილებელია, მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ფურცლები ტოპოგრაფიული №-ს მიხედვით აწყვია, ასე რომ ყველა ფურცლის მარჯვენა კუთხეს აქვს №. თითო ფურცელზე 30 კომპლექტი ეტევა (15 სტრიქონი თითო გვერდზე) ასე რომ ბევრი არ არის 1 ფურცელი მეტი, თუ მთელი სახელწოდება ამოგლიჯეს, (რახედაც მიგვითითებენ წიგნ ინვენტარის მოხრებები), გამოირკვევა, რა არის ამოღებული ტოპოგრაფიული №№-ს საშუალებით. თუ ამოიღეს მეორე, ან სხვა გავრძელების ფურცელი, ამის გამორკვევაც ადვილია, რადგან „იხ. შემდეგი ფურც“. მუდამ იწერება ისინი დანომრილია, მაშ, ბოროტმოქმედება გამოირკვევა. რაც შეეხება ამოხვევის ფაქტს, ამისაგან წიგნი ინვენტარიც არ არის დაზღვეული. მართალია ეს ინვენტარი არ გვაძლევს ცნობას კომპლექტების რაოდენობისას სამაგიეროდ მხოლოდ ეს ინვენტარი გვიბასუბებს, რამდენი სახელწოდებაა ბიბ-ში პერიოდ გამოცემისა.

დადებით მხრეებთან ერთად ამ ინვენტარის უარყოფითი მხარეებიც აქვს ძირითადი ის, რომ ინვენტარის №№-ს თანმიმდევრობა დარღვეულია ყველა სახელწოდების ფარგლებში ცალკე №№-ს შიღებით. შეიძლება ინვენტარის წიგნში ჩაეყროთ სპეციალური ფურცლები, სადაც ინვენტარის №№ ჩამოიწერება საერთო თანამიმდევრობით და ყოველ ახალ კომპლექტს მორიგი საინვენტარო № მიეცემა სახელწოდების მიუხედავად, მაგრამ ესეც არ გვაძლევს ინვენტარის №№-ს მთლიან სახეს, მეორე უზერხულობა ის არის, რომ ბევრი პერიოდ. გამოცემების მხოლოდ ერთიან ორი—სამი კომპლექტის გვაქვს. ამისთვის—კა მთელი ფურცელი უნდა დაეხარჯოთ—ამგვარად ინვენტარი ცარიელი (შეუესებელ) ფურცლებით დაიტვირთება. ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც ათასობით არის სახელწოდება, ამ ინვენტარის მოხმარება უზერხულოა. პატარა ბიბლიოთეკაში—კი შეიძლება ინვენტარის და ტოპოგრაფ. კატალოგის როლი ითამაშოს, რაც ფონდის შემოწმებას გაამარტივებს. ამ მხრივ იღეა ამგვარი ინვენტარის საინტერესოა.

## II

გადავიდეთ პერიოდიკის დაწყობის საკითხზე. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში 2 ძირითადი სახე. დაწყობა სისტემატიზაციის პრინციპით დაწყობა თანრიგობის პრინციპით.

პერიოდიკის სისტემატიზაციის პრინციპით დაწყობა სხვადასხვა სახისაა:

1. შინაარსის მხრივ პერიოდიკის დაწყობა გვხვდება ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც წიგნები დაწყობილია სისტემატიურად და ყოველ განყოფილებას თავისი შინაარსის ჟურნალები იქვე აქვს მოთავსებული. აქ ბევრი არაფერი გვეთქმის, რადგან საერთოდ პერიოდიკის გამოყოფა წიგნების ფონდიდან აუცილებელია პერიოდულ გამცემის თავისებურობის გამო.

შინაარსის მხრივ დაწომა გვხვდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც პერიოდის გამოყოფილია წიგნებისაგან და დანაწილებულია კოლექციებით შინაარსის მიხედვით. თითოეული განყოფილების ფარგლებში ეურნალები აწყვეია ანბანურად, ან ცალკე ნუმერაციით. მართალია ერთნაირი შინაარსის პერიოდის ამგვარ დაწოების დროს ერთად ლაგდება (რაც დადებით მხარეთ უნდა ჩათვალოს) მით უმეტეს სპეციალური ხასიათის ბიბლიოთეკაში სადაც იქნებ ეს დაწომა გამართლებული უნდა იყოს, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ დაწოების ნაკლი, რაც აიძულებს ბიბლიოთეკას იგი უარპყოს.

ჯერ ის, რომ პერიოდისა ნაწილდება პატარა განყოფილებებად ცალკე ნუმერაციით, რაც არღვევს პერიოდის მთლიანობას მით უმეტეს, რომ (ისედაც ნაწილდება პერიოდისა, ვაზეთები ცალკე გამოიყოფა) რაც ნაკლებია ბიბ-ში ცალკე შიფრები და კოლექციები ბუშაობა უფრო მარტივია. მკითხველის თაროებთან თავისუფალ მისვლის დროს კიდევ აქვს აზრი იმ დაწობას, ჩვენ-კი ვიცით რა მანვრა მკითხველის მიყვანა პერიოდის თაროებთა. მკითხველი (მალალი გვალისფიკაციისაც რომ ავილოთ) ჩვეულებრივ საიდანაც აიღებს კომპლექტს, ან № იქ აღარ დასდებს ან რაც უფრო ხშირია, რამდენიმე კომპლექტს გადმოიღებს და ისე ერთმანეთში არეულს დასტოვებს. თავისუფალი მისვლა მკითხველისა ჯერ წიგნებთან და მერე პერიოდის სტელაჟებთან აუცილებლად უნდა აღკრძალოთ. პერიოდის სისტემატიური კატალოგი უპასუხებს მკითხველს, თუ რა სახელწოდების გამოყენანი მოიპოვება ამა თუ იმ დარგში. ეს საკმარისია მკითხველისათვის. ხშირად ამბობენ, რომ მკითხველს არ ახსოვს რა №-ში არის მოთავსებული წერილის. ამისათვის რუსულ ფონდში დაეხმარება ნაწილობრივ „Журнальная летопись“. ძველ ეურნალების საძიებლები და ბოლოს ბევრით სჯობს მკითხველს მიეაწოდოთ კომპლექტი, ვიდრე იგი მოვიყვანოთ თაროსთან.

**2. ქრონოლოგიური პრინციპით სისტემატიზაცია** არის მეორე სახე სიტემატიზაციის პრინციპით დაწობისა. ქრონოლოგიური დაწომა იხმარება ჯერ პერიოდის დაწობის თითქმის ყველა შემთხვევებში ერთი სახელწოდების ფარგლებში, რადგან როგორი დაწობაც არ უნდა ავილოთ თითოეული სახელწოდება დაწობილია წლების თანმიმდევრობით.

ბ) არის შემთხვევა, როდესაც ბიბლიოთეკა წლიურ კომპლექტებად ანაწილებს მთელ ფონდს. მაგ. 1933 წლის ყველა სახელწოდების ეურნ. ერთად, 1934 ერთად, 1935 ერთად და ა. შ. ეს სახე დაწობისა მისაღები არ არის, რადგან ერთი სახელწოდების ეურნალის ან ვაზეთის რამდენი ბანიც არ უნდა გამოდიოდეს, ერთად მოთავსება აუცილებელია.

გ) ქრონოლოგიური დაწობის შემთხვევა გვაქვს თ. ს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, სადაც ქართული ეურნალები აწყვეია გამოცემის პირველი წლის თანამდევრობით. მაგ. 1) ცისკარი—(დაიწყო გამოსვლა 1852 წ.) 2) გუთნის დედა (დაიწყო გამოსვლა 1861 წ.) 3) საქართველოს მთამზე (დაიწყო გამოსვლა 1863 წ.) 4) სასულიერო მახარებელი (1865 წ.) 5) მნათობი (1869 წ.) კრებული (1871 წ...) და ა. შ. რა თქმა უნდა აქ დაწობისას ძირითადად თანრიგობითი პრინციპია აღებული (რახედაც ქვემოდ გვექნება საუბარი) ხოლო ძვე-



ლი ფონდის ცალკე მოთავსების მიზნით ასე დავაწყეთ და მექანიკური შიფრი მივეცი. რაც ძველი სახელწოდებები გამოჩნდა, მათ შეძენის შემდეგ, რა თქმა უნდა, ახალ შიფრს მიიღებენ და მორიგ №-თ წაელენ.

დ) ქრონოლოგიური პრინციპი ძირითადად შეიძლება გამოვიყენოთ პრესის დალაგების დროს. მაგ. ქართული პრესა 1905 წ-დე. 1905—1910 წ. პერიოდი, 1911—1916 წ. 1917—1920. 1921—1935... ქრონოლოგიურ დაწყებას მნიშვნელობა აქვს მკითხველის თაროებთან თავისუფლად მისვლის დროს. მაგრამ რადგან ამის საწინააღმდეგო აზრი ზემოდ არის დასაბუთებული, მკითხველს ქრონოლოგიური კატალოგი უპასუხებს, თუ რა სახელწოდება გაზეთები გამოდიოდა გარკვეულ პერიოდში.

**3. ტოპოგრაფიული სისტემატიზაციის პრინციპით დაწყობა, როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, ხდება გამოცემის ადგილის მიხედვით. რა თქმა უნდა, რომ ამ სახეს ჩვენ ძირითადად ფონდისათვის ვერ გამოვიყენებთ. შეიძლება მაგალ. რაიონის გაზეთები დაიწყოს ტოპოგრაფიულად იქ, სადაც ვისმეს უხდება მათზე სპეციალური მუშაობა და თაროებთან მისვლა. მკითხველს ხშირად უფრო ის ახსოვს, სად გამოდის, ვიდრე მისი სახელწოდება. მაგ. აბაშა, აგარა, ბორჯომი, გორი, გომი, დუშეთი და ა. შ. ეს პრინციპი მოვიხსენიე, რადგან შესაძლებელია ბიბლიოთეკარმა განსაკუთრებულ პირობებში იგი გამოიყენოს. სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ, სადაც რაიონის გაზეთებს ამუშავებს ბიბლიოთეკა, აუცილებლად უნდა იყოს კატალოგში ჩართული არა მარტო მათი სახელწოდების კარტაკები არამედ გამოცემის ადგილის სახელწოდებებზე შედგენილი დამატებითი აღწერილობაც.**

**4. ანბანური სისტემით პერიოდიკის დაწყობა ყველაზე მეტად არის გავრცელებული. ამისთვის საჭიროა მისი განხილვა და შეფასება. ანბანურად დაწყობა გვხვდება შინაარსის მიხედვით სისტემატიზაციის დროს, სადაც თითოეული განყოფილების ფარგლებში გამოცემები ანბანურად ლაგდებიან. ანბანურ დაწყობას ვხვდებით ტოპოგრაფიული სისტემატიზაციის დროს, სადაც სახელწოდების გამოცემის ადგილები ანბანურად არის დაწყობილი—და ბოლოს მთელი პერიოდიკის ფონდი არის ხოლმე დაწყობილი ანბანურად. მას აუცილებელი ღირებულებები აქვს, რომ ანბანურმა პრინციპმა ასე გაიღვა ფესვები პერიოდიკაში. პატარა ბიბლიოთეკებში, სადაც ათიოდე სახელწოდების პერიოდული გამოცემები გვაქვს, შესაძლებელია პირდაპირ დავაწყოთ ანბანურად პერიოდიკა, ტოპოგრაფიული შიფრი მას არ მიეკეთ (ინვ. გეტარდება და დაითევება) და მექანიკურად მოვებნათ. ანბანურად შეიძლება დავაწყოთ აგრეთვე მიმდინარე პერიოდიკა, სანამ მას ძველ ფონდს შევეერთებთ. მაგრამ ანბანურად დაწყობა ძველი ფონდისა იმ ბიბლიოთეკაში, სადაც პერიოდიკა საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი, მიზანშეუწონელია. ანბანური დაწყება შეიძლება მოვიხმაროთ როგორც დამხმარე, სხვა რომელიმე დაწყობის დროს.**

ანბანურ დაწყობისას სახელწოდებების თანმიმდევრობით დანომრვა შეუძლებელია, რადგან ახალი სახელწოდებების მიღება სისტემატიურად ხდება ბიბლიოთეკაში. ამისათვის უნდა კეტერიის ტაბულები ვისმაროთ.

რომ კეტერმა — თავის დადებითი მხარეების გამო — საკმაოდ გაიდგა ფესვები ბიბლიოთეკაში, ამას თუნდ ისიც მოწმობს, რომ იგი ათჯერ გამოიკარუსულად რომ არ ავიღოთ 3 ნიშნიანი ტაბულები იგი ვადამუშავებულა უკრაინულ, ქართულ, თათრულ, ებრაულ, პოლონურ, ბელარუსულ ენებისათვის. სულ 30 გამოცემაა საერთო ტირაჟით 100,000.

რამდენად მიზანშეწონილია პერიოდიკისათვის კეტერის მოხმარება?

კეტერის ნიშანს სახელწოდება იღებს მისი პირველი სიტყვის პირველი მარცხლის მიხედვით. თუ რამდენიმე ერთი მარცხლით დაწყებული სიტყვა შეგვხვდა, მაშინ მოიხმარება ე. წ. „მოცურავე ნიშანი“ (скользящий знак). მაგრამ პერიოდიკას სწორედ ის ახასიათებს, რომ ერთი სიტყვით ბევრი სახელწოდებები იწყება. ამ მიზნით ვადავსინჯე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ანბანური კატალოგი, სადაც სიტყვა Журнал-ით 60 სახელწოდება იწყება „Труды“-ით 232 სახელწოდება, „За“-30 სახელწოდება, Красный 14, სიტყვა Zeitschrift-ით 105 სახელწოდება იწყება, იქიდან Zeitschrift für 65, Zeitschrift der 15, Jahrbuch der 8, Jahrbuch des 9, Jahrbuch für 11<sup>1)</sup>. ავიღოთ ქართული პრესა. „სახალხო გაზეთი“, „სახალხო ფურცელი“, „სახალხო საქმე“, და სხვ. ან კიდევ ისეთი სახელწოდებები, როგორიც: ლენინელი, ლენინის დროში, ლენინის გზით, ლენინური გზით, სიტყვა „წითელი“, „დამკვრელი“ და სხვ. მრავალი. კიდევაც ვისარგებლეთ ე. წ. „მოცურავე“ ნიშნით, რომელიც 9-დღე აღის, რომ ავიღოთ მარტრევი შემთხვევები. რომელი მოცურავე ნიშანი ვასტლებს ზემომოყვანილ 60, 232, 105 სახელწოდებაში? ეს მარტო დიდ ბიბლიოთეკებს არ ახასიათებს. დამახასიათებელია, რომ ოციოდე სახელწოდებაც რომ იყოს ბიბლიოთეკაში, აქაც უმეტეს შემთხვევაში ერთგვარად იწყება პერიოდ. გამოცემები ისე, რომ პატარა ბიბლიოთეკებში ანბანურად დაწყობის წინააღმდეგობის აზრს არ გამოვთქვამთ მაგრამ კეტერის საავტორო ტაბულების მოხმარება არ არის გამართლებული.

ანბანური დაწყობის მეორე უარყოფითი მხარე ის არის, რომ სახელწოდების გამოცვლის შემთხვევაში პერიოდული გამოცემები სხვ. და სხვა ადგილას მოხედებიან. მათი ტოპოგრაფიულად დაშორება-კი არ არის არაფრით გამართლებული. ვაფიქსირებ წინათ 1905—1910 წლის პრესა, სადაც გაზეთის 2—3 №-ს გამოსვლის შემდეგ დაიკეტებოდა და გამოდიოდა ახალი სახელწოდებით. უმეტეს შემთხვევაში ესენი ერთად არის აკინძული და მკითხველი ჩვეულებრივ ასეც მოიკითხავს ხოლმე მათ. ავიღოთ ჩვენი ც/ო „პრავდა“-ს ისტორია: 1912 წლის ცენზურის ქარცეცხლში იგი რამდენიმე სახელწოდებით გამოდიოდა.

„პრავდა“ 1912 წ. 23/IV (5/V) გამოვიდა. დახურეს 3/VII 1913 წ.

„Рабочая правда“ 13/VII-1913 — 1/VIII 1913 წ. გამოვიდა 17 ნომერი

„Северная правда“ 1/VIII-1913—7/IX 1913 „ 31 „

„Правда труда“ 11/IX-1913—1/X 1913 „ 20 „

„За правду“ 1/X-1913—5/XII 1913 „ 52 „

„Пролет. правда“ 7/XII-1913—21/I 1914 „ 34 „

<sup>1)</sup> ეს ციფრები ამოღებულია 1935 წელს. ეხლა გაცილებით მეტია.

„Путь правды“	22/II-1914—21/V 1914 წ.	გამოვიდა 92 ნომერი
„Рабочий“	22/V—29/V 1914	„ 6 „
„Трудовая правда“	23/V-8/VII—1914	„ 35 „

ასევე 1917 წელს 5/III დან—8/XI-დე იგივე გაზეთი გამოდიოდა „Правда“, „Листок правды“, „Рабочий и солдат“, „Пролетарий“, „Рабочий“, „Рабочий путь“, „Правда“.

ანბანური დაწყობის დროს თითოეული ეს სახელწოდება ცალ-ცალკე მოხვდება. თავის თავად პერიოდული გამოცემა სახელწოდებას რომ გამოიცვლის, სხვა ბიბლიოგრაფიულ ერთეულად ჩაითვლება, მაგრამ ზემოდმოყვანილ შემთხვევაში თუ ბიბლიოთეკამ შესძლო ამ სახელწოდებების მოგროვება რამდენად განმარტლებულია მათი სხვ. და სხვა ადგილზე გავზავნა. თუ გაზეთმა 2 წლის განმავლობაში 8 სახელი გამოიცვალა, 118 კონფისკაცია გადიტანა, ეს არ ნიშნავს, რომ იგი ერთად არ დაედევთ დაწყობის დროს. ავიღოთ ქართული იუმორისტული ჟ-ლი „ეშმაკის მათრახი“. 1908/1909 წლებში, იგი გამოდიოდა სახელწოდებებით დამოუკიდებელი ნუმერაციითაც „მათრახი“, „სალამური“, „მათრახი და სალამური“, „ეშმაკის სალამური“ ჩვენნი სალამური“ და სხვ. როდესაც მკითხველი მოითხოვს ამ სახელწოდებებს, იგი ჩვეულებრივ ყველას ერთად მოითხოვს და ყოველმხრივ გამართლებულია მათი ერთად დაწყობა. ასევე როგორ უნდა გავაყვავოთ 1909—10 წელს გამოსული „ერი“, „ჩვენი ერი“, „ქართველი ერი“, „საქართველოს მოამბე“, „ალმანახი მოამბე“, „ერი“, როდესაც მათ ჩვეულებრივ ერთად მოიკითხივს მკითხველი.

თუ მათ ცალ-ცალკე დაეაწყობთ სტელაქებზედ, ამით დაგვირდება ყდების დარღვევა (ჩვეულებრივად ერთად არიან აკინძულნი) თუ ერთად დაეაწყეთ, საკმაოდ ხშირია ეს მოვლენა პეროდიაში ანბანი დაირღვევა ან პეროდის კატალოგშიც სხ. დ სხ. ასოებით დაწყებულ სახელწოდებაც პირველი სახელწოდების კეტერის ნიშანი უნდა დაეწეროს. ეს კეტერის პრინციპს არღვევს. პირიქით, ისეთი სახელწოდებანი, რომელნიც მხოლოდ პირველ სიტყვის მსგავსებით ერთად თავს უყრიან, მეტად ართულებენ შიფრს. სულ სხვადასხვა ხასიათის გამოცემათა ერთად მოთავსება, რომელნიც მაგალითად სიტყვა „Курнал“-ით იწყებიან მათ ძებნა—და ადგილზე დაწყობას ართულებენ, ციფრების სქოლასტიკას ჰქმნიან.

ამგვარად განვიხილეთ სისტემატიზაციის პრინციპით დაწყობის სახეები. როგორც დაინახეთ, წმინდა სახით სისტემატიზაცია არ ხდება. საერთო უარყოფითი მხარე სისტემატიზაციის პრინციპით დაწყობისა არის მთლიანი თანმიმდევარი შიფრის უქონლობა, მისი დაქსაქსულობა. სისტემატიზაცია ანბანური მაგალითად რომ გამოვიყენოთ დამხმარეთ, ძალიან კარგი იქნება თანრიგობითი პრინციპით პერიოდის დაწყობის დროს, რომელსაც ებლა განვიხილავთ. ანბანური, სისტემატიური და ქრონოლოგიური კატალოგები მიუთითებენ მკითხველს პერიოდიაზე სისტემატიურ პრინციპითაც რომ არ იყოს დაწყობილი.

პერიოდის დაწყობა თანრიგობითი წესით პრინციპით მიზნად ისახავს დაწყობის გამარტივებას. ყოველი ახლად შემოსული სახელწოდება იღებს მორიგ

№-ს (Numerus currens) და ამ შიფრით რჩება სახელწოდება ბიბლიოთეკაში. სახელწოდების შიფრის მთლიანობა აქ დაცულია, რადგან შიფრის № 1-დან დაწყებული ბოლო №-დე თანმიმდევრობით მიდის და არ არის დარღვეული ცალ-ცალკე №№-თ, როგორც შინაარსის მიხედვით დაწყობის სისტემის დროს. ყველა დაწყობის დროს, გარდა თანრიგობით დაწყობისა შიგა და შიგ ემატება სხვა სახელწოდებები. აქ-კი, როგორც დაიწყება, ისე ბოლომდე თანმიმდევრობით მიდის შიფრის №№. შიფრის დაწერა ძალიან მარტივია. თუ ბოლო № 135 არის, შემდეგ დაიწერება 136, მერე 137 და ა. შ. რა თქმა უნდა, კეტერის ფორმულით ძებნაზე გაცილებით ადვილია თანმიმდევრობით დაწყობილ ჟურნალ-ბუნი ყოველ სახელწოდების №-ს პოვნა. დამრუნებულ პერიოდიკის დაწყობაც ძალიან ადვილია.

რომ ანბანური დაწყობის დადებითი მხარე გამოვიყენოთ, პერიოდიკის ფონდების დამუშავების დროს შეგვიძლიან დაგაწყოთ იგი ანბანურად და მექანიკური თანმიმდევრობით დავნომროთ. მართალია, ანბანი მერე დაირღვევა ნაწილობრივ, ახალი სახელწოდებები უკვე მორიგ №№-ს მიიღებენ, მაგრამ ძირითადი ფონდი და როგორც მოთავებული, ისე ის სახელწოდებანი, თუნდაც მიმდინარე, რომელიც აწერის დროს მოხვდა, ანბანური წესით იქნებიან დალაგებული. თანრიგობითი წესით დაწყობა და ანბანური, სისტემატური, ქრონოლოგიური და სხვ. კატალოგი — აი საუკეთესო სისტემა პერიოდიკის დაწყობისა მოზრდილ ბიბლიოთეკებში. ანბანური სისტემა იმით მოსწონთ, რომ უკატალოგოთაც მიაგნებ სახელწოდებასო, მაგრამ კატალოგში ჩაბედევა უფრო მარტივია, ვიდრე კეტერის მიხედვით დაწყობილის ძებნა. გარდა ამისა, პერიოდიკა ხომ თითო წიგნი არ არის, რომ ბევრი ეძებო? მეტ შემთხვევაში ეს არის კომპლექტების მასივი, რომელიც ადვილად ახსოვდება ადამიანს და ვისაც პერიოდიკაზე მუშაობა უბედა დაგვეთანხმება, რომ ანბანური დაწყობის გარეშეც ახსოვს სად რა სახელწოდებაა, და ბოლოს ჩვენ უფრო კატალოგები უნდა გამოვიყენოთ, ვიდრე მას გაურბოდეთ: მით უმეტეს, რომ როგორც დავინახეთ, ანბანურად დაწყობის გამოყენებაც შეიძლება თანრიგობითი წესით დაწყობის დროს.

გადავიღეთ ფორმატის საკითხზე პერიოდიკაში.

დომეინისკის მოჰყავს მაგალითი პერიოდიკის 6 ფორმატად დაწყობისა პეტერბურგის პეტრე დიდის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. საბიბლიოთეკო | ყრილობის შრომებში მოთავსებული ნორმალურ გვერდის პროექტის მიხედვით პერიოდიკა დაიყოფა 4 ფორმატად. პერიოდიკის 4 და 6 ფორმატად დაყოფა რაციონალური არ არის.

პერიოდიკის ფორმატების მიხედვით დაწყობის მაგალითად გვაქვს პროფ. ბარანსკის შუა აზიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მუშაობის 1928 წლის ანგარიში<sup>1</sup> პერიოდიკა დაყოფილია 2 ფორმატად. ძირითადი ფორმატი 30 სანტიმეტრამდეა, ჟურნალები მექანიკური წესით არის დაწყობილი. როდესაც მორიგი № დიდი ფორმატისაა, (30 სანტიმეტრს აღემატება), იმავე №-თ გადააქვთ დიდი ფორმატების სპეციალურ თაროზედ (რომელიც ჩვეულებრივ ქვედა

<sup>1</sup> Бюллетень Средне-Азиатского гос. университета 1928 № 18.

თარო არის ხოლმე). შეიძლება დიდი ფორმატისათვის ცალკე ნუმერაციის მი-  
ცემაც F ასო-ს აღნიშვნით (ფოლიანტი)• ჟურნალების 2 ფორმატად დაყოფა  
ბიბლიოთეკაში გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

დასასრულს კიდევ რამდენიმე სიტყვა პერიოდიკის დაწყობაზე. პერიო-  
დიკაში ჩვენ ვგულისხმობთ გაზეთებს, ჟურნალებს, არაწმინდა სახის პეროდულ  
გამოცემებს, როგორც „შრომები, უწყებები“ და სერიალური გამოცემანი. რა  
თარო არის ხოლმე). შეიძლება დიდი ფორმატისათვის ცალკე ნუმერაციის მი-  
თქმა უნდა, ბიბლიოთეკაში, რა სახის და ფორმისაც არ უნდა იყოს, გაზეთები  
ცალკე უნდა დაიწყოს. დაწყობილი უნდა იყოს აუცილებლად გაშლით და  
არა დაკეცილი (როდესაც იგი აუკინძავია). არის სპეციალური ტიპის სტელა-  
ები გაზეთებისათვის გამოსაწვევ უჯრებით, რომლებიც კარგად ინახვენ და იცა-  
ვენ გაზეთებს. მიუღებელია გაზეთების ვერტიკალურად დაწყობა აკინძვლებიც  
რომ იყვნენ, რადგან მძიმე კომპლექტი სწელება უდას. სამუშაოდ ეს დღესაც  
აცილებული არ არის ზოგიერთ ბიბლიოთეკებში. რაც შეეხება წერილ ჟურნა-  
ლებს, წლის განმავლობაში უმჯობესია ისინიც ვერტიკალურ მდგომარეობაში  
ინახებოდნენ, ვიდრე აიკინძებიან. სახელწოდებებ შუა ადგილის მარაგის დატო-  
ვება აუცილებელია. რაც შეეხება ენობრივ პრინციპს, ჩვეულებრივ — ქართულ  
ჟურნალებს ცალკე, რუსულებს ცალკე და სხ. ენებზე ცალკე აწყობენ. სადაც  
პერიოდიკის ფონდები საკმაოდ ბევრია, რა თქმა უნდა აუცილებელია ცალ-ცალკე  
დაწყობა ზემოთთქვანილ დაყოფით. იქ, სადაც არ არის ბევრი, ხომ არ იქნება  
ნიხანშეწონილი მათი გაერთიანება მექანიკური თანმიმდევრობის შიფრით, ცალ-  
ცალკე კოლექციების და მათი შიფრების თავიდან ასაცილებლად. ხომ აწყვია  
ბიბლიოთეკებში ბევრგან სხ. და სხ. ენის წიგნები თანმიმდევრობით? ესემა მხო-  
ლოდ საკითხს.

### III

გადავდივართ პერიოდიკის ერთეულის საკითხზე.

პერიოდიკის ერთეულებია:

1. მთელი სახელწოდება (ბიბლოგრაფიული ერთეული ფართე გაგებით)  
რამდენი წელიწადიც არ უნდა იარსებოს პერიოდულ გამოცემა, იგი მაინც 1  
სახელწოდებად რჩება.

2. წლიური კომპლექტი (საინვენტარო ერთეული). ყოველ ახალ წლიდან  
ახალ ნუმერაციის დაწყება, წლის ბოლოს მოთავება და ხელისმოწერის წლიური  
ფისი მოწმობს, რომ ჟურნალი, ან გაზეთი წლის განმავლობაში აკეთებს გარ-  
კვეთულ წრეს. ამისთვის სრულიად სამართლიანად საინვენტარო ერთეულად სწო-  
რედ წლიური კომპლექტი ითვლება, დუბლეტების კომპლექტებიც ცალკე საინ-  
ვენტარო №-ს ღებულობენ.

3. ტომი, ანუ უდა არარეგულარულად გამოსულ პერიოდიკის და სერიე-  
ბისა („შრომების“ „უწყებების“ და სხ. ამგვარი სახის). ერთეული უდა არის  
გაცემის ერთეულიც.

4. თითოეული ცალკე № შემოსვლის, დამუშავების ყოველდღიურ, ყოველ-  
თვიური და კვარტალური აღრიცხვის ერთეულია.

ერთი შეხედვით, უცნაურად გვეჩვენება ამდენი ერთეულების არსებობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პერიოდულ გამოცემის ხასიათს, რომ იგი მთლიან და მოთავებულ ხასიათს არ ატარებს ეს სხვადასხვაობა გასაგები გახდება. შეუძლებელია, რომ ჟურნალის ან გაზეთის ყველა №№-ს მიეცეთ თავ-თავისი №№-ისევე, როგორც შეუძლებელია ყოველ დღიური ცალკე №№-ს აღრიცხვა ვაჭარ-მოვით კომპლექტების №№-ით. შეიძლება თუ არა წლიური კომპლექტი ჩავთვალოთ დამუშავების ერთეულად? ესეც შეუძლებელია. კომპლექტის ცალკე №№ ჟურნალია, თუ გაზეთი მთელი წლის განმავლობაში შემოდიან ბიბლიოთეკაში სხ. დ სხ. დროს ამისთვის დამუშავების ერთეულად უნდა ცალკე № ჩავთვალოთ, ხოლო საინვენტარო ერთეულად წლიური კომპლექტი. მაგრამ წელიწადს ეკარგება მნიშვნელობა არარეგულარულ გამოცემებისთვის და თითოეულ ყდა იღებს 1 ინვენტარს№-ს.

დაცვის ერთეული, ანუ ყდა ძალიან ცვალებადია. ასაკინძ კომპლექტში მაგალითად ჩვენ ვიქვ ა 52 ერთეული; ავკინძაეთ და 1 ყდას მივიღებთ გაზეთის წლიურ კომპლექტში 301,302 ერთეულია, ავკინძაეთ და მივიღებთ 2, ან 4 ყდას, და ა. შ. ამისთვის აღრიცხვის წარმოება ყდების მიხედვით, რასაც ადგილი აქვს ხოლმე ბიბლიოთეკებში, შეცდომად უნდა ჩაითვალოს. საინვენტარო № ანუ წლიური კომპლექტი არის რაოდენ ნომის აღრიცხვის ერთეული.

ყველა ზემონათქვამიდან ცხადია, რომ პერიოდიკა რამდენიმე ერთეული აქვს. ეს ჩვენთვის უფრო სათვალამაინო გახდება, თუ ავიღებთ მაგალითს საფეიქრო წარმოებიდან. ფაბრიკაში მაგალითად, ნედლეულს — აბრეშუმს, მატყლს, ბამბას წონით იღებენ (აქ ერთეული კილოგრამია) მოქსოვილ პროდუქციას უკვე მეტრობლივ ზომავენ — ხომ არავენ იტყვის 3 კილოგრ. მაუდი, ან 1 კილოგრ. ბატისტი. (აქ ერთეულად მეტრია). ამ მასალიდან შეკერილ პროდუქციას უკვე ცალობრივ იხსენიებენ — ხომ არც ერთი მლაზის გამგე არ იტყვის, რომ გაჰყიდა 3 მეტრი პალტო, (გინდ 3 მეტრისგანაც იყოს შეკერილი), ან 6 მეტრი კაბა. ასეთი მაგალითების მოყვანა სხ. დ სხ. წარმოებიდან ბევრი შეიძლება.

მაშ ჩვენ პერიოდიკაში ვიღებთ დამუშავების და მუშაობის აღრიცხვის (ცალკე №) დაცვის და გაცემის (ყდების რაოდენობა), საინვენტარო (1 წლის კომპლექტი) და ბიბლიოგრაფიულს ფართე გაგებით (მთელი სახელწოდება).

ორიოდე სიტყვა პერიოდიკის აღრიცხვაზე:

პერიოდიკის დამუშავების ყოველდღიური აღრიცხვა დამუშავების ერთეულებით ხდება და ნორმებიც ამისდამიხედვით გამოიანგარიშება. ფონდების შემოწმება და პერიოდიკის გაცემა-დაცვის ერთეულების, ყდების მიხედვით ხდება (რამდენი ყდა აკლია, რამდენი გაიცა), ყოველწლიური აღრიცხვა უკვე კომპლექტების მიხედვით ხდება. (რამდენი კომპლექტი ანუ სინე ერთეული — შემოვიდა ამათუიმ წელს ბიბლიოთეკაში, რამდენი კომპლექტი არის ამ ბიბლიოთეკის პერიოდიკის ფონდი. და ბოლოს სახელწოდებების რაოდენობის აღრიცხვა აუცილებელია, რადგან ბუნებრივია კითხვა — რამდენი სახელწოდების ჟურნალი, ან გაზეთი მოიპოვება ბიბლიოთეკაში ამათუიმ ენაზე.

წერილის მოცულობა და შინაარსი ნებას არ მძლევს უფრო დაწვრილებით შევჩერდე პერიოდიკის მუშაობის დაგვემის და აღრიცხვის მეტად საინტერესო საკითხებზედ, — რომელნიც ძალიან აქტუალური არიან.

## СИСТЕМАТИЗАЦИЯ, ИНВЕНТАРИЗАЦИЯ И ХРАНЕНИЕ МУЗЫКАЛЬНЫХ ПРОИЗВЕДЕНИЙ

Разница описания музыкальных произведений и книг не в основных правилах, а в деталях, так как именно в деталях, описание музыкального произведения имеет свои особенности, требующие от нотографа не только знания этих правил, но и музыкальной подготовки. Краткая инструкция „Правила каталогизации музыкальных произведений“ изданная Институтом библиотековедения в Москве в 1932 году под редакцией Шамурина, дает ряд правил для описания этого рода произведений. Инструкция была мною проработана и правила описания всецело применены при обработке музыкальных произведений в Государственной публичной библиотеке Грузии.

При описании музыкальных произведений мною были применены некоторые изменения и дополнения, о которых я и скажу, но основной темой моей статьи является инвентаризация, классификация и хранение их, так как эти вопросы Инструкция не затрагивает совершенно.

Рассматривая попури, как не самостоятельные музыкальные произведения, Инструкция говорит о попури составленных из отрывков одного музыкального произведения одного композитора например: „Попури на мотивы из оперы Травиата“, или „Снегурочка“, но ничего не говорит о попури составленных из отрывков мелодий различных народных песен, соединенных в одно целое свободными переходами или аккордами.

Такого рода попури, должны рассматриваться как самостоятельные, музыкальные произведения и описываться под именем составителя попури, если он указан или если автор не указан, то делать на такого рода попури анонимное описание.

Относительно аналитического описания Инструкция также ничего не предусматривает, но из опыта по части описания музыкальных произведений, могу сказать, что аналитические формы, при описании отдельных типов сборника, вполне применимы.

„Тональность“, инструкция рассматривает как сведение не обязательное, т. е. такое, которое вносится в текст описания лишь в том

случае, если оно указано. Я думаю, что для учебно-педагогических изданий, тональность должна быть сведением обязательным, так как спрос на педагогическую литературу бывает больше всего по тональности музыкального произведения и потому, если тональность в учебных изданиях не указана, то на обязанности нотографа лежит выяснить ее и занести в текст описания. Что же касается салонных музыкальных произведений, то для них тональность может считаться сведением не обязательным.

Прежде чем говорить об инвентаризации музыкальных произведений, нужно сказать об их библиографической единице.

Музыкальные произведения издаются обычно в виде одной, двух или нескольких библиографических единиц, то есть в одной двух или нескольких обложках и каждую обложку нужно рассматривать, как отдельную библиографическую единицу.

Оркестровые или камерные музыкальные произведения, изданные в виде партитуры и партий, представляют из себя одну библиографическую единицу, если партии вложены в одну общую обложку с партитурой, если же партии или голоса участвующих инструментов заключены все вместе в отдельную от партитуры обложку, то такие партии считаются также за отдельную библиографическую единицу.

Бывают случаи, когда партия каждого инструмента оркестрового или камерного музыкального произведения издана в отдельной обложке, тогда каждая такая партия является также отдельной библиографической единицей.

Отсюда можно сделать вывод, что одни библиографические единицы в отдельности носят самостоятельный характер, так как дают законченное музыкальное произведение в целом, а другие библиографические единицы в отдельности не носят самостоятельного характера и дают законченное музыкальное произведение лишь в совокупности друг с другом. Например: партия скрипки из какого либо камерного или оркестрового произведения не дает представления об исполняемом музыкальном произведении в целом, а партия барабана, сыгранная отдельно не может дать даже и частичного представления о нем.

Отсюда возникает вопрос, как же записывать в инвентарь музыкальные произведения. Давать ли каждой библиографической единице отдельный инвентарный номер независимо от того, носит ли эта библиографическая единица самостоятельный характер или нет, или же отдельные инвентарные номера давать исключительно библиографической единице носящей самостоятельный характер.

Конечно, при записи музыкальных произведений в инвентарь, самостоятельный инвентарный номер надо давать исключительно биб-



лиографической единице, дающей законченное музыкальное произведение.

Такая система инвентаризации не загромождает каталог и не усложнит описания музыкального произведения, так как многие оркестровые музыкальные произведения имеют свыше 30 партий и следовательно, если давать партии каждого инструмента отдельный инвентарный номер, то и партию каждого инструмента надо выписывать на карточке. Описание одного такого музыкального произведения займет до 8—10 карточек; отсюда и произойдет загромождение каталога и усложнится описание.

Музыкальные произведения, изданные в виде одной библиографической единицы и не разделенные на партии записываются в инвентарь в обычном порядке, под очередным инвентарным номером.

Музыкальные произведения, изданные также в виде одной библиографической единицы, но разделенные на партии, записываются в инвентарь под одним инвентарным номером не зависимо от количества приложенных партий, будет ли их 2 или 30. Такие музыкальные произведения, обычно оркестрового или камерного характера, представляют из себя или партитуру и приложенные к ней партии, каждого инструмента в отдельности, или ведущую партию и голоса, или просто партии участвующих инструментов без партитуры или ведущей партии. В инвентарной книге и на ярлыке описываемого экземпляра, после инвентарного номера в круглых скобках указывается количество приложенных партий. Пример: № 651 (30). (Число 30 в круглых скобках указывает количество участвующих партий).

Музыкальные произведения, изданные в виде 2-х библиографических единиц записываются в инвентарь таким образом;

1. Под самостоятельными инвентарными номерами если каждая из библиографических единиц носит самостоятельный характер. Например: одна представляет из себя партитуру, а другая является собранием партий одного и того же музыкального произведения).

2. Под одним инвентарным номером, если только в совокупность друг с другом дают законченное музыкальное произведение.

Музыкальные произведения, изданные в виде нескольких библиографических единиц, которые только в совокупности друг с другом дают законченное музыкальное произведение, записываются в инвентарь под одним общим инвентарным номером.

Такие музыкальные произведения представляют из себя отдельно изданные партии какого либо оркестрового хорового или камерного произведения. При записи в инвентарь, изданные таким образом произведения, нужно объединять в общие папки. Инвентарные номера проставляются и на общей обложке и на обложке каждой партии. В

инвентарной книге, на ярлыке общей папки и на ярлыке обложки каждой партии, после инвентарного номера, в круглых скобках указывается количество партий, изданных в виде отдельных библиографических единиц.

В основу классификации музыкальных произведений, положена та же десятичная система, что и при классификации книг.

Руководством, при проработке классификации музыкальных произведений мне служил сборник: „Institut internationale de Bibliographie, Bruxelles: Classification decimale universelle“. Отдел 78: Musique. Art musicale. Science musicale Musicologie.

Музыкальные произведения, хотя и классифицируются также как и книги о музыке по 78 отделу, но выделены в самостоятельную группу, которая отличается от группы книг условной буквой м.

Буква м ставится впереди индекса.

Система классификации музыкальных произведений по „Манюэлю“, приводит к очень громоздким индексам и поэтому применять эту систему в целом без изменений, нахожу нецелесообразным. Эта громоздкость индексов происходит от слишком дробных делений по видам музыкальных форм (танцы, сонаты, симфонии, прелюды... и деление танцев на артистические, салонные, национальные балетные... и более дробное деление их на вальсы, мазурки, кадрили...).

Раздел 781.5—музыкальные формы и в частности его подраздел 781.5.081—элементы инструментальных музыкальных произведений и создает громоздкость индексов, поэтому, во избежание громоздкости индексов, раздел 781.5 применять лишь в случае необходимости выделения какой либо музыкальной формы.

Классифицировать музыкальные произведения можно или по виду музыки (танцы, сонаты, симфонии...) независимо от того для какого инструмента они написаны, или по инструментам и голосам т. е. по существу самого музыкального произведения, применяя раздел 781.5.

Цель классификации музыкальных произведений по существу, заключается в том, что-бы все музыкальные произведения, написанные для одного инструмента собирать под индексом определяющим этот инструмент, камерные музыкальные произведения под индексом определяющим камерную музыку; оркестровые под индексом определяющим оркестровую музыку... и так далее, не зависимо от того будут ли это сонаты или прелюды „tondo“ или фантазии.

Система классификации музыкальных произведений по существу более удобна и менее громоздка, так как подвергается упрощению, а система классификации по виду музыки приводит именно к необходимости широко пользоваться разделом 781.5 и подразделом его 781.5.081.

При обработке музыкальных произведений в Государственной публичной библиотеке Грузии, мною был взят принцип классификации по существу музыкального произведения без применения отдела 781.5, и его подраздела 781.5.081, но с более дробным делением по видам исполнения.

Так например, при классификации музыкального произведения для 2-х фортепиано, нельзя ограничиться только индексом М 786.2 т.е. «музыка для фортепиано», необходимо отметить, что данное музыкальное произведение написано для 2-х фортепиано или же для одного фортепиано в 4-е руки, если классифицируемое музыкальное произведение написано для одного фортепиано в 4-е руки. В равном случае, при классификации музыкальных произведений, написанных для скрипки с аккомпаниментом фортепиано, нельзя ограничиться только шифром определяющим музыкальное произведение для скрипки М 787.1, необходимо отметить, что данное музыкальное произведение для скрипки исполняется с аккомпаниментом фортепиано.

Приведу несколько примеров классификации музыкальных произведений по существу с применением раздела 781.5 и его подраздела 781.5.081 дающих наглядное представление о громоздкости получаемых индексов:

М 786.2.085.821.01—вальс Шопена (или артистический) для фортепиано solo.

М 786.2.081.1.01—„Presto“ для фортепиано solo.

М 786.2.083.5.01—пансодия для фортепиано solo.

М 786.2.081.3.032—„Rondo“ для 2-х фортепиано.

М 787 61.085.7 (47).02-62—русский национальный танец для гитары с аккомпаниментом фортепиано.

М 787.1.082.23.02-62—менуэт из сонаты для скрипки с аккомпаниментом том фортепиано.

Отбрасывая же раздел 781.5 музыкальные формы и его подраздел 781.5 081—элементы инструментальных музыкальных произведений получаем упрощенный способ классификации.

М 786.2.01—музыкальное произведение для фортепиано solo (независимо от того будет ли это танец артистический или солонный, соната или менуэт, „rondo“ или прелюд).

М 786.2.032—музыкальное произведение для 2-х фортепиано (независимо от вида исполняемого музыкального произведения).

М 787.1 02-62—музыкальное произведение для скрипки с аккомпаниментом фортепиано (независимо от вида исполняемого произведения).

М 787.1.01—музыкальное произведение для скрипки solo.

Громоздкие индексы получаются также и при классификации вокальных музыкальных произведений, если кроме обозначения характера вокальной музыки (дуэт, квартет...), применять и цифровое обозначение характера голосов (сопрано, тенор...), а при классификации хоровых произведений, подразделения хора на мужской, женский, детский...

М 784.062.21-31—дуэт для сопрано и тенора „а capella“.

М 784.063.21-31-32.02-62—трио для сопрано, тенора и баритона с сопровождением фортепиано.

М 784.061.23.02-62—народная песня для баритона с аккомпаниментом фортепиано.

М 784.068.1.02-62—произведение вокальной музыки для детского хора с аккомпаниментом фортепиано.

Во избежании громоздкости индексов, я при классификации вокальных музыкальных произведений применяла лишь обозначения характера вокальной музыки без обозначения характера голосов, а для хора лишь непосредственное обозначение самого хора, без его дальнейших подразделений.

М 784.061—вокальное музыкальное произведение solo, без сопровождения (независимо от характера исполняемого голоса).

М 784.061.02-62—вокальное музыкальное произведение solo с аккомпаниментом фортепиано (независимо от характера голосов).

М 784.068.02-62—произведение хоровой музыки с сопровождением фортепиано (независимо от характера хора).

Камерные музыкальные произведения я классифицировала без упрощения, хотя они по принципу своего построения также дают громоздкие индексы.

Цифровое обозначение для музыкальных произведений изданных для фортепиано в четыре руки „Манюзлем“ не предусмотрено. Думаю, что такого рода музыкальные произведения можно классифицировать следующим образом:

М 786.2/IV — музыкальное произведение для фортепиано в 4-ре руки или М 786.2<sup>1</sup> — музыкальное произведение для фортепиано в 4-ре руки.

При классификации таких музыкальных произведений, я придерживалась первого цифрового обозначения т. е. М 786.2/IV.

Сборники из произведений одного композитора, я классифицировала под цифровым обозначением того инструмента, для которого написана музыка с прибавлением определителя формы (081).

М 786.2 (081)—сборник произведений одного композитора для фортепиано solo.

По „Манюзло“ классификация таких сборников производится по фамилии и имени композитора в алфавитном порядке:

М (Бетховен Людвиг) 1—62—полное собрание произведений Бетховена для фортепиано.

М (Бетховен Людвиг) 2—62—избранные музыкальные произведения Бетховена для фортепиано.

Такую форму классификации для сборников из произведений одного композитора, я приняла для того чтобы не нарушать принципа классификации по существу музыкального произведения.

По аналогии со сборниками из произведений одного композитора, классифицируются и сборники из произведений разных композиторов, с прибавлением определителя формы (082).

В пределах Государственной публичной библиотеки, для нот, также как и для всей имеющийся здесь литературы, сохраняется инвентарно-форматная расстановка,

Для нот установлено 5 форматов:

I формат: Высота корешка до 20 сантим. включительно.

Хранение на полках для I-го формата: вертикально-папочное.

II формат: Высота корешка от 20 сантиметров до 29 сантим.

Хранение на полках для II-го формата вертикальное

III формат: Высота корешка от 30 сантиметров до 36 сантим.

Хранение на полках для III-го формата вертикальн. (папочное).

IV формат: Высота от 37 сантим. до 40 сантим.

V формат: Высота выше 40 сантим.

რ ე ც ე ნ ზ ი ა.

რეცენზია კრიტიკული ბიბლიოგრაფიის ერთი სახეა, რომელიც ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩვენს პერიოდიკაში. უნდა აღვიაროთ, რომ ბიბლიოგრაფიული განყოფილება ერთობ სუსტი და უფერულია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. არაფრით არ შეიძლება ამის გამართლება, მით უფრო ასეთი მდგომარეობის გაგრძელება. ჩვენმა რედაქციებმა ჯეროვნად უნდა შეაფასონ კრიტიკული ბიბლიოგრაფიის დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა და მიიღონ საჭირო ზომები, რომ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას მიეცეს მოწესრიგებული, სისტემატიური ხასიათი. ამაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ 1931 წელს 15 VIII კ(ბ) ცეკვას დადგენილება საგამომცემლო მუშაობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ცენტრალურმა პრესამ დღემდე ვერ დააყენა სათანადოდ რეცენზირებისა და ბიბლიოგრაფიის საქმე. ვერ შეიმუშავა ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდეს მკითხველთა მასებისათვის ლიტერატურის გაცნობას თავის დროზე.

აღარ შეიძლება ისეთი მდგომარეობის გაგრძელება, როდესაც ბიბლიოგრაფია გადაქცეულია მოხალისეთა საქმედ. მოხალისეობა კარგია და საჭიროა ამ საქმეში ჯერხიბლით მიანიც. მაგრამ ეს აღარ კმარა. აუცილებელია სათანადო ზომების მიღება და საქმის ისე დაყენება, რომ ნიჭიერი მოხალისეებისაგან გამომუშავდნენ დახელოვებული და მაღალი კვალიფიკაციის კულტურული რეცენზენტები. კადრები აქაც ისევე აუცილებელია, როგორც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სხვა უბნებზე.

პრაქტიკაში ჩამოყალიბდა კრიტიკული ბიბლიოგრაფიის შემდეგი ოთხ-სახე: 1) კრიტიკული ანოტაცია, ანუ კრიტიკული შენიშვნა; 2) რეცენზია; 3) გაშლილი კრიტიკა (კრიტიკული სტატია ანუ წერილი) და 4) კრიტიკული მიმოხილვა. აქ მოყვანილი სახელწოდებანი, რასაკვირველია, პირობითია. არსებითად ყველა დასახელებული სახე წარმოადგენს სხვადასხვა ზომისა და შინაარსის კრიტიკულ წერილს, რადგან ყველა ამ სახეში მოცემულია შეფასება, მაგრამ მართა ამ ერთი საერთო ნიშნის გამო ისინი არ უნდა გავავივივოთ, არც ერთ-მანეთში ავრიოთ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ყველა მათგანს აქვს დანარჩენებისაგან განმასხვავებელი მიზანდანიშნულება და შინაარსი, ე. ი. აქვს თავისებურობა, სპეციფიკა, რითაც გამართლებულია მისი ცალკე არსებობა. ამჟამად ჩვენ გვინტერესებს რეცენზია და ამაზე გვექნება ლაპარაკი. დანარჩენებს კი შევუბნებით, რამდენადაც ეს საჭირო იქნება, რეცენზიის თავისებურებების უკეთ-გასაშუქებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რეცენზიას სთვლის გაშლილ კრიტიკად და ასახელებს კრიტიკული ბიბლიოგრაფიის მხოლოდ სამ სახეს: 1) კრიტიკული შენიშვნა, 2) რეზენცია ანუ გაშლილი კრიტიკა და 3) კრიტიკული მიმოხილვა. მაგრამ რეცენზია და გაშლილი კრიტიკა რომ ერთი და იგივე არაა, ამას მათი შედარება ცხადყოფს.

რეცენზია იწერება ახალ გამოსულ წიგნზე. მისი მიზანია მიცეს სარეცენზიო წიგნს მოკლე, მაგრამ არსებითი დახასიათება—ატესტაცია. მხედველობაში ჰყავს ისეთი მკითხველი, რომელსაც ეს წიგნი ჯერ არ წაუკითხავს. უკანასკნელმა რეცენზიის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს—წაიკითხოს თუ არა ეს წიგნი, ღირს თუ არა მისი შეძენა თუ ბიბლიოთეკაში წაიკითხოს. ბიბლიოთეკარებმა უნდა გაიგონ რეცენზიიდან: საჭიროა თუ არა ამ წიგნის შეძენა ბიბლიოთეკისათვის; თუ საჭიროა, სად, რომელ განყოფილებაში მოათავსონ და ვის ურჩიონ წაიკითხა. ასევე მასწავლებელმა—ურჩიოს თუ არა მოწაფეს მისი წაიკითხვა. მასშასადამე, რეცენზია უნდა გარკვევით აჩვენებდეს ვის რაში გამოადგება სარეზენციო წიგნი.

გაშლილი კრიტიკა კი გულისხმობს, რომ გასარჩევად აღებული ნაწარმოები წაიკითხული აქვს მკითხველს. მაგ: „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების კრიტიკული გარჩევა შეიძლება დაიწეროს ახლაც, მაგრამ მისი თუნდა პირველი ბეჭდური გამოცემის (1712 წ.) რეცენზიას ახლა არავინ დაწერს.

რეცენზიაში გახსნილი უნდა იყოს ნაწარმოების თემატიკა და შინაარსი, გახსნილი უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოების ფაბულა და გადმოშლილი (მოკლე) მისი შინაარსი; მოცემული უნდა იყოს მისი შეფასება, როგორც საერთო იდეოლოგიური, ისე მეცნიერული ან ესთეტიკური თვალსაზრისით. გაშლილი კრიტიკისაგან განსხვავებით რეცენზია იხილავს მხოლოდ ძირითადად, მთავარს და ამუშავებს მოკლედ, არ მიმართავს მრავალსიტყვავობას და გრძელ მსჯელობას. რეცენზია უაღრესად იცავს ავტორიტეტიანობას და ამიტომ, რასაც იტყვის, კიდევ ასაბუთებს. ის გაუჩინებს, რამდენადაც შეიძლება, ვიპოვებებს, პროვოცირებსა და საპოლემიკო საკითხებს.

რასაკვირველია, დასაბუთება სავალდებულოა გაშლილი კრიტიკისათვისაც, მაგრამ ის მიმართავს ზოგჯერ გრძელ დასაბუთებასა და განიხილავს ნაწარმოების ისეთ დეტალებსაც, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვს რეცენზიისათვის.

გაშლილი კრიტიკა უმრავლეს შემთხვევაში, თუნდ ერთ რომელიმე ნაწარმოებს იხილავდეს, მაინც უნდა შეეხოს მისი ავტორის მთელ შემოქმედებას და მასთან დაკავშირებით უნდა გაარჩიოს აღებული ნაწარმოები. რეზენცია კი იწერება მხოლოდდამხოლოდ ერთ ნაწარმოებზე: არ ეხება კრიტიკულად ავტორის მთელ შემოქმედებას, მის სხვა ნაწერებს; გაკვრიო შეიძლება აჩვენოს, თუ რა ადგილი უჭირავს სარეცენზიო შრომას მისი ავტორის შემოქმედებაში ან იმ საკითხის განვითარებაში, რომელსაც წიგნი ეხება.

რეცენზიას და გაშლილ კრიტიკას ბევრი საერთო ელემენტი აქვთ, ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს, მაგრამ რეცენზიას ახასიათებს აზრების და სიტყვიერი მასალის მაქსიმალური შეკუმშვა-დახვეწილობა. მასალის ასეთი შეკუმშვა, რა-

საკვირველია, არ უნდა ხდებოდეს დასაბუთების ხარჯზე, რეცენზიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არცერთ დაუსაბუთებელ დებულებას. არავითარი ფასი არა აქვს მაგალითებით დაუსაბუთებელ მოწონებას ან დაწუნებას. საკმარისია ერთი-ორი მაგალითის მოყვანა და სხვაზე მითითება; უამისოდ რეცენზია გამოვა ზერელე და მოკლებული ყოველგვარ დამაჯერებლობას.

მასალის შეკუმშვით რეცენზია არ უნდა დავიყვანოთ კრიტიკულ შენიშვნამდე. კრიტიკული ანოტაცია ანუ კრიტიკული შენიშვნა შეიცავს ნაწარმოების მხოლოდ თემატიკის გახსნას (შინაარსის გადმოშლელად, ფაბულის გაუხსნელად) და მოკლე შეფასებას, რომელსაც არ ახლავს დასაბუთება. კრიტიკულ შენიშვნაში მთავარია თემატიკის გახსნა და შეფასება, რომელსაც ის დაუსაბუთებლად იძლევა. რეცენზიაში კი შინაარსიც გადმოშლილია და ყოველი დებულება ციფრულად დასაბუთებული, თუმცა არა ისე ვრცლად, როგორც გაშლილ კრიტიკაში.

რეცენზიაში უნდა იყოს აგრეთვე ნაწარმოების ენის შეფასება, ძლიერ მოკლედ ორი-სამი მაგალითის მოყვანით. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დღეს ენის სიწმინდისათვის ბრძოლის პერიოდში.

როგორც ვხედავთ, რეცენზია შეიცავს ძირითადად თითქმის ყველაფერს, რაც გაშლილ კრიტიკას ახასიათებს. განსხვავება უმთავრესად იმაშია, რომ რეცენზია თავისი შინაარსის გაფორმებისათვის მიმართავს მასალის შეკუმშვის მეთოდს და არ ეხება ზოგიერთ დეტალს.

მაგრამ ამით არ ამოიწურება რეცენზიის შინაარსი. რეცენზია აუცილებლად უნდა შეიცავდეს აღწერიითი ბიბლიოგრაფიის ძირითად ელემენტებს, რაც საეაღდებულო არაა გაშლილი კრიტიკისათვის. ეს უკანასკნელი განიხილავს ლიტერატურულ ნაწარმოებს და არა წიგნს, როგორც პოლიგრაფიულ ნახელავს. რეცენზიაში კი უნდა იყოს წიგნის სრული აღწერა და მისი დახასიათება, როგორც პოლიგრაფიული ნაწარმოებისა: როგორაა გამოცემული წიგნი, როგორია ქაღალდი, შრიფტი, დასურათება, კორექტურა, ბეჭდვა.

რეცენზია მუდამ იწყება სარეცენზიო წიგნის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მოყვანით. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიბლიოგრაფიული აღწერის დაკანონებული სქემის ზუსტად დაცვას. სრულ ბიბლიოგრაფიულ აღწერაში აუცილებლად ნაჩვენებია უნდა იყოს: 1—ავტორის გვარი და სახელი, როგორც ის წიგნზეა; 2—წიგნის სრული სახელწოდება, ქვესათაური, მთარგმნელი, მერამდენე გამოცემა, რომელი ტომია და სხვა; 3—განოცემის ადგილი; 4—გამომცემელი; 5—გამოცემის წელი; 6—გვერდების რაოდენობა, სურათები, დამატებითი ფურცლები, რუკები, ცხრილები და სხვა; 7—ტრაჟი; 8—ფასი. ეს ცნობები სწორედ იმ თანამიმდევრობით უნდა იყოს მოყვანილი, როგორც აქ არის ნაჩვენები ციფრებით. თუ რეცენზიაში არაა მოყვანილი სრული ბიბლიოგრაფიული აღწერა ან მოყვანილია საერთოდ მიღებული წესის არეგდარეგით, შეიძლება ასეთი წიგნი ვერსად ვერ იპოვოს მსურველმა. საქმე ისაა, რომ ბიბლიოთეკების კატალოგებში ყოველი წიგნი მოთავსებულია ასეთი აღწერის მიხედვით. თუ ვინმემ სხვანაირად აღწერილი წიგნი მოითხოვა, ბიბლიოთეკარი მოსძებნის კატალოგის იმ განყოფილებაში, რომელშიაც წარმოდგენილი აღწერის მიხედვით უნდა იყოს მოთავსებული და



შეიძლება იქ არ აღმოჩნდეს. უბერიოდ აღწერილი წიგნის ძებნა აუარებელ დროს აკარგვინებს მკითხველსაც და ბიბლიოთეკების მუშაკებსაც. რიგიანად აღწერილი წიგნის პოვნა კი წუთების საქმეა.

სწორი ბიბლიოგრაფიული აღწერის ნიშნები

ბოკაია ჯივანი

დესამერონი. ნოველები. ნაწ. I იტალიურით თარგმნილი თ. სახოკის მიერ. რედაქტორი ა. კეიშვილი. ტფილისი, სახელგამი. 1934 წ. 473—11 გვ. პორტ. სურათები. ტირაჟი 5000, ფასი 10 მან.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სარეცენზიო წიგნების შერჩევას. სანამ რეცენზირება მოხალისეთა საქმეს ვერ გაშორებია, მანამ გეგმიანობაც შეუძლებელია და შერჩევაც არ არის. მაგრამ მკითხველთა მასების კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული მომსახურება არ შეიძლება უგეგმოდ და უსისტემოდ, თვითღიწების გზით. ყოველ პერიოდულ გამოცემას მიზნული აქვს თავისი სამუშაო უბანი, თავისი იდეოლოგიურ-პოლიტიკური და მეცნიერული სფერო, გარკვეული მიზანი და გარკვეული სოციალური ჯგუფი. ცხადია, ყოველი რედაქცია თავისი დანიშნულებისა და მიზნების შესაფერ წიგნებს შეარჩევს სარეცენზიოდ. ეს გამიჯნა საქიროა, რომ თავიდან ავიშორეთ პარალელიზმი. რასაკვირველია, არც რომელიმე დარგის ყველა წიგნის გარჩევა-შეფასებაა საეალღებულო ამითუ იმ პერიოდიკისათვის. აქაც უფრო საყურადღებო წიგნების შერჩევა უნდა მოხდეს.

რეცენზიის ოპერატიულობა მოითხოვს, როგორც შეკუმშულ შინაარსიან მოკლე წერილს, რომელიც ბევრ დროს საქიროებს წასაკითხად, აგრეთვე იმასაც, რომ რეცენზია გამოქვეყნდეს წიგნის ბაზარზე გამოსვლისთანავე. დაგვიანებულ რეცენზიას ეს მნიშვნელობა აღარ აქვს. მოცულობით რეცენზია არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 2—3 გვერდს და გაზეთის 100—150 სტრიქონს.

კულტურული და წესიერი რეცენზიის დაწერა შეუძლია მხოლოდ მაღალი პოლიტიკური და მეცნიერული კვალიფიკაციის სპეციალისტს თავის ღმრთი. ღრმა კრიტიკული ანალიზის უნარი ისევე აუცილებელია რეცენზენტისათვის, როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიური სიფხიზლე. გარდა იმისა აუცილებელია ამ საქმეში დახელოვნება, ვინაიდან ადვილი საქმე არ არის რეცენზიის ლიტერატურული გაფორმება, რომლის თავსებურებას შეადგენს მასალის მაქსიმალური შექმნა ისე, რომ სრული გარკვეულობით და დამაჯერებლობით ითქვას ყველაფერი რაც აუცილებელია.

## წერილები თედო რაზიკაშვილისადმი

თედო რაზიკაშვილი (1869 — 1922 წ.) ქართულ ლიტერატურაში ცნობილია როგორც საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების ავტორი, და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შემკრები.

მის არქივში აღმოჩნდა 200-ზე მეტი მისდამი მიწერილი სხვადასხვა ქართველ მოღვაწეთა პირადი წერილი. ამ წერილებიდან საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონედ ჩვენ 126 წერილი მივიჩინეთ, რომლებიც ჩვენი წინადადებით შეიძინა კ. მარკსის სახელობის საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკამ.

აღნიშნული წერილები საყურადღებო მასალებს იძლევიან მთის მწერლების — ძმათა რაზიკაშვილების (ვაჟა, ბაჩანა და თედო), ცხოვრება-შემოქმედების შესასწავლად, რომელთა ერთ ნაწილს აქვე ვაჭვეყნებთ ზოგადი შენიშვნების თანდართვით.

ხოლ. ყუბანეიშვილი.

### პავლე რაზიკაშვილის წერილები

#### 1.

#### შვილო თედო!

თქვენი წერილი მივიღე და თქვენი გარემოება ყველაფერი შევიტყუეთ. მაღლობა ღმერთსა, ხო იცით ჩვენც მეტი არაფერი გვინდა. აქაური ანბავი რა მოგწეროთ. მე დედას თქვენი და მართა<sup>2</sup> ცოცხლები ვართ. და სხვების მართო ნიკო<sup>3</sup> ვნახეთ ეხლა თელავში. ლუკასი<sup>4</sup> და სანდროსი<sup>5</sup> არაფერი ვიცით. ლუკა თონეთში წავიდა ცოლ-შვილით ოკდონბრის ნახევარსა<sup>6</sup>. გიორგი<sup>7</sup> არ მოდის, ისევ ბაშფორთი ვაუგზავნე. სხვები ჩვენები ყველანი ცოცხლებია. თქვენი ნათლული და ნათლი დედაცა, მარამ ყელის ტკივილი ისევ გაჩნდა, საწყალს მგელას ორი ბიჭი მაუკლა ფადიურონთ მამუკასა და, სამიც მიგრეულბში ამ მოთხის დღით წინ დაემარხე მათით დაბოცილები. თქვენა მწერთ საშობაოთ თუ კარგი დრუა წამუალო. სრულ... [დღეფიქტურია, ს. ყ.] ნუ სანდროსაც არ მოიყვან რა ვიცი როგორ იყოს მეზინინ და ისევ, თუ მშვიდობა არს, მეც წიგნს მოგწეროთ და სააღდგომოთ ამოდით. თქვენ თქვენს საქმეს უერთგულეთ, ტანტალი კაცს არაფერს არგებს, მერე ზამთარში. ერთს მანათს ფულს გიგზავნით საპრაზნიკოთ. მეტს ნუ დამემდურებთ.

ნიკოც მე ვიცი წიგნს მოგწერთს და იქნება ფულიც გამოგიგზავნოს რამე, მეროგორც შვატყე. ნიკოს საქმე აქაური კარგათ მიდის. ლუკას გვინდა წიგ-

ნი მიეწეროთ მარამ ადრესი არ ვიცით საიდანა, და თუ ვინიცომა არს კაცი ვინმე ნახოთ, თვალი გვეკიროს, თონეთში მივალი, წიგნი მისწერეთ რო ადრესი მაინც გვაცნობოს რო წიგნი მიეწეროთ.

[პავლე რაზიკაშვილი].

[1886 წ.]

2.

## 2. შვილო თევდორე!

თუმცა თქვენი წერილი დიდხანია მიე[ი]ღეთ და მეორე სიხარულს ახლა ის მიემატა. პირველის სიხარულის მიზეზი იყო ჩვენი დიდის ხნის უნახავის გიორგის ჩამოსვლა და ნახვა. მე მინდოდა თქვენის წერილის შინაარს[ის] პასუხი ადრევე შემეტყობინა მარამ სამწუ[შ]ბაროდ ჩვენდა, ფულის შოვნის სახსარი არცაით არ იყო, სესხის შოვნა არ იყო და ჯამაგირის აღების ტრედიც არ დამდგარიყო. და აი ამისთვის დაგიგვიანეთ წერილი და პასუხი. მართალია ეხლა გიგზავნით ოცდაორს მანათსა, მარამ ღმერთი ხო არის მოწამე, მე თითონ არა ვარ კმაყოფილი ასე მცირეს გამოგზავნით. ვიცი ეხლა თქვენთვის ძალიან საჭიროა, ესეც როგორც იყო სესხად ვიშოვე თორა თავისი რა მქონდა, ჯამაგირი არ მიმიღია და ხალხი გა[ა]ტყავეს, ზეჟუცია ედგა სახელმწიფო გადასახადისათვის და აბა ამათგან რაღა გამოდნება. მინდოდა თელავში ჩავსულიყავ, და ჯამაგირის ტრედი დადგა ამელო, და სამი თუმანი მაინც გამომეგზავნა. მარამ ეხლა ხო იცი არავინ გამაქლიდა დამარხებამდის. ვიფიქრე დრო მოვიდა დაჭირდება მეთქი, იმისთვის გამოვეცემურე და გიგზავნით.

მე რომ შაბათს თელავში მივდივარ ჯამაგირისთვის, თუ შეიძლება მალე წიგნი გამოგზავნე თელავში სინიკო აჯიშამედოვის სახელზედ და ის ჩვენ ვადმოგვეცენს—მე შამგვევიანება, ვეჯინშიაც<sup>3</sup> უნდა ჩავიდე, დედას თქვენიც იქვე არის და ბიჭებიცა. ისინიც უნდა წამუასხა.

გიორგი და ნიკოც თელავში არიან დიდხანია, როგორც შეუზნებთან. რაც ვინდა ყველაფერი შამატყობინე, ან ქალაქში აროდის ჩახვალთ, იქნება ნიკო გამოგვგზავნო ქალაქში თქვენის ჩასვლისათვის, რო დირექტორთან მოვიხებრბოს რო კარგი აღგილი გიშოვნოს ბაკურციხეში. ნიკოს ნადედლობა კენინამ თავის მცვადინეობით შკოლა დაარსა, ორმოცი თუმანი ჯამაგირი იქნება. თქვენთვის ფანდია თუ ის მოგიხებრბდათ. და ან იქნება ნიკომ დავითმოსთ როგორც თითონ ანბობდა.

ჩვენ ვინცა ვართ ცოცხლები კი ვართ და სხვა რაღა გუქირება დავადგება ისეთი რო აღარა ეშველოს. მართალია შიმშილობა ჩამუარდა, ჩვენში პურის შოვნა აღარ არის და რაც არის ისიც არ ვარგა. გრიგოლი<sup>4</sup> მომიკითხებ.

თქვენი მა[მა] მღვდელი პავლე რაზიკოვი.

ჩუბთ-ს [[1886 წ.] ივნისს 1.

ძმაო თევდორე!

მოგიკითხავ სიყვარულით და ვსთხოვ დამბადებელს ღმერთს შენს სიციხელეს, კარგად ყოფნას თავის ცოლ-შვილით და მოკეთებითურთ. ჩვენც კარგად ვართ დღესამდე—ციცილები და მთელები. ამ წერილს მე თიანეთიდან ვწერ. ქალაქში მოვდიოდი და დღეს უარყავი ეს განზრახვა, რადგან მითხრეს ჯერ შეგირდებს არ დაითხოვენო; ლევანი<sup>1</sup> წამოყვანა მინდოდა. შენ ეხლა ამას გეხვეწები, შენის ძმობის ჭირიმე, რომ ეგები როგორმე შენთან წაიყვანო, როცა დაითხოვენ. ამას შემდეგ მე უფრო ვერ მოვიცილი, ხალარჯობის წესი მაქვს გადასახდელი. ლევანის ამოყვანას სხედასხვეებს ნუ ანდობ, შენ თითონ ამოიყვანე. სახლი პატრონთან ხუთ მაისამდე გასწორებული ვარ და რაც დამეღება შემდეგში გაუსწორდება. მანდ, ხელთუბანში, როცა მოვიცილი, მე თითონ გადმოვიალ; ან შენვე გადმოიყვან. უცქველად უნდა გადმოიხვიდე, მართა<sup>2</sup> გვეპატიება ნათლობაში, აქედამ ერთად წავიდე. ნიკოც კარგად არის. ყველამ მოგიკითხათ, კეკე<sup>3</sup> თამარამ<sup>4</sup>. მომიკითხე ჩემი რძალი, წყალობა, ვაბო, სხვანი ყველანი. სანდრო რას აკეთებს? მაგაზე ბრაზი მომდის, ზარმაცია, უღმერთოდ ზარმაცია... რა გეხვეწო და რაღა ბევრი გთხოვო, შენ იცი ლევანის შესახებ რა განკარგულება-საც მოახდენ.

შენი ძმა ვაჟა-ფშაველა.

ძვირფასო ძმაო თედო!

ველარ მომიხდა მანდეთ ამოყლა, გამომიჩნდა რაღაც საქმეები და იმის გამო დამეგვიანა; დაგვიანებას ვინ დასდევს, მაგრამ საქმე ისეა, თუ მალე არ მოვე-შველე სახლს არ შეიძლება უიმისოდ. თუ სიციხელეა, ღვთით, თქვენაც კიდევ მალე გნახავთ. საშობაოდ მანდ ვიახლებით; ნუ მიწყენთ და ნურც დამემდურებით თქვენ გენაცვალოსთ ჩემი ჩამობლღუძილი თავ-პირი<sup>5</sup>. ისე გენაცვალენით რო სუ ნაბუერი ჩამობლიოდეს.

სანდროს ქორწილიც როგორც ვატყობ წყალკურთხევის სწორამდე გადაიდ-ვა... მანამდე მეც მივაკეთ-მოვაკეთებ შინაურ საქმეებს და უფრო თავისუფლად ვიქნები. ეს ვაჟაკებშიც იმ ხანებში ამობანდებიან როგორც დამპირდნენ.

სხვა რა მოგწებო? აქ ღირსშესანიშნავი არაფერია. მართლა, ჩემი აზნათები ვინძლო კარგად შემინახოთ, სახინკლევც არ ვაბათავოთ, ღვინოს სულ არ ამოსწკლიტო ქვევრიდან. მომიკითხე ჩემი რძალი თიკო, ზუზანა, წყალობა და სხვანი ყველანი.

შენი ძმა ვაჟა.



1.

ძ მ ა ო თ ე ლ ო !

თუმცა მიმაჩენი გწერს, ნიკო ენახე და ლაპარაკში ეტყობა ფულს გამოჰგზავნისო, მაგრამ მე არ ვიყავ იქ როცა დაწერა. მე ამავე წერილზედ გწერ და ერთ მანეთსაც მე გიგზავნი, რადგანაც თექვსმეტი მანეთი სხვა მიძეჯიბეში და ქრისტიანობისთვისა იანერის ნახევარში უნდა მივიღო. საშობაოდ არსად წახვიდე, მანდ იყავ... გული დაბლუჯე, ბაღლო... იმისთვისა-არა შე სუსტო, არაფერი არ გამოჰდნება... ქალებს ნუ აპყეები თორე გზას იქით გადავაგდებენ... კარგა ისწავლე, რო მასახელო... აუციანობას სახელიანობა ჰჯობია... ვრცლად მერე მოგწერ, ეხლა ამას დამჯერდი. ხანჯარსაც ვაგიკეთებინებ, იმედი გქონდეს. წერილი მომწერე, მომწერონ სხვა სემენარიელებმაც ვინც მიცნობენ, ყველა მომიკითხე ვინც ჩემი ნაცნობია, ღმერთმა ზო იცის ყველას ამბები შეკითხება... მშვიდობით, გამარჯვებით!

შენი ნიკალა.

1886 წ.


2.

ძ მ ა ო თ ე ლ ო !

შენი გამოგზავნილი წერილი მივიღე. ბაღლობელი ვარ მომიგონე. ღმერთმა ზო იცის სანატრელია ჩემთვის თქვენი (მარტო შენი კი არ გეგონოს) მშვიდობიანობა... კარგადა ვარ შენი კარგა ყოფნითა. იცოცხლე, იშრომე „ი მ კ რ ე ხ ე ლ ე“, რომ დაუმარხავი არ დაგრჩეს შენი საწყალი ძმა... გენაცვა, ძმაო, ღმერთმა ზომ იცის ძალიან დაეწუხდი... მოგწერეთ, არაფერი მომსვლია იმას გარდა, რაც ვანომ მომიტანა... ხომ ისაც იცი, რომ მაგ „თქვენში“ სანდროც არა მყავს მოძულებული... ეხლა ევ ბავშვი აღარ არის... ტყუილად კი ზის (იქნება არა ზის, მაგრამ მე კი არა ვუწყი მაგის შესახებ)... სად არის, რას აკეთებს, რასა ფიქრობს... მე ექვი მაქვს მაგის „ჰკვიანობაზედ“. და იცი რად? როცა ერთხელ მე დარიგებისამებრ ვუთხარ ცოტა რამე, საწყინოდ დაძრია, —მითხრა: დარიგებანი ჩემთვის რა საჭიროა, მე თვითონ ვიციო... ე—ე—ე—ყმაწვილო, შენს თავს მოუარე სანამ ჩვენც არაფერი გეიქირს, თორემ მერე იქნება სასინანულოდ დაგრჩეს და გვიანლა იქნება... რაღა მოგწეროთ? მოდით ცალკ-ცალკეც რამეს გეტყვიო: რბალო, თიკაჲ, მამწერე რამე გენაცვა... ჩემს ძმისწულეებს ჩემს მაგივრად მრავალჯერ აკოცე პაწაწინა თვალებში... (თვალი იმდენს „ბაღლობას“ არ ამეჭნის, რასაც პირი)... თქვენს უნახავად ეგების არ მოგვედე...

სანდროც მომიკითხეთ, აკოცეთ ჩემს მაგივრად... მაგან ზომ არც „მოკითხვა შემომითვალა“... მრავალი მოკითხვა: დედა შუშანას, მძახალ წყალობას, ძმა გაბოს, მაშოს და სხვათა. რბალუასავანაც სხვათა შორის და პატარა ბიჭებისავანაც. თქვენი ბედკრული „მარტივი“ ძმა „ნიკოლოზო“.

თუ ძმა ხართ—დარბაისლურად იყავით—მეძევთა შორის მოხსენება არ იყოს ჩემს შესახებ—გაიგეთ და განისწავლენით...

ჩვენი [1896] წელს, 

ხოლო ქრისტესშობასა მას ათშვიდმეტს.

3.

1887 წ. 28 სექტემბერს

ძ მ ა ო თ ე ლ ო !

გამარჯვება შენი!

ხო იცი, ძმაო თელო, რო თელავში დაბარებულები ვიყავით მე, შენ, იოსები<sup>1</sup> და გრიგოლი<sup>2</sup>. გარჩევა თერთმეტში იყო დანიშნული. მაგრამ შენ მგონი ვაასწარ, ვერ გაიგე ეს ამბავი. თუ მაშინ არა, ესლა იცოდე, რო თუ დაბარებულები ვიყავით და ვერ ვიყავით კი, რაზნორი სხვა დროსთვის არის გადაღებული, საბელდომ თერთმეტ ქრისტესშობისთვემდი. ამ დღესთვი მე თელავში უნდა ვიყო, თქვენ კი ამ დრომდე, როგორც მოწმე[ტ]ებს და დამსწრეებს სიშორის გამო გეკითხებათ, საცა ვინა ხართ, ე. ი. შენ მანდ გორში გამოაძიებული გკითხავს და თიანეთში იოსებს და გრიგოლს. ამიტომ სიფრთხილით იყავი და გაიხუბირე ის ჩვენება, რომელსაც მე აქ დავიწერ:

შენ იტყვი იმას, რო ჩვენ საშინაოდ ვეჯინითგან მოვიდიოდით; თელავზე გამოვლის დროს დუქანში შევიდვენით. რადგანაც საყიდები რამე გექონდა ყველას თავთავისათვის რამე-ბაზარში გავიარეთ... სხვათა შორის თუშური ქულებიც, ამ დროს (ე. ი. ბაზარზედ გავლის დროს) ზოგი რას და ზოგი რას უშვერ სიტყვებს გვეძახდა, მაგალ. საბაღე ბიჭები ხართ, გვრიტებო, დათებო და სხვა. მაგრამ ჩვენ არავის ყურადღება არ მივაქციეთ. ბოლოს ერთი მედუქნეს თუშურ ქულებს შავევაჭრეთ... მოვრიგდით კიდევ... ამ დროს მოვიდა ვილაც დალაქი, ჯერ უთხრა ჩემს ძმას, ფხეებს, პოლსაპოეკებს, რატომ არ გაიწმინდ ყმაწვილოო; აჰან ყურადღება არ მიაქცია, რადგანაც აქა იქ დუქნებიოგან ბევრ ამისთანებს გვეძახდენ... როცა ჩემი ძმა უნდა გაქსწორებოდა, ეს დალაქი წამოჰყვდა ხელმეორედ თმაზედ, გაჰწია და უთხრა: წამო, ბერო, ერთი თმა გავკრიკოო. ჩემი ძმა მოუბრუნდა და ხელი ჰკრა, რატომ არ დაიკარგებოო, ის წაიქცა, არ უცია კი. ამ დროს გამოცვიფდენ დუქნებითგან ეაქრები და დაუშინეს ჩემს ძმას, ჩვენ მივეშველენით, მაგრამ ჩვენ უარესი დღე დავგემართეს... როცა ძრიელ შეგვაწუხეს, ჩემი ძმა წაჰყვდა ჩემს ამხანაგს იოსებ ყამიაშვილს და ამოაძრო ხანჯარი და გაიქნ-გამოიქნია იქით-აქათ შესასინებლად. ხალხიც მაშინვე გაიქც-გამოიქცა. ჩემა ძმამ მაშინვე ხანჯარი პატრონს დაუბრუნა... (იმას არავინ არ იქერდა... არც ვინ დაუქრავ არც უჩხუბნიო, ამანებს მაშინ ეტყვი, თუ რამე გკითხა). ჩვენ ის იყო წამოვედიო დუქნისკე—სადგომისაკე, როცა პოლიცია მოვიდა... სხვა არც თეთრი არც შავი. ბევრ ლაბარაკს თავი დანებე... თუ არ ვინდა რო ხაფანგში ვავება. თავდათავ დამნაშავედ პრისტავის პროტოკოლში მე ვარ გამოყვანილი<sup>3</sup>.

თელო, ხო იცი, ძმაო, რო თუ რამ მექნება-მე შენთვის და საზოგადოდ ჩემი ძმებისთვის არაფერი მშუოს... გეფიცები დედას და ღმერთს, რო იმ ხუთის მანეთის მეტი, რაც იქვე ჩარგალს არა მქონდა, იმ დღითგან აქამდე, მე რამე

შკონოღეს. გუშინ სიღნაღში ვიყავი ჯამაგირის ასალეზად-მაგრამ არ მოსულიყრ, და ვერ ავიღე... დღეს გროში ფული არა მაქვს-შენი მტერი, რო იმ (5 მ.) ფუ-ლით ფქვილი არ მიყიდა ორი ფუთი, დღეს სრულ მშვიერი ვიქნებოდი. მაშაქვმმა ოელავში ჯამაგირიც აიღო, მაგრამ მე არაფერი არ მომცა... როცა ჯამაგირს მივიღებ კი დარწმუნებული იყავ-გამოვგზავნი სახილედ-შენმა ძმობამ სიცოც-ხლემ... ნუ დამემდურები—ამის გამოსავაზენად ნასესხებია-ჩემგანაც... იმა რაღა დაგარიგო, როგორც ისწავლი-იმეცადინებ, ნამუსს შეინახე, დონეუანობას ერი-დები, არაფრით მტრის გულს არ გააციანებ... ამხანაგებს შეიყვარებ... წიგნი მომწერე სოღმე ხშირად... ან რა პოქვე იმ წერილზედ ლომაურმა? ბევრი რამე მინდა გითხრა და უთხრა ჩემს უცნობს სემენარიელებს გულის სიტყვა და მით უმეტეს ჩემ ძმა წიკლაურს და სხვა ძველებს, მაგრამ ეს სხვა წერილისთვის დარჩეს, როცა თქვენსასაც მივიღებ... წიკლაურს ვაყოცბადა ვთხოვ წიგნი ხში-რად მწეროს. მომიკითხე დიდის სიყვარულით ვასილი<sup>10</sup>, ჩვენი „поварн“, გოგო-ხია, ცუგრუმელა ყაზბეგი და სხვა სემენარიის ქართველობა... შეიძლება ვეჯინ-ზედ რამე „ივერიაშიაც“ წაიკითხოთ ამ მოკლე ხანში...

თქვენი ძმა ნ. რაზიკაშვილი.

4.

ძმაო თედო!

წერილების წერით და უწერლობით არ გამოჩნდება არც სიყვარული, არც დაიწყება. არც რა ბევრი ჩქარ-ჩქარა ამბის საკითხავს წიგნებში ყრია. ხო იცი მე ბევრი საქმე და საფიქრობელი მაქვს. ჩემი აზრები მარტო სკოლას არ ეხვე-ვიან, არცრა ისე საქვეყნო საქმეები მაწუხებენ; საქვეყნო მოღვაწეობას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა. მე კი ორზედვე ქესეტადა ვარ; მეორე რო მო-მავალმა ცხოვრებამ მაშცას, სწავლას, სამეცნიერო ცოდნას ვერ მომცემს. სანამ-დისინ დრო მაქვს, უნდა წავიდე საღმე და ვისწავლო. არ ვიცი კი რასმე ხელს მომიმართავს ილია, წიგნი მინდა მიეწერო, თორო ხო იცი მე საიმამო რა მაშავია? რასაკვირველია სახსარი შველისა ბევრნაირია, უმთავრესი კი საზოგადოებისაგან შემწეობაზედ არის აშენებული. ეს შველა ზოგს წარმოდგენებს შეუძლიანთ ჩემს სა-სარგებლოდ, წარმოდგემებს, ზოგი კერძო ნაფეშქაშარი ფულებს... ვრცლად მერე მოგწერ, ეხლა მხოლოდ ამას ვთხოვ, გაავრცელო ხმა, რო მე ძალიან მოწადინებული ვარ მალად სასწავლებელში წასასვლელად, რო მე დიდი იმედი მაქვს ჩემს მდგომა-რობაში მონაწილეობას მიიღებენ პატიოსანი გორელები, რო სხვა ქალაქებთან ერ-თად მატერიალურს რამე საშუალებას ამომიჩენენ, დამეხმარებინან, მაგ. ან წარმოდ-გენას ან ვეჩერს რასმე გაჰმართავენ ჩემს სასარგებლოდ. უნდა უთხრა ხოლმე ლო-მაურს, მათეს და სხვებს, რო მე ამ საქმის გამო თაფადაც ვაპირობ მანდ ჩამოს-ვლას მომივალ გააფხულზედ... ნეტავი ის გამაგებინა, რა აზრისა არიან „თაღ-ლაურაზედ“<sup>11</sup> ან საზოგადოდ ჩემს ნაწერებზედ, რო მაშინ ეს ყველა იდეალი მო-სახერხებელია... უნდა უთხრა, რო მე მითომ ყველა საქართველოს სამაზრო და საგუბერნიო ქალაქები მაქვს სახეში ამ აზრით დავიარო და ყველგან შემწეობა ვითხოვო. ამასთან უნდა მამა ჩვენის სიღარიბეც აუწერო ხოლმე. როცა ბევრს

ილაპარაკებ, ბოლოს მაწყურიადე და მამწერე, რას ვინ იტყვის. ვთქვი თედო, და უნდა აეასრულო კიდევაც. რასაც დაგპირებივარ მე მზადა ვარ. შენ მარტო შენის კაი სწავლით და საქციელით გამაჩვენე თავი, ისეთი იყავ, რო მესახელებოდეს შენი ძმობა. ამხანაგები გიყვარდეს და ჰქდილობდე არავეის აწყურინო. ამაცობას რო ჰკვიანური მოსახრებითა ჰდრეკ ზოგჯერ და იმცირებ-ეგ სათაკილო არ არი, ბრძენთა წესია. სხედ მე რიგიანადა ვარ... ეს არის ჩემი წერილი...

შენი ძმა ნ. რაზიკა შვილი.

1867 წელს ოქტ. 22.

5.

თედო და გიგო!

შამოვდე ფები, გწყალობდეს ღმერთი, ფები ჩემი, კვალი ანგელოზისა.

მე არ ვიცი წარსულ წერილში როგორა გწერდით ან რა იყო იმაში დასალონები. თუ არა ვცდები, მე იმ წერილში გიზიარებდით ჩემს სწავლის გაგრძელების სურვილს. ვამბობდი მისწავლებლობის თავის დანებების განზრახვაზედ და ვთხოვდით შაგეტყობინათ აზრი მანდაურებისა ჩემს ნაჯღანებზე მასთან გაგვერცელებინათ ხმა ჩემს სურვილზედ მომეტებული სწავლისათვის, აგრეთვე ჩემს ამ ნდომის მატერიალურად უსაშუალობაზედ. არ ვიცი, თქვენ რა იფიქრეთ, ან რამდენწინად აასრულეთ ჩემი თხოვნა ამ უკანასკნელი დავალების შესახებ. თუ მანდაურს საზოგადოებას ცოტათი მაინც მოჰწონს ჩემი ნაწერები და იცის, რომ მე სწავლის გაგრძობა მწყადიან, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია. მარტო მოთავეა საქირო. მე კერძო დახმარებაზედ კი არ გეუბნებით, წარმოადგენები უნდა ვიიმართოს ჩემს სასარგებლოდ. აქ სილნაღში კი რამდენიმე გვექნება, თელავშიაც იმედი მაქვს შამიგროვებენ ამავე საშუალებით. რჩება თბილისი, გორი, ქუთაისი და თიანეთი. ქალაქში და თიანეთში ბაბალეს იქნება ვაკისრებინო ეს საქმე, ილიასაც დახმარება ვსთხოვე, ჯერ კი პასუხი არ მიმიღია, არ ვიცი გამოვა რამე თუ არა. მანდ კი ვინ უნდა ითაოს-ის კი არ ვიცი, ვინ არის უფრო სათნოიანი და პატიოსანი. აბა ლომაურს ვაუკარიოთ სიტყვა, შეიძლება მოხერხდეს რამე და რაც შეიძლება საჩქაროდ შემატყობინეთ, თუ ღმერთი გწამსთ, პასუხი-უნდა მერე წიგნი მოგწერო.

წერილისათვის ძალიან მადლობელი ვარ, გაგიმარჯოსთ! მე დალონებული არა ვარ, როდესაც თქვენ მზიარულობთ. მე ძლიერ მესიამოვნება თქვენი წერილების კითხვა, აქეთვან იფიქრეთ თქვენს მოვალეობაზედ. მე ჯანსაღადა ვარ. მიხაკო და შინაურებიც ვიზნედაცა მკითხავდით, ერთობ კარგა არიან. ვისურვებ თქვენს გონებრივ და ზნეობით წარმატებას, დაესწარიო მშვიდობა-სიხარულით მრავალ შობა-წელწადა. დიდი გიმეტებით, დიდი გიმეტოსთ ღმერთმა, ახალმა წელმა, წლის გამოცვლამა. ჯგარი გეწეროსთ!

ჰო, მანდ გორში, ჩვენი მხრის კაცია ღვთისო გოგოლაური, აქ იყო, „თაღლაურას“ ნომრებს დავპირდი; წერილებსა მწერს და მემდურება, არ მიგზავნიო. თუ ჩემი სიყვარული გაქვსთ, ეგები სადმე უშოვნოთ და გადაასცეთ. წერილს რო გამომიგზავნიოთ ისაც შემატყობინეთ, დააკმაყოფილეთ ის კაცი თუ არა, თუ ვერა,



მაშინ აქეთგან მომიხდება გამოგზავნა... მართალია, წერილი მოგწერე, მაგრამ კიდევაც მომიკითხეთ. უთხარი, რომ იმედი ჰქონდეს, კიდევაც მოგწერე, რადგანაც დროება მეტნება. მომიკითხეთ აგრეთვე ვასილა, ჩვენი მზარეული-დიდის სიყვარულით, გოგონია და სხვები ვისაც მე რაშიმე ვეპიტანებები.

თქვენი ძმა ნ. რაზიკაშვილი.

6.

6 აგვისტო 1888 წლისა

ძ მ ა ო თ ე ლ ო !

შენ და ანდრია ხართ ჩემი ძმები და ჩემს მხრივ არც მოგცემთ მიზეზს სიძულვილისას. თუ ძვირად გეფასება ჩემი ძმობა და სიტყვა, წერილებს როგორ არ მოგწერ? იყავ ყველა კაცობიანი კაცის საყვარელი, ბეჯითი სწავლაში, სახელოვანი მანდაც და ცხოვრებაშიაც, თუ ხარ მოწადი, რომ ჩემი შენდამი ძმობა და სიყვარული ერთითასად გაიზრდებოდეს. ვინაც პირველობისადმი არ მიისწრაფის, იმისაგან არც არაფერს უნდა მოველოდებოდეთ. ის შექმნილი არ არის დიდებისათვის. ამიტომ ნურც ჰგონებ და შხადი პირველობას ცარიელ პატივის მოყვარეობად. მიილტვოდე პირველობისადმი, რომ შეიქმნე სხვათა შორის წარჩინებული.

მეორე კლასში ერთი ვაკანსია იყო, რომელიც შესაძლო იყო თერგის<sup>12</sup> მისაღებად ოელავში. შეუთვალე კი მამანეს ამ თვის პირველისათვის იმის ჩამოყვანა იქ, მაგრამ არ ვიცი, რას იზამდა, ან ის ბავშვი ისევ ცუდად იქნება თუ არა არ ვიცი. მე კი ჩამოვედი და ცოტ-ცოტათი ვეწუბი. სამწუხაროდ ჩამოვლით ყველები ვერ ვიყიდე პანკისში<sup>13</sup>, რადგანაც მეცხვარეები ჯერ მთიდან არ ჩამოსულიყვნენ და ესლა სალაგერდობოდ მომიხდება იქვე ასვლა.

გაუმარჯვე ჩემს მაგივრად გიგოს. მომიკითხე დიდის სიყვარულით ჩვენი დაუვიწყარი ვასილა და შეპრისხე: „რატომ არაფერს მოიწერები შე ფაშდილოთქო“, — აგრეთვე ფურცლაძე და სხვა ჩემი ნაცნობი ქართველები, წყალობა<sup>14</sup> მოგიკითხათ.

შენი დაუვიწყარი ძმა ნიკო.

7.

გა. 19. 1890 წ.

ძ მ ა ო თ ე ლ ო !

მე ადგილი მაშცა ლეონიძე<sup>15</sup> ბარისაკოში<sup>16</sup>. . . ტრეზზედ უძღვევიათ აქედამ ჯამაგირი, ეხლა არ მამცეს ქრისტიანობისთვის გასელამდის. აქ სასესხოდ განიხთა საქმე. მოთხრობა „უხიელი“ ეხლა არ მიმიცია რედაქციაში: უნდა შევასწორო.

მე მგონია ამ თვის გასელამდის მამიგვიანდება, ვერ მივალ ადგილზედ. წერილი მაიწერე, თუ ძმა ხარ, — როგორა ხარ, ან როგორ მოეწყე.

შენის საქმისა ეხლა შენ იცი: ვაჟაკი ხარ, მე რაღა უნდა დაგარეგო... თავი კარგა დაიჭირე და ჯიბესაც მაუჭირე — ეგებ ფული შეინახო, რა სხვა ზაფხულ ეს ოხერი სახლები ავაშენოთ.

იყავ მშვიდობით; ვისურვებ შენთვის სამაგალითო პატიოსნურ სიცოცხლეს და ბედნიერებას.

შენი ძმა ნიკო.

ტბთა.

8.

ძ მ ა ო თ ე ლ ო !

გამარჯვება კაცო!

დაჩვეული ხარ ჩემგან გოდების გაგონებას\* ან საიმაო რამესი... მაგრამ ამ წუთში ყოველივე დარჩეს—როცა შენაც, მაგ მშვიდმა კაცმა ხმალი ჩამოიკიდე იღდა მაკაბელივით, ფარიც და ბოლოს კი დასადებად გაგიხდა ის ვერანი... აესუს გმირო... მაგრამ მეც ხომ იქა გვეყვიარ გვერდით ფრთიანი, ნუ გეშინიან... კი არ გეწყინოს, ე, მინდა, ცოტა ხან, თუ შენ არა, შე შეინც ჩემს ნამოქმედარზედ ბროლის კბილები გამოვაჩინო... ამ უამად რაღაც კრუკის საათმა ჩამოიარა. სულ მინდა დაგცინო, მაცინო, ვაციწო და ძმურ ხუმრობაში ყელზედ ხელ-გადახვეულმაც ჩამოგაკოცნო, ჩამოგბროშტო გენაცვა... ამ საათში: მსურს ფრთა მომცა, ჩიტი მუნა, თქვენკენ მოვფრინდებოდე... მაგრამ შენის მარნისათვის კი აგრე რივად ბევრი საამო არ იქნებოდა... მნახამდი ქვევრი პირას, ხელში სველ ჩარეკიანი „რამოტოლა“ მრავალ ეამიერს დავიძახებდი და იახში[ლ]ლით „საქედლოს“<sup>17</sup> ჩემეულის ჯიხვით შენთან მოვიდოდი: ჩემის აგულძვირებული ჩიტუნია თიკოსას თავის ბლარტით; შუშანოსას, ვაბოსას, მაშუასას, წყალობასას, მაგრამ არა, წყალობას ვერ ვაწყენინებ: უნდა ჯიხვით კი არა—ტიქით, სტაქნით მიართვა ღვინო, სტაქნით ლოთობა არ იქნება. ვანა ევაც ნიკოა, რომ გადაკერა და ღვინოში წვერების სველება უყვარდეს... ვაიგონე, ე, თამადა ვარ—ძალას ნუ ატან, ეგ ჯიხვით ვერ დაპლევს, ეგ სულ პატარა რუნკებით და მამლი ყანწებითა მხვამს ბოლმე... ამანგარე აი... დალია?... აბა, ხელ-გაშლილი მასპინძელი, დოქზედ დაასხი... ეს ღმერთმა მაინც კიდე, წყალობე. შენ გადღებგრძელოს... ისე, როგორც შენი გული ღმერთსა მთხოვდეს; გადღეგრძელოს თავის სახლობით, თავის კეთილის მყოფლით... გაგონება იყოს... ურა!... აბა, სუფრულაცა ბიჭებო... ვაბო, ღვინოს ნუ აპარებ—თუ სმია—სასწორისა იყოს წვილოსანა. მასპინძელს ნუ აწყენინებ—და.. ზრიმლ<sup>18</sup> ნულარ გაუშვებ... აი გენაცვალე, ეგრე უყვარს ჩვენ მასპინძელსაც—აი! ჩემი ამბავი კიდე ამის მომტან ხევსურსა ჭიოთხე და წერილიც ამას გამაატანე. ბევრის მინდოდა მოწერა, მაგრამ მაჩქარებს... საღამო ხანია—გზაზედ ჰღვას... მშვიდობით... კლდეზედ ბეწვით დაკიდებული კაცისა რა იკითხების... ვაგას კაცურად დაძხვდი. შენი სიცოცხლის და ნახვის დანატრული ნიკო—ძმაი.

მინახავ<sup>19</sup> მოკითხვა... მრავალი მოკითხვა ყველასთან, ჩემმა სახრჩობელამ სიყვარულისა.

21 გიორგ. 1893 წ.

\*) ეს სიტყვა დეჟანში ირჯერაა გამოტრებული. ს. ყ.

## მ მ ა ო თ ე ლ ო !

მოგესალმებით და „მოგესაყვარლებით“ გამარჯვება — დღევანდლობით... ამასაც მოგახსენებთ, რომ ეს პირველი არ არის. ორიც სხვა გამოვიგზავნეთ. ერთი კი ვიცი, რომ მოგიტანესთ იმ ჩემმა კლანჭიანმა ელჩებმა, მაგრამ მეორისა კი არა ვიცი რა... ისაც იმათ ჯურის ხალხსვე გამოვატანე, — ვიცი, რომ იმათი სტუმრობა „ძან“ საამურად დავრჩება... წერილი კი ისე მარილიანი მე აღვიღად არ მომიწერია და ბევრსაც იცინებდი, თუ მოეტანათ... მაგრამ ვგონებ დესპანს „სამგორის მინდორში“ (მითომ ესა ჰქვიან ი დიდ მინდორ რო იტყვიან ქსანზედ?) ცხენი დაჰვარდნია და აბა ფეხით ხომ არ წამოვიდოდა ამ თოვლაცინებებში. ხელმწიფის პირველი კაცია — მარტო ქვეყანა რას იტყოდა, იმან რო ქვეც არა პთქეას — რა?.. ამიტომ კურიერი უკანვე გამობრუნებულა და სამწუხაროდ დღემდის არსადა ჰჩანს — კიდე კარგი, თუ ოდესმე მიინც დაუბრუნდება თვალ-გულ გადალგულ ბატონს. ხომ იცი ყიფჩაგების ქვეყანა იმის მადლიანი ჰქვით და მარჯვენით არსებობს, თორემ „ბოვებოვაციობები“ აქამდის ხერის არ დააყრიდნენ. თუ მანდვე სადმე ამბობდნენ, შენი ლურჯი ცხენით კაცი აფრინე (ვიცი ქერზე დაბმული გეყოლება და უქვევლად კაი ჯანადაც იქნება) ეგები შემწეობა მისცეს. ჩემი ვეზირი ქეშმარიტი ქრისტიანული თაფლობით არის გამსქვალული და საჯდომად ჩოჩორსაც არ მოყრიდება. ეს ეკონომიურადაც კეთაში მოსასულელია, რადგან ქირა „პატარა—ყოფიანებზედ“ ცოტაა განწესებული.. თუ გაქირვეულდეს, ერთი დაატუტუნებინებოე იმისთვის, და ელვის უმალ აქ დაიბადება... ეცადეთ კი პირველშივე შუშბი<sup>20</sup> მისცეთ, თორემ თუ კრძალვა-მოხატურება შეგატყოთ, მაშინ მის ქექა-ქუხილს და რისხვას ცაც ველარ გაუმავრდება...

ასე მშაო, ვინძლო შემატყობინო ჩემი მოციქულის ანბავი; თქვენიცა... ვინძლო მომიკითხო დიდის სიყვარულით ყველანი: თიკო, გიულქალი<sup>21</sup> წყალობა, შუშანა, ვაბო და მასოი, უთხარი, რომ ჩემთვის ძალიან სასურველია მათი კარვად ყოფნა და ნახვაც.. ნეტა გულქანი კი მაჩვენა... თორემ აი რა ვითხრა: მე ეხლა „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში ვგზავნი „ზამთარს“ ლექსს და „სიკედლის ლანდებს“, რომელიც მე შევასწორე... ვამზადებ ყველა ჩემ ნაწერებსაც დასაბეჭდად... „ამზანავობას“ მოელაპარაკე, თუ იყიდიან ჩემს ნაწერებს, მოწერე, საიდგომოდ ჭალაქს ჩამოვალ და ჩემ ნაწერებსაც წამოვიღებ... ოცდაათ თუმანზედ ნაკლებ კი არ მიეცემ, ამიტომ რომ ამ ფასად სტრიქონი ლექსი წაურზედ გამოდის თითქმის და ნაკლებ ხელს არც მომიცენს (თუნდა ცოტა მეტიც გამოლიოდეს). თუ არ იყიდიან და „კვალის“ რედაქციამ „ზამთარი“ და „სიკედლის ლანდები“ დაბეჭდოს, გახზოვ უანგარიშო (ლექსი შორად სტრიქონი და არა 4 კაბეკად, ეს პირობა თვით ვ. წერეთელს აქვს აღნიშნული ჩემდამ უკან დაბრუნებულ ერთ-ერთი პოემის ბოლოზედ) და, რაც მერგება, ფოშტით გამომიგზავნო თიანეთში, ამ ადრესით: В Тионети, уч. Бар. шк. Н. П. Разникашвили... ანგარიშში, რასაკვირველია, ყველა ის მასალა შევა, რაც დაიბეჭდა

„კვალში“ ან „ჯეჯილში“ იმ დროს აქეთ, რის შემდეგაც მე აღარა ამიღია რა რედაქციიდან... (შემოდგომამდელ ვიყავ რუფილისში...) რაც შეეხება ჩემს „კვალს“ კი ვერაპარაკებთ კუჩაზედ, ან სხვაგან შეხვედრის დროს.. გესმის რად?... ჩემთან გიორგიმ ცოლს უთხრა: „სად ჰქონია აქ—თუ იქ“ ყოფნაო? (იქ კი მგონია ქალებიც უნდა ჰყოლოდა...) ლექსებიდან ვტყობა, ბაჩანას ქალები უნდა უყვარდესო და სხვანი რაღაც აზრი აქ აზრე დარჩა... გესმის?... კაი ცნობაა ნიკოლასი განა, თუ-დო?... ეს კი ჩვენში დარჩეს ჯერჯერობით, დრომდის... საცა ქალები მეგულდება, მე იქ პატივცემულ კაცთან ველარ მივალ... რა ვიცი რა გაიგება, ან რა გამოვა რისაგან?... თორემ დარჩეს... ცოტა უმნიშვნელო საქმეც. არც ლაპარაკი და წერა მებაღისება იმაზედ, ვერც კარგად გაიმბე.

მერე კიდე: ამ ზაფხულს თავის ცოლ-შვილით მთაში წამოდი ჩემთან... მანდ აღარ დაპრჩე, თორემ იქნება შენი ჯანმრთელობისათვის სასარგებლოდ არ დარჩეს შენი მანდ ზაფხულში ცხოვრება... მეც ბარისახოში ვიქნები. თავისუფლება ბევრი გვექნება, სიღარიბეში სიამოვნება — გამჯავრე კი არავინ არ გვეყოლება... სანდროც აქ მოვა... მიხაც აქ მეყოლება... მთებში მინც ვიმოგზაურებთ... ახალი პოემაც დაევიწყე ფშაველების ცხოვრების შესახებ და, მგონია ურიგო არ გამოვიდეს...

თუ „ამხანაგობამ“ — ჩემი ნაწერების შესყიდვა იკისროს, მეც ტფილისს ჩამოვალ, (მომწერე) და, რასაკვირველია, ორნივე ხუთთუბანშიაიქ<sup>22</sup> ვაგმგზავრდებით... სხვა რაღა მოგწერო? რძალმა და მიხაკომ მოგიციტხესთ...

შენი სიკოცხლის მონატრე ძმა ნიკო.

1894 წ. მარტ. 8-ს.

(კვალის რედაქციაში ეს წერილი თანა გქონდეს — იმაზედ კი არა აჩვენო რა), ჩემი ნათლიმამის, „მელანიას“<sup>23</sup> — ნიკოს ადრესიც მომწერე: წერილი უნდა გავუგზავნო.

10

ძმავ თედო!

გამარჯვება ხალხო! აბა რას კილოსა ხართ, როგორ გიკითხოთ? რა რცა-ვადა ხართ?... ღმერთსა ვთხოვ ისე იყოთ, როგორც თქვენი ნიკოს გულს მსურდეს თქვენი კარგად ყოფნა... ჩვენც დღესნამდე არაფერი გვიშავს: ვერივართ, რაღა, ვათენ-ვალაშებთ კია... არაფერი მიჭირს, ძმავ, შენი უნახაობის ნეტო... ძალიან, ძალიან დაეწუხდი... მძლივ მელირსა მომეწერნა რამე.. ნეტამც მიიღებდეთ მაინც... იწერებოდი მოვალო. გეთყავა, არ დასდგე. ცოლ-შვილიც არ გაწერიო მანდ: აქ წამაასხი... ეგები წინ ვაბო ვამაგზავნო, რომ მოგვეგებოთ და ცხენებიც დავახვედროთ, თუ საჭირო იქნება... ზაფხულობით მაინც ვიყვნეთ ერთად, თორემ რა გაიგება წუთის სოფლისა... ისე უბედური ვარ, რომ თქვენი ნახვაც სანატრელად გამიხდა... შენი ჭირიმე წამაუალი არ დასდგე. როცა იტყვი, მანდაც გამოგყვები და ცოლსაც თან გამოვიყოლებ... მინდა, მინდა ბევრი რამ მოგწერო, ბევრი რამე ვიამბო, ვიამბო, ვაცინო, მაკინო, იხუმრო, მახუმრო, იმღერო, მამღერო, როგორ მეწყინება შენი სიცილი! მაგრამ აქ მოვიჯეროთ

გული... ამ წერილს კი შევამოკლებ: ეგები ბადე ან ზოლიბი ერთერთი წამი-  
ილო, დაგვიკრძებდა. ყველა ჩვენებს, დიდ-პატარას, მამროვან-მდედროვან აკოცე  
ჩემ მაგიერ და უსურვე ხანგძლივი, უტკივარ-უწყინარი სიცოცხლე, ჩემა ცოლ-  
შვილმაც იგივე შემოგიფალათ...

შენი სიცოცხლის მონატრე ძმა ნიკალა.

1899 წელს ივნისის 7-ს

11.

საყვარელო ძმებო თედო და მიხაე!

გამარჯვებთ, როგორა ხართ?

მე კი უსეინდისოდ მოვიქცევი, რომ ვანო <sup>25</sup> ობოლივით უპატრონოდ გამო-  
ვუშვი: ტანთ მაგას არ ეცვა და ფეხთა. წერილიც არ მომიწერია. გაჯავრე-  
ბულეზმა ალარც თქვენ შემატყობინეთ, როგორ ვინა ხართ, ან ეგ კაცი სად არის,  
რას აკეთებს? პავლე <sup>26</sup> მწერადეა: „იანერამდის სკოლის გარეთ დამრჩალა, არ  
მიუღიათო“ რა ვიცი, თუ სწავლით ვერაფერსა სწავლობს — შიშაღი-წყურვლით  
ხომ არ მოჰკლავთ, — მაგრამ მაგით არც აქ უჭირდა. ჯამაგირის მიუღებლობით  
ვერ წამოვსულვარ, ვერც ფული გამომიგზავნია, რათა საკიროების მიხედვით  
მოგხმარათ. ან ტანისამოსისთვის, ან მომზადებისთვის, მაჯავრებს კი, ძალიან  
მაჯავრებს სკოლის გარეშე დამრჩალი და მომცდარი. მებრალემა ეგ გამო-  
მავალი ბიჭი, ვაიმე, დედაე, თქვენს შინ უმყოფლობის დროს, როცა ნიკოც  
ხელთუბანში იყოს, უსაქმობით ქუჩაში წაწაწა დაიწყებს და აერევა გზა-კვალი...  
მოდი თუ ყველას გააკოცოთ თედო, მიხო, ნიკო, გულქან, ეთერ <sup>27</sup> ნინო, გუგულ,  
ვანოსაც გაუმარჯოს, როგორა ხარ? არაფერსა სწავლობ? ძალიან მემდურნი?  
ეჰ, მეც ბევრს ვემდური დედ-მამას რომ უნივერსიტეტში არ გამგზავნენ, მაგრამ  
რა გაეწყობა? არ იყო იმათი ბრალი. მაშ რის ბრალი იყო, ის შენ გამოიცან.  
„ძალიან დასწუხდებოდაო“ დედა-შენი ამბობს, მე კი არა მჯერა, რადვანაც  
ვანო თავის შესაქცევს ბევრს რასმე იშოვის და კარგს ბიჭებთანაც არის... მოდი  
შენაც მაკოცე. დღესნამდის, ძმებო, არაფერი გვიტორს. შემდეგ ღმერთმა უწ-  
ყის. სოფელში სისხაა <sup>28</sup> ვაშლილი. ღმერთსა ვთხოვ ყველანი კარგად იყენეთ...  
ჩვენებმაც ყველასთან დიდი მოკითხვა და სალაში...

თქვენი ძმა ნიკო რაზიკაშვილი.

[28 X. 1912 წ.]

12.

1912. 8.XI.

საყვარელო ძმებო მიხაე და თედო რე!

დღეს თბილისში ვარ და ამ წერილს აქით გიგზავნით... დღუშეთს ვიყავ  
სალთად <sup>29</sup> გადმოსული სამსახურის თაობაზედ რალაცა მოწერილობის გამო, იქით  
მოულოდნელად აქ მომიხდა ჩამოსვლა. მალინოვსკი ენახე და განუფანტე იმ  
დაბეზლებათა ჯანლ-ბურუსი, რაშიაც გაეხვიათ ჩემს კეთილის მყოფლებს... ჩემი  
საქმე არაფერი არ წახდა, — ისეე ჩარგალში გამგზავნა და სხვანი და სხვანი,  
ცოტა წელში გავიმართები. მანდ ვერ მოვდივარ და ფულსაც ცოტაოდენს მა-

ინც გამოგვიგზავნით არა დიდი ხნის განმავლობაში. მომწერეთ კი, სადა გყავსთ. ემ კაცი, სემინარიასთან არსებულ სარუსო სკოლაში ხომ არ იყოს ამ ერთს წელიწადს, რომ ცოტა რუსულში მომზადდეს. მეც როცა იქნება გნახავთ, ჯერ სკოლა უნდა დავაწყო, ბალები შევკრიფო. ვანოსთვის ტანისამოსი შევიკეთებ, — მადლობის მეტი რა ან მაგასა აქვს და ან მე. კიდევაც შეუკერეთ რაც აკლია, რომ არ შეპცივდეს... არ დაგიკარგავთ. ტანისამოსის ფულს მინც გამოგვიგზავნით თუ ჭმევა — საზრდოებისას არას გაძღვეთ... გენაცვალეთ, ძალიან ანცი <sup>20</sup> კაცია. — ბეჯითად ყური უგდეთ, იქით—აქეთ წანწალის ნებას ნუ დაპრთავთ. მაისიდან მერვე წელშია ვადასული. მაგას რომ შრომა და მეცადინეობა ასწავლოთ — არ დაიკარგება, — არ არის უნიკო... მეტრიკის მოწმობას მე წამოვიღებ, როცა წამოვალ. გარეშე ხალხს — დიდებია თუ პატარაები ნუ დააზარავინებთ. თქვენ კი თუნდა სული ამოაძრეთ — არავინ დაგემდღვრებათ: თუ ჩემი შვილია, თქვენიც არის და უკეთური კიდე ან ჩემთვის რად გამოდგება; ან თქვენთვის და ან თავისთვის. თუ არას აკეთებს — ისიც მაცნობეთ — მეც ჩამოვალ, წავათრევ და ვნახოთ მაშინ რა სიტუბოებით ვასწავლი.

როგორ არის ჩემი რძალი თიკო, ან ბალები. ღმერთსა ვევედრები ბედნიერი ყოფა გქონდესთ, დღესნამდის ჩვენც არა გვიჭირს.

თქვენი ძმა ნიკო რაზიკაშვილი.

სხვა წერილიც გამოგვიგზავნე, არ ვიცი მიიღეთ თუ არა?

13.

ძ მ ა ო თ ე დ ო !

შენის ახლად მოსულის წერილითვან შევიტყე შენი ამბავი. დაუწყნარებელი ცხოვრება გაქვს? — მითხარ, ვინღაა ამ წუთისოფელში მოსვენებული? მე წყობილებას ვერ შეუცვლი, ამიტომ არც არაფერს ვიტყვი იმაზედ, მე მხოლოდ მაინჯმს და ჩემს თავს ვაგამართლებ რამდენადაც კი ეს შესაძლებელია, თუ ვინცობაა იმას არ დაუსწვრია და აქამდის არ გამოუთვთრებია. მე ძრიელ მძივედ დამპრეს თებერვლის 13 — 14 რიცხვებში მხარში, ასე რომ დღესაც წყლული ისევ წყლულად არის. ნეტავი სააღდგომოდ მომირჩეს.. აქიმი ამას მეუბნება, მაგრამ მე საეკოდ მიმანია იმის დაპირება ერთის მოვლენის მიზეზის გამო, რომელსაც თუ თვალთ არა მნახავ, მოწერით ვერაფერს... [მოხუელია, ს.ყ.]. რასავირველია... [მოხუელია, ს.ყ.]... ხანებში ძალიან შეწუხებით ვიყავ, ასე რომ არც ვის კი ვგონა ჩემი მორჩომა. დღეს კი იმ[დენ]ად კარგა ვარ, რომ მზიან დღეებში კარშიაც გამოვდივარ... მე თუმცა მწუხარედ ვიყავ, მაგრამ შინ კი შატყობინება არ მინდოდა, თუმცა კი ჩამცივებოდენ, აცოდინეო.. ახში ჩემ ნათლის ჩემს მალვით მაამჩემისთვის წიგნი მიეწერა, და სამ კვირაზედ ის კაცო ჩემთან კი მოვიდა. აქ ორ კვირამდის დარჩა (ეხლა მარტოცა ვარ) — და ამა საიდგანლა რას მოგწერდა?.. რაც რამ ფული მქონდა, შამომეხარჯა და ეხლა უგროშოდა ვზივარ... იმედი კი მაქვს ამ ერთ კვირაში იქნება ენკენისთვემდის კუთვნილი ჯამავირი ჩავიბარო და მაშინ თუ ვსურსთ და შამწერეთ, საგზოთ რა გეყოფათ, გა-

მოგვზავნით, რომ შენდა გრიშა აქ მოხვიდეთ... მაშინ სემენარიითგან ხსნის თა-  
ობაზედაც კარგა მოგელაპარაკები. თუ ვინცობაა ჩემი ფული დროზედ ვერ მო-  
გივიდესთ, ესეხეთ ვისმეს... სასწორებელ ფულზედ მე არ დიგალონებთ, თქვენ  
ოლომც აქ მოხვიდეთ. დაქრის მიზეზიც ვიცი, რომ გულით გინდა შეიტყო, ის-  
ტორია გძელი მოვა, [რომ] გიამბო. სწორედ რომ ესთქვა თავიდაც დაბეჯი-  
თებით არ ვიცი, რის გულისათვის შემოქრა ხანჯალი. გეტყვი მხოლოდ, რომ  
დაკვრა იღუშალი, ძალღური იყო უკანითგან, როცა მე არ მოველოდი და დაპა-  
რაკიც სულ დიდი ხნის ვათაული იყო<sup>21</sup>, სხვა რაღა მოგწეროთ? ხო იცი მე-  
კნიაზ-კნუაზები... მკილია, უკაცრავად კი თქმისთვის... მე მაინც საცა ვაგე-  
წევი, მაგათ მოსისხლე მტერი ვიქნები და გაუშრობ უწყალოდ სისხლსა... უფრო  
ეხლა-აქამდის არაფერი. ცოტა კატორღა მაშინებს რჯულ-ძალი, თორე მე ვიცი,  
რაც უნდათ ამ ჩაღაჩუნე-მაგლაჯუნებესა.. „ჩაღაჩუნე ჯოჯოფაშები“ და მე  
კი ღრდინი გამაგდებინეს განა? არა უშავს რა, ძმაო, არა, ძალი კოკლობით  
არ მოკედება, ოლომც ისინი [განის]კენებუნე საღათური ძილით.

სანამდის, მშვიდობით, და მომიკითხავ კიდევ ჩემს ძველს ღირსეულს  
მეგობარებს და ნაცნობებს.

შენი ძმა ნ. რაზიკაიანი თი.

4 მარტისა.

14.

ძმაო თედო!

გამარჯვება! გენაცვალოს თავის ძმა, თითქო დალონებულაო. სელიტიო-  
რიო?<sup>22</sup> იქნება შეკნინდი? ნუ გეშინიან, მოეულით როგორმე... რაკი წამოსვლა  
პოტვი, აქ ჩემთან წამოდი, და მერე შინ ერთად წავიდეთ. ფულს მოწერისამებრ  
ხუთს მანეთს გიგზავნი, ვერ ჯამაგირი ხუთის თვისა არც კი ამილია. თუ მეტი და-  
ხარჯოს შენზედ შენთან მანდეთგან აქ წამომსვლელმა ამანავამა, აქ გაუსწორდები.  
ვერ იმის პასუხად რა მომწერა ლომაურმა, რა ახლა სხვა მოეწერო? მაგრამ  
სხვის სამართლობა და ჰჯა უფრო ადვილია, ვიდრე თავის თავისა. მე მხოლოდ  
მოვიკითხავ, მოვიკითხავ და ვაკოცებ ჩვენს ვასილას. — თქვენს მზარეულსა, ავ-  
რეთვე ყველა ნაცნობს, ჩემს გულის ძმებს სემენარიელებსა. უთხოოდ გელი. სა-  
ნამდის მშვიდობით, გამარჯვებით!

შენი ნ. რაზიკაიანი თი.

28 მაისს.

ხუთსა გწერ, მაგრამ ერთ მანეთსაც გიმატებ... მე ხმელი პურითაც ვი-  
ცხოვრებ...

15.

ძვირფასო ძმაო თედორო!

გამარჯვება!

ამ თვის ნახევრამდის სულ მოლოდინი მქონდა შენის კაცის და წერილისა.  
მატყლიც ნაშოენი მქონდა; მოსულიყო ვინმე მანდემამ სხვასაც რასმეს ვუწო-  
ვიდი... მაგრამ მანდით არავითარი ცნობა არ მიგვილია... ჰე, თუ კარგად მა-  
ინცა ხართ, თუ ისე მაინც გახსოვართ — ესაც დიდი ნუგეშია ჩემთვის.. ეხლა

ან მე რაღას გამოვიგზავნი — როცა ასეთი დრო და ამინდია დატეხილი... თორემ სანდროსაგანაც ყველაფერს უფრო კარგად შეიტყობ აქაური ვითარებისას... რაც შეეხება ჩემს სულიერ მდგომარეობას, ბევრს სანუგეშოს ვერას ვეტყვი: რაც დრო და ხანი გადის, რაც უფრო მარტოკა ვარ, იმდენი უფრო შავი სევდისთვის ველარ დამიხწყევია თავი: ვარ მარტოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემს თავს, მოპასუხე და ხვაშიადის მოზიარე ჩემთვის არავინ — გარდა არაგვისა, მთებისა და ბეჩავის ჩემის ცოლისა...

ვზივარ ბევრჯელ ჩემთვის საცოდავ ფიქრებში გართული, ვუკრავ ფანდურს, ვესაუბრები ბევრს რასმე ჩემის გულის ამონაკვეთისას, და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და ჩამოპდის ცრემლები!.. ესაც ნუგეშია ტანჯულის მგონისია — არა ძმაო?.. კიდევ კარგი ეს მაინც მიცნობს და მათსებს რაც კი მოუთხოვება ამის განვითარებას. ნეტა, საზოგადოება რომ არა ვსთქვა, წიგნები მაინცა მქონდეს ბევრი-ბევრი, რაც საჭიროა, მაშინ კიდევ აღარას ვიტყოდი, — იმეებით მაინც ვიცხოვრებდი... დიას... ჩემი მოწაფეები, კაცო, ის ჩემი საყვარელი ძმები და შვილები... ისინი რომ არ მართვევინებდენ კიდე, აქამდე ან ვაგვიუღებოდი ან სხვა რამე უფრო უკეთესი დამემართებოდა... დაეჯდები, შემოვიხსამ ვარს ჩემს ბარტყებს, ვამბობთ, ვკითხვობთ და ხშირად მეცა ვტირი ჩემს მოწაფეებთან... აღზრდაა მარა ჯანდაბაა — შხამიანი წყლით რწყვა სწოლიან მდელსი!.. „საზოგადოება, ჩვენი ინტელიგენცია“... თორემ ვის რა დამედროს კაცი... ყველას ღმერთმა უშველოს, ხელი მოუშართოს, და ჩემო ძვირფასო, შენც გავიმარჯვოს...

მრავალი მოკითხვა ყველა მანდაურ ჩვენებს ჩემს და ჩემის ჯალაბობის მხრივ.

შენი ძმა ბაჩანა.

16.

საყვარელო ძმებო, თედო და მიხაკ!

ჭრისტე აღზდგა! მრავალს დაესწარით.

თედო, შენი წერილი მივიღე, მაგრამ მე კი ვერც წაშოველ და ვერც წიგნი გამოვიგზავნი. დაწუხებულიცა ვარ და სათქმელიც ბევრი მაქვს, მაგრამ ბაღლების ავადმყოფობის გამო დაბნეული ვარ... თქვენდა მანდით როგორა ხართ, ან დიდი ან პატარა?

იღბოვრეთ, იცოცხლეთ... რაც თავის თვალთ არ გენახოსთ და ან არ დანიახოსთ და რაც თავის ყურით არ ვაგვეგონოსთ, ნურათერს დაიჯერებთ... ვინც თვითონ უფრო საზიზღარს და შემაძრწუნებელსა შერება და ძალადებს, — ის უფრო სხვათა ქორს დაქალაქებს... მახლას, რა გაეწყობა! წუთოსოფელია, — ზოგი „ცხოვრების კიდილიაო“ — აქაო და — ყოველივეს კადრულობს აკარგობის განუხველად. თორემ სიმართლე კი იტყვის თავის თავს როცა იქნება... სანამდე კი პტკებს ზოგი თავის ვარდების სუნით და ანათლოს ქვეყანა...

ჩემი რა გითხრათ?.. თუ თქვენვე არ მიშველით, ვანო აღზრდელი დარჩება. სამის თუმნით რომელი ერთი აღიზრდებ — შეინახება? თედო, ეგ ბიჭი აფიციალად იშველ, — რათა სამხედრო ბეგარა გადიგდებინოს... ამ ზაფხულ კი აქ წამოვიდეს და მერე ხან მანდ იყოს, ხან აქა. თავისუფალ დროს თავისთან იყო-



ლიე და ასწავლე მეურნეობა,—ასწავლე გარჯა. მისში უძველად მე თვითონ განახავთ და თვითონ წამოვიყვან ვანოს...

მიხავ, კარგად ვიცი, შენი მოყვარული გულის ამბავი, ვიცი რომ ვანობედ მამაშვილური თვალყური გიჭირავ... გიშველათ ღმერთმა, შეილი თქვენიც არის და თუ ქვეყანაში საღმე გაერევა—თქვენი სახელიც იქნება. ქორწილი უჩემოდ არ შეჭამო...

ყველას მოგიკითხავთ და ეაკოცებთ მეცა და ჩემი ქულფანობაც<sup>23</sup>.

თქვენი ძმა ნიკო რაზიკაშვილი.

17.

ძვირფასო ძმაო თედო!

მოგილოცავ შობა-ახალწელს, ღმერთმა მრავალს მიგაგებოს თავის ცოლ-შვილით ბედნიერი ცხოვრებით... შენ თუ მემდღური, მე მადლობელი ვარ, რომ წიგნი მომწერე და შემატყობინე თქვენი კარგად ყოფნა... თუ არაფერი გიჭირსთ—ჩემს ნახვაზედაც უძვირფასესია ისა და მაგაზნად სასამოვნოს ვერცარაფერს გამაგონებ... რასაკვირველია, საწყინოდ არც ის დამრჩა, რომ მარანი მოვისწვრია, ლეინოები ჩაგისხამ და საღმთოსაც ვადახდას უბირებ... რატომ, გენაცვალე, ღვთის ახსენება არაფერს დაგვიშავებს. მეც დიდის სასამოვნებით გესტუმრებოდი, რომ კარგად ვიყვნეთ... ინფლუენცია, ხველა-მსკეალი დაგვერია მე და ჩემს მოწაფეებს,—რომელმაც შენი ძმისწული მასონაც<sup>24</sup> იმსხვერპლა, მოგვიკლა... მეც ავად ვიყავ, სიკვდილს ბეწვით ვადავრჩი: ჯერ ხნობით კარშიაც არ გამოვსულვარ ისე სუსტადა ვარ... გეცოდინება ფშავ-ხევსურეთში დიატერიტი მძინევიარებს. როცა მე უკანასკნელ დღეში ვიყავ, ახლა პალეს ის ოხერი ჭირი არ შეჭმდა! რაღაც ლეთის განგებით სწორედ იმის წინა დღეს დოქტორთან ლუკა ვავგუაქენე ჩემდასაშველად, როცა პალეს ის ელის ტკივილი გამოაჩნდა... უძველიც არის ამასაც ხელიდან გამომაკლიდა, მკურნალი რომ არ მომსწრობოდა და არ ეწამლნა... ერთად გამოვრჩით მე და ის ბაშვი... მხოლოდ დიატერიტი ახლა მეც შემხვდა, შენს რძალსაც; დღესაც ყელი მტკივა... საშიში კი არა არის რა—რადგან დიდებს მსუბუქად გაგვიარა... ს პატარა-ლა გოგო მყავს სალი და ღმერთმან უწყის—იმას რალას უხამს ეს წყველი ჭირი—შეხვდება თუ არა.

ლუკა დღესნამდე კარგად იყო, არავის რა უტკიოდა. მხოლოდ გუშინ გუშისწინ ამბავი მომიტანეს პატარა ბაშვი დიატერიტით ავად გაუხდაო, რამდენად მართალია, არ ვიცი; ვერავისა ვხედავ ჩარგალელს, მეკითხნა და არც მე მაქვს თავი თითონ წავსულყავ და თვალი მომეგლო... ასეა ჩვენი ამბავი... ნუ შესწუხდები, მე არა ვწუხარ, თუ შენ ცოცხალი მეყოლები და სხვა ძმები... რასაკვირველია, მინდა შენი ნახვა, მაგრამ სახუმრო საქმე არ არის, ამ ზამთარ არსად წამოხვიდე აქა; ჭირ-სატკივირიანობაა, გაგყვება რამე... საზაფხულოდ კი ხომ ჩემთან უნდა ამოხვიდე ცოლ-შვილით; სააღდგომოდაც წამოდი, მოგწერ, თუ ავადმყოფობა აღარა არის გაშლილი... მომიკითხე დიდის სიყვარულით ყველა: დედა შუშანა, წყალობა, გაბო და შაქრო<sup>25</sup> თავის ცოლ-შვილით და უსურვე ჩემს მხრივ ბედნიერი ცხოვრება.

თიკოს და ბაშეებს კონცით მიესალმე ჩემს მავიგრად.  
ჩენმა დედაკაცმაც მრავალი მოკითხვა...  
სანდროსაც აკოცე, ვიცი მნახავ...



შენი სიცოცხლის მონატრე ძმა ნიკო.

18.

ძ მ ა ო თ ე ლ ო !

აქაურს ამბებზედ არაფერს არ გეტყვი: თვითონაც შეიტყობ აქ მოსვლი-  
სას. უთუოდ კი წამოიღი, სააღდგომოდ მეც შინ ვიქნები... ცალი გვერდი გამუ-  
რული მაქვს, ცალი კარგი. ვაიგე?.. სკოლის საქმე კი ღვით კარგა მაქვს დაყე-  
ნებული, „თეთრიც“ საკმაოდ მრჩება... სხვაგანა მტკივა ოხერი და!.. თედო, რო-  
გორც გითხარ, სააღდგომოდ წამოიღი. მაის „ივერიის“ რედაქციაში შეიარე,  
რაც ფული მერგება აიღე: იქ დაბეჭდილი მხოლოდ „ფშაელის სიზმარი“<sup>36</sup> იყო.  
ის № შენც გექნება მანდ, რადგან შენი ლექსიც იქ იყო დაბეჭდილი. ეხლა კიდე  
„სიკვდილსა“ ვგზავნი და „სიმღერას“, უთუოდ დაიბეჭდებიან... სტრიქონი  
ლექსი შაურად უნაგარიშე... ეგები თედო ერთი გირვანქა ყაქიც მივიღო, ან  
აბრეშუმი—მეირღება.. ეს საქმე. დიახ, სანდროს უგზავნი რასმე?.. უთუოდ ამ  
ტრეტისა შენაც გაუგზავნე და ჩემ მავიგრადაც—ფული ხომ მანდა გაქვს... დი-  
ნარჩენზედ მერე ვსთქვათ... ეს კია სახლის თავდარიგს არ შავდგომივარ, რად-  
განაც ამისთვის ცოტა ჯერჯერობით ფიქრში და არჩიონში ვარ... სასახლე თხი-  
ლი ჯერ ისევე ჩურჩაში ზის, არ გამოკროლილა...

როგორ არიან შენები—ჩენები?—ჩემი ძმა წყალობა, პატიოსანი წყალო-  
ბა, მათი მეუღლე, ან პატარა მამოა, ან, დამავიწყდა სახელი, შენი ცოლის ძმა?  
ღმერთმა ინებოს ბედნიერი ცხოვრებით იმყოფებოდენ... მოკითხვა ურმით უნ-  
და გამოივგზავნა მათთვის, მაგრამ ამ ოღრო-ჩოღროზედ ძალიან დაიგვიანებს..  
ფარეღანაც ყველანი დიდი პატივისცემით მომიკითხე... ჩემი რძალი და ჩემი პა-  
ტარა თალიკა!? როგორა კბრძანდები ჩემო კარგო? ხომ არ გაწუხებდა ვე მოუ-  
ხეშაი ფშაელი?.. აბა ჩამოკოცნე თავის პირ-თეთრი მაზლი, გესიამოვნება გა-  
ნა!.. უფრო მაშინ, როცა ღვინით გამობრჯეულს თვალები დაუწითლდებდა და პი-  
რიდამ იავარდითა სუნნელოვანებს... მაინც მაშინაც შენი ვარ ჩემო კარგო და  
ღმერთსაცა ვთხოვ მოგანიკოს თავის ქმრით დიდი ხნის სიცოცხლე და აღუშუო-  
თებელი ცხოვრება... მაგრამ თუ ოქროს ქორიანი ვაჟუნა არ გამოგვიჩეკე—მაშინ  
კი მე და შენ უჩხუბრად ვერ მოურჩებით ერთმანერთს... კიდე რამე უნდა მომე-  
წერა—მაგრამ საღამოა, ბნელდება, სანთლის ანთებაც შეზარება და მეც მეტი სა-  
თქმელი აღარაფერი მრჩება... იყავით მშვიდობით, ნახვამდისაც და სამუდამოდაც.  
თქვენი ნიკო, თუნდა „ნიკოლაე“, მერე რა სასწავლთ მოქმედი ვარ, რომ  
იციოდეთ!

მითომ Никалай Чудотворец-ზედ გელაპარაკებათ რაღა!..

თუ „დივიდენტში“ მერედაქციენი წილს არ მომცემენ, თედო, მაშინ შაუ-  
რი გამოართვი, თუ წილს მაძლევენ—მაშინ სტრიქონი სამ კაპიკად უნაგარიშე  
პროხა და ლექსი.

თედო, ხახვის, ბადრიჯნის, ნიახურის, კომპოსტოსი, კარბლის, ბოლოკის და მწვანეღებულების თესვები არ დაივიწყო შენი ქირიბე, ძალიან საქირია, ყვავილების თესვებიც ეგებ იშოვო სულ ჩემი ფულით იყიდე, შენ როგორ შეგაწუხო. მიყიდე სამი კოვზიც სტოლისა სემინარიული ყაიღისა.

## 19.

### ძმავ თედო!

გამარჯვება!.. თორემ შენ ჩემს საბასუხოდ არ გცალიან, გატყობ... მოდიო, ვამბობ, ნულარე მე შევაწუხებ; საქმის კაცია და ანგარიშისა; წამოვიდეს, ცალკე საქმე რაზე წაუხდება (ეს კი მართლა უსამწუხარო არ იქნება) და ცალკე კიდე გზაში დაეხარჯება.. ხუმრობაა, ხუთი შაური ისე არა უბრალო საქმეზედ კაცს ხელიდან გაუფრინდესო!.. თუ ძმა ხარ, ხუმრობა არ არისო, ნიკომ შემოგითვალა, შენმა ძმამ, ძმა რას ეშპაკს და ქაჯსა ჰქვია, მანდ იყა, ფეხი არ მოიცვალოო... აგშურებია კაცო... რა ვიცი, რაგებს ამბობს შენზედ... ილარე წიგნი მაიწერა. ამას წინაც გაფუგზანე, მაგრამ ყურიც არ გააპანტურა... „ნიჩავო“ თავისთვის ეგდოსო... არა, უნდოდა კი გაეგო იმ ეპისტოლის ბედი, მიიღე თუ არა.

რალაი იმან ხელი და პირი არ გაპძრა, ვიცი შენი ტკბილი გულის ამბავი, მაინც გენდომება მისი ამბის შეტყობა. გდია რალა ბეჩავი... ამ ზაფხულ გაზაფხულიდან მოყოლებული დღესამდე სულ ავად იყო იმ სნეულობით, ხალბათად რო კბილს კბილზედ აკერეინებს ხოლმე... რო მნახო, რაც უნდა გიყვარდეს, მაინც უნებლიეთ ვაგეცინება. ისეთი ვახუხულ, გაძვალტყავებული-დაა, რომ სწორედ კვდრეთით ამდგარი ლაზარე გეგონება. შენი ამირანი თავის გრძელი წვერით შნოება საცოდაობით იმასთან რა შესადარებელია შე კაი კაცო.. მე ხომ არ მენახა ამის მეტად ნაავადმყოფარი კაცი... ესა ენახე და ღმერთმა მშვიდობა მისცეს... კაცო... ამირანი ჯაპვხედ მაინც არის დამბული, არავის რას უშაგებს... ესა?—შენს მტერთა!.. როგორც ძალი თოკხედ, სულ ისეა შფოთში... გამგელეებული რო ვამაერევა ი წერილ ცოლ-შვილს პირდობლიანი, ააწიოკებს და თან ჯოხს, იმ ტილ ჯოხს აკაკუნებს,—იი სანახავი ის არის.

თუ იმას არა, მე მაინც მაიწერე გეთაყვა, მოხვალ ამ ზაფხულ, თუ ირა, —ნიკოს ღმერთმა მშვიდობა მისცეს. ისაც ეყოფა, რომ ფშავში სკოლა კეთდება, მგონია ჩარგალში და ის თურმე გადაპყავთ იქა...

ამის მომტანი კაცისა შენ იცი. ერთი ჩემი მეგობართავანია და შენსავით უნგარიშო... აბა რალა თავი შეგაწყინო მეტი ლაპარაკით... შენი ჯალაბობა კი სულ ერთიან მომიკითხე; ნურც წყალობას, შუშანას, გაბოს და მამოს დაივიწყებ. ახ, ნეტა სანდროსიც ვამაგებინა რამე.

შენი ნაცნობი ნიკო.



1.

უძვირფასესო ძმავო თედო!

პირველად მოგიკითხავთ დიდის სიყვარულით და ღმერთსა ვსთხოვ თქვენს სიცოცხლეს. როგორა ხართ მას აქეთ, ახ თიკო როგორ არის მაშინ რო თავისტიკოდა?

თუ ჩემს ამბავს იკითხავთ მე მშვიდობით ჩამოველ თელავში, კარგად ვიმგზავრეთ. ბადუროვი შაქრო ქალაქში დამხვდა, წინა დღეს ჩამოსულიყო. შენ რო წერილები გამატანე ისენი მივიტანე. „ივერიის“ რედაქციაში მივიტანე ის ლექსი, ის წერილი კიდევ, როელიც „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში“ გამატანე, ის კნინი მალაზიაში მიუტანე. „ჯეჯილისა“ და „ქვალის“ რედაქციაში რო წერილები იყო, ისინიც იქ მალაზიაში მივეცი, რადგანაც ვერ ვიპოვე „ჯეჯილის“ რედაქცია, ისინი გადასცემდნენ. ინსპექტორთან რო გამატანე ის კიდევ ფოშტით გავგზავნე ქალაქიდანვე გაროდსკოი-ზაკაზნოით, ორი შაური გამომართვეს, აბა საიდან ვიპოვიდი იმას კაცო, მეორეს დღეს აქ უნდა წამოვსულიყავი; ისე რომ ის წერილები სულ იმ დღესვე მივიტანე ყველგანა.

არავეისი არაფერი არ ვიცი როგორ არიან.

ხუთი მანეთი სულ გზაში დამხარჯა და ხუთი მანეთი კიდევ ღიზას მივეცი.

სხვა რალა მოვწერო ძმავო, მშვიდობით ჩამოვედ აქა და კარგადა ვარ. მშვიდობით, ძმავო, შენი ჭირბიშ! მოგიკითხავ ყველას დიდის სიყვარულით: თიკოსა, შუშანას, წყალაზას, გაბოს, მაშოს, თამარას და სხვებს ყველას ვინც კი მანდ ნაცნობები არიან.

მშვიდობით! შენი ძმა ალექსანდრე ჩაუიკაშვილი.

1893 წ. 17 იანვარს. ქ. თელავი.

2.

ძვირფასო ძმავო თედო!

უპირველესად ყოვლისა მოგიკითხავთ ყველას დიდის სიყვარულით და გილორებთ ბედნიერად ცხოვრებას მრავალს წელსა. თქვენი მშვიდობით ყოფნის ამბავი გავიგე, რაიც ფრიად მესიამოვნა. ჰა, ქესეტობა ხომ არ არის? მგონი პურიც ცოტა მოვსგლია წელს, როგორც შაქრომ მითხრა. ვენახი ხომ არ გაფუქდა? შენ კარგად იყავ, ცოლ-შვილი კარგადა გყვანდეს და საწყალი ჩენი თავიც, თორე ღმერთი მოწყალეა.

ჩენც არა გვიკირს-რა: თვალ-სხვილა ბიჭი<sup>1</sup> ისევ ღუღუნებს და ღუღუნებს. ესტატე<sup>2</sup> დილის ხუთზე წაეა და საღამოს ათზე მოეა, მეც ი ფოშტას აღარა ვმორდები, ასე რომ ვაჩანჩალებთ რალა ამ ტიალს წუთისსოფელს! რალა! ლევანი ჩამოვიდა და ლუკას წერილი ჩამომიტანა, რომელიც მშვიდობას იწერება, სხვათამორის მალე ჩამოსვლასაც.

ნიკოს ცოტა აციებდა, სხვად ყველანი კარგად იყენებო. ნიკოს არა უთქვამს რა ჩამოსვლისაო ყველასაგან, როგორც ჩვენთან, ისე შენთან და მიხასიათა დიდი მოკთხევა. რაკი ეს ჩემი სიდდერ-სიმამრი მარსულობენ, მეც, რასაკვირველია, ვმარბულობდი, მაგრამ ლევანმა ახალი რძლის გამომცხვარი ხაბიძენები — და ერთი ქილა კარაკი რაკი მოიტანა, გავიმსხნილეთ.

ეხლანდელი მანიფესტის ძალით ხომ ლუკასაც ეპატიება ის საზი თვე რო ჰქონდა გადაწყვეტილი. მაღარიჩი ეკუთნის<sup>4</sup>.

შოი<sup>5</sup> დაიჭირეს, ყველა წერილები, რაც კი ჰქონოდა, სულ ერთიან წაიღეს გასაშინჯად; იმათ მალაზიასაც დაეცნენ და იქაც რაც „წერა-კითხვის სასოგადობის“ შესახებ მიწერ-მოწერა, ანუ წერილები უპოვიათ, სულ წაუღიათ, ფულიც კი რაც დახლში ყოფილა. ასე არის საქმე. ეს არის საწყალს, რაც ხანი მოუნდებიან იმ წერილების გადასინჯვის, შიოს მეტებში ჯდომა მოუნდება, თორე ამა რა უნდა ეპოვათ იმისთვისა, ან რას უზამენ. აქ ორი დღე სწვიმდა, რამაც შესამჩნევად ააგრილა. ცოტა დავისვენე...

მგელიოი<sup>6</sup> რო ლუკასთანა ყოფილა, ახლა კვებნა დაუწყია, რომ ამისთანა და ამისთანა მთიბელი ვარო; ლუკასაც აუყვანია ყორღულში<sup>7</sup> ესა და ლევანი. მგელიოსთვის ნალევი ცელი მიუცია ერთი უხეირო, თვითონ რუსული ცელები დაუჭირიათ და სთიბდენ, ახლა ის ცელი მგელიოვს გასტეხია, რომელიც უხლია კიდევ. ახლა ლუკა მწერს წერილს, რომ სიცილით მუცელი ზელში-და უნდა გეკიროს რო წაიკითხო: „მგელა, ასე ეძახის ლუკა მგელიაშვილს, ჩვენ ყველანი კარგადა ვართ, ყველაფერს დაწერილებით ლევანი ვიამბობს და ლევანზე აღრე, ვფიქრობ, მგელა ვიამბობდა, რომელიც უხმლო მოვიდა და ხმლიანი გამოვგზაენე. შევმოსე აბჯარ-აბგრით, და დამარაგებული ვამოვგზაენე, რომ მტერს დედა უტროს, უპირველეს ყოვლისა თავის კეთილის მყოფელს სარაჯიშვილს, რომლის წყალობითაც ლუკამ პურის ღირსი გამხდარა და თავის ბოროტსა და მოუსვენარს სულსა მხაფიეს. დიად, ეგ ვიამბობდა ჩვენს ამბავს. ძალიან ბიჭი ვამოდვა ეგ მგელა. აქამდე კი არა და ახლა კი დაერწმუნდი, რომ მართლა ბიჭი ყოფილა, ცელს ისე იტრიალებდა, ნალევსა, როგორც თავის თვალებსა“.

ახლა ლუკას იქ თურმე შინ რამდენიმე ხმალი ჰქონია, და ამისათვის უთქვამს, რაკი ეგეთი ბიჭი ჰყოფილხარ, აი ამ ხმლებიდან რომელიც მოგეწონოს, ფეშქაში იყოსო. ამასაც ერთი ბევსურული ხმალი მოსწონებია, რომელიც ლუკას ურქვებია კიდევა და ამ აბჯარს იმიტომ ახსენებს ლუკაც თავის წერილში.

აბა იყავით მშვიდობით! 21-ს ამ თვეს თუ მშვიდობაა, გნახავთ. მომიკთხე ჩემი რძალი, მისა, ბავშვებს ჩემს მაგიერ მრავალი კოცნა. თამარი, წყალობა, შუშანა, ვაბო, ფეფე, მამო და სხვანი. მოგიკითხესთ ყველამ დიდის სიყვარულით.

შენი ძმა სანდრო.

1904 წ. 12-ს აგვისტ. ქ. თბილისი.

### 3.

ძვირფასნო ძმანო ჩემნო თედო და მიხეილ!

ფრიად და ფრიად დამნაშავედა ესთვლი ჩემს თავს, რომ აქამდე წერილი ვერ მოგწერეთ და ჩვენი აფ-კარგი არ შეგატყობინეთ. რას იქ, თუ ჩვენც არ

შეუნდობთ ერთმანერთს ჩვენს დანაშაულს ნებსითს და უნებლიეთს, სხვა რას შეგვიწოდებს. თუშკა კი მეც თქვენზე მეტი არა დამიშავებია — რა. საქმე იმაში ვახლავს, რომ ვაჟა-ფშაველა რაკი აქ იყო, ხომ მოგვხსენებთ, ადვილად ვერ მოვიცილოდი. მანდელმაც რაკი ჩამოვიდა და თქვენი მშვიდობიანობა ჩამოგვიტანა, მეც გული დავიარბინე; მხოლოდ უფინანსობამან თქვენმან ფრიად შამაძრწოლა, ვინაიდან მეც მრავალჯერ განმიცდია იგი.

ნოემბრის პირველში წერილი მივიღე ბაკურციხიდან, რომლითაც გვებატიჯებოდნენ ყველათ სულით და გულით დათას\* ქორწილში. რაკი მიხასთიასაც წინათაცა მჭონდა ნათქვამი და მაგისავახ უარი მივიღე, ამის გარდა რაკი ვაჟამაც უნუგეშო ამბავი, რასაცვირველია ფინანსიურის მხრით, ჩამოიტანა; ამის გარდა, რაკი მეც სულ რაღაცა ხუთის დღით დავეთხოვე ქარუმიძეს\* შინაურულად და ცოტა საქეიფო დრო იყო, ფული ბლომად დაიხარჯებოდა, ამიტომ თქვენ აღარ შეგატყობინეთ.

მე და თქვენი რძალი გიანელით ბაკურციხეში 4 ნოემბერს და სწორედ ქორწილის დღეს მივედი. მაგრამ რომელი ერთი უნდა მოგწეროთ, რაც მე იქ ვისიამოვნე იმ ოთხს დღეს და ვიქეიფეთ: მთელი ბაკურციხე, ახლო-მახლო სოფლებს თაველ-ანაწურაობდა და სიღნაღის ინტელიგენცია სულ იქ იყო.

ვაჟა-ფშაველასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ მეორე დღეს გუბერნატორისავან რაკი პასუხს ელოდა და ფიქრობდა ვაი თუ ჩემი წამოსვლით საქმე გაფუქდესო, ვეღარ წამოვიდა. რა იცოდეთ, ჩემს სიამბრს როგორ ენატრებოდა თქვენი იქ ყოფნა.

რა გამოვიდა, ერთი ორიოდე კვირა უნდა დავრჩენილიყავი იქ, რომ სიამოვნება მაშინ იქნებოდა. დათას შაფერადაც ვახლდით, რაკი თვითონ ინებეს, ერთის სიტყვით, აქ როცა არ ჩამოხვალთ, ყველაფერს მაშინ გიამბობთ, თორე რომელი ერთი უნდა მოგწეროთ. რაც მე იმ ხუთი დღით ვისიამოვნე, ის წვალეზა და ვაიფავლახი რაც ჩვენ ამ ფოშტაში გვადგია, სულ გაქარწყლდა. მერე რა არის ვახეთი და! წამოსვლის წინა დღეს მე და ჩემმა სიამამრმა მარანში ვიქეიფეთ. სირაჯები მოუფიდნენ ღვინისთვის; მერე ნაქეიფრები ცხენებზე შეესხედით და ნახე ქენაობა. სულ კვილით ამოვედი სოფელში. ახლა ნახე შინ ლექური მე და ჩემი სიამამრისა რა იყო და, ერთმანეთს აღარ ვაცლიდით. უჰ, რამდენჯერ გინატრეთ. აქედამ რო წამოველ თანაც ერთი დიდი ტიკი დაეძარი, მაგრამ როგორი ღვინო, როგორც თაფლი ისეთი. ჩამოსვლისას ბაჩანაც იმ დღეს ჩამოვიდა იუბილიტზე. მივაყოლეთ და კინაღამ ვაჟას და ბაჩანას დაკვრაც არ მოუხდათ: ხომ იცით ვაჟა როგორ დასცინის ხოლმე და მიზეზიც ის იყო, რომ ბაჩანამ იმ საღამოზე მონაწილეობა მიიღო და ძან ფურორიც მოახდინა თავის ლექსების წაკითხვითა.

ვაქამ ის თავისი „ვეჩერი“ შემდეგისთვის გადასდო, რადგანაც სახარჯოები ისეც იშოვნა.

თავის „მახტორიანი“ თავის ხარჯით მისცა გამოსაცემად ახალის სურათებითა... [დღეექტურია, ს. ყ.]... ნახვაც უნდოდა, მაგრამ ხომ იცი რაკი... [დღეექტურია, ს. ყ. ჰყვანდა, ვეღარ მოახერხა. თავის ნინოც აქა ჰყვანდა.

ხილისა და თაფლისთვის დიდი მადლობელი ვარო. იმედია ჩვენც ვადგინდით. ე ვარას<sup>10</sup> ვერა ვასიამოვნეთ რა, რაკი მაგასაც ექაჩრებოდა. ე მიხეილ სემიონიზი ხომ გამოშებარა.

ჩემი დედაკაცი და მე დიდს მადლობას და პროშტებს გიგზავნით ყველას შოლოკვისათვის და მოკითხვისათვის. ცოცხლები ვიყვნეთ და ერთმანეთს ნუ დავიფიწყებთ, თორე ოქრო-ვერცხლი რა არის, მავათი მოტრფიალე ღმერთმა შეარცხენოს.

ჩემი კნენის დღეობაში კაი ვახშამი მოვამზადეთ, მაგრამ შიო თავის ცოლ-შვილით და გძელიყვის<sup>11</sup> ცოლშვილის მეტი არავენ ყოფილა.

ვაქაც გუზინ გავისტუმრე. ხუთი გირეანქა წითელი ხიზილალა წაიღო სახში რო იყოღეთ.

მომოკითხეთ ჩემი რძალი თინათინი გულქანი, ეთერი, ნინა გუგული და ყველა ვისაც ვეკითხებით. მოგიკითხათ თქვენმა რძალმააც ყველანი დიდის სიყვარულით. აბა გულით.

თქვენი ძმა სანდრო რაზიკაშვილი.

1910 წ. 6. XII. თბილისი.

P.S. რაც შეეხება ვაშლების ფასს, შევაცუობინებ.

#### 4.

დაუვიწყარო ძმანო ჩემნო თედო და მიხა!

გამარჯვებით ხალხნო თქვენი!.. როგორა ხართ, რატომ თქვენს ავ-კარგს არ შეგვაცუობინებთ? ეჰ, შვილო ნიასა, დაგავიწყდით და აღარად გვაგდებთ. ალბათ ან ძაან დამდიდრდით და ან კიდე მოგძულდით, რომ ჩვენს ამბავს აღარა ჰკითხულობთ. როგორი რა მოსავალი გაქვს თედო, ჰა ერთი წლის სამყოფი მოგდის რამე, თუ არა? ან შენი საქმე როგორ არის, მიხეილ, მაგ ჩვენი სარძლოს შესახებ რას გვაცუობინებ. მხერხდება საქმე თუ არა? ეგ იქნება თუ სხვა ამ შემოდგომაზე უნდა ცოლი შეირთო.

კაცნო, რაღას გათათბირებს და ხელზე გიხვევს? ერთი კი აღარ ჩამოიხედეთ ქალაქისკენა, რა დაგემართათ. ე გოგოებიც აღარას იწერებიან. ერთის სიტყვით ყველამ ჩვენზე ხელი აიღეთ. ეგრე არ უნდა თორე თქვენი ნებაა.

ე ვარაც ძაან გამპარტავანდა, თუ წერილის მისაწერი ვინმე „სიმპატია“ იშოვნა, რომ აღარც ევა გვკადრულობს. ჰა, არაფერი მაგისთანა არ გავიგო რა მაგისი, თორე ჩქვს სიცოცხლეში თვალთ აღარ დაეინახავ.

რაზიკიანთ ერთი სანაქებო ქალი ევა გვყავს და მაგანაც რომ იმედი გავგი-ცრუოს, მაშინ მშვიდობით. ჩვენც, ე. ი. მე და ჩემი დედაკაცი ვაჩანჩალებთ რალა წუთის სოფელს. ხან ავადა ვართ და ხან კარგად თქვენი დავიწყებულნი, ესეც ეს მთელი ორი თვეა რაც ექიმთან დადის, ხო იცი თქალური ავადმყოფობა და ეხლა კი ღვთით კარგად არის—რჩება. ასე, რომ იმედია მალე სულ გასაღდება. მეც ხომ მოგესვენებათ ჩემი მშვენიერი სამსახური და მეტის-მეტი მუშაობისაგან სულ წერებთი მაქვს მოშლილი. ეს ერთი თვეა ღვინო არ დამიღვებია, და თუ მშვიდობაა, ამ თვის 30-ში კი გავიხსნილებ, თუ რასაკვირველია თქვენც ჩამოხვალთ.

იმ მთიელი ჯეჰელებისა არა ვიცი რა მშვიდობის მეტი; ვარდა ამისა. ვაქა-ფშაველას ბაქი დაუღვამა რკინის წყლისთვის<sup>12</sup>, ე. ი. ვინც მიდიან იქ სასმელად და საბანაოდ, დღე-ღამეში შაურს ართმევსო, პალატკები დაუღვამო, როგორც

საავადმყოფო. ერთი ფერწალი და აკლია თურმე. რამდენი ვიციან რა გავიგე  
რო იცოდეთ. თქვენ ნახათ თუ კაპიტალისტი არ გახდეს.

როგორც ამბობენ გზა გაჰყავთ თურმე საურმე. რამდენად მართალია ეს  
ზემოაღნიშნული ამბავი, სანამ არ დაერწმუნდები, სანამ თვითონ არ ჩამოვლენ.

კახეთშიც ჩემი სიმამრი კარგად არის, მხოლოდ ვენახები გაუფუქდათ ძა-  
ლიან, ასე რომ შესამედი არ გამოუვათ იმისი, რაც ვამოსდიოდით.

ე ჩემი საცვლები მანდ გაგყოლია და ე შენები რო აქ არის, მიზა, რას  
იტყვი? რო ჩამოხვალ, წამოიღე, რად გინდა ე ძეგლები, თორე მე—კი წაგება-  
ნი არ ვიქნები.

ერთი აბანოში კიდევ წავიდეთ ბიჭო. მაშინ რო წერილი მოგწერე და  
გწერდი, რომ ჩემი ნათლიდედის წერილს გიგზავნიო, აქ დამრჩენოდა და იი  
ესლა გიგზავნი. დასტები ერთი „პოეოლოგისტა“.

იყავით შვიდობით და განარჯვებით. მოგვიკითხეთ ჩემი რძალი თინათინი,  
ვარა, ეთერი, ნინა და ვუჭულა, ამასთანავე წყალობაანი, შაქრუანი, ასიკო<sup>12</sup>,  
სევასტაანი<sup>13</sup>, ვანო და სხვანი და სხვანი, ერთის სიტყვით ყველანი ვისაც კი  
ვეკითხებით.

თქვენი ძმა ალ. რაზიკაშვილი.

1911 წ. 17 VII. კ. თბილისი.

### 34. აზონინაშვილის წიგნები

1.

1890 წ. მარტის 7.

ძვირფასო ძმავო თვედორე!

სამწუხაროდ, როგორც შენ მიგიღია შენის მარჯვენით ნაწერივე წერილე-  
ბი უკან, ისე მე და ჯანაშის მიგვიღია შენგან მოწერილი წერილები, გარდა პირვე-  
ლის წერილისა, რომელიც მე და სემენარიელებს მოგვწერე. მოგვწერე პირველი —  
მოვიცადე ცოტა; მოგვწერე მეორე — კიდევ მოვიცადე; მოგვწერე მესამე იანვარში,  
მაგრამ როგორმა? ბრაზით საცემე! ვიცადე კიდევ და აი ბოლოს რა გავიგე:  
ლონგროზის წერილი მიიღო გიორგაძემ და სწერდა: „თვედორე ახლოს არის  
ძმასთანაო. ნუნუას და ჩაბოხბილი ზოხბებითს შემწეობით ვატარებთ დროსო“.  
კარგი და პატიოსანი. ულაზეთ ნერწყვა სემენარიელებო, რა გენაღვლებათ თვე-  
დორეს და ლონგროზს.. ამ ამბის შეტყობით, ცოტა არ იყოს, ძმავო, გულს  
შეება მიეცა, გულს შეწუხებულს, გაბრაზებულს. ავიღე კალანი და ახლა ვეფი-  
ნისაკენ გაეჩარხე წერილი, რომელსაც ვწერდი ნიკოს და რომელშიაც არა ნაკ-  
ლები ალაგი ეჭირა შენდამი მოწერილს სიტყვებს. ეს იყო იმ დღეს ე. ი. ათის  
დღის წინად, სანამ შენს წერილს მივიღებდი. გაეჩარხე, მაგრამ თყუილად, რო-  
გორცა სჩანს. ლონგროზის წერილმა—კი შებაცდინა. იმის წერილი ნელად იყო,  
ამიტომ მოვიწერე ვეფინში, მეგონა—თვედორე ნიკოსთან არის შეთქი და ნიკოც  
თავის ალაგზე არისო, თუმცა ამ წინაზე დიმიტრიევმა<sup>14</sup> მოთხრა, რომ ნიკოც  
ალაგდგან დაუთხოვიათო. მე დიმიტრიევის სიტყვებს არ უჯერებდი. როგორ-  
ცა გწერდი, წინადვე მოდიოდა ამბავი, რომ ნიკოს სოფელი აუჯანყდა, რომ  
საზოგადოებამ უჩივლა და დაათხოვინაო! მიკვირდა და მიკვირს კიდევაც. ნიკო



და საზოგადოება, სოფელმა უჩივლა!! არა—რა მჯეროდა, სანამ შენი წერილი დგან არ დაეჩუმნენდი. ვეგინში რო წერილი გავგზავნე ვინ იცის, ვის მიღწევა ვინ მიიღებს, ვინ წაიკითხავს!.. როგორცა სჩანს, ორი წერილი მიგილია და იმ ორს, ვინ იცის, მიიღებ თუ ისე დაიკარგება, როგორც შენი გამოგზავნილი წერილები... რაც იყო — იყო, მომიტევე, თუ რამ ტყუილად შეგწამე ან გიკითხინე, ჩაიაროს წარსულმა, რადგანაც დროებამ და ვარიაციებამ ესე დაგაყინა, რომ ჩემი მღერვაი მოგერგო. ახალ-ახალი სიყვარულით სავსე საღამო შეეცეთ ერთუროს, სემინარიანზე გეტყულებ რასმე, მაგრამ რა საქეროა: უარესობა, უარესობა და უარესობა, სხვა არაფერი. მუხრუკი უფრო და უფრო გვიპირებს. ამ მოკლე ხანში მზრუნველი გვეყინდა. ბევრი რამ შენიშნა ზეპირობაზე, დიმიტრიევს ხო ტყავი ვაძარო, როგორც აქ, ისე პროგინანზიაში, მაგრამ თავისას არ იშლიან. ემდურებიან სემინარიას, რომ უფიცი და გაუხსნელი შეგირდები გამოდინან; ამის გამო პედაგოგიურ კრებას უნდოდა მესამე კლასის ორწლოვან კურსად გადაკეთება, მაგრამ ვერადფერი მოახერხეს და ბოლოს ესლა დაადგინეს: „ძალიან სასტიკად მოგვეცეთ მეორე კლასელებს ეგზამენებზეო“. ვინ იცის, ძმაო, ვის დაიქვეითებენ. ქიქორგაძეს ოთხი დაუწერა ყოფა-ქცევიდგან კრებამ. იმის გამო, რომ დირექტორმა, მასწავლებელს ეინდა იტყვის, „ივერიის“ კითხვაში მოასწრო. მაგრამ ისე პატიოსნად თუჩმე მოიქცა დირექტორი, არც კი ახსენა კრებაზე—რა და რომელ ვაზეთს კითხულობდა გიორგაძე. ასლა ეს ტრიკიანა შეიტყო და ამა რაღა თქმა ვინდა—რასაც ის გვეტყოდა და გეკადგებდა! ბრძევად იქცევიან. პიასეციის<sup>2</sup> ხო სამიც დაუწერია „ივერიის“ კითხვაში, (მე—კი ვერაინ მომკარებია ჯერჯერობით), პიასეცი ამისთანა შემთხვევებში პატიოსნობას იჩენს, მაგრამ თუ ფილიპონმა გააბა ვინმე — კი აღარ ვიცი როგორ იქნება საქმე.

ვასოს ნილოციკო იწერები. ვასოს ივიწერ, მაგრამ ვერ შევძლებ. ისე გამოიცილა ვასო, ისეთი ხასიათი დაიქირა, რომ რა ვიცი! ვაამაყდა, გადიდგულდა, ერთს ამბავშია, ჩხუბობს, ეუმძრახება ამხანაგებს, დასკინიან და აჯავრებენ ესენიც, და უფრო ბრანის, ჩემის მეტს არცაიავის კი ელაბარაკება. წარმოიღვინე, ძმაო, დახატული დონკი-ხოტი, რომლის გარშემო გროვა და გროვა რომანებისა, და ვასოც დასურათდება რომანებს შუა კი არა, სასინარჯლოდ, ათას ნაირ ქართულ ხელით, თუ ბეჭდით ნაწერებში. სწერს თვითონ, სთარგმნის, ადგენს რებუსებს, პკრფეს ხალხურ ლექსებს (ლექსებს თვითონაც სწერს), ვანა არ წაიკითხავდი „ივერიაში“ იმის შეკრებულ ლექსებს. რებუსებს „ვეჯილში“ წაიკითხავ. გაკეთილებს კი სუსტად ამზადებს, არ ვიცი, როგორ დაუჯდება კოქი! მე?! ვაი, მოგიკვდა ჩემი თავი, ძმაო, მაგიკვდა! რა ჩემი საქმეა ძმაო „ივერიაში“ ფეხის გაწევა! მართალია, ხალხური ლექსებიც ბევრი მაქვს, ზღაპრებიც, მაგრამ არცად რა გამოგზავნიო. „ივერიის“ მოსწყინდა ფშაური ლექსების ბეჭდვა, „თიბრისა“ კი არ ვიცი. რამდენიმე ხალხური ლექსი გავგზავნე „ივერიაში“ ახალწლის უქმეებში. ორის მეტი (№ 10) არ დაბეჭდა. დავანებე თავი, ანკი რისთვისა ვიტყვიო აუტკივარი თავი...

რაღაც ფარისეველობას ძწამებ, ძმაო, მაგრამ აი ესლა რას ვიტყვი: ნეტავ უნარი რისიმე მჭონდეს: ან იმისა, ან იმისა, ვინდა რას იტყოდა, სამწუხაროც

ეს არი, რომ ყოვლად გაშოუსადგეარი და მდაბალი ვარ, გინდა დაიჯერო, ვინ-  
და არა. რო არაინა მხედაედეს, ტირილის მეტს არას გავაკეთებდი, როცა ჩე-  
მი გონების მდგომარეობას დაეაკერდები! დაეწერილიდი, დაწერილებს ზემსა  
ნულარ წარმოიდგენ, ვერ რა ვიყავ, ეხლა სულ არაფერი ვარ!... როგორ გამი-  
ხარდა, ძმაო, ნიკოს „სამოთ. უკვ. ყვეილები“ რო დაინახე და წაეკითხე, მე-  
გონა—ნიკოსა ვხედაე თელითაო. ლომიური მალი-მალ იკითხავს ხოლმე და იტყ-  
ყვის: რატო ნიკო არაფერს სწერსო. მე უთხარი, რომ ნიკო პომას სწერს „გან-  
დევილის“ კილოზეო. „რად უნდოდა ის კილო, რატომ იმ კილოზედვე არ და-  
სწერა, რომელზედაც სწერსო, თქვა ლომიურმა, საკუთარი მიმართულება შე-  
მოპქონდა ლიტერატურაშიო ძმათო (ნიკოს და ლუკას), ნუ უღალატებენ იმ მი-  
მართულებასო“. სხვა რალა ვთქვა, ძმაო, ესეც საკმარისი, მე მგონია, ჩემის ცა-  
რიელის თავისავან.

მე კარგად ვარ, ძმაო, ცოტა ავადმყოფობა არი ჩვენ სემინარიაში. ჯანა-  
შია ძალიან ავად არის. საავადმყოფოში არ გვიშვებენ, რალაც ვადამდები ავად-  
მყოფობა არიო. სხვები კარგად არიან. ნიკო დაწუხებულია შენკე. ყველაფერი  
დაეიწვებელი აქვს; აღარ აგონდება ის აყალ-მაყალი. ჯავრობს თავის თავზე,  
რომ ვაწყენინე, გავაჯავრე და ცუდად მოვიქციეო! ლაღოც ყოჩაღად არის, მო-  
გიგინებს ხოლმე მალ მალ. სემინარიელების წერილის მოწერაზე-კი რა უნდა  
სთქვა: ხო კარგა იცი საერთო და საზოგადო საქმე ადელიი ასასრულებელი არ  
არის. ისეც ერთი კაცი უფრო თამამად გაპბედავს წერილის მოწერას, ვიდრე  
მთელი სემინარიის შევირდობა. იცი ესეც, რომ იმედი იმედად რჩება და საქმედ  
ძნელად ხდება... რატო მიხასის კი არაფერსა მწერ? მამა თქვენების კარგად  
ყოფა. საწყალი ბოიგარი!... ჩენი დედის ძმისა კი რა უნდა ვთქვა, ძმაო, განა  
ეხლა დაეწევა, ან დაეწეულა სიმთვრალეს? ბრალი იმის შეილებისა, თუმც ხეირი  
აქამდისაც არ ეყარა... იმისიც მადლობელი ვარ, რომ ჩვენების ამბავსა პკითხუ-  
ლობ... წერილს ვერა ვსწერ მაგათ, არ მეტერხება, როგორაც. წერილს რო  
მომწერ, თიანეთისა რამ მომწერე. შენ ხო ვერ იცნობ მაგ სოფელს. გაიციან თუ  
არა. ვის იცნობ, ვის არა, მადლიდამ დაბლაძდე. მშურს შენი მანდ ყოფნა,  
მაგრამ რა გაეწყობა. მომწერე აგრეთვე დაეითის და სხვა ნაცნობების ამბები.  
დაეითს უთხარი: მომიტყოს, რო წერილს ველარა ვწერ. სალდამობას მოვარბი-  
ნეთ, სადღა მოგვეწერს წერილსო, იტყვის, მაგრამ რა უყო. ჩარგლულიც შემა-  
ტყობინე კიდევ რამ, ჩემი დედიძმათი, პაპებისა... დასასრულ ვადეიცი უმდაბ-  
ლესად მოკითხვა: მამა—მღვდელს, დედას, ლუკას, ნიკოს, მართას და სხვებს.  
მომიკითხე გიორგიც... აქედამ მოგიკითხეს ყველა ქართველებმა, ვისაც კი იცნობ,  
რუსებმა შეტის-შეტად. ძიელ გაუხარდა შენი მოკითხვა. ყველას სათითაოდ წა-  
ვაკითხე შენი მოკითხვა (რუსებს და არა ქართველებს) „გმადლობთ, რომ არ  
გვივიწყებო“ რუსებმა. ლომიურსაც და მღვდელსაც, აგრეთვე სოკოლოვსაც,  
გაუხარდათ შენგან მოკითხვა და დამავალეს მოკითხვის ვადმოცემა... მშვიდო-  
ბით, ძმაო, გააკოცე პირში, მაგრამ უფრო „ტვირთიანს“ ველამუნები ამ იცნე-  
ბით კოცნაში. მშვიდობით და გამარჯვებით!

შენი ძმობის არ ღირსი გ. აფშინაშვილი.

## ძმად თევდორე!

[ძმ]ობამ, რომ, როგორც ჩიტი ტოტზე, გასაფრენად მომზადებული, [ისე] მე მზად ვიყავი წერილის მოსაწერად, ეწუხდი, დღე მუდამ მაგონდებოდა, ველა-მუნებოდი—ან ახლა დავსწერ, ან ახლაო, მაგრამ ხო იცი ჩვენი მიწურული ხანების ამბავი და ამ ეპისის მოცალეობა! როგორც გატყობ, ჩემი წერილი მი-გილია; მე—კი მცხებნია, რომ მეორედ უნდა მოვწერო: არ მიმიღია წერილიო! საკვირველია, რა ემართება, რა ჰყლაპავს?! დღეს, 28 მაისს, მივიღე შენი წერი-ლი ამ თარიღით: 8 მაისს. შინაარსიანს წერილს რო ასახელებ. ის წერილი არ მიმიღია; ვინა ვართ ამაში ბრალეული—ღმერთმა იცის,—ხოლო დარწმუნებული იყავ, როგორც მე ვარ შენს სიმაართლეში, რომ მე ტყუილს არ ვიტყვი; იმ წე-რილების მკამელს ჰქონდეს მე და შენი ცოდვა. მე გაკვირვებული ვარ: ნუ თუ ლუკამა ან ნიკომ არ იციან, როგორ უნდა მოიქცე მაგ შემთხვევაში? ჰო, ნიკომ არ იცის, ვამოუცდელია, ლუკა ხო ვამოვლილია მაგივრში, ნაცად-ნახადი, რაღა სტრედლეკის მომართვა გინდოდა? მაინც და მაინც შენს თხოვნას შეძლებისდა-გვარად შევისრულე და, რადგანაც შენს თხოვნას განცვიფრების თვალთ შეე-ხედე, ამიტომ ბოლოში მოგითხრობ — რას ვინ გიჩივებს, რას ვინ იტყვის:

ჩემს ყოფას მდგომარეობას, გუნებას ჰკითხულობ, ძმად; ღმერთმა დაგი-მადლოს. მე კარგადა ვარ, ეგზამენებიც გეითავლება, იმედი-კი მაქვს, თუ ისე არა, პერეგზამენოვით მაინც ვადავიდე შეთქი. დარეჰტორი ცოტა მრუდედ მიტყერის. ჯანაშია მორჩა, აქ არის. ყველანი ვინც კი მოიკითხი, ყომადად არი-ან, დიდს მადლობას ვიძღვნიან და ვიგზავნიან. რაც შეეხება წერილმან ამბებს, როცა ერთმანეთს ენახავთ, მაშინ გიამბობ — ბეერი ხანი აღარ დავგრიჩენია — „ჯეჯილის“ ყველა მს მაქვს წაკითხული: წავიკითხე, რასაკვირველია, შენი ლექ-სი და პროზა: „ია“. რადგანაც ჩემი აზრი შენის ნაწარმოების შესახებ უფერუ-ლი იქნება, ამიტომ პირდაპირ ლომოურის [იზრს] მოვწერ: „თევდორეს „ია“ მშვენიერება რამ არისო, ყველას მოსწონს, საზოგადოდ თევდორეს ლექსები ვერ გამოჰდის ძმებსეითო, მაგრამ პროზა კი მშვენიერი რამა აქვსო“. ეს სიტ-ყვები კლასში ნათქვამია, თუ საქიროლა იყოს. ჩვენი (სემენარიელებისა) ჩაბე-ჭდილებაც ძლიერ კარგია; ბეერმა იმ ლექს დამხეცავს, შენ რო გაქვს: „ია და კესანი“. ცოტა არ იყოს, კიდევა ჰგავს. „ჯეჯილის“ მე 3 მს ლექსებში დურუ შევრელის ლექსი მოიწონა და მერე აკაცისა. „მიეცეს და მიემატოსო“, აკაცის საქმე ასეა. მე-2 მს კრიტიკოსს] ასე არ მოუვიდა. ლომოურმა არა კრიტიკო-სი და არა პედგოვი დაარქვა იმ კრიტიკოსს. „აკაცის ლექსი სრულებით იმ დი-დების ღირსი არ არიო“, თქვა ლომოურმა. იმ კრიტიკოსსაც გაუგონია, რომ აკაკი გამოჩენილია პოეტებშიო და მიჰყოლია საზოგადო ფების ზმას.. მე ძიელ მეწყინა ლუკას დამცირება იმ არა კრიტიკოსისაგან, მაგრამ რას იზამ უძლურო თაო! აი მე რა გამომიყავს იმის კრიტიკიდგან: კრიტიკოსს, რაღაც ბოღმა ჰქო-ნია გულში: იმას სულებით „ჯეჯილის“ გიჩივია არა ჰქონია სახეში, არა; იმას რაზიკაშვილების, საკუთრივ ვაჟა-ფშაველას დაქვეითება, დამცირება უნდოდა.

ისა ფიქრობდა: ვინ არის ეს ვაჟა-ფშაველა, რამ იმის ლექსები და პროზა თითქმის პირველ ალაგას იქერნ „ჯეჯილიშიაცო“, და იმ საუკეთესო მწერალთ დასშია მოხსენებელი, რომელნიც ჩამოთვლილნი ჰყვანან ჯეჯილსაო, და აი კიდევ იმისი ძმაც „წიქარას“ დამწერი, პოეტობას ბედავსო? განა გაგონილა, რომ ყველა ძმები პოეტები იყვნენო? აი, ჩემის ფიქრით, რამ გამოიწვია იმის კრიტიკა. თორემ „ეპისკოს თავგადასავალის“ მჭებელი კრიტიკოსობას იხანს როდისმე!!

წაივიტხე, რომ ნიკოს რალაც პოემები გადაუტია დასაბეჭდად. ერთის სიტყვით, ძლივს მოველი მანდ მოსვლას. დიმიტრიევი მკითხავს ხოლმე [ღუფექტურია, ს. ყ.]... პოემების ამბავიც გაუგონია „ნოეოე ოზოზრენიედამ“... ლუკასები ჰგონია. ზახუღლში ფშავში უნდა წამოვიდექო, ამზობს დიმიტრიევი, რა იცოლდე, ძმო, ანგელოზად გადაიქცა ამ ხანებში დიმიტრიევი, რა მიხეზია, არ ვიცი!

ამ ორ-სამ დღეში გვითხოვენ. მე პირდაპირ თიანეთზე ვერ წამოვალ. თუ მალე მომიხდებოდა მანდ მოსვლა, წერილს აღარ მოგწერდი. ვაზეთების წამოღებას რა ნენუქვეზადი, თუძცა სახეში მქონდა წამოღება, მაგრამ ესლა ველარ მომპაქეს, რადგანაც მეშინით წამოსვლა აღარ მომიხდება ფულის უქონლობის გამო. ამასთანავე დედი ძმა მწერდა წერილს და მთხოვდა აქისას ამიარეო. კარვა ხანია, რაც აღარ მინახავს და ვნახავ, ნითუმეტეს, რომ რამდენიმე წერილი მომივიდა, როგორც ერთი კიდევ იცი შენ და მე ერთის პასუხიც არ მომიწერია. მეც, ამ ფულის უქონლობაში, ფეხით მინდა სიარული. იმაზე, ქსანზე, ავილა და ეგრე გადმოვიდი. „ურია წყალს მიჰქონდაო, გზაც იმაზედა ჰქონდაო“, ჩემი საქმეც ასეა ახლა. მა თიანეთის „უჩიტელმა“ ძალიან ხელი მიძყო მანდაურ ამბებს ამ ბოლო ხანებში. ახალი ამბის წერას კი ვინ დაუშლის, მაგრამ რაც შეეგება ფშაველ-ბეგუტოთ ჩვეულებათ, იმათზე მაკას წერა არ შეუძლიან, მაგალითად, ბოსლობაზედ რა სწერდა, რა იყო? ის ამბავიც კი მეწყინა, გიორგი აქიმიშვილს რომ თავისი მამა, ივანე, მოუკლავს! კაცი და რა კაცი, პატიეცემულ ფშაველ-თავან! რამდენად სამწუხარო ამბებია მანდ, უფრო მეტად სასიხარულო ამბებზეც გაჩენილა: როგორც შვეიცყე, სკოლები აპრობენ აღორძინებას, გაქქენას. უნდა ვთქვა ჩემი აზრი, რომ, თუ ეხლა როგორმე ფეხი აიდგეს სკოლებმა, აღვილად აღარ დაემხოზიან და დაიხურებიან და ამის გამო, ჩვენდა სასიხარულოდ, განათლება, წაიქვევს წინ, მით უმეტეს, რომ ხალხი ეხლა, ცოტად თუ ბევრად მომზადებულია განათლების მისაღებად... [ღუფექტურია ს. ყ.] არტანი დანიარზომე, მართალია, თავის მიწაწყალში მოლწიქობა ძნელია და არც არავინ დაგვიმადლებს, მაგრამ... [ღუფექტურია, ს. ყ.] ნუ გაუტყდები, ამ სიტყვების დაწერა არ მინდოდა, მაგრამ როგორღაც მომიხდა და ველარც წაიშალე, ყურადღებას ნუ ნიპქეც.

შენის სათხოვრის შესახებ ესა თქვეს: მართალია, კანონი არისო, რომ სამასწავლებლო სემინარიის შეგირდი სასწავლებლის ვათაგების შემდეგ თუ უადგილოდ დარჩა წლამდის, თავისუფლდება ხარჯისაგან და მოწმობა უბრუნდება მაშინ, როცა ალაგი არ იქნება მისთვისო. მაგრამ თვედორეს საბუთი უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, რომ განთავისუფლების თხოვნის თანავე არ მიუთითონ—ავერ, აიქა გვაქვს თავისუფალი ალაგი, იქ გაეგზავნეო, რა უნდა უთხრაო? მაინც და მაინც თუ განთავისუფლება უნდა, ფორმალურს ხასიათს ნუ მისცემს მაგ საქმესო, ჩავიდეს ქალაქში, დარსკის<sup>12</sup> შოელაპარაკოს პირადო,

იმას შუამდგომლობა შეუძლიან სხვაგანო და ასე შინაურულად უფრო ადვილად დაახწვეს თავსო, მით უმეტეს, რომ მასწავლებლები სოფლისა ეხლა ბევრნი არიანო, ბევრს ადგილიც არა აქვსო. თუ კიდევ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ხელქვეითობა უნდა, ისიც დარსკის საქმე არისო.

ძმად თევდორე. ჯერ-ჯერობით ეს არის, დაწვრილებით მე გიამბობ. ყველა გაწეწილია საქმისაგან, არავისა სცალია. დირექტორი კედება ჯავრისაგან, რომ ეგზამენები ვერ დაასრულა. ბევრი რამე მრჩება დასაწერი. მოგიკითხა ყველა ქართველობამ. მომიკითხე ყველა წევრი თქვენის ოჯახისა. მომიკითხე დავითისა. ბოდიში მომხადე, რომ იმდენად გაუსვენინდისოვდი, რომ ერთი წერილიც ვეღარ მოვსწერე მთელის წლის განმავლობაში! მშვიდობით და გამარჯვებით.

[გ რ.] აფ შინა შეილი.

### ნიკო ჯანაშიას წერილები

#### 1.

30

ძმად თევდორე!

აგერ ერთი წელიწადი გავიდა მას აქეთ, რაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდეთ და მას აქეთ არც შენ მოგიწერია ჩემთვის წერილი, და არც მე მიმიწერინია. რასა ჰგავს ეს? ესაა ჩვენი ძმობის შედეგი? ამას ველოდითო—არა. რატომ ასე დატრიალდა ჩვენი ძმობის ჩარბი? იმიტომ, რომ შე ყურადღება მივაქციე წერილმანებს და რაც დიდი და წმინდა იყო, ის კი დღიწყებას მივეცი, შენკი... მე ძალიან ეამტყუნებ ჩემ თავს. შე შენ რო დაგიფიწყო, მაშინ აღამიანი არა ვყოფილვარ, გრძნობა არა შექონია.—თევისა არ იყოს, ბევრი მატეს სათქმელი, მაგრამ ენა არ მემორჩილება! ძმად თედო, ისე ვარ ღარბი ენით, რომ არამცოდ ვგრძნობის გამოხატვა, არამედ უბრალო აზრის წარმოთქმა არ შემიძლიან, მეძნელება. (რუსულად არ გწერ წერილს იმიტომ, რომ შენ მითხარი: თუ მომწერ წერილს—ქართულად, რუსულად ნუ მომწერო). ამის გამო მკირე წერილს გწერ.

შენი „იის ამბავი“ ძალიან მომეწონა, და ნ. ლომიურმა სათქვა: „მშენიერი არის“-ო, ეს მოთხრობა ძალიან ჰგავს ერთს შენს ლექსს, აქ დაწერილს. ლექსიც მშენიერია. თედო! შე და ნიკომ გამოვიწვრეთ, სამი მანეთი ფული გავუზავნეთ, მაგრამ 9 ლქს და „პატარა კახის!“ მეტი არაფელი მიგვიღია.

შე ამის (წინ) ძალიან ავით ვიყავი, მაგრამ ეხლა, ღვთის წყალობით, კარგათა ვარ. მე გადავედი შესამეში.

შენი ძმა ნიკო ჯანაშია.

1890 წ. 30 მაისს, ქ. გორი

ჩემი აღრესი: В г. Сухум. Его Благородию Степану Г-ну Туркия  
Для передачи мне.

## ძმავ თედო!

შენ მწერ, რომ პასუხად ჩემს წერილს უძღვენი ერთი ლექსი, ვინდოდა ეს ლექსი დაგებუდენა, რომ სანამ წერილს შენგან მივიღებდი, დაბეჭდილი ლექსი წამეკითხა. ეს კიდევ ასე მოხდა! აი როგორ: 3 მაისს მივიღე „ივერიის“ №90, იმაში კი ამოვიკითხე შენი ლექსი, რისთვისაც ვმადლობ დიდად. წერილი შენი მივიღე 6-ს მაისს — ლექსი შენი ხელოვნურად არის დაწერილი და პოეტური ცეცხლიც, როგორც იტყვიან, არ აკლია, მაგრამ... ნუ თუ იმ საბაგელს მატლს, რომელსაც პქვია ექვი, უბოვნი ალაგი „შენში“, რომელიც ღრდის ადამიანის გულს, უბოვს სულს, ცხოვრებას უმწარებს, უმოკლებს? როგორც ძმა, გთხოვ ეს ახრი მალე განდევნო იმ ახრის შემწეობით, რომ „შენ ცაო დაგინიშნეს, მიწამ გამოგზარდა, და ამიტომ წინ ერს უნდა წაუძღვე“, წინ უშიშრად, ძმავო! დასაყვითის პორიზონტზედ მოიანს რაღაც დიადი, მშვენიერი! სანამ იმ მშვენიერს, დიადს მივალწვეთ, მანამ ჩვენს ერს (ილიასი არ იყოს) ეძინება, და ამ ძილში მარტო კენესა გამოიხსნების! გავგაღვიძე, თედო! რწმუნება და კალამი! „დიდი სულის კეთება ათქმეიენ ენასა!“ შენი მეუღლე მომიკითხე (უკაცრავთ, სახელი არ ვიცი).

შენი პატარა ძმა შენთანა გყავს, თუ არა? მართალია, თედო, მე სუხუშში ვარ მასწავლებლად, მაგრამ მიინც ჩემი ცხოვრებით არა ვარ კმაყოფილი. არა ვარ კმაყოფილი იმიტომ, რომ უსაძველეს კაცთან მაქვს საქმე. ამ კაცის წყალობით ვეარგვე რწმუნას კაცის ადამიანობაზედ. აი რა საშახური გამიწია ამ კაცმა! ალ. ყაზიბეგი თავის მშვენიერს „ელისოში“ ამბობს: „გველი გარევეან არის პრელი, კაცი კი შიგნით“, და ახლა მეც მრწამს ჩემდა საუბედუროდ! ამ საბაგელ კაცის უპატიონებამ იქამდინ მიმიყვანა, რომ ოკ. იმ. ზავადსკისთან შევარცხინე და ამით გავაფუჭე ჩემი საქმე. რა ახალ ამბავს გეტყვი: ამ კაცმა (მაჭავარიანმა) ზავადსკისთან დამამუხლა: ჯანაშია ქართლში რო იქ გაქართველდა, თორემ აფხაზი არის, ახლა პატრიოტობსო და სხვადასხვა. თუ ღმერთმა მალირსა შენი ნახვა, მაშინ ყველაფერს დაწვრილებით.

ვწუხვარ, რომ შენ მე ჯერ არ მიცნობ: დიდთა კმევით ვერ იგემებს იგი ამა „სოფლის“ სიამოვნებანი! ნახეამდის!

შენი ძმა ნიკო ჯანაშია

П.С. კიკიანს აქვს ორი ჩემი წიგნი, გამოართვი, თედო.

## ჩემ ძმას და მეგობარს თედოს გაუშარჯოს!

მომილოცავს წარსული დღესასწაულები და ვისურვებ, რომ დღესასწაულები, უფრო ახალწელიწადი იქმნეს დასაწყისად. წელიწად შენის გულის ნადებების აღსრულებისა და აღყვავებისა! მოულოცე, თურცა გვიან არს, ჩემს მაკიერ შენს საყვარელ მეუღლეს გასული ბედნიერი დღეები და აგრეთვე შენს

ბავშვებს აკოცე ჩემ მავიერ, უფრო იმას, რომელსაც შენ მიჩვენე მე სასქლოდ-  
ვეკვობ კი, რომ შენი ქალიშვილი ჩემს ვაჟს (ცხრა თვისას) საცოლოდ წამოაყ-  
ვეს. რადგანაც ვითარცა ქალიშვილი ზრდით ვაუსწრობს, თუ ან კიდევ გააყუფებ  
ქალიშვილს, მაშინ „ფექი“, მარა გირჩევე ვაქი გააკეთო და ამით ერთი ძეო-  
მარ-მებრძოლი შეჰმატო ჩვენს სამშობლოს!

სხვა, ძაო, გუშინ მივიღე „კვალის“ მეორე №, სადაც შენი სახე დამახინ-  
ჯებულად ვადმოღებული. სწორედ ვითბრა, წარწერა არ წამეკითხა, ვერ გამოვი-  
ცნობდი! საზოგადოდ ამ ერთადერთის ჩვენის ნახატებიან ვახეთის საზოგადოდ  
„ნახატები“ ძალიან ცუდია, მარა შენს სურათში მთლად ვადაიპარბა უმსვავსო-  
ბაში, ვებ მე ვცდებოდე?! არა, არ მგონია! სხვა, თედო რასა შევბი ეხლა? სწერ-  
რამეს თუ არა ეხლა? ჩემის ღრმა რწმუნებით, შენის ნიჭის, უეჭველის ნიჭის,  
პატრონი უნდა ქალაქს მიაშუროს, თუ უნდა ლეთით ნაბოძები ნიჭით საესებით  
ისარგებლოს. ჩვენა ახალგაზრდა მწერლებში ერთი საუკეთესო ადგილი გიჭირავს  
და უფრო მეტ სამსახურს გაუწევს საშობლო ლიტერატურას, თუ სადმე დიდს  
ქალაქში, უფრო თბილისში, დასახლდები. სოფელს შენ რასაკვირველ კარგად  
იციობ და აწ ქალაქიც გაიცანი; ქალაქში თვით შენი ჭკუაც ვანეთიარდებუ უფ-  
რო და შესანიშნავ ნაყოფსაც გამოიღებს, მე რომ შენი ნიჭის პატრონი რო ვი-  
ყო, ერთს წამსაც სოფელში არ დაგზნებოდი, ქალაქში თუნდ შიმშილით მომ-  
კვდარეფიყვი შენ ნუ ჰმაძიე ამ შემთხვევაში ვაქის: თუ მოიხმარე, შენ უფრო  
ბრწყინვალე მომავალი მოკელის ვიდრე მას. არ გეწყინოს, ჩემო თედო, რომ  
ჩემს ღრმა რწმუნებას გეუბნები. ჩემის ფიქრით, ჩვენ ქართველებს საზოგადოდ  
კიდევ გეჭირიან სწავლა, სწავლა და სწავლა! შენის საოცარ შრომის მოყვარო-  
ბის პატრონი და შენის დიდს ნიჭის პატრონი ქალაქში ერთი ცხოვრების ღირ-  
სეულ ბურჯად გახდება.

სხვა, თედო, მეც, შენი არ იყოს, შეძლებისდაგვარად ვმუშავებ. მგდით  
მე შავი სამუშაო წილად მიედა და კიდევაც უკან დაუხვევლად ვეწვევი: კორეს-  
პოდენციებს უგზავნი „Н. ინдзрение“-ს და „ივეოიას“ (ივერიის „ჰამუთ-ბეი“  
და „მორექ“ მე ვარ) მეც ვმსახურობ რალა?

თუ შეხვედ ნიკო ლობაურს, გულითად მაშიკითხე. არ ვიკი, სადა, ნათ-  
ლად წარმოდგენილი და ანგარიში მიცემული არა მაქვს სადა, ეს კი ნაბდე-  
ლია, რომ მისი სახე ჩემს გონებაში ბრწყინვალედ და სპეტაკ სახელდა მაქვს წარ-  
მოდგენილი, ვითარცა კაცისა, და რაცხა გულს ეტბინება, როცა მისს შესახებ  
ჩემთან [ვიწმე] „ტირს“ იტყვის.

მე ეხლა „მოამბეში“ ერთი სტატია გაეგზავნე, სათაურით „პ. კ. პ. იან-  
ოგსკის ანგარიშის გამო“. ამ წერილში მინდოდა მეჩვენებინა ჩემნი აწინდელი  
სკოლების უეარგისობა, მეჩვენებინა, მარა ველარ მოვრთე. ცენსურა არ ვაუშვებ-  
და და ისე კი ცოტად შეეხებ. შენც წაიკითხავ.

ჩემი ცოლი, სახელად ელენე, სიყვარულით მოგიკითხა შენ, ვითარცა [ა] თ-  
ვის ქმრის მეგობარი, აგრეთვე შენი მუელდე.

შენი ნიკო ჯანაშია.



1.

ძმამ თედო!

შენგან გამოგზავნილი წერილი და რვეული, რომელშიაც ზღაპრები და ლეგენდები იყო მოქცეული. მივიღე ცინცაძისაგან. მწერდი, იქნება გამოიშრთა ისევე ისე როსტომის ზღაპარი. დაბრუნებით ველარ დავიბრუნე. რადგანაც სწორედ ამ დღეებში დაიბეჭდა ის ზღაპარი „ივერიაში“. ეს ახალი ზღაპრება ჯერ არ გადამიცია „წერა-კითხვის“ საზოგადოებისათვის. მიზეზი ის არის, რომ ახლად გადავიღეთ სხვა ადგილებზე. ბინა გამოვუყვალეთ „წიგნთ საწყობს“ და კანცელარიას და არეულ-დარეულები ვართ.

ებლა უნდათ გამოსცენ ზღაპრები ცალკე წიგნად და შენი ზღაპრებიც იქნებიან მოქცეულნი. როსტომის ზღაპარს კი ვერა ბეჭდავენ, რადგანაც თავი და ბოლო აკლია. დაწერილებით წერილში მოგწერ. შენი ძმა ვიორჯი ვადმოვიდა რუსეთიდან. ებლა შინ არის.

შენი ძმა შიო.

[1859 წ.]

2.

1891 წ. 21 მაისს.

ძმამ და მეგობარო თედო!

პირველად მოგიკითხავ ძმურის სიყვარულით და მოგილოცავ ცოლის შერთვას. მეორედ ვისურვებ შენს კარგად ყოფნას და შეუღლებულთან ბედნიერად ცხოვრებას. თედოჯან, მივიღე შენი წერილი, მაგრამ აქამომდე კი პასუხი ვერ მოგიცი იმ მიზეზით, რომ გამეგობას ჯერჯერობით სარევიზიოდ არც მანდ და არც სხვა სასწავლებლებში არავინ არ დაუნიშნია! წარსულ ოთხშაბათს უნდა ყოფილიყო კრება. მაგრამ არ შესდგა. ახლა ოთხშაბათს, 23 მაისს იქნება კრება და ვისაც დანიშნავენ შენს სასწავლებელში წამოსასულიად შეგატყობინებ.

წერილი რედაქციის მიმართ<sup>2</sup> წაიკითხავედი, რომ დაიბეჭდა. წიგნების გამოცემს ამხანაგობის ერთმა წევრთაგანმა მითხრა, რომ იმისი თხოვნა შესასრულებლად გადაწყვეტილია, ე. ი. რაც გითხოვნია დღეს თუ ხვალ შეგისრულებენ.

თედო, მუდამ მემდურები, რომ წერილს არ მწერო, ერთ წერილში კიდევაც მიკითხე, რომ განა კაცი რო მწერალი ან ლიტერატორი გახდესო სუაველა უნდა დაივიწყოსო. არა გენაცვალე თედოჯან, ჩემს თავს ჯერ ლიტერატორს არ ვუძახი და ვეკონებ არც დაუძახო და ეს არ არის მიზეზი, რომ წერილებს ვერა გწერ. ერთის სიტყვით, ისეთ ვარემოებაში ვარ ჩავარდნილი ამ მალაზიის გამოისობით, რომ თავგზისა აღარა გამეგება რა. დღეში ხუთშეტი კაცი მოდის და გეუბნება: ფულ მიჭირს და ჩემი წიგნების ანგარიში გამოიკეთეო. მე ყოველ დღე ამ წიგნების ანგარიშს ვუნდები და ველარცა რაგის წერილსა ვსწერ და ველარც არას ჩემთვის ვაკეთებ... თედოჯან, ჩემი ხელის შემგვრელი მიზეზები. ებლა ვი-



ნდა დამენდურე გინდა ნუ. მე ჩემი გარემოება აგისხენ. ჩემს „კვარს“ ვინც/ წამოკა მანდ სარევიზიოდ იმას გამოეატან. მშვიდობით.

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრო

შ. ქუჩუკაშვილი.

47

3.

1891 წ. 12 დეკემბერს.

გულითადო საყვარელო ძმად და მეგობარო თედო!

მოგიკითხავ გულითადის საყვარულით, მეგობრულის საღმით და ძმურის გამარჯვებით. ვისტოვებ შენთვის და შენი სახლობისთვის ყოველსავე კეთილს.

ძმა, მენდურები მუდამ და მისაყვედურებ, მაგრამ რა ვქნა, რა გიყო, რი-  
ლათლა მოგიგო გული თუ არ წერილებს წერით. უბედურობა ეს არის, რომ  
სწორედ ამ წერილებზედ მემდურები და ამით წერასაც ვერ ვახერხებ. თუ შეხ-  
ვალ ჩემს გარემოებაში უნდა დარწმუნდე, რომ ერთი წუთი თავისუფალი დრო  
არა მაქვს. დილის რვა საათიდან საღამოს ამავე დრომდე ხომ იცი ერთსა და  
და იმავე ალაგზედა ვარ მიბმულ-მიღურსმული. ათას მიმსვლელსა და მომსვ-  
ლელს ვარდა. ათასი წერილმანი საქმეც ემატება ზედ წიგნის მალაზიისა თუ კან-  
ცელარისისა და მოდი შენდა მოიკალე და მისწერე წერილი იმას, ვინც ძმათა  
და მეგობრად გეგულება. ერთის სიტყვით, ძმაო, ისე მაქვს გული გაწერილებუ-  
ლი, რომ ლამის სრულებით თავი მივანებო და ვადავისვეწო საღმე. ჩემთვის  
ალარც კითხვა, ალარც [ა]რადურის თვალის გადავლება და რასაკვირველია ალარც  
წერა. ან კი რის წერა უნდა შემიძლოს, როდესაც რაც ვიცოდი ისიც დამავიწ-  
ყდა ამ „ვართანასაგან მოკონილ ჩოთის“ გაგდება-გამოგდებაში. და ხომ იც-  
ტვინი თუ არაფრით ასაზრდოვე, ვერაფერ ნაყოფს გამოაღებინებ. მეუბ-  
ნები, მარტო „ჯეჯილს“ რას ჩამოაკიდებო. მოდი და ნუ ჩამოაკიდებები, რო-  
დესაც ორ თვეში ერთხელ გამოდის თურნალი. ეჰ, ისტორიები გაგები და შენს  
სიმაშრს კი არ ვეკითხები აქ რომ ზის, დრო აქვს თუ არა. ღვთის მადლობა რომ  
არც თუ მე მაქვს ერთი ბეწო თავისუფალი დრო როდესაც ამ-წერილსა ვწერ.

თედოჯან, ყველა შენი წერილები მომიღის. მივიღე აგრეთვე შენი ორი ლექს-  
სი და წერილი. პასუხი იმ დღესვე მიწოდდა მომეწერა, მაგრამ აღარ გამოიარეს  
იმ რეკლებმა. რედაქციაში მიველ მაშინვე, წინაპირველად რომ მომწერე, მაგრამ  
ფული კი არ მომიცეს. დამავალეს მომეწერა, რომ პირიქით იმაზედ არის ჭენი  
ფულიო. „შავს-ფიქრებში“<sup>1</sup> შეტკომით მიეცა მაქსიმეს ფულიო. ჩვენ თედოს  
ლექსებში არ დავპირებივართ ფულსაო და ვერც მიუცემთო. თუ უნდაო ისე  
ვბეჭდავთო, ფულის გაღება არ შეგვიძლიანო. ჯერ ეხლა დაიწყო წერაო. ეს  
პასუხი მივიღე გენაკალე რედაქციიდან. მე არ მიწოდდა მოციქულობა, და არც  
ჩემი მხრით ამ პასუხის მოწერა, და ამიტომ არ შეგატყობინე აქამდის არაფერი.  
ეს ორი უკანასკნელი ლექსი ჯერ არ გადამიცია რედაქციისათვის. მიწოდდა  
წერილი იმ რეკლებისთვის გამოშვებებისა ვინც მომიტანეს შენი ლექსები და  
შემოგიკითხებოდნი, მიუტანო რედაქციაში ეს ლექსები თუ არა მეთქი. გაუწიებ  
და დააბეჭდვინებ უფულოდ ან არა მეთქი. გადაცემით კი გადავიცემ ამ ლექსებს  
რედაქციაში, მაგრამ დავაცდევინებ, მანამ შენგან მივიღებდე პასუხს. წერილი  
დროზედ მომწერე. ლექსი მიღეცხეს ავიღებ და გამოგივლანნი. აქ ახალი ამბა-

ვი არაფერია. ლუკა კაი ხანია აღარ ჩამოსულა თბილისში. ძმაო, რა უყავ შენი დაბეჭდილი „შავი—ფიქრები“, რომ ერთი ეგზემპლარი არ დამიტოვე? გიგზავნი „ძუნწსა“ და „სამ ცელსა“. ბევრი არაფერი შვილები არიან. „ცვარი“ და ეს ორი წიგნი 1887 წელში მქონდა გადაცემული ტატიშვილისთვის და მაგან მხოლოდ ეხლა გამოაყოფინა თავი ქვეყნაზე. ნახვამდის.

შენი ძმა შიო ქუჩუკაშვილი

4.

18 14  
XI 97

ძმაო თედო!

გამკობისაგან მასწავლებლად დანიშნა გცნობებია წერილით 10 ენკენის-თვიდან 1890 წ. № 102.

ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორისაგან მოსვლია გამგობას შენი მასწავლებლად დანიშნვის შესახებ ნებართვის ქალაქი 15 ენკენისთვიდან 1890 წ. № 1767.

თქვენგან აბაზის ფოსტით გამოგზავნა არ ღირს. ან მანდ კალანდაქს<sup>†</sup> გამოართვი ჩვენს მაგიერად, ან შენ რომ ჩამოხვალ მაშინ გადმოგცემთ. იყავ გამარჯვებით.

შენი შ. ქუჩუკაშვილი.

5.

ძმაო თედო!

მოგიკითხავ ძმურად და ვისურვებ კარვად ყოფნას შენის ცოლ-შვილით. თედოჯან, როგორმე უნდა გამომიგზავნო ცნობა იმ წიგნების შესახებ, რომელიც ამ ზაფხულს მდივანმა მოლუტანა შეგირდებს (თუ არ ვიცით ჩვენ ფოსტით გამოგიგზავნეთ) საჩუქრად. არა გვაქვს ჩაწერილი რა და რა წიგნები იყო და თითოსი რაედენი. შენ იცი თუ მალე მომასწავდი ცნობას.

მომიკითხე შენი ოჯახობა და მიხეილ ბეგი<sup>‡</sup>.

შენი შ. ქუჩუკაშვილი.

[2] ენკენისთვე 1904 წ.].

6.

ძმაო თედო!

მოგიკითხავ ძმურად და მეგობრულად. რა ამბავია ძაწია, რომ აღარაფერს იწერები, აღარცრათერს მავალეებ. გაეიჯე ვითამ საშინლადა გწყენოდეს ჩემგან ის, რომ შიომ რათ მომწერათ, რომ იფერია ფულს არ იძლევაო და სხვა. მოციქულს ყველ[ას] თან მიაქვს ამბავი და მე რომ შენთვის მეცნობებინა ის, რაც მართალი იყო და რაც დამავალეს ერთხელ და ორჯერ კი არა, არამედ რამდენჯერმე, ამით მე მგონი არათფერი დამიშავებია შენთვის და არც უნდა გწყენოდა. თუ ტყუილი გგონია შენ, ჩამოდი და პირში წაგიყენებ გძელშვილითან და უბაძუა ახნაზაროვთან<sup>‡</sup>. არ იქნება საკვირველი, რომ თავი გეუმართლებინათ

ვეელას, წერილში თუ მოგწერეს. შევი... და თეთრი... აბანოში გამოჩნდებოდნათ-  
ქვამია. თუ მართლა გწყენია, სიმართლეს დაგიმტკიცებ.

შენი ძმა შიო

7.

გამარჯობა ძმავო თედო!

მოგილოცავ წარსულ ბედნიერ დღეებს. ვსთხოვ უფალს დაესწრა ბედნიერად ძმავო, მრავალს ამ დროს შენის სახლობით და ნათესავ-მეგობრებით. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, კარგადა ვარ. ვეა აქ იყო ამ უქმეებში. ძანაც ვებუთ ერთად ხან აქ და ხან იქ ბნელს სარდაფის კუნძულებში. შენგან დაბარებული სიტყვა ვუთხარი, მაგრამ ვერ მოახერხა წამოსვლა. ერთი დღით ხომ არ ავალლო და ჩამოვალო. რომ ავიდე იმდენი ხანი უნდა დაერჩეო, მანამ იმის ქოცოს გამოვუწაფადეო<sup>10</sup>, საიდგომოთ ერთად წავიდეთო მითხრა მე. აღდგომას თუ ერთად არა, ის ხომ ამოვა და ამოვა. ახლაც დიდი ხანი არა ყოფილა აქა. ერთი ახალი პოემა ჩამოიტანა „ბახტრიონი“<sup>11</sup> და ძან მოეწონათ ვისაც წაუკითხა, ივერიაში დაიბეჭდება მალე ფელეტონებად.

შენი ძმა შიო ქუჩუკაშვილი

8.

ძმავო თედო!

ღმერთმა ხომ იცის რომ მეწყინა შენი დედ-მამის გარდაცვალება<sup>12</sup> და მონაწილე ვარ შენის მწუხარებისა. უკაცრავად გენაცვა, რომ პასუხი დაგივვიანე. იმ დროს, როცა ლუკა აქა ყოფილიყო, მე არ ვიყავი თბილისში და ამიტომ არაფერი ვიცი დაწერილებით იმ უბედურების შესახებ. ესლა რადგანაცა სთქვეს, რომ ლუკა ძმასთან წავიდაო, ამიტომ აღარ დავაშურე წერილის მოწერა და მე მანდა მკონია ესლა ლუკა. ყველაფერი ღვთის ნებაა ძმავო, ცას ვინ შევაბერდებით. შენ მეტს მწუხარებას ნუ გამოუდგები და ნუ მიეცევი სასოწარკვეთილებას.

შენი ძმა შიო ქუჩუკაშვილი

[1890 წ.]

### წარიღები ანასტასია თუმანიშვილი-წიგითლისა

1.

ბატონო ჩემო!

ამასწინეთ ჩვენ კაცს, კარქუას (ტერმარკოზაშვილს) გამოვატანე თქვენთან წერილი. რომელშიაც გთხოვდით საჩქაროდ მომაწოდოთ ჩემი წიგნები, რომელიც დამრჩა ჩვენ კოშკში. ველი, ველი ამ წიგნებს და ვერა გავხდი რა! არ ვიცი რა ამბავია. იქნება წერილი არ მივიღიეთ, იქნება გამოგზავნეთ და წიგნებმა ჩემამდის არ მოახწია. მე ვიწერებოდი—ლექსიკონებიც და ფრანგული ქურნალებიც ჩაბარეთ რამიშვილს და ის მომაწოდებს მეთქი.

რა ამბავშია სკოლა, როგორ მიდის სწავლა, ხომ არა გაგვიკრძადათ რა ხელთსაქმეებს ასწავლის მარო თუ არა? პრიუტის საქმე რა ქენით? იანერის „ჯეჯილს“ კიდევ ვამზადებ, რატომ არაფერს არ მიგზავნით? ველი თქვენ წერილს. ველი მოუთმენლად ქურნალებს, ძალიან საქაროა ჩემთვის ეს ქურნალები.

თქვენი პატივისმცემელი ანასტასია თუმანიშვილი  
წერეთლისა!

15 ნოემბერი 1891 წ.

2.

ბატონო ჩემო!

შაბათს ვაპირებ ხელთუბანში ამოსვლას, ე. ი. 17 ოქტომბერს. იმედი მაქვს, სოფელში დამიხედებით და სწავლაც იქნება. სხვათა შორის უნდა ამოუტანო საჩუქრები იმ ყმაწვილებს, ვინც შარშან გაათავეს სწავლა. აქტი გავმართოთ კვირას, სკოლისათვის წიგნები და რვეულები ტავარით გამოუგზავნი[ა]თ მგონი კალანდაძეს სახელობაზედ. ნახვამდის.

თქვენი მარად პატივის მცემელი ანასტასია თუმანიშვილი  
წერეთლისა.

[1892 წ.]

3.

ბატონო თედო!

გიგზავნი „ჯეჯილს“ რომელიც ამ ზაფხულს დაგიკარგეთ, ე. ი. ის წიგნი ან ჩვენს სახლში სადმე მიგვარდებოდა და ან მარო და ან სხვა ვინმე წაიღებდა. ძალიან ვწუხვარ, რომ დაპირებული საახალწლოთ მოთხრობა არ გამომიგზავნეთ, მინდა შეუდგე ამ ცოტა ხანში პირველი ნომრის ბეჭედას „ჯეჯილისა“ და მასალა ბევრი არა მაქვს რა ხეირიანი. უთუოდ გამომიგზავნეთ, ნუ დაიზარებთ. რაც შეეხება პოემას, გიორგი და მეც ისე ბევრ საქმეებში ვართ გაპოლფული, რომ თავ-წყალი ვერ გაგვიდენია. უნდა ფხიზლად ვიყოთ, „კვალი“ დაეიცვათ, თუნდ თავის დადება მოგვინდეს, ოღონდ საქმე კარგად წავიყვანოთ. მტრები მოულოდნელად ყოველ მხრიდან გვიჩნდებიან, ერთს რო მოვიგერიებთ, მეორე გამოჩნდება ხოლმე. თქვენ რომ წახვედით ბაჩანა ჩამოვიღა, ვაჟა-კი არა გვწევია, თუმცა პოემა გამოგვიგზავნა და ჯეჯილისთვისაც ლექსი.

მოგელოდებით დღესასწაულებში, გამოისიერინეთ. „ჯეჯილის“ ნომრები მოგივიდოდათ უთუოდ. კარგი იქნება რომ საახალწლო მოთხრობა გამომიგზავნოთ მალე.

ერთი საქმე მინდა დაგავალოთ, თუ სამძიმო არ იქნება. ჩვენ ქვევრებში ჯავახი ჩაასხამდა გომარეულიდან ჩვენ წილ ღვინოს. დაგვევიღეთ და ის ღვინო გაგვიყიდეთ. მანდ კი ფასს მისცემენ და ჩვენ კი ვერ მოგვიხერხებია ხმარება, ცოტა შეიძლება დარჩეს საზაფხულოთ ისიც თუ არ გაფუჭდება.

ამასთანავე ყმაწვილები გიგზავნიან წერილს და ისინიც უთუოდ ვახოვენ რომ გვესტუმროთ. გიორგიმ დიდი სიყვარულით მოგიკითხათ. სანამ მშვიდობით.

ქალღმერთები გადაეცემა წერა-კითხვის საზოგადოებას. მე თითონ თვეზე მეტია არსად დაეიარები; ჯერ დედა ჩუას ავადმყოფობამ და მერე სიკვდილმა ძალიან გული გამიტეხა და თუმცა მოველოდი ამ უბედურებას, მაინც ძალიან შეწუხებული ვარ. მომიკითხე მანდაურები მარო, ტასია და სხვები.

თქვენი მარად პატივისმცემელი ტასო თუ მანიშვილი  
წერეთლისა.

24 ნოემბერს 1893 წ.

4.

ძმაო თედო!

რა მოხარული ვართ ჩვენ ერთობ რომ ავადმყოფობას ნოერიეთ და გადაურჩით, თორე ჩვენ აქ გელოდით და თურმე კი მძიმე ავადმყოფი ყოფილიყავით. თქვენმა ძმამ ალექსანდრემ მოგვწერა წერილი და რაც ფული ითხოვა, მაშინვე მოგაწოდეთ. რა დამართა მაგ სოფელს რომ აგრე ყველანი ავად გამხდარან, თითქოს აქამდის იშვიათად იყოფა ხელთუბანმა ავადმყოფობა ავასკუტოსის გამო და ვინ მოგვიწამლა ახლა ეგ წყალი.

თუ იკითხავ - კვალის" ამბავს, წრეულს ამ 1895 წელს ასი ხელის მომწერთ მეტი გვყავს, მაგრამ -ჯეჯილი" კი სანუგეშო მდგომარეობაში არ არი. თანდათან აკლდებათ ხელის მომწერი და რასაკვირველია თანამგრძობლებიც. ვერა მიღონია და არ ვიცი რა ექნა? ამ წუწუნით თავი მოგაბეზრე და დეე ახლა ახალთაობამ მოვწეროსთ რაც უნდათ.

კინალამ დამავიწყდა: ყველიერებში მანდ ქორწილები და ლხინი მაინც იქნება და რომ ჩვენი ღვინო გაასალოთ კარგია. ამბობენ კოკას თორმეტ მანეთად ჰყიდიან. აქ იყო კარქუა ტერზანკოხოვი<sup>3</sup> და იმან გვითხრა. თუ შეიძლებაოდეს თხოვეთ ჩემ მაგიერათ თქვენ ძმას გამიყიდოს მანდ რომ ორი კოკამდის ღვინო მაქვს და ფული მოაწოდოს ჩემ ძმებს. ამით ძალიან დამავალებთ და მადლობელი დავრჩები.

თქვენი მარად პატივის მცემელი ანასტასია წერეთლისა.

გულით მომიკითხეთ თიკა, და გულწარა დამიკოცნეთ.

31 იანვარი 1895 წ.

5.

ბატონო თედო!

ამ ცოტა ხანში იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ ლატარია და გთხოვთ საჩქაროთ მოგეაწოდოთ სკოლის ხელსაქმეები, რომელიც ხეირიანია და შეთავებული. მაროს უთხარით სიაც მოაყოლოს და ისე გაახვიეთ რომ არ დაიფანტოს. ამასთანავე გთხოვთ გაისარჯოთ და ჩვენ კაცს კარგოს, რომელსაც აბარია ჩვენი მიწები, გადასცეთ ჩემი ძმა გიორგისაგან<sup>4</sup>, რომ უსიკვდილოთ კვირას, 21 აპრილს, ამოვა ისა და ზემელემერი ხელთუბანში სადავო მიწების შესახებ და თითონ არსად არ წავიდეს—მოლოდინში იყოს.

ტასო წერეთლისა.

[1896 წ.]

## ბატონო თედო!

ჩემი მტერი იყოს ისე შეწყუბებული, როგორც მე ვარ. კაცმა მაინდომოს სულით და გულით ერთი-ორი დღით წასვლა თავის სოფელში და ვერ მოახერხოს, ამაზე უარესი რაღა იქნება. ჯერ ხომ ზაფხულს მინდოდა მანდ ამოსვლა და რაკი კაცი იმერეთში წავა, იქიდან ძნელია თავის დახვევა. მერე ერთი თვით სონა ციციშვილისა\* გავისტუმრე სოფელში და მე არ შემეძლო აღარსად წასვლა. ამ უდროვო ზამთარმა ხომ უფრო ფეხი აპომაკვეთინა. თქვენკენ ახლა დიდი სიცივე და აედარი იქნება. არ ვიცი მიწყრებით, თუ რა ამბავია, რომ აღარას მაწოდებთ „ჯეჯილისთვის!“ ეგ იყო დაპირება, რომ ყოველ ნომრისთვის მოვამზადებო! რას აკეთებთ, როგორ მიდის სკოლის საქმე. რამდენი უმაწვილი სწავლობს, ხელსაქმის ამბავი როგორ მოაწყვეთ, როგორ არი შარო, ნუთუ მისი გამობრუნების იმედი არ არი. რომ ვიცოდე რომ კაი დარია, შეიმღებოდა ამოესულეფიყე, მაგრამ ხომ ვთქვი, რომ მე ჩემ თავს არ ვეკუთვნი. იანვრიდან უფრო თავისუფალი ვიქნები, ნოე ყორდანის ვაბარებ „კვალის“ გაძლოლას ე. ი. რედაქციის ხელმძღვანელობას (წერასა და წერილების უსტაბაშობას). „ჯეჯილის“ ამბავი რაღა ვითხრათ, ხელის მომწერლები ორასიც არ იქნება, არც სამოსწავლო ოლქისაგან მოწოდება და არც, მგონი, ეპარქიისაგან მიღებამ ვეღარა უშველოს. მე მაინც ვაპირებ იანვრიდან ისევ გამოვეც და ენახოთ რა გამოვა! რატომ აღარას მაწოდებთ, ველი მასალას საჩქაროთ.

მამიკიათხეთ თიკო და სხვა ყველა ჩემი ნაცნობები. ველი პასუხს.

ტასო წერეთლისა

უმაწვილებმა ერთობ მოგიკითხესთ.

30 ოქტომბერს 1897 წ.

7.

## ბატონო თედო!

მოგილოცავთ მომავალ აღდგომას, ღმერთმა ცოლშვილით ბედნიერათ გამოყოფოთ. გვიგზავნით მცირე გონორარს ორი მოთხოვნიას (ქურდები და მიმუნის). ვიანგარიშე სამ კაპეიკობაზე და 9 მ. 50 კ. გამოვიდა. იმეღია მასალას კვალავაც მომწოდებთ და მეც არ დაგიკლებთ ამ მცირე გონორარს.

რატომ ზეენი კარჭუა არას გვიგზავნის, პური უნდა გაეყიდა, უშველეთ და დააჩქარებინეთ ფულის გამოგზავნა. არ ვიცი რა დაემართა. როგორ არის ჩვენი სახლი?

ანასტასია წერეთლისა.

[1902 წ.]

8.

## ბატონო თედო!

რაზე დამივიწყეთ რომ არცა მნახეთ და არცა რამე მასალა „ჯეჯილისა“ გამოგზავნეთ. მე ისე მოუტლელი და ვაივაგლახში ვარ რომ ერთი დღითაც ვერ

მოვასწარი ამოვსულეიყავ ხელთუბანში. ახლა დიდათ და დიდათ გთხოვთ, რომ თუ „ჯეჯილის“ დღეგრძელობა გინდათ, საჩქაროთ მომავლოდთ მასალა დეკემბრის და იანვრის ნომრებისთვის. მართალია ფული ვეღარ გამოგიგზავნეთ, მაგრამ იმედია არ შევიტყენ და დღესასწაულებში მოვაწოდებთ. ველოდები მასალას. სანამ მშვიდობით, მომიკითხეთ ყველანი.

[ანასტასია წერეთლისა]

[1902 წ.]

9.

ბატონო ჩემო თედო!

გაზაფხულზე მომივიდა თქვენი ღია წერილი, იწერებოდით 6 მ. კიდევ და-მაკლდა ღობის დასამთავრებლათო. რადგან მეგონა, რომ მე თვითონ ამოვალ ამ ზაფხულს—ვერც ფული მოვაწოდეთ და ვერც რამე შევატყობინეთ. მე ნერვები ისე მოშლილი მქონდა, რომ მესაქიროებოდა სადმე შორს გადაკარგვა. ერთი თვით წავედი წალვერს და მერე (ეს ჩემი დაუბოლოვებელი საქმეები) ძნაო ორი კვირით იძულებული ვიყავი იმერეთში წავსულეიყავ. ახლა შევიტყე, რომ თქვენ დაგიყენებიათ მღვდელი და ღობეც კარგად გაკეთებულიაო.

სრული გულით მოვილოცავთ თქვენ საკუთარ სახლში დაბინავებას, მაგრამ ამასთანავე გთხოვ არ დაივიწყოთ სკოლის ერთგულება, ხომ ზედათ რო მე სკოლას დედინაცვლათ ვეკიდები, ცხოვრების ვარაშმა გამიტაცა, ფიზიკური მდგომარეობა მიშლის ადრინდელივით ენერგიით მუშაობას, ახლა ძნელი დრო დადგა, ახლები ჩვენზე უკეთესები წამოდგენ და იძახიან „ბებრები ხართო, ენერგია ჩვენ უფრო უნდა გვქონდესო, ჩამოგვეცალეთ გზიდანო“... და მეტი გზა არ არი — უნდა ჩამოგვეცალო. ეს „შავი ფიქრები“ მხოლოდ „ნაკადულით“ არ არის გამოწვეული, იმათ ვიცნობ, რომ ალღოს ვერ გაიტანენ, მე სხვა საქმეებზედაც ვლაპარაკობ...

ახლა ჩემო თედო, ჩვენ სახლებზე უნდა გითხრა, ჩემი ძმები ცოტა არ იყოს ბუნდუნებენ ფულის გამოღებაზე და რადგან წინეთაც მღვდელი იდგა და ახლაც, იმედია—ფული რამე უნდა შემოვიდეს. ამიტომ დამავალე და მომწერე ან იმ ღვდელს რამე გამოართვი და ან ამას როგორ მიაქირავე, რასაკვირველია ყველა ხარჯებს გამოხვალ და კიდევ რასმეს დაგეანახებ — ასე ფიქრობენ და სურთ ჩემ ძმებს, (მე რომ მოვსულეიყავი ზაფხულით, ხომ გარეთ დაერჩებოდი, მაგრამ ძალიან მიხარიან, რომ შიგ ვინმე დგას და არც სახლი გაფუჭდება და ორიოდ გროშსაც ნახავენ ჩვენები და მაშინ უფრო გულით მოეკიდებიან მაგის უკეთეს მდგომარეობაში ჩავდებას).

მიიღებ თუ არა ამ წერილს, დაიბარე კარქო მარკოზაშვილი (ჩვენი აგრეთწოდებული მოურავი) და უთხარი პური გაყიდოს, ძალუა ჩემს გაუყიდა 3 მ. 80 კ. როგორც თვითონ მითხარეს და იმედია ჩვენსასაც კარგათ გაყიდით. უშველე, შენი ქირიმე და ფული მალე ჩამოატანოს.

„ჯეჯილის“ საქმეზე ისე გაწვალებული ვარ, რომ მეონი აღარ გამოვდგე სამუშაოთ. ის არაწმინდები საშინლათ მაწვალებენ, აქამდის არც ხოს ამბობენ და არც არას. ახლა პეტერბურგიდან მომივიდა ამბავი, რომ ამ ცოტახანში

ყველაფერი კარგათ მოიწყობა. ამან ცოტა გამაცოცხლა, უნდა მთლათ ჩემი  
ენერჯია მოვიკრიბო. მომიხდება თვეში ორ-ორი წიგნის გამოცემა, რომ სტლის  
მომწერლებთან, რომელნიც სულ მცირე არიან, პირნათლათ გამოვიღე და ინ-  
ვარში ისევ ჩვეულებრივ მივეცე ყმაწვილებს „ჯეჯილი“. აქედან ამკარათ დაინახა,  
რომ ჩემთვის რა ძვირფასნი არიან ისინი, ვინც მომამწოდებს მასალას და ამითი  
გამზადებულს ამ ძნელ საქმეს — სანამ თვალეზი ღია მაქვს — ვაუძლევე. ველი  
მოუთმენლათ მასალას პატარებისთვის, დიდებისთვის — ვაეკას, თუშეა დავი-  
რდი, ფულს ადრევე მოგცემ, ოღონდ მომამწოდე შეთქი — მომცა სიტყვა კიდევ —  
მაგრამ ნაკადულის რედაქციაში ვაუგზავნი. იმათ ჯერ დაუწუნიათ — 50 მ. არა  
ღირსო, მერე უთქვამთ, ეს ერთხელ მაინც გამოვიღოთო და მერე ჩვენ ვიციოთ...

აბა, თედო, თუ გამოიტანთ, კარგი, თუ არა და ფარხმლით ხელში დავე-  
ცეში და მაშინ მხოლოთ ჩემი უძღურობა დამტკიცდება. თვითონ საქმე კი რა-  
საც ვემსახურები ყოველთვის ნათელი და ბრწყინვალე იქნება.

მგონი თავი მოგაბეზრე ამ გრძელი წერილით. როგორ არის შენი თიკა,  
ყმაწვილები როგორ დააბინავე არ ვიცი. ნუთუ გულქანას ჯერ არ ასწავლი, ე.  
ი. არ ჩამოიყვან თბილისში, იქნება შენც ჩამოდიხარ და არ მხედავ. სონა ამ  
ენათ სოფელშია, ჯერ ისევ ავთოშყოფობს. ელიკო მოვიდა პარიჟიდან და სულ  
გაკეთილების ძებნაშია. კაკის ნება მისცეს სამხლევარგარეთ წასვლისა, ახლა  
მხოლოთ ფულზეა საქმე. ლევანმა გაათავა სწავლა და ჩამობრძანდა მეუღლეთ-  
ურთ — რუსის არისტოკრატის ქალით.

სხვა მშვიდობით, მომიკითხეთ დავითის ქალები სიყვარულით.

თქვენი მარად პატივისმცემელი ანასტასია წერეთლისა.

16 სექტემბერი 1904.

10.

### ბატონო თედო

ველი მოუთმენლათ საახალწლო მასალას თქვენგან და დახე უბედურებას,  
ჩამოვიდა კარქუა და წამოსვლის დროს არც კი უნახებხართ. გიგზავნით ამ ძველ  
ვალს 4 მ. 80 კ. მგონი აგრე იყო, აღარ მახსოვს და თუ დარჩება კიდევ მო-  
საქმეში — მაცნობეთ. ამას წინეთ მოგაწოდეთ 15 მ., მცირე გამოსავზავნი იყო,  
მაგრამ რა გაეწყობა, ყველა გაჭირებული ვართ და თუ ფულის მიღებას მოუ-  
ცადოთ, ვაი თუ აღარაფერი საქმე არ გაკეთდეს... ახლა ჩემი საქმე „ჯეჯილი-  
სა“ ისეა, რომ პირველ იანვრისათვის უნდა დაიბეჭდოს იანვრის „ჯეჯილი“ და  
მასწავლამე თუ კვირამდის არ მომამწოდებთ — აღარა მოესწრობა რა. ხელისმოწე-  
რაზედაც ძალიან მიშლის მარიამ დემურია, რომელიც არის თურმე ნამდვილი  
რედაქტორ-გამომცემელი და არა თუ მასალას სტატიებს ყველას ხელიდან — „ჯე-  
ჯილის“ ხელისმომწერლებსაც თითქმის ყველას მუქთად უგზავნის. არ ვიცი რითი  
გათავდება ეს საქმე და როგორ წავა „ჯეჯილის“ საქმე. თუ არ გამსრისეს — კა-  
ოკია. ვცდილობ თვეში არავის ჩავაკრევირო. ნეტავი თქვენ, რომ შორსა ხართ  
და აქაურ ამბებს არ ისმენთ და ვინ იცის გგონიათ წმინდა საქმეა — ყველას  
უნდა ვუწველოთო. აბა თედო, მოველოდები ამ ცოტა ხანში „ჯეჯილის“ მასალას.



ძალიან შესაწუხრათ დარბათ ჩემ ძმებს რომ ჩვენი სახლი ისე უპატრონოა, რომ ყველას აქეთ იქით მიაქვთ მებელი. სია მებულისა თქვენ დაგიტოვეთ დარათ უნდა წაეღოთ ან ფაღელაანთა და ან დიაკვნის ჩვენი მებელი. გეხვეწებით, მონახეთ სია და შეადარეთ რაც აკლია, მოუყარეთ თავი ყველაფერს, ჩემი ძმა ახლა სწერს წერილს მამასახლის[ს] სახლის ქირაზე და თითონაც, როგორც კი ცოტა მოთბება, ამოვა და მოგვიხდება, თუ სოფელი ფულს არ გადაიხდის, მღვდლის გაძიება. ძმები მე მემღუროიან და ღმერთმანი არ ვიცი რა ვქნა?

სიყვარულით მოვიციოთხავ თიკოს, შენ ქალიშვილებს და ვუსურვებ ყველას ზედნიერებას.

კიდევ და კიდევ ვილი მასალას.

თქვენი პატივისმცემელი ტასო წერეთლისა.

13 დეკემბერი 1904 წ.

11.

ბატონო თედო!

რატომ აღარა მაცნობთ რა, „ჯეჯილის“ მასალა ძალიან მიჭირს, საქმე მიფუჭდება—იქნება საჩქაროთ მომწოდოთ, აღარც ლობისა რამე შეეიტყვე. დაჩქარეთ, კარგომ ჩამოიტანოს პურის ფული, ხელსაქმეების მასალა ვუყიდე სკოლას და იქნება წაალეზინოთ. მღვდელი მანდ არის თუ არა! ველი თქვენგან პასუხს—„ჯეჯილის“ მასალას უსათუოთ.

მომიციოთხეთ თქვენები. სახლში ბევრი დავიდარაბა მქონდა, მაია მიკვდებოდა—ახლა უკეთ არის, სონას ამბავსაც შეიტყობდით, ბალნიცაშია, ოპერაცია გაუკეთეს.

ანასტასია წერეთლისა.

12.

ბატონო ჩემო!

თქვენი გამოგზავნილი საყმაწვილო ჟურნალისათვის მასალა მივიღე. გმადლობთ და გთხოვთ კვლავაც მოგვაწოდოთ. ჟურნალ „ჯეჯილისა“ მიიღებთ ხოლმე. ლეგენდა „საახალწლოდ“, რომელიც გამოგეგზავნათ, თუ არ შეცვლით, ვერ დაიბეჭდება. რადგან ყმაწვილებისათვის არ გამოოდგება ის აზრი, რომ ახალწელიწად დღეს თავადმა და მღვდელმა არ მიიღეს ღარიბი კაცი. ეს არც პედაგოგიურ მხრივ გამოოდგება და არც ნამდვილს ეთანხმება. არ ვიცი ხალხში ლეგენდათ როგორ მოუწევიათ.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი

13.

კორას, 8 ნენესთვეს.

უთუოდ ეხლა, ბატონო ჩემო, ხელთუბანში იქნებით, რადგან სწავლის დრო ახლოვდება. გიგზავნით ორ ნომერ „ჯეჯილის“, ერთი თქვენ და ერთი სკოლას. ამ წერილთან ერთად ვგზავნი კიდევ ბარათს პრისტავთან. უნდა უთუოდ პრიუტი

გაემართოთ, რასაკვირველია თქვენი დახმარებით და აი ამის გამო ვწერ პრისტატეს, სანამ მე ამოვალ გარეშე სოფლებიდან მოაგროვეთ ერთად ყმაწვილები არა ნაკლებ 10 ყმაწვილისა, მეც შაბათ — კვირია უთუოდ ამოვალ ერთი ან ორი დღით და ეს საქმე დაეზოლოვოთ, ფულსაც ამოვიტან ოღონდ თქვენ მარჯვედ იყავით და ამ საქმეში ხელი შემიწყეთ და სკოლის საქმე უფრო და უფრო კარგათ წავა. სანამ შშვიდობით. მეჩქარება.

ანასტასია წერეთლისა.

14.

ბატონო თედო!

მოუთმენლათ მოველი ახალწლის მოთხრობას პატარებისთვის, იქნება როგორმე მომისწროთ. მასალა მაქვს, მაგრამ უფრო უკეთესი ეკადრება იანერის ნომერს. „სამაგიერო“ დაიბეჭდება ჯეჯილის № XII...

თქვენი კეთილის მოსურნე ანასტასია წერეთლისა.

15.

ბატონო თედო!

ამ ორი თვის წინეთ გწერდით ჩვენი პურის გაყიდვაზე, რომ კარგუასთვის გარდაგეცათ და გელრიჯებოდით მასალას და აქამდის თქვენი აღარა ვიცი რა. ნუ თუ წერილი არ მიიღეთ, მე ერთი ნომერი დაეზოვდეთ და ლამის მეორეც დაიბეჭდოს და თქვენი ამბავი არა ვიცი რა, ნუ თუ რთველმა და ახალმა სახლმა აღარ მოგაცალათ ჩემთვის. ველი მოულოდნელათ პასუხს. სიყვარულით მომიკითხე ყველა.

ანასტასია წერეთლისა.

16.

ძმაო თედო!

გიგზავნი „მაგდანას ლურჯას“?, ეს ჩვენი პირველი გამოცემაა სახალხო წიგნისა. „ჯეჯილი“ [გაგი]გულისთა თქვენ, რატომ აღარა გამომიგზავნეთ რა. მასალა ცოტა მაქვს და მე თითონ არა მცალიან, რომ ბევრი ვიმუშაო. „რქიანმა“ დიდი ფურორი გამოიწვია. ამას წინეთ გამოგვიგზავნეთ გიორგის თხზულება და არ ვიცი მიიღეთ თუ არა? ველი თქვენ მოთხრობას „ჯეჯილისთვის“. მომიკითხე თიკა და გულქანა. მარო რას აკეთებს! მაცნობეთ პასუხი რაიმე.

თქვენი მარად პატივისმცემელი ტასო წერეთელი.

17.

ბატონო ჩემო!

სულ ვაპირებ ამოსვლას ხელთუბანში სკოლის დასათვალისწინებლად და ვერ ვახერხებ. აღდგომის წინედ ის იყო მოვეშხადე, მაგრამ სიცივე[ვ]ებმა შემაშინეს. თქვენ თბილისში ბრძანებულხართ და ძალიან მეწყინა, რომ არა მნახეთ. ნუ

თუ ისე ძნელი იყო ერთი წუთით ჩემთან შემოსვლა. მე ძალიან მაწუხებს მან-  
დაური საქმეები (სკოლისა). მართალია თქვენა მწერდით მაროზედ, რომ კრპი  
და ახირებულნი ხასიათი აქესო, მაგრამ მე მეგონა, რომ თქვენ ისე ტკბილათ  
მოექცევით, ისე დაამშვიდებთ (მეტადრე როგორც იწერებთ—ავათმყოფიც  
არის) რომ ჩემი ვარევა ამ საქმეებში არც საჭირო იქნება. ეხლა აქ ჩამოაქეთ  
სხვადასხვა ამბები, ვითომ თქვენ უჭირებთ მაროს საქმეს. არც ოთახს ანებებთ,  
არც დროს აძლევთ რომ ყმაწვილებმა იხალისონ ხელსაქმის სწავლა და ამას  
ყველა იმას მიაწერენ, რომ ვითომ იმის ადგილას თიკას ჩაყენება გნებავდეთ.

მე რასაკვირველია არა მჯერა რა და როცა მოვალ უფრო ვნახავ საქმეებს,  
მაშინ უფრო დავრწმუნდები და სხვებსაც დავარწმუნებ, მაგრამ ეხლა კი, სანამ  
ამოვიდე, გთხოვთ ნუ მისცემთ ნურავის მიზეზს ამგვარი ლაპარაკისას და კიდე-  
ვაც გთხოვთ მომიტონით სანამ მე ამოვალ. წერა-კითხვის საზოგადოებამ გამო-  
იწერა „ჯეჯილი“ სკოლისთვის და ამას წინედ გამოგიგზავნეთ. მისის გასულს  
იმედი მაქვს ამოვიდე ორიოდ დღით. იქნება უფრო ადრეც.

გთხოვთ დამავალოთ და ეს ერთი საქმე ამისრულოთ, დაიბრეთ კარგ უა-  
ტერმარკოზა შვილი (მაშინვე როგორც რომ მიიღებთ ამ წერილს) და ჩვენ  
მაგიერად გადასცეთ რომ პირველ მისს არის დანიშნული მეტეევანია ბერბუკისა  
და მეჯლისხევის მიწებისა. უნდა უთუოდ დაესწროს, თორემ საქმე გაფუჭდება.  
დაავალეთ დედაჩემის მაგიერად რომ თავის დროზედ წავიდეს და სხვადასხვა  
მიზეზების გამო არ გადასდოს.

მომიკითხეთ სკოლის ყმაწვილები, მაროს უთხარი რომ მალე მოვალ და  
საქმეები ბლომად მოამზადოს.

თქვენი პატივისმცემელი

ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა.

28 აპრელს.

18.

5 დეკემბრისთვის.

ბატონო ჩემო!

უთუოდ გულში ვაიტარებდით — წაეიდა ის ქალი და წაეიდაო. მართლა  
და ცოტა დამიგვიანდა ამ წერილის მოწერა, მაგრამ არც ავრე დამნაშავე ვარ...  
თქვენი სტატია მივეცი „ნოვოი ობაზრენიას“ რედაქციას და პასუხად შემდე-  
გი მითხრეს: „ეხლა ხელის მოწერის დროა—მაგისტანა სტატიებს ვერ დავბეჭ-  
დავით—ზაფხულში კი იქნება გამოდგეს დასაბეჭდათ“. ჯერ გორშივე ლომპურმა  
მირჩია „პოპეჩიტელის კანცელარიაში“ სიხარულით მიიღებენ და დაბეჭდენო.  
ეხლა იქ გავგზავნი—გნახოთ რა გამოვა. ამ საქმის სხვა ვერა გავარიგე რა.  
რაც შეეხება თქვენ თხოვნას (მებელის თაობაზედ), წერა-კითხვის საზოგადოებას  
ხოლო ამ ორი დღის წინედ ვადუწყვეტია ასე (როგორც ვადმომცეს): რაც  
მეტეევი წიგნები (სახელმძღვანელოები) და დაფები, საზოგადოებას უკან დაუბ-  
რუნდესო და სკოლის მზრუნველს ანასტასია თუმანიშვილს მიეცეს 25 მანეთი.  
ამ ფულით იყიდოს სკოლისთვის როგორც ორი ჯიბის დანა, ისეც რაც აუცი-  
ლებელი საჭირო მებელი იყოსო. მე ჯერ ძალიან შეეწუხები—ეხლა აქედამ იქ რას

გავიწყობ მეთქი, მაგრამ რაკი თქვენ გამოუცდელი ხართ მებელის ყიდვაში, მახსოვს როგორ წუწუნებდით, შემდეგ გადაწყვეტილებას დეადექ: გორში შკაის ერთი კაი ნაცნობი ოჯახი—ექიმი ფურცელაძისა. იმისი ცოლი ჩემი კაი მეგობარია და ყიდვაში გამოცდილი ქალია. სახელი ვახლავთ ეკატერინე დიმიტრის ასული. სახლი უჭირავს ხიდთან ახლოს, იმასაც ეხლავე მიეწერ წერილს და როდესაც გნებავდეთ ნახეთ—გამოართვით დანების ფული და როცა მებელს იყიდის, ან ვააკეთებინებს, მამასახლის უბრძანებთ, უქმე დღეს ჩავზავნოს ურემი და ამოატიანოს. დაწერილებით რა მებელი იყიდოს და ან როგორი, მე იმას მიეწერ. თქვენ შხოლოდ ჭაიბარეთ და მიღებული ნივთების სიას გამოუგზავნით წერაკითხვის საზოგადოებას. ასე რომ თავიდან ავაცილებთ აყალმყალს და ღურგლებთან საქმის დაჭერას. თუ ფული ცოტა მაინც გადაგვჩრება, თქვენ ოთახში რომ თახჩა იმას შეიძლება კარები ვაუკეთოთ და მშვენიერი შკაფი გამოვა. თუ უჩემოდ არ მოხერხდება მაგ შკაფის ვაკეთება, მაშინ აპრილში რომ მოვალ ვაკეთებინებ ღურგალს.

აქ მომზადებული მაქვს გაზეთები და წიგნები, სკოლისთვის საწმენდი ტილოები, როგორც რომ წამომსვლელს ვიშოვი—მოგაწოდებთ, თუ მანდემ ვინმე მოდიოდეს — დააბარეთ მნახონ...

იმედი მაქვს სკოლაში სწავლას კარგად წაიყვანთ და მოწერის დროს მაცნობებთ დაწერილებით როგორ მიდის სკოლის საქმე. ერთი რამე მაწუხებს, რომ უფულოდ იქნებით, მანდ რომ ვიყავ, მინდოდა სესხათ მომეცა თქვენთვის ფული, მაგრამ ვეღარ გავიბედე თქმა. ეხლა თუ გეჭირსთ, სთხოვეთ ფურცელაძის ცოლს, ჯამაგირის მიღებამდის ვასესხებთ—ამის თაობაზედ მიეწერ.

მანდემამ გამოსავლენი წიგნები კარგა შეახვიეთ და შექარიით; სიაც, თუ რამდენს გზავნით შიგ ჩასდეთ და სანდო კაცის ხელით გამოგზავნეთ ტფილისში, თუ მანდემამ ვერაგინ ვერ იშოვოთ, მაშინ ფურცელაძის ცოლს ჩააბარეთ — ის გამოგვიგზავნის. დამევიწყდა, მანდ რომ ვიყავ მეთქვა თქვენთვის, პერანგებს სკოლის გოგოები გამოსპრიან და შეჭკერამენ, ხოლო საპერანგო უყიდეთ. ქუდეებიც რამდენიც გნებავთ მოაქსოვინეთ. შავი ქუდი 60 კ. არის და მანდ რომ თეთრი ქუდია ის კი 80 კ. არის.

ბოდიშს ვიხდი რომ ასე უვლანნი, წვრილმან საქმეებმა ლამის გადამიტანონ. შეშის თაობაზედ ვიყავ „უპრავლენიაში“. თუ საქმე გვიდგება—ნახეთ ჩენი სოფლის პრისტავი, რომელიც ახლად არის დანიშნული, ჩემი კაი ნაცნობია—სთხოვეთ—ის დააჭირებინებს. ჩენი სკოლის მზრუნველია კნ ასიკო ერისთავი, ეხლა აპირებს სოფელ რეხაში (ჩვენ მეზობლათ) დასახლებას. უთუოდ, როგორც მპირდებოდა, ხშირად გნახამსთ. იქნება პრიუტის საქმე როგორმე მოაწყოთ, რომ გარეშე სოფლის ყმაწვილებმა იარონ. თუ ამას მოახერხებთ, სწორეთ ყოჩალი იქნებით.

ან. თუმანიშვილი

## 1.

ძმაო თედო!

რატომ ასე ააღეთ ხელი „ჯეჯილს“, რომ აღარა გამოუგზავნეთ რა. აქაურ ამბავს იკითხავთ: გიორგი ისევ ისე ავით არის, ეს სამი კვირაა ლოგინში წევს, ნოც ავათმოუფი სოფელში წაიყვანეს და ტასო ამ ამბებში ძალიან შესაბრალისია. ჭრისტეშობისთვის ოცისთვის უნდა მზათ ჰქონდეს საიუბილეო ნომერი, რომელიც „ჯეჯილის“ ათი წლის არსებობისთვის უნდა გამოსცეს და იმედია თქვენც გამოგზავნით რამე მასალას. მგონი „ჯეჯილის“ არსებობიდან თანამშრომლობით და სირცხვილი იქნება რომ თქვენი არა იყოს რა. აბა დააშურეთ ისე, რომ პირველ დეკემბერს მაინც აქ იყოს თქვენი მასალა. დიდის სიყვარულით მოგიკითხათ ტასომ, ელიკომ და კაკიმ, აგრეთვე მეც თავს დაგიკრავთ. თქვენი პატ. მცემელი სონა ციციშვილი.

12 ნოემბერი [1899 წ.]

## 2.

ძმაო თედო!

დღეს რომ ათი სექტემბერია, ამ დილას ტასო და ელიკო წავიდნენ ბორჯომში, სადაც, თუ ძალიან სიცივე არ დაუდგათ, აპირებდნენ ერთ კვირეს დარჩენას, თუ სიცივე იქნება შეიძლება მხოლოდ სამიოდ დღეს დარჩნენ. იქიდან ორივე შემთხვევაში მანდ აპირებენ ჩამოვლას ორიოდ დღით და გთხოვთა ტასომ გადაეცით ჩემ ბებერ ტასიას, რომ ოთახი სუფთათ დაგვახვედროსო, და თქვენც იმედია „ჯეჯილისთვის“ მოთხოვას დაახვედრებთ.

იყავით კარგათ.

თქვენი პატივისმცემელი და სონა ციციშვილი.

10 სექტემბერი [1900წ.]

## 3.

6 დეკემბერი [1902 წ.]

ძმაო თედო!

ასე როგორ დაჰკარგეთ ტასო, რომ ერთხელ აღარ გაიარეთ, „ჯეჯილს“ რას ემართლებით თუ ხსევებს უწყრებით. დამაჯალა ტასომ, რომ გთხოვთ „ჯეჯილისთვის“ მასალა. პირველი ნომრისთვის ორგინალური არა აქვს რა და დიდი იმედი აქვს, რომ რასმეს მოაწოდებთ. გეხვეწებათ, რაც შეიძლება დამიშურეთ და რამე გამომიგზავნეთო. პირველს იანვარს უნდა დაარიგოს და აბა თუ 15 დეკემბერს მაინც არ მისცა მასალა, რაღას მოასწრებს. ერთის სიტყვით თქვენი დიდი იმედი აქვს. უშუალოთ გვაცნობეთ რამე. პატივისცემით თავს დაუკრავთ თქვენ ცოლ-შვილებს.

თქვენი პატივისმცემელი და სონა ციციშვილი.

ტასომ მოგიკითხათ ერთობით. ელის მასალას.

32 ძმის თედო!

ეიცი სასიამოვნოთ გეკნებათ: ანასტასიას წუხელის ტელეგრაფმა მოუვიდა-ნიკოლაძისაგან! რომ „ჯეჯილის“ გამოცემის ნებართვა მოგივა, საქმე ვათე-დავო. ტასო დიდი ვახარებულია და იმეღია ამ საერთო სიხარულს თქვენც შეუერთდებით და საჩქაროთ მოაწოდებთ თქვენს რაიმე ნაწერს. ძალიან და ძა-ლიან საინტერესო და სასურველია, რომ ყველა „ჯეჯილიან“ შეტკობილ მწერ-ლების ნაწერებით იყოს განახლებული „ჯეჯილის“ ნომერი დამშვენებული და ამი-ტომ გატყობინებთ და გთხოვთ მალე მოაწოდოთ მასალა. უნდა მზათ ჰქონდეს-ნომერი, რომ მოუვა თუ არა ნებართვა ოფიციალურათ, მაშინვე გამოსცეს.

პატივისცემით მოგაკითხავთ თქვენი პატ. და სონა ციციშვილი.

84 მარიამ დემურისა წერილები

## 1.

დიდათ პატივცემულნო ძმის თედო!

შიომ გადმოგვცა სტრიქონში შაურს თხოულობთ. დიდის სიამოვნებით. მე მგონი გახსოვთ, რომ ჩვენ იმ აზრისა ვიყავით, ოღონდ თქვენ ბევრს მასა-ლას ნუ მოგვაკლებთ და, ჩვენ სხვა არაფერი გვინდა. ველით მოუთმენლათ თქვენსგან მასალას. იქნება თუ სხვანაირათ წაყვიდა ჩვენი საქმე იმედი მაქვს-თვეობით დაგინიშნამთ, ფულს მალე მოგართმევთ.

თქვენი ერთგული მ. დემურია

[1905 წ.] 21 ივნისს

## 2.

დიდათ პატივსაცემელნო ბატონო თედო!

ბოდიშს ვიხდი, რომ ფული ესე დაგიგვიანეთ, მაგრამ მეგონა ჩამოზრძან-დებოდით. მოგართვით 20 მანათი, ხუთი მიღებული გქონდა. სწორედ ჯერ თქვენი რაც დაიბეჭდა 25 მანათისა და ერთი შაურისაა, თქვენის სურვილისა-მებრ სტრიქონი შაურად. გთხოვთ ლექსებიც და მოთხრობებიც მალმალ გვიგზა-ვნოთ. თქვენი ახალი გამოგზავნილი „ლეგენდა“ მშვენიერია, მაგრამ ეწიშობთ ცენზორი ისეთი საზიზღარი გვყავს, რომ არ გაუშვებს. წარმოიდგინეთ დიდის ჩხუბით, თორემ „ხობებეცი“ არ უნდოდა გაეშვა. ერთი ლექსი ლომაურისა დაიჭირა.

თქვენი ერთგული მ. დემურიასი.

[1905 წ.]

## 3.

დიდათ პატივცემულნო ძმის თედო!

გულითა გთხოვთ თქვენ, რაც კი შეიძლება ბევრი მასალა გვიგზავნოთ, თქვენი თითქმის ყოველისფერი დაიბეჭდება. „მამლაყინწა“ თებერვლის მონაცრო-

ებნისთვის ორ ნომერში იბეჭდება? მარტისათვის თქვენი აღარაფერი გვაქვს შენი ჰირიმე როგორც ჩემი წერილი მოგივიდეთ, მოთხრობებიც და ლექსებიც გამოგვიგზავნეთ. ძალიანა ვთხოვთ. თქვენი ჰირიმე მე მინდა ყოველ ნომერში თქვენი მოთხრობები იყოს. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს და ბედნიერებას.

თქვენი ერთგული მ. დემურიასი.

4.

ძვირფასო ძმავო თედო!

დიდათა ვწუხარ, რომ თქვენი მოთხრობა არ დაიბეჭდება, რადგან საშობაო არისო. მაისისათვის კარგი რამე გამოგვიგზავნეთ, პატარებისთვისაც და მოზღლიებისთვისაც. ეხლა მანდ ბუნება ისე აყვავებულია რომ მე მგონი თქვენი მუზაც უნდა აღფრთოვანებული იყოს, მართალია კი სამწუხაროდ საძაგელი გარემომდგომიარება-კი ხელს არ გიწყობთ, მაგრამ მაინც ძალიან სასურველია პოეტი როგორმე ივიწყებდეს ყოველ ამ ქვეყნიურს და მშვენიერ ოცნებას ეძლეოდეს. თქვენისთანა ნიჭიერ მხატვრულ მწერალსათვის უსათუოდ საჭიროა ეს სურვილი.

თქვენი ერთგული მ. დემურიასი.

ნუ გეწყინებათ შენი ჰირიმე რომ არ დავბეჭდეთ. თქვენ კარგად იცით მთელი რედაქცია თქვენი ნიჭის პატივისმცემელია.

მ. დ.

5.

გულითადნო პატივისცემელნო და ძვირფასნო ძმავო თედო!

ეს შეეჭვებ წერილსა გწერთ და არც ერთხელ პასუხს არ მაძლევთ. არ ვიცი მიზეზი რა არის. ვთხოვთ მაინობოთ მიზეზი თქვენის უკმაყოფილობისა. ეხლა გვედრებით საშობაო და საახალწლო მოთხრობები მოგიმზადოთ და გამოგვიგზავნოთ, აგრეთვე აკაკის იუბილეის შესახებ. თუ მოხერხდა ჩვენ გვინდა ერთი ნომერი მთლად აკაკის იუბილეის ეხებოდეს. აბა, თქვენი ჰირიმეთ შეგვეწიეთ. აგრეთვე ვთხოვთ ნიკო ლომაურისაგან გამოგოთ რას შერება, სწერს თუ არა აკაკიზედ რამეს? მაგასაც მოვწერე და აქამდინ პასუხი არ მოგვსვლია. გისურვებთ ყოველივე სიკეთეს და ველი თქვენს პასუხს მოუთმინლად.

თქვენი ერთგული და მარ. დემურიასი.

სალამი თქვენს მეუღლეს.

[1903 წ.]

6.

ჩემო ძვირფასო ძმავო თედო!

მოგილოცამთ ქრისტეს აღზღვეს, ღმერთსა ვსთხოვ ყოველივე სიკეთე მოგანიჭოთ თქვენის ძვირფასის ოჯახობით. ღმერთმა უთვალავ აღდგომას შევაგებოთ ჩვენი დაჩაგრული სამშობლოს საიმედოთ.

ძალიან მიკვირს რომ თქვენ არც ერთ ჩემს წერილზედ არ მიპასუხებთ; მე-  
შინიან უქეიფოთ ხომ არა ხართ? გარდა ამისა მანდ რომ ვახლდით დამპირდით  
რომ უსათუოთ მალე გამომიგზავნიდით ჩამდონიმე მოთბრობას და ჯერ არც  
ერთი არ გამოგვიგზავნეთ. თქვენი ჭირიმი კარგი და ლამაზი მოთბრობები მა-  
ლე მოგვაწოდეთ, თორემ კულდათ იქნება ჩვენი საქმე, მასალა ცოტა გვაქვს.  
ჩემს მაგივრად თქვენს ოჯახობას გულითადი სალამი. აგრეთვე კასრამეს  
მილოცვა და დიდი მადლობა.

თქვენი ერთგული და მ. დემურია

### ივ. როსტომაშვილის წერილები

1.

დიდათ-პატრიცემულო თედო!

დიდის სიამოვნებით მიმიღია თქვენი წინადადება. გთხოვთ ყურადღება  
მიიპყროთ „მოგზაურის“<sup>1</sup> პროგრამას: ყოველი სტატია რაც უნდა იყოს, ხალხუ-  
რი თუ საკუთარი თქვენი, უთუოდ უნდა იყოს ან ისტორიულის, ან არქეოლო-  
გიურის, ან გეოგრაფიულის და ან ეტნოგრაფიულის შინაარსისა, რადგანაც სხვა  
შინაარსის, ნაწარმოებს ცენზური ნებას არ ვეძღვეს რომ დაებეჭდეთ. იმედია  
თქვენს ნაკალმეებს არ მომაკლებთ. თქვენ, გონია, კარგად შეგიძლიანთ ისტო-  
რიული პოემების ანუ მოთბრობების წერა, გთხოვთ ხელი მიჰყოთ ჩვენი წარ-  
სულის შესწავლას, თუ აქამომდე ამისთვის ყურადღება არ მიგიქცევიათ, და  
რამე ამ გვარი მომაწოდოთ, ან ისეთი, როგორიც, მაგ., პირველს ნომერში  
იბეჭდება გურიის<sup>2</sup> შესახებ კონსტ. გვარამაძისა. თუ რამე გაქვთ უკვე მზად  
(ამ გვარი) და მალე გამომიგზავნით, მეორე ნომერშიაც მოვასწრებთ დაბეჭ-  
ვდას. ზღაპრებიც, ლეგენდებიც და სახალხო ლექსებიც უთუოდ მოხსენებულ  
ოთხ დარგისა უნდა შეარჩიოთ.

მარად თქვენი პატრიცემული ივანე როსტომაშვილი.

31 დეკ. 1900 წ.

დიდათ პატრიცემულო თედო!

მე განვიძრახე თქვენი პატარა წერილის „მურიას“<sup>3</sup> გამოცემა და იმედია  
ნებას დამრთავთ, რომ ამ გზით მაინც გაეავრცელოთ ჩვენს ხალხში და მოზარდ  
თაობაში თქვენი ასეთი ნაწერები. გთხოვთ თვითონაც დამისახელოთ, თქვენის  
აზრით, რომელი თქვენი ნაკალმევი უფრო ღირსია ცალკე გამოცემისა. ველი  
პასუხს.

თქვენი ივ. როსტომაშვილი.

3.

1-ს იანვ. 1903 წ.

დიდათ პატრიცემულო თედო!

თქვენის წერილების ცალკე წიგნაკებად გამოცემის ნება-დართვის გმად-  
ლობთ. პირველათ, როგორც გწერდით, „მურიას“ გამოვეცემ იაფ-ფასიან წიგნად



სურათებით და თუ კარგათ ვაიყიდა, რაზედაც იმედი მაქვს, სხვასაც გამოვცემ შემდეგში. ერთს ას-ას ცალს თქვენც გამოგიგზავნით ჯილდოთ, მცირეა, მაგრამ რა ვქნათ, რომ ჩვენი მწიგნობრობა დიდს განწირულებათა და წიგნებით ვაქრობა ისე ცუდათ არის მოწყობილი, რომ გამომცემლებს თითქმის შრომის ფასიც არ გვრჩება, არა თუ რაიმე ფული დავიბრუნოთ და მუდმივ გამოცემას მივსდიო. რაც შეეხება თქვენს დიდს შრომას, სახალხო სიტყვიერების ნიმუშთა გამოცემას, რომელიც დღეს ქ. გ. ამხანაგობას აქვს, მე, ჩემო თედო, იმდენი შეძლება სად მიქნება, რომ ის გამოვეცე... ჟურნალში ბეჭდვა, რასაკვირველია, შეუძლია, მაგრამ ისე მცირედ მყავს ხელის-მომწერნი, რომ დღემთმანი, თითონაც მივირს, როგორ ვაცოცხლებ აქამდის. ახლა ახალი განყოფილებანი მოემატე, იქნება ამან შაინც მიზიდოს ხელის მომწერნი. ენახოთ, ახალი წელიწადო უკვე დაგვიდგა... ამიტომ მის გამოცემაზედ ის ამხანაგობა შეაწყუბეთ, მე კი მცირე წიგნაკებს გამოვცემ ჯერ-ჯერობით. ჟურნალი, რასაკვირველია, კულავ მოვივით.

მარად თქვენი ი. ვ. როსტომი აშვილი.

### სხვადასხვა პირთა წერილები

1.

ძმავ თედო!

მივიღე შენ მიერ გამოგზავნილი ხალხური ნაწარმოების რეკულები, რისთვისაც მმართველობა ჩვენი ამხანაგობისა დიდს მადლობას გიძღვრის და კვალადაც მოლოდინშია, რო ყოველთვის ხელს მიაწვდით და მხარს მისცემ შენის შეძლებისდაგვარ ამ ჩვენს ახალ ამხანაგობას. ჯერჯერობით არ გაუშინჯნია არც რედაქციას და არც ჩვენ, მმართველობას; მაგრამ მაინც ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და იმედი მაქვს, უარს არ შემომითელი. აი თვით თხოვნაც: მე ვებეჭდე ერთ საყმაწვილო წიგნს (სახელმძღვანელოს) და თუ იმ წიგნით შენაკრებ მასალაში მომეწონა რამე, ნება მომე 10 ლექსი, ამდენივე ანდაზა და გამოცანა ამოვიღო, თუნდა რომ ის ჩემი წიგნი თქვენს შრომაზე აღრე დაიბეჭდოს, იმ პირობით, რასაკვირველია, რომ მოვიხსენიო, თუ საიდგანა მაქვს ის ლექსები აღებული (რაზიკაშვილის კრებულიდგან). ამასთანავე თუ შესაძლოთ დაინახო ერთი სამიოდ საყმაწვილო ზღაპარიც ამომირჩიე მაგ შენი რეკულებიდან და გამომიგზანე. იმედი მაქვს შეუძლებლად არ მიიჩნეე ამ ჩემს თხოვნას და მით საუკუნოდ დააყალბე შენს მარად

ლადო აღნიაშვილი!

4 თებერვალი 1891 წელს.

P.S. პასუხი რო მომწერეთ, შიგ მოიხსენიე, რო ნებას მადლვე შენის შრომიდგან სარგებლობისას, მხოლოდ საყმაწვილო გამოცემისათვის და თუ გინდა რიცხვიც დამისახელე 10, 5 ან მეტი ან ნაკლები. უკაცრავად, რომ ესეთი უთაგბოლო წერილი მომივიდა — ათი კაცი მადგა თავს და ყველას პასუხი უნდა —

შენი ლადო აღნიაშვილი.



2.

### დიდად პატივცემულ ბატონო თედო!

შარშან რალაცას გვიწყობდით მგონია, თორემ ერთ მოთხრობას ზომ მაინც გამოგვიგზავნიდით. წრეულს იმედია გულს მოიბრუნებთ ჩვენკენ. მომწერეთ რა უნდა მოვიმეკმედოთ იმისთანა, რომ მოგაბრუნებინოსთ გული და თქვენებურად მშვენიერი მოთხრობები დაგაწერინოსთ. ჩვენ თუ გვიწყობით, ბავშვებს რისთვის აკლებთ მოთხრობებს, განა ამის უფლება გაქვსთ თქვენ, როგორც მწერალს? გთხოვთ მიიღოთ მონაწილეობა „ნაკადულის“ სვე-ბედში, ისე როგორც ღებულობდით და მოთხრობები მოგვაწოდოთ, ჰონორარს რასაკვირველია მოგართმევთ.

ამას გარდა აქ ჩვენთან რედაქციაში ს. გოგლიჩიძე იყო და მითხრა, რომ ჩემი ხელის მომწერლების სია გადაგეცი თედო რაზიკაშვილის ძმისწულს მასწავლებელსო და იმას მიმართეთო. გთხოვთ ამიტომ თქვენ, რომ გადასცეთ თქვენძმისწულს რომ გოგლიჩიძის ხელისმომწერლებისაგან ფული არვისგან არ მიგვიღია შარშანდელი წლის და რადგანაც თავისთავზე მიუღია დაგვეხმაროს, აკრიბოს და საჩქაროდ გამოგვიგზავნოს. ამას გარდა მოგეწეროს ამ წლის ვის გაუგზავნოთ, თორემ ისე ძნელი იქნება ჩვენთვის. I № ამ რამოდენიმე დღეში გამოვა და საქირთა პასუხი ჩქარა მივიღოთ, რომ ნომრები ყველას თავის დროზე მიუვიდეს. თქვენც გთხოვთ დაგვეხმაროთ ჟურნალის გაერკვლების საქმეში. რატომ არ შემოიარეთ ერთი ჩვენ რედაქციაში? ჟურნალსაც გამოგვიგზავნოთ თუ არა?

თქვენი პატივისმცემელი ნ. ნაკაშიძე.

13 იანვარი 1911 წ.

3.

ნოემბრის 26. 1896 წ.

### ბატონო თედო!

თქვენი ახალი ამბები მივიღე და ამ დღეებში დაიბეჭდება. სრულს ჩემს თანხმობას ვაცხადებ თქვენი ნაწერების სასყიდელზე. საქმე ის არის, რომ ბერის მოცემა არ შეგვიძლიან, ორი სტრიქონი სამი კაპიკი (Строчки по 1 1/2 копейка). გაზეთს გიგზავნით, ხოლო მოგვიტყევთ, რომ პირველი ნომრები აღარ მოგვეპოება, სულერთიანად გავიდა. აბა რას ვიფიქრებდით, რომ ათას რუბლამდე ავიდოდა ჩვენი ხელის მომწერთა რიცხვი. სულ მანათიანების ბრალი კია. საქმე მომავალია, ვნახოთ როგორ წავა საქმე. დამდეგ წელს იმედი გვაქვს რომ არ დაგვივიწყებთ და დროგამოშვებით მოგვაწვდით ახალ ამბებს იმ უბნისათვის.

პროგრამის ვადიდებას დამპირდნენ და პირველ იანვრიდან იმედი მაქვს საქმე უკეთ წავა, მანამდე ხელფები შეკრული გვაქვს. აბა თქვენ იცით როგორ შეგვიწყობთ ხელს ამ ახალს საქმეში, თუ საქმე ცოტათი მაინც კარგად წავიდა, დამდეგ წელს შეიძლება რომ თვიურადაც მოვრიგდეთ.

თქვენი ვალერიან გუნიია.

ამისთანავე მარკებს გიგზავნით წერილებისათვის სულ-ათია.

## ძმ ა ო თ ე ლ ო !

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწ. საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა პირველ ინანერისათვის უმჯობესად გამოსცეს სალიტერატურო კრებული „გრდემლი“. ამ კრებულში მსურს მოათავსოს შენი პატარა მოთხრობა „ქორის ბახალა“<sup>6</sup>, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალ „ნი ა ვ შ ი“<sup>7</sup> კ. თუმანიშვილის რედაქტორობით. ეს უკანასკნელი კრებული აღარ გამოვიდა, აქ დასაბეჭდი მასალა გადმოგვეცა ჩვენ და ახლა გვინდა ვისარგებლოთ ამ მასალით. ამიტომ გთხოვთ ნება დაგვართოთ „ქორის ბახალა“-ს „გრდემლში“ დასაბეჭდვით. თუ ახალი რამა გაქვს, ისიც გამოგვიგზავნეთ. პასუხს ამ ორ დღეში ველით. მასალები სტამბას, შაბათს 19 ამ თვეს უნდა გადავცეთ.

დამწერის სიყვარულითა და პატივისცემით მოვიკითხავ თქვენებს, დიდსა და პატარათ.

შენი ი. ცინცაძე

მდივანი „სიტყვა-კაზ. მწ. საზოგადოებისა“

წერილი გამოგზავნე შემდეგის ადრესით: Тифлис. Пашаевский пер. № 2. Икону Цинцадзе<sup>8</sup>.

## ძ ვ ი რ თ ა ს ო თ ე ლ ო !

უკაცრავად მოგონებისთვის! რადგან, ჩემო თელო, 15 მარტიდან ვიწყებ ბეჭდვას, თუ რამე დაამზადეთ, არ იქნება ცუდი რომ გადმომიგზავნოთ. რადგან წიგნი შესდგება წელიწადის ოთხის დროიდან, ამის მიხედვით, შეიძლება მზად გქონდესთ შემოდგომა, თუ ზამთარიც მზად გაქვსთ—კიდე უკეთესი. თუ გაზაფხულიც მზადაა, ეგ ხომ მოსწრება იქნება. ზაფხული ბოლოს დაიბეჭდება. მოკლედ რომ ვსთქვათ, შეიძლება მზად გაქვს: შემოდგომის ლექსი, ზამთრის ლექსი და გაზაფხულის. ერთის სიტყვით, ამ ანგარიშის მიხედვით, ვთხოვ რაც გაქვსთ, გადმოგზავნოთ.

თქვენი გულით პატივის მცემელი ა რ ი ს ტ ო [ქუთათელაძე].

ადრესი: Тифлис, Московская № 9, Арист. Вас. Кутателадзе.

## პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო თ ე ლ ო !

მინდა დაებეჭდო—ჩემი ჟურნალი „ლეილა“... და მსურს რომ ამ მწერალთა თიკგულს თქვენი ყვაილიც ამშვენებდეს... მინდა დაებეჭდო თქვენი ერთი ლექსი „ახალ თაობას“. ეს ლექსი გადაცემული იყო დასაბეჭდით 1908 წელს ჟურნალ „ნიავში“, დაიბეჭდა, მაგრამ ცენზორმა აკრძალა. ასე რომ გასაყიდათ არ გამოსულა. თუ ნებას მომცემ გადაებეჭდავ. კარგი? მომწერეთ დასტური.

პატივისცემით ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი .

**პავლე რაზიკაშვილის წერილები**

პავლე რაზიკაშვილი—ვაჟა-ფშაველას მამა. ბავშვობისას თავის უფროს ძმასთან, ზოიგართან, ერთად მეცხვარეობას ეწეოდა. მაგრამ მეცხვარეობა პავლეს ზოიგარსავეთ არ იზიდავდა, მას უფრო წერა-კითხვის შესწავლა აინტერესებდა და მეცხვარეობის დროს ზემად, სიპ ქვებზედ ვარჯიშობით, თავისთავად კიდევაც შეისწავლა. შემდეგში, როცა პავლე გუთიანზე მუშაობდა, ქალაქდებს ჯიბით ატარებდა, მოსვენებისას დაჯდებოდა და კითხულობდა. მამა უშლიდა, თემსა და რჯულს ნუ ლაღატობ, „გარუსებას“ თავი დაანებებო, სწავლა ეშმაკეულის საქმეაო, მაგრამ პავლე თავისას არ იშლიდა და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ მამას მოკლაც კი განუზრახა მისი. მაგრამ პავლე გადაურჩა ხიფათს. დაანება თავი სახლ-კარს და გაიქცა კახეთში ერთერთ მონასტერში, სადაც სულ მოკლე დროში ისე მოეწადა, რომ ჯერ მდებარეობდა დანიშნეს ჩარგალში, შემდეგ შუაფხოსა და მალაროსკარში იყო მთავარ-დიაკენად, ბოლოს მღვდლადაც განაწესეს სოფ. ჩარგალში.

ფშაველების გადმოცემით, ის შეუდრეკელი ენერჯისა, ღონისა და ჭკუის პატრონი პიროვნება ყოფილა. მასთან ერთად ნაკითხი, სულ შესწავლილი ჰქონია ქართველი კლასიკოსები: ი. ქავკავაძე, ბარათაშვილი, გურამიშვილი და სხვ. იყო მოლექსე და მოსწრებელი სიტყვა-პასუხის პატრონი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ფშავ-ხევსურეთში. იგი იყო დიდი-პატარა საქმის საბოლოო მოსამართლე, კაცის კვლიდან დაწყებული მცირე რამ დავამდე. გარდაიცვალა 1890 წ. ოქტომბრის 22-ს (დაწვრილებით იხ. ჩვენს წიგნში, „ვაჟა-ფშაველა“ გვ. 4—44):

2) მართა—პავლეს ქალი, ვაჟას და.

3) ნიკო—პავლეს ვაჟი, მწერლობაში ბაჩანას ფსევდონიმით ცნობილი, ავტორი მრავალი საუცხოო ღირსების მქონე ლექსებისა.

4) ლუკა—ვაჟა-ფშაველა (1861—1915 წ.).

5) სანდრო—პავლეს უმცროსი ვაჟი.

6) ვაჟა-ფშაველა სოფ. დიდ-თონეთში მასწავლებლობდა ქართ. შ. წ.-კ. გ. სახ. სკოლაში 1886—1888 წ.წ.

7) გიორგი—პავლეს უფროსი ვაჟი.

8) ვეჯინი—სოფ., გურჯაანიდან ხუთი კილომეტრით დაშორებული. გორის საოსტატო სემინარიის კურსდამთავრების შემდეგ, ბაჩანამ თავისი პირველი პედაგოგიური მოღვაწეობა აქ დაიწყო.

9) გრიგოლი—გრ. აფშინაშვილი, თანამშრომლობდა სხვა დასხვა ეურნალ-ვაზეთებში. ამ დროს გორის საოსტატო სემინარიაში სწავლობდა.

**ვაჟა-ფშაველას წერილები.**

1. ლევიანი—ვაჟას უფროსი ვაჟი, ამ დროს სწავლობდა ტფ. ქართ. გიმნაზიაში.

2. მართა-ვაჟის და, გათხოვილი იყო სოფ. ყვარელში.
3. კეკე—ვაჟის პირველი ცოლი, გარდაიცვალა ძვობაზე 1902 წ.
4. თამარი—ვაჟის უფროსი ქალი.
5. ვაჟის მარჯვენა თვალი გაფუჭებული ჰქონდა ციმბირის წყლულისაგან და ამის გამო დასცინის თავის თავს.

#### ბაჩანას წერილები.

1. წერილი დაწერილია 1886 წ. 15 ოქტომბრის შემდეგ.
2. დაბლუჯე—შებოქე.
3. თიკო—თედოს მეუღლე, წყალობა იშხანაშვილის ქალი.
4. ამეპჩაჩაის—სხადის (ხეესურ).
5. შუშანა—თედოს სიდედრი, წყალობა იშხანაშვილს-ს მეუღლე.
6. იოსებო—ი. რაზიკაშვილი (ჟამიაშვილი), თედოს ბიძაშვილი.
7. გრიგოლი—გრ. აფშინაშვილი.
8. ამ ამის შესახებ მიხ. რაზიკაშვილი შემდეგ ცნობას იძლევა:

„ბაჩანა ვეჯინში იყო მასწავლებლად, გრ. აფშინაშვილიც მასთან იყო. თედო და იოსებ ჟამიაშვილი ფშვიდან ესტუმრენ ბაჩანას. ვეჯინიდან დაბრუნებისას თელავზე გამოვიარეთ. ბაჩარში ვავედიოთ. ბაჩანას დიდი თმა ჰქონდა, არც ერთი ქუდი არ უდებოდა თავზე. ერთმა ბრუციანმა დალაქმა (პირველი მოკრივე იყო თელავში), შიამბა ბაჩანას, ბერო მოდი თმა გაგკრიკოვო. დალაქი კინტოჭრად იყო ჩაცმული, რაც ბაჩანას ეგაერებოდა. ბაჩანა შემოტრიალდა და ისეთი სილა გააბრტყა, რომ დალაქი შუა ქუჩაში გაიშხლართა. მოკვიდნენ ხაზრის ხელოსნები, მოიწვენ ბაჩანას საცემად, მამინ იძრეს მათრახები ბაჩანამ, იოსებმა და გრიგოლმა და დატრიალდნენ, ზურგი ზურგს მისცენ და წრეში არაეინ შეუშვეს. იმათ მხრიდან მოვლი ბაჩარი იყო, ზეენ კი ოთხი კაცი ვიყავით. ჩხუბი კარგა ხანს გაგრძელდა. ერთმა კინტომ კტი გამოიტანა და უნდოდა ბაჩანასთვის დაეცა, მაგრამ იოსებმა მათრახი დასცა, ხოლო გრიგოლმა ჯობს წამოაღლო ხელი. ხალხი მაინც თანდთან მოიწვედა. ბოლოს ბაჩანამ ანოაძრო ქარქაშიდან იოსებს ხანჯალი და პერში გააბრიალა, ასლა კი დიხივს უკან. ამ დროს მოვიდა პრისტავი და ყველანი ხაზრის სასამართლოში წაგვიყვანეს. იქ მოჩუბრებიდან 20 კაცმა გაიხადა ტანზე, რომლებსაც ზოლებივით ჰქონდათ მათრახისაგან ბეკები დასერილი, ბაჩანას და მის ამბანაგებ სრულებით არაფერი ეტყობოდათ. შეადგინეს ოგმი და საქე თელავის სასამართლოს გადასცეს. სასამართლომ ბაჩანას წესრიგის დარღვევისათვის მცირე ჯარიმის გადახდა მიუსაჯა“.

9. ლომალური — ნიკო ლომოური, ხალხოსანი მწერალი, იყო ბაჩანას და თედოს ქართული ენის მასწავლებელი გორის სისტიკატო სემინარიაში.
10. ვასილი — ვასილ სანიკოვეი, გორის სემინარიის მმართველი.
11. თაღლაურა — ბაჩანას პოემა, დაიბეჭდა გაზ. „ვეერიში“ 1887 წ. № 205, 207 და 208.
12. „თერგი“ — ალ. რაზიკაშვილის ხელმეტი სახელი, ბავშვობაში ჯერტობის გამო წინაურები ამ სახელით იხსენიებდნენ.
13. პანკისი — სოფელია, თელავიდან 30 კილომეტრის დაშორებით.

14. წყალობა — წყალობა ხარატიშვილი, დალაქი იყო სოფ. ვეჯინში.
15. ლეონიდი — ეფისკოპოზი ლეონიდი.
16. ბარისახო — სოფ., ხევისურეთში, სოფ. ვეჯინიდან ბაჩანა აქ ვადმოიყვანეს მასწავლებლად „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლაში.
17. საძელო — სადღეგრძელო.
18. ზრიმლი — წვეთი.
19. მიხა — მიხეილ რაზიკაშვილ, ვაჟის დის შვილი.
20. შუშხი — სუსხი.
21. გულქანი — თედოს უფროსი ქალი.
22. გიორგი წერეთელი — (1842—1900) მწერალი, საზოგადო მოღვაწე, რედაქტორი გაზ. „დროებას“ „კრებულის“ „ქვალის“ და სხ.
23. ხელთუბანი — სოფ., გორიდან 7 კილომეტრით დაშორებული, აქ მასწავლებლობდა თედო 1890—1905 წ.
24. მელანია — ნიკო ნათიძე, მწერლობაში „მელანიას“ ფსევდონიმით ცნობილი.
25. ვანო — ბაჩანას ვაჟი, ამ დროს სწავლობდა გორში.
26. პაულე — ბაჩანას უფროსი ვაჟა.
27. ეთერი — თედოს ქალი.
28. სისხა. — მუცლის ავადმყოფობა, მუცელა.
29. სალთად — უბარგოდ.
30. ანცი — მოსვენარი, ცელქი.
31. ბაჩანას დაპრის შესახებ მიხ. რაზიკაშვილი შემდეგ ცნობას იძლევა: „ვეჯინელი თავადი სოსო აბაშიძე ცხოვრობდა სოფ. კეჭაში. ბაჩანასთან მეგობრობა ჰქონდა. ბაჩანამ ათხოვა მას ყაბალახი, რომელიც დაუყარგა. ერთ ზამთარს (1887 წ.) ბაჩანა და სოსო ქორწილში იყვნენ. ბაჩანამ ხუმრობით უთხრა: ყაბალახი რატომ არ მომიტანეო, აბაშიძემ იწყინა, როგორ თუ ეს შეადრე ამ ხალხშიო, ადგა მაგიდიდან და ცალკე დაჯდა სკივრზე. ბაჩანა განაგრძობდა თავად-ზნაურების დაცინვას. როცა ბაჩანას თევზით კიჭები მიაწოდეს, ამ დროს აბაშიძემ უკანიდან ბეჭებში ხანჯალი დასცა ბაჩანას, ერთ მტკაველზე ჩაურქო და გაიქცა. ბაჩანა გამოეცადა, მაგრამ მალე დაეცა. დაპრილი წაიყვანეს სახლში. შინაურულად წამლობდა ერთი ბებერი ქალი. კრილობა მოურჩა მაგრამ თიბვაში ხანდისხან მიინც აწუხებდა. აბაშიძემ მოციქულები გამოუგზავნა მამატიეო, ბაჩანამ შეუთვალა. სასამართლოს წესით მამატიეებია, ოღონდ პირისპირ შეხედრისას ვაგისწორდებიო. შემინებულმა აბაშიძემ დასტოვა სოფელი და რუსეთის ერთერთ ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად“.
32. სელიტიორი — გრძელი კია.
33. ქულფანობა — ოჯახობა.
34. მასონა — ბაჩანას ვაჟი.
35. შაქრო — თედოს ქვისლი. შაქრა ვაგნიძე.
36. ბაჩანას მოთხრობა „ფშავის სიზმარი“ დაიბეჭდა 1891 წ. „ვეფრიის“ 196 №-ში. ამავე ნომერში არის თედოს პოემის „შავი ფიქრების“ დასასრული.

### აღ. რაზიკაშვილის წერილები.

1. თვალ-სხვილა ბიჭი — ასე ეძახდნენ აღ. რაზიკაშვილის პირველ სიმამრს, ნიკოლოზ ხახიშვილს.
2. ესტატე — ესტატე ხახიშვილი, ალექსანდრე რაზიკაშვილის სიმამრის ძმა.
3. ხაბიძგინები — ხაქაპურები.
4. ვაეა-ფშაველას საჩივარი ჰქონდა ს. ჩარგალში მცავე წყლის შესახებ. ამ წყალს ვაეა თავისად ჩემულობდა, სატყეო კი არ ანებებდა. ამ საქმეზე ვაეას დიდი უსიამოვნობა მოსდიოდა სატყეოს მოხელეებთან. მოთმინებიდან გამოსულმა ვაეამ ამ ნიადაგზედ მაგრად სცემა შეტყევეს. უკანასკნელმა უჩივლა სასამართლოში. სასამართლომ ვაეას 3 წ. ციხე მიუსაჯა, მაგრამ მერე აპატია.
5. შიო — შიო ქუჩუაშვილი, (1868—1934) მწერლობაში შიო მღვიმელის ფსევდონიმით ცნობილი, საბავშვო ლექსების პოპულარული ავტორი.
6. მგელიო — დ. მგელიაშვილი.
7. ყორული — დაცული ადგილი.
8. დათა — დავ. პეტრიაშვილი. სანდრო რაზიკაშვილის ცოლის ძმა.
9. ქარუმიძე — ამ დროს ფოსტის ექსპედიციის გამგე იყო.
10. ვარა — გულქანი, თედოს ქალი.
11. გძელიევი — მღვდელი ლადო გრძელიშვილი.
12. რკინის წყალი — მცავე წყალს ეძახიან, გამოდის ფშაეის არაგვის შარჯენივ სოფ. ჩარგლის ბოლოს. რომ წყალი ვაეას საკუთრებად დამტკიცებია მთავრობაში, ამ მიზნით პირველად ბაეი შემოიღო, ახდევინებდა თითოს თითო შაურს. მართლაც, შემდგომში ვაეამ ამ საშუალებით კიდევაც მოიგო საქმე სასამართლოში.
13. ასიკო — ასიკო ერისთავი, თედოს მეგობარი.
14. სევასტი — სევასტი მშველიძე, თედოს ახლობელი.

### გრავოლ აფშინაშვილის წერილები.

1. დიმიტრიევი — ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებელი გორის საისტატო სემინარიაში.
2. ივერია — გაზეთის სახით გამოსულა დაიწყო 1886 წ. და გამოდიოდა 1906 წ.
3. პიასეცი — არითმეტიკისა და გეომეტრიის მასწავლებელი გორის საისტატო სემინარიაში.
4. ივერიის 1890 წ. 10 №-ში მოთავსებულია ერთი ხალხური ლექსი.
5. ბაჩანას მოთხრობა „ედემის უკვდავების ყვავილები“ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1890 წ. № 27
6. სტრელეცი — საღმთო სჯულის მასწავლებელი გორის საისტატო სემინარიაში.



7. თედო რაზიკაშვილის მოთხზ. „მთის ამბავი“ დაიბეჭდა ჟურნალ „ჯეჯილიში“ 1890 წ. № 3.

8. „ია და კესანე“ ლექსი-ზღაპარი-დაიბეჭდა ჟურნ. „ჯეჯილიში“ 1893 წ. ამბვე №-ში არის მოთავსებული დეტუ მეგრელის ლექსი „მთის წყარო“ და აკაკი წერეთლის „არწივი“, ლექსი რუსულიდან.

9. „ნოვოე ობოზრენიე“—ყოველდღიური ლიტერატურული, პოლიტიკური და საზოგადოებრივი შინაარსის გაზეთი, დაარსდა 1883 წ.

10. დარსკიე—საკავასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების სკოლების ინსპექტორი

**ნიკო ჯანაშიას წერილები.**

1. „პატარა კახი“-ისტრიული პოემა აკაკი წერეთლისა.

2. 1892 წ. „ივერიის“ 90 № ში მოთავსებულია თ. რაზიკაშვილის ლექსი „რომელსაც ავტორი უძღვნის ნიკო ჯანაშიას.

**შიო მღვიმელის წერალები**

1. თედო რაზიკაშვილი მასწავლებლობდა ს. ხელთუბანში ქ. შ. წ. კ. გ. სახ. სკოლაში.

2. გამოცემლობა „ქართული ამხანაგობის“ გამგეობისაგან გაზ. „ივერიის“ 1891 წ. 27 №-ში თედო რაზიკაშვილის შესახებ „რედაქციის მიმართ“ შემდეგი წერილია მოთავსებული: „ქართველ ამხანაგობის გამგეობამ 2 თებერვალს მიიღო ბ-ნ თედო რაზიკაშვილისაგან ორიათასამდე ხალხური ლექსი, შეიდასამდე ანდა-ზა და 350 ვამოცანა ქართლსა, კახეთსა, ფშავსა, ზვესურეთსა და თუშეთში გაგონილი. გამგეობა ვალად პრაცეს გულითადი მადლობა გადაუხადოს ბ-ნ რაზიკაშვილს, რომელსაც დიდი შრომა გაუწევია ამ მასალის შეკრებისათვის, რისთვისაც მუშაობებია ზვიდი წელიწადი. ამასთანავე გამგეობას იმედი აქვს დანარჩენ მასალასაც მოაწოდებს ამხანაგობას. 2 თებერვალი 1891 წ. გამგეობა ამ ხანაგობის“

3. შ. მღვიმელის „ცვარი“, საყმაწვილო წიგნი-სურათებით, გამოცემულია 1891 წ. სულ არის 4 ვამოცემა, უკანასკნელი 1920 წ.

4. თედო რაზიკაშვილის პოემა „შავი ფიქრები“ დაიბეჭდა 1891 წ. გაზ. „ივერიაში“ №154, 165, 196.

5. შ. მღვიმელის „ძუნწი“-საყმაწვილო სურათებია წიგნი, გამოცემულია გრ. ტატიშვილის მიერ 1891 წ. ტფილისში.

6. „სანი ცელიკი“ საყმაწვილო წიგნი სურათებით შ. მღვიმელისა, გამოცემა გრ. ტატიშვილის მიერ 1891 წ. ტფილისში.

7. კალანდაძე—არსენ კალანდაძე, სტამბა ბჭონდა გორში.

8. მიხეილ ბეგი—მის. რაზიკაშვილი.

9. ახანაზაროვი—არტემ ახანაზაროვი, „ივერიის“ უახლოესი თანამშრომელთაგანი, წერდა უმთავრესად „ნიორას“ ფსევდონიმით.

10. გამოუშვა ფავდღე—დავცილიდე.



11. ვაქას პოემა „ბახტრიონი“ დაიბეჭდა 1892 წ. ვახ. „ვერისი“ 29, 30, 34, 35 № №-ში.

12. თედო რაზიკაშვილის დედ-მამა გარდაეცვალა 1890 წ.

### წერილები ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

1. ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა—საბავშვო მწერალი, საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორ-გამომცემელი. იყო ხელთუბნის სკოლის მზრუნველი, რომელშიდაც მასწავლებლობდა თედო რაზიკაშვილი.

2. „კვალი“ სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი ყოველ კვირული ჟურნალი.

3. კარქუა ტერმარკოზოვი—ან. წერეთლის მოურავი ხელთუბანში.

4. გიორგი—გ. თუმანიშვილი, (1854-1920 წ.) ანასტასიას ძმა, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, თანამშრომლობდა ქართულ-რუსულ პრესაში. მიმართულები იყო ლიბერალი.

5. სონა ციციშვილი—სოფიო ერეკლეს ასული ციციშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ემსახურებოდა დრამატულ საზოგადოებას, მხურვალე მონაწილეობას იღებდა სახალხო თეატრში, სადაც საუკეთესო სცენის მოყვარედ ითვლებოდა. მოღვაწეობდა ქართულ პრესაში, ვ. წერეთლის დროს „კვალის“ რედაქციაში, აგრეთვე „ვერიში“, ხოლო უკანასკნელად საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“, რომლის ერთერთი ხელმძღვანელთაგანად ის ითვლებოდა. აქ დაიბეჭდა მრავალი მისი როგორც ნათარგმნი ისე ორგინალური საყმაწვილო ნაწარმოებები. გარდაიცვალა 1905 წ. 18 ივნისს სოფ. კეხიჯვარში.

6. მარიამ ივანეს ასული დემურია — საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი მრავალ საყმაწვილო მოთხრობებისა და წერილების. ჟურნ. „ნაკადულის“ რედაქტორი, აქტიური მონაწილე სახალხო წარმდგენების მართვაში, გარდაიცვალა გულის სისუსტით 1910 წ. 21 იანვარს.

7. „მადანას ლურჯა“—საყმაწვილო მოთხრობა ექ. ვაბაშვილისა.

### სონა ციციშვილის წერილები.

ნიკო ნიკოლაძე—(1843-1928 წ.) პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

### მარიამ დემურიას წერილები.

1. „როგორ გაჩნდნენ ხობები“—ზღაპარი, თ. რაზიკაშვილისა, დაიბეჭდა ჟურნ. „ნაკადულში“ 1905 წ. № 8.

2. თედოს მოთხრობა „გულადი მამლაყინწის ამბავი“ დაიბეჭდა ჟურნ. „ნაკადულში“, 1907 წ. № 3-ში.

### ივანე როხტომაშვილის წერილები.

1. „მოგზაური“ — ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ენო-გრაფიული ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი, (დ. 1901 წ.) რედაქტორ



გამომცემელი ივანე როსტომაშვილი. თედო რაზიკაშვილი ამ ჟურნალში თანამშრომლობდა.

2. ამ №-ში დაბეჭდილია გვარამაძის წერილი „გურია“.

3. „მურია“ — მეცხვარის ძალღის ამბავი ყრმათათვის თ. რასიკაშვილისა, პირველად დაბეჭდა ცალკე წიგნად 1903 წ. სტუფანე კ-ძის ზუბშლაშვილის საფასით, ქ. ტფილისში.

**ხზავდასხვა პირთა წერილები.**

1. ლადო აღნიაშვილი — საზოგადო მოღვაწე, ინკუბატორი წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის დაარსებისა, 1885 წ. დაიწყო ქართული ხალხური სიმღერების შეკრება და ბეჭედა. შემდეგ დაარსა მუდმივი ქართული ხორო რომლის პირველი კონცერტი გაიმართა 1905 წ. ა-ლი სისტემატიურად თანამშრომლობდა ჟურნ. „ჯეჯილში“, გამომცემელი აქვს: „ქართული ანბანი“, „ქართული უბის ლექსიკონი“, „ქარბი. ხალხური ზღაპრები“ და სხვ. 1894 წ. შოიარა სპარსეთი და ვაენო იქაურ ქართველებს. ამის შესახებ გამოაქვეყნა წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“. გარდაიცვალა 1904 წ. 10 აპრილს.

2. ს. გოგლიჩიძე — სიმონ პავლეძე გოგლიჩიძე, ამ დროს სიმღერის მასწავლებლად იყო გორის ქალთა გიმნაზიაში.

3. შევდომითა აღნიშნული „მისწული“ „დისწულის“ მაგიერად.

4. ნ. ნაკაშიძე — საყმაწვილო თხზ. მწერალი, ჟურნ. „ნაკადულის“ ყოფილი რედაქტორი.

5. ვალერიან გუნიანი — დამსახურებული მწერალი — დრამატურგი.

6. „ქორის ბახალა“ ამბავი თ. რაზიკაშვილის — დაბეჭდა 1912 წ. სალიტერატურო კრებულ „გრდემლში“ წიგ. I, გვ. 60-70.

7. ჟურნ. „ნიაიე“ დაბეჭდა 1908 წ., მაგრამ მეფის ცენზურამ აკრძალა, ასე რომ გასასყიდათ არ გამოსულა.

8. ი. ცინცაძე — მწერლობაში ია ეკალაძის ფსევდონიმით ცნობილი.

9. არისტო ვასილისძე ქუთათელაძე, — პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე, რის შემდეგ მასწავლებლობდა ქართულ ენაში გორის საოსტატო სემინარიაში. ჩვენი მთის მწერალი ვაეა-ფშაველაც მისი მოწაფე იყო სემინარიაში. 1882 წ. ოჯახური პირობების გამო გადავიდა მასწავლებლად ხონის საოსტატო სემინარიაში, შემდეგ ტფილისის ქართულ გიმნაზიაში. მასწავლებლად დამყო 21 წ. და უკანასკნელად ავადმყოფობის გამო იძულებული ვახდა თავი დანებებოდა მისთვის.

ა. ქუთათელაძე ცნობილია აგრეთვე როგორც ავტორი ქართული ენის რამოდენიმე სახელმძღვანელოსი, შეადგინა ქართული ენის გრამატიკა, საქისტორია და გეოგრაფია. სისტემატიურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც. გარდაიცვალა 1912 წ. ნოემბრის 13, ხონში.

### კატალოგრაფიული ტერმინები

**ავტორი** (Author; Verfasser; auteur) ბეჭდური ნაწარმოების ავტორად იგულისხმება: 1) სიტყვის ვიწრო გაგებით—ის პირი, რომელმაც იგი დაწერა. ამგვარად, ავტორად ვერ ჩაითვლება რედაქტორი, მთარგმნელი და მისი, 2) სიტყვის ფართო გაგებით კი: ყველა ის, ვისი მიზნითაც განდა ბეჭდური ნაწარმოები. ამგვარად, არსებულ ნაწარმოებთაგან შემდგარი კრესტომატიებისა და ანტოლოგიების შემდგენელი და ხალხური, ანდაზებისა და ზღაპრების შემგროვებელნიც იგულისხმებიან როგორც ავტორნი. მეორეს მხრით, ორგანიზაციები, საზოგადოებები და დაწესებულებებიც ითვლებიან ავტორად, თუ ბეჭდური ნაწარმოები გამოცემულია მათი სახელით, ავტორიტეტით და რედაქციული პასუხისმგებლობით. ნათქვამის მიხედვით ავტორი შეიძლება იყოს: ინდივიდუალური და კორპორაციული. იხ. ავტ.: თანავტორი, თანამშრომელი, შემდგენელი და კორპორაციული ავტორი.

**ავტორიან ნაწარმოების აღწერილობა** (Author entry; Verfasseraufnahme; entrées par auteur; авторское описание) ეწოდება ისეთ აღწერას, სადაც თავაკად პერსონალური ან კორპორაციული ავტორის ვინაობა გამოსახული, გვარის, სახელის, მეტსახელის, ფსევდონიმის, ინიციალების ან დაწმინდის სახელწოდების სახით.

**აღიგატი** (Independent; angebundene Schrift) თითოეული დამოუკიდებელი და ცალკეულად გამოცემული ნაწარმოები, რომელიც სხვა ბეჭდურ ნაწარმოებებთან შექანიკურად გაერთიანებულია ერთ უდაში. იხ. ავტ.: კონვოლუტი.

**ალტერნატიული სათაური** (Alternative title; Nebentitel; titre alternatif; заместительное заглавие)—მეორე სათაური, რომელიც პირველთან დაკავშირებულია წილაც „ანუ“-ით ან კიდევ სხვაგვარად (მაგალ.: ციციანთელა ანუ ლექსთა კრებული).

**ალფაბეტური კატალოგი** (Alphabetical catalog; alphabetischer Katalog; catalogue alphabétique), სადაც აწერილობის თავიანი აწყობილია ალფაბეტური მიმდევრობით. იხ. ავტ.: საგნობრივი კატალოგი. სიტყვარული კატალოგი.

**ამონაბეჭდი** (Reprint, separate; Separatabdruck; extrait, tirage à part; оттиск)—ნაწარმოების ნაწილი, ცალკე გამოცემული წარწერით: „ამონაბეჭდი“ ან „ცალკე ამონაბეჭდი“. ამონაბეჭდის გამოცემის დროს სტამბა ტექსტის არავითარ გადაკაბადონებას არ ახდენს. მხოლოდ წერილმანი ცვლილებანი და დამატებანი კი შეაქვს. ასე მაგ.: მიუბეჭდავს თავფურცელს, ზოგჯერ კანსაც, სცელის გვერდთა ნუმერაციას, აშორებს წინა სტატიის ბოლოს ან შემდგომი სტატი-

ის საწყისს და სხვ. ზოგჯერ—კი არავითარ ცვლილებას არ აქვს ადგილი; არ იცვლება ანაწყობი და არ სწარმოებს დამატებითი საშუალო. იხ. აგრ. ამონაჭერი.

**ამონაჭერი** (Clipping; Ausschütt; coupure; вырезка) ჟურნალ-გაზეთის ამოჭრილი სტატია ან წიგნის ნაწილი. იხ. აგრ.: ამონაბეჭდი.

**ანაგრამი** (Anagram—ყველა ენაზე) ეწოდება სიტყვის ან წინადადებას, შემდგარს სხვა სიტყვიდან ან წინადადებიდან ამოღებულ და საგანგებო კომბინაციით დაწყობილ ასოთაგან. იხ. აგრ.: ქრონოგრამი.

**ანალიტიკური აღწერა** (Analytical entry; analytische Aufnahme; entrée analytique, carte de dépouillement) წიგნის, კრებულის, ჟურნალის და მისთანათა ნაწილის აღწერა, მითითებით იმ წიგნზე ან ჟურნალზე, საიდანაც აღნიშნული ნაწარმოები ამოღებულია.

**ანასტატიკური გამოცემა.** (Anastatic reprint; anastatischer Neudruck; reimpression anastatique) წიგნის ხელახალი გამოცემა სტამბის არა ახალი ანაწყობის საშუალებით, არამედ ძველი გამოცემის ბეჭდური ტექსტის ქიმიური მეთოდით ლიტოგრაფიულ ქვაზე ან ცინკის ფიცარზე გადაყვანით.

**ანონიმი** (Аноним) წიგნი, რომლის ავტორი არ არის აღმოჩენილი.

**ანოპისტოგრაფი** (Anopistographischer Druck; anopistographie) ბეჭდური ნაწარმოები, რომლის ტექსტი დაბეჭდილია ფურცლის ცალ გვერდზე.

**ანოტაცია** (ლათ. annotatio შენიშვნა) ეწოდება ბიბლიოგრაფიულ აღწერილობის იმ შენიშვნას, რომლის ამოცანას შეადგენს გამოავლინოს ბეჭდურ ნაწარმოების თემატიკა.

**ანტოლოგია**—სიტყვაკაზმული მწერლობის რჩეულ (უმთავრესად კლასიკოსების) ნაწარმოებთა კრებული.

**ანშლავი** საჯაროდ გამოფენილი ბეჭდური ან წერილობითი განცხადება.

**ასტერისკი** (Asterisk; Sternchen; asterisque) ვარსკვლავი ანონიმურ ნაწარმოებში და ავტორის ვინაობის მავიერი ნიშანი.

**აღწერილობა** (Entry; Aufnahme; entrée; описание) კატალოგს ან სიაში მოთავსებულ წიგნთა შესახებ ცნობები. იხ. აგრ.: ავტორიან ნაწარმოებთა აღწერილობა, ანალიტიკური აღწერა, დამატებითი აღწერა, სათაურის მიხედვით აღწერა, ძირითადი აღწერა, საგნობრივი აღწერა.

**აღწერილობის თავაკი** (Heading; Kopf des Zettels; vedette; заголовок описания) ანუ აღწერილობის საწყისი—აღწერილობის ის თავსიტყვა (ან თავსიტყვანი), რომელიც განსაზღვრავს აღწერილობის (კარტაკის) ადგილს ფაბრეტურ კატალოგში. აღწერილობის თავაკად ჩვეულებრივ არის ხოლმე; ავტორის ვინაობის აღმნიშვნელი გვარი ან სახელი, საგნობრივი სიტყვა (ან სიტყვები) და სათაურის პირველი სიტყვა (ან სიტყვანი). იხ. აგრ.: აღწერილობის საავტორო თავაკი და თავსიტყვა.

**აღწერილობის საავტორო თავაკი** (Авторский заголовок описания) შეიცავს ავტორის ვინაობის სრულს ცნობებს; გვარს, სახელს, მისი დაბადებისა და სიკვდილის თარიღებს, აგრეთვე მის ტიტულს, სამეცნიერო ხარისხს, თანამდებობას და მისთ.

**აღწერილობის ტექსტი**—აღწერილობის ის ნაწილი, რომელიც მოთავსებულია აღწერილობის თავაკსა და შენიშვნებს შორის და რომელიც შეიცავს

ნაწარმოების ძირითად ბიბლიოგრაფიულ ელემენტებს, როგორც არის: სათაური ამ სიტყვის ფართო გაგებით და ბეჭდილობის ცნობები.

**აღწერილობის ფორმალური თავაკი** (Formheading; формальный заголовок описания) აღწერილობის თავაკი, სადაც ქვეყნის სახელწოდებას მისდევს სიტყვები, რომელნიც აღნიშნავენ ნაწარმოების სახეს. მაგ.: „კანონები“, „ხელშეკრულებები“ და მისთ.

**აღწერილობის ქვეთავაკი** Subheading; Unterrubrik; подзаголовок описания აღწერილობის თავაკის მეორე და შემდეგი ნაწილები თუ ნაწილი, წინა ნაწილისაგან წერტილით დაშორებული.

**ბიბლიოგრაფია** (წიგნის შიდა) იხ. წიგნის შიდა ბიბლიოგრაფია.

**ბრწყინებები**—круглые скобки.

**ბეჭდილობის ცნობები** ანუ ბიბლიოგრაფიული მისამართი (Imprint; Erscheinungsvermerk; adresse bibliographique; выходные данные). გამოცემის ადგილი, გამომცემელი, სტამბა და გამოსვლის წელი. ჩვეულებრივ ეს ცნობები მოთავსებულია თავფურცლის ქვედა ნაწილში.

**გაგრძელება** (Continuation; Fortsetzung; suite; продолжение): 1) წინათ გამოსული ნაწარმოების დამატება, გაგრძელება; 2) გაგრძელებულ გამოცემის თვითეული კვეთი.

**გაგრძელებული გამოცემა** (Serial; Fortsetzungswerk; продолжающееся издание), რომლის ხანგრძლივობა არ არის შეზღუდული ან განსაზღვრული და რომელიც გამოდის ტომებათ, ნაწილებად, კვეთებად და მისთანებად, როგორც გარკვეულ ვადებში (პერიოდული გამოცემანი, წლებები და მისთანები), ისე გაურკვეველ ვადებში მასალის დაგროვების მიხედვით (სერიები, სხვა მათა ჟურნალები, დაწ-ბათა და საზოგადოებათა შრომები და მისთ.) გაგრძელებულ გამოცემებს არ ეკუთვნის: თხზულებათა კრებულები, ენციკლოპედიური ნაწარმოებები და მისთ.

**გადაკეთება** (Arrangement; Anpassung. Umarbeitung; adaptation; перепелка.): 1) ნაწარმოების გადაწესება გამარტივების ან პოპულარიზაციის მიზნით; 2) ლიტერატურული ნაწარმოებების გადაკეთება სცენისათვის. იხ. აგრ.: გადაწესება.

**გადაწესება** Revision; Bearbeitung; обработка) ნაწარმოების გადაწესება, მისი თანამედროვე სამეცნიერო ამოცანებთან შესაფარდებლად. იხ. აგრ.: გადაკეთება.

**გადანაბრება** Reprint, reimpression, Neudruck, réimpression; перепечатка)—წინა გამოცემის უცვლელად (ანაწყობის შეუცვლელად) განმეორება, როდესაც ზოგჯერ განმეორებულია თვით მცდარბეჭდილიც. გადანაბრების თავფურცელი შეიძლება იყოს: 1) ძველის განმეორება, 2) ძველის განმეორება და ახლის დამატება, 3) ახლად შედგენილი, მითითებით იმ გამოცემაზე, რომლიდანაც გაკეთებულია გადანაბრები. იხ. აგრ.: ანასტატიკური, სტერეოტიპული და ფაქსიმილური გამოცემანი.

**გამომცემელი**. (Publisher; Verleger; éditeur; издатель) კერძო პირი ან კოლექტივი, ან დაწესებულება, რომელიც ეწევა გამოცემის ხარჯებს და უძღვება გამოშვების ტექნიკურ მხარეს.

**გამომცემლობის სერია** (Publisher's series; Verlegersserie; serie d'éditeur; издательская серия) ეწოდება მთელ რიგ ნაწარმოებებს, რომლებიც შინაარსით და სახელწოდებით ერთი მეორისაგან საკსებით დამოუკიდებელია, მაგრამ გამომცემლობის მიერ გაერთიანებულია საერთო თავწარწერით.

**გამოცემა** (Edition; Auflage; Ausgabe; édition; издание)—ერთი რომელიმე ნაწარმოების ეგზემპლიარები, სტამბის ერთი და იმავე ანაწყობით დაბეჭდილი და ერთსა და იმავე დროს გამოშვებული.

**გარკანი** იხ. სუბერკანი.

**გაშლილი თავფურცელი**—თავფურცლის ისეთი გაფორმება, როდესაც სათაურის ძირითადი ელემენტები მოთავსებულია არა ერთ, არამედ ორ პირისპირ შექცულ ჯერღზე. შეადარე: საერთო თავფურცელი.

**გრაფიუკა** (Print, engraving; Gravüre, Stich; gravure, estampe) ეწოდება სურათის ქალაღზე ან ქსოვილზე ანაბეჭდს ხის ან ლითონის ფიკრიდან. მხატვარი წინასწარ ამოკრის მჭრელი და წვეტიანი ინსტრუმენტით ხეზე ან სპილენძზე და იქიდან გადაბეჭდავს ქალაღზე. შეიძლება ფიკარზე კი არ ამოკრას საჭირო სურათი, არამედ კმიფურად ამოიწვას. მაშინ მას ოფორტი ეწოდება.

**დამატებითი აღწერა** (Added entry; entrée additionelle; дополнительное описание) დამხმარე აღწერილობის ერთი სახეთაგანი, რომლის აღწერილობის თეაკი სხეაა, ვიდრე ძირითადი აღწერილობის თეაკი. დამატებითმა აღწერილობამ უნდა ეხადებოდეს ნაწარმოების სათაური ან რედაქტორი, ან თანავტორი, ან მთარგმნელი და მისთანანი, ამათი აღწერილობის თეაკში გატანით.

**დამხმარე აღწერა** (Secondary entry; вспомогательное описание) ეწოდება ისეთ აღწერილობას, რომლის თეაკი განსხვავებულია ძირითადი აღწერილობის თეაკისაგან ან თეასიტყვისაგან. იხ. აგრ: დამატებითი აღწერა, მითითება, საცნობო კარტაკი.

**დეფიზი**—ბამადი ან შემეერთებული ნიშანი (-).

**დიაგრამი** (Diagram) თელსაჩინო ნახაზი ან ნახატი მოვლენათა ან სიდიდეუა პროპორციის გამოხმატველი.

**დუბლეტი** (Double, duplicate; Doublette, Doppelstück; double) ერთი რომელიმე ბიბლიოთეკის ან კოლექციის წიგნის ან ეურნალის მეორე და შემდეგი განმეორებითი ეგზემპლიარები.

**ექსლიბრისი** (Ex Libris, bookplate; Bücherzeichen; ex—libris, marque de possession; книжный знак) წინგთა ამათუიმ კოლექციის კუთვნილების ნიშანი, ბეჭდური, გრაფიურული ან დაბატული. წარმოადგენს მკირე ავთრათს ჩეულებრივ მოთავსებულს უდის ზედა ფრთის ქვედა პირზე. ზედ გამოხატულია ან მულობელის ღერბი, ან აღეგორიული სიუეტტი, ხან მონოგრამი ან წიგნის შიური. იხ. აგრ.: სუბერექსლიბრისი.

**ექსპლიკაცია** (Legend) რუკაზე ან პლანზე აღნიშნული ნიშნების, ასოების, ციფრების, რგოლების, შტრიხებისა და მისთების ახსნა-განმარტება. ექსპლიკაცია ჩეულებრივ მოთავსებულია რუკის ან პლანის თავისუფალ ადგილზე.

**ვერსო** (Verso, even page; Rückseite; verso, page paire) ლია წიგნის მარცხენა გვერდი, ლუწი კოლონციფრით, ხოლო ცალფურცლოვან გამოცემაში მეორე გვერდი.

**ზანდუკი.** ანუ სარჩევი.

**ზეთაური ჩვეულებრივ ეწოდება** ყველა იმას, რაც აღნიშნულია სათაურისა და ავტორის ზევით თავფურცელსა და კანზე. მხოლოდ ხშირად გამომცემელნი ზეთაურის ელემენტებს (მაგ.: სერიის დასახელებას) ათავსებენ სათაურსა და ავტორის ქვევითაც, ან ბეჭდილობის ცნობათა ქვეით, ან თავფურცლის ქვედა გვერდზე, კანზე, შუტუტიტულზე, ფრონტისპისზე და მისთ. ეს გარემოება ხშირად აძწელებს მის ზედმიწევნით განსაზღვრას. ზეთაური შეიცავს: 1) ბეჭდური ნაწარმოების სერიულ დასახელებას, 2) სერიის რედაქტორთა და გამომცემელთა ვინაობას, 3) სერიის მთლიან ქვეთის ნუმერს; 4) საავტორო სერიას (მაგ., ალ. ყაზბეგის რჩეული ნაწარმოებნი); 5) წიგნის გამომცემელი დაწესის სახელწოდებას; 6) ქვეყანას, სადაც ბეჭდური ნაწარმოებები გამოიცა (მაგ.: უკრაინის სსრ); 7) ნაწარმოების აპრობატორს და სხვა. ზეთაურს არ ეკუთვნის ისეთი წარწერები, ვინადაც თავფურცლის ან კანის ზედა კიდეზე მოთავსებული, როგორც არის, მაგ.: „ხელნაწერის უფლებით“; „ოფიციალური გამოცემა“, „ანაბეჭდი ამა და ამ ნაწარმოებიდან“, „ამა და ამის დანართი“. აგრეთვე ყოველგვარი დევიზი, ლოზუნგი და მისთ., მაგ.: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

**ზოგადი სათაური** (Gesamttitel; titre général; общее заглавие) სათაური, რომელიც აერთიანებს ნაწარმოების ისეთ ნაწილებს, რომელთაც აქვთ თავთავიანთი დამოუკიდებელი თავურებიც, სხვათა შორის, სერიული სათაური წარმოადგენს ზოგად სათაურის სახეს. იხ. აგრ.: სერიული სათაური და ცერძო სათაური.

**ზოგადი მითითება ან სრული მითითება** (See-reference; allgemeine Verweisung; общий ссыла) მითითება იმ სიტყვიდან, რომლის მიხედვითაც მკითხველს შეუძლია მოსძებნოს მისთვის საჭირო წიგნი—ამ წიგნის აღწერილობის იმ თავაკისავე, რომლითაც კატალოგიზატორმა იგი აღწერა. ზოგადი მითითებით მკითხველს გაასხენებენ სხვა რიგად სიტყვას ფორმულით: „იხილეთ“ (შემოკლებით: „იხ.“).

**თავაკი** (Caption; Kopfittel; en tête; заголовок) თავის, კარის, ნაწილის წერილის, ან რაიმე ტექსტის სათაური.

**თავსიტყვა** (Entry Word) აღწერილობის პირველი სიტყვა; ანონიმურ ნაწარმოებებში სათაურის საწყისი. იხ. აგრ. რიგადი სიტყვა.

**თავფურცელი** (Title-page; Titelblatt; Feuille de titre; титульный лист) ფურცელი, რომელიც წინ უძღვის წიგნის ტექსტს და შეიცავს ნაწარმოებების სრულ სათაურსა და ბეჭდილობის ცნობებს.

**თანაავტორი** (joint author; Mitverfasser; co-auteur; соавтор) პირი, რომელმაც სხვებთან თანამშრომლობით დასწერა წიგნი, ისე-კი, რომ თითოეულის თანამშრომლის მონაწილეობა არც განსაზღვრულია და არც ცალკე ნაწილები იხ. აგრ. თანამშრომელი.

**თანამშრომელი** (Collaborator; Mitarbeiter; collaborateur; сотрудник) პირი, რომელიც სხვებთან ერთად მონაწილეობს ნაწარმოების შექმნაში, მაგრამ ისე, რომ თითოეული ავტორის მონაწილეობა განსაზღვრული და წაჩვენებია. მაგ.: პერიოდული გამოცემა, კრებული და მისთ. იხ. ავტ. თანაავტორი.

**თაური ანუ ტიტული** (title; titel; titre; заглавие): 1. სიტყვის ფართო გაგებით, თაური ანუ ტიტული ეწოდება ბეჭდური ნაწარმოების სრულ სახელწოდებას, მოთავსებულს თავფურცელზე, ავტორის, რედაქტორის, მთარგმნელის გამოცემის რომელიმე და მისთ. ჩართვით, მაგრამ ბეჭდილობის ცნობათა გამოკლებით; 2. სიტყვის ვიწრო გაგებით-კი თაური ეწოდება ბეჭდური ნაწარმოების მხოლოდ სახელწოდებას, ავტორის, რედაქტორის და მისთ. გამოკლებით; 3. აღვიღებარეობის მიხედვით თაურს ეწოდება: ა) მთავარი ანუ ძირითადი თაური, მოთავსებული თავფურცელზე, ბ) ალტერნატიული თაური ც) ყუის თაური, დ) კანის თაური ე) ზოგადი თაური, ე) ყდის თაური, ვ) სერიის თაური. ზ) კერძო თაური, ი) შუუტტიული.

**თაურის მიხედვით აღწერა** (Title entry; Titelaufnahme; entrée par titre; описание под заглавием)—აღწერილობა, სადაც აღწერის თვაკად აღებულია თაური.

**თარიღი** (Date; Jahr; date, année; data): 1. გამოსვლის თარიღი ანუ წიგნის გამოცემის წელი, ჩვეულებრივ თავფურცელზე აღნიშნული; 2. წინასიტყვის თარიღი; 3. საცენზურო თარიღი—ცენზორის მიერ დაბეჭდვის ნებართვის თარიღი, ჩვეულებრივ თავფურცლის ქვედა გვერდზე აღნიშნული; 4. Copyright ის თარიღი—საავტორო უფლების თარიღი.

**ილუსტრაცია** (Illustrations, Abbildungen; Illustrations; иллюстрации) ბეჭდურ ნაწარმოებში მოთავსებული გრაფიკული ან სხვა გვარი ხატულობა (изображения): სურათები, გრაფიურები, ფოტოგრაფიები, პორტრეტები, რუკები, პლანები, ნახაზები, ფაქსიმილე, ცბრილები, დიაგრამები, კარტოგრაფიები და მისთ. არის ტექსტის ზიდა ილუსტრაცია და ტექსტის გარეშე ილუსტრაცია.

**ინდექსი** (Class—mark; Klassifikations vermerk; indice, cote de classement; индекс)—წიგნსა და მის აღწერილობაში აღნიშნული ნიშანი, ასოების, ციფრების ან ორივეს კომბინაციით შემდგარი და აღნიშვნელი სისტემატიური კატალოგის იმ დარგისა, რომელსაც ნაწარმოები ეკუთვნის თავის შინაარსით.

**ინვენტარული ნომერი** (Accession number; Accessionsnummer; numéro d'inventaire, numéro du registre d'entrée; инвентарный номер) ის რიგადი ნომერი, რომლის მიხედვითაც ნაწარმოები აღნიშნულია ბიბლიოთეკის ინვენტარში და რომელიც აღნიშნულია როგორც თვით წიგნზე, ისე მის აღწერილობაში.

**ინკუნაბული** (Incunabula; Wiegendruck; incunable) 1501 წლამდე დაბეჭდილი წიგნები.

**კანი** (Cover; Umschlag; couverture; обложка) თუთრი ან ფერადი შვერივი ქალაღდის წიგნის გარე ნაწილი.

**კანის ხათაურა** (Cover title; Umschlagtitel; обложечное заглавие) კანზე მოთავსებული თაური.





**კატალოგი (Catalog)**—წიგნთა ნუსხა, ამათუმი გვემის მიხედვით შედგენილი. ბიბლიოგრაფიულ მანერებლისაგან კატალოგი განირჩევა იმით, რომ იგი წარმოადგენს წიგნთა ნუსხას მხოლოდ ამათუმი ბიბლიოთეკისას, კოლექციისას ან ბიბლიოთეკათა რომელიმე ჯგუფისას. უკანასკნელ შემთხვევაში მას ეწოდება **შეერთებული კატალოგი**. იხ. აგრ.: **ილუბეტური კატალოგი** და **საგნობრივ კატალოგი**.

**კავები**—**прямые скопки**.

**კატალოგოზაცია** ანუ **კატალოგთა შედგენის მეცნიერება**. შეიცავს: 1) ბეჭდური ნაწარმოებთა აღწერილობას ანუ **კატალოგრაფიას**; 2) **დაგროვილი მასალის სისტემატიზაციას** და 3) **საკატალოგო არქიტექტონიკას** ანუ **კარტაკთა აწყობას** სხვადასხვა კატალოგის შესადგენად.

**კატალოგრაფია (Catalographie)**—წიგნების, პერიოდული გამოცემებისა და მისთ. აღწერილობა. აგრეთვე ბეჭდურ კარტაკთა დამუშავება. მრავალტომიან, გაჯექლებულ და პერიოდულ გამოცემათა კარტაკებზე სპეციალიზაციების (იხილეთ) მიწერა-ჩამატება; კარტაკთა გამრავლება.

**კერძო ანუ ბაზადი მითითება (See also reference; Verweisung; renvoi; частная или связующая ссылка)**—მითითება აღწერილობის ერთი თავაკიდან მეორე თავაკისადმი, რომლის ქვეშ შეიძლება იყოს ის მასალა, რომელიც სკირდება მკითხველს. **კერძო მითითების დროს მკითხველს მიუთითებთ სხვა თავაკზე სიტყვებით: „იხილეთ აგრეთვე“, შემოკლებით „იხ. აგრ.“**

**კერძო თავფურცელი**—**თავფურცელი**, რომელიც შეიცავს მრავალტომიან ნაწარმოების ან სერიის ცალკე ტომის, კვთის და მისთ. სახელწოდებას.

**კერძო სათაური (Sondertitel; titre separ ; частное заглавие)** შრომის ცალკე ნაწილის სათაური.

**კვარტო (Quarto)**—წიგნის ფორმატი, რომელიც უდრის ოთხედ დაკეცილ (ფალცირებულ) დაბეჭდილ თაბასს, სიმილით 27—35 სანტიმეტრს.

**კოლატა** ანუ **რაოდენობითი დაბასითება**—**აღწერილობის** ის ნაწილი, სადაც წაბეწებია ტომების, გვერდების, ილუსტრაციების, ცხრილების, რუქებისა და მისთ. რაოდენობა, აგრეთვე წიგნის ზომა და ფასი.

**კოლონატოფი (Running title; Kolumnentitel; titre courant; колононтитл)**—წიგნის ან მისი ნაწილის სათაური, მოთავსებული თითოეული გვერდის ზედა ან ქვედა გიდეზე.

**კოლონოციფრა (Paginal number; Kolumnenziffer; chiffre de la page)**—გვერდის რიგადი ნუმერი წიგნში.

**კოლოფონი (Colophon)**—წიგნის ბოლოს მოთავსებული ცნობები. სათაურის, ავტორის, მესტამშის ან გამომცემლობის შესახებ. იქვეა ხოლმე გამოცემის ადგილისა და თარიღის შესახები ცნობაც. ზოგჯერ ნაწილი ამ ცნობებისა გამოტოვებულია. **კოლოფონი გვხვდება უმთავრესად ძველ ნაბეჭდ წიგნებში.**

**კომპილატორი**—იხ. **შემდგენელი**.

**კონვოლუტი (Konvolut)**—**ეწოდება** ორს ან მეტს, სრულიად დამოუკიდებელ და ცალკულად გამომცემულ ნაწარმოებს, რომლებიც მოქცეულია ერთ ყდაში. იხ. აგრ. **ილიგატი**.

**კონკორდანცია** (Concordance) — შრომა, სადაც აღფაბეტურ რიგზეა დალაგებული, ერთ ან რამდენიმე ნაწარმოების უმნიშვნელოვანესი სიტყვები, სათანადო კონტექსტის და იმ ადგილების ჩვენებით, სადაც ეს სიტყვები გვხვდება.

**Copyright** — ავტორის ან მისი რწმუნებულის (მაგ.: გამომცემლის) განსაკუთრებული უფლება ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემის შესახებ, განსაზღვრულ ვადაში. წიგნზე ის აღინიშნება თავფურცლის ქვედა პირზე ფორმულით: Copyright.

**კორპორაციული ავტორი** (Corporate author; körperschaftlicher Verfasser; auteur collectif; коллективный автор) — საზოგადოება, ორგანიზაცია, დაწესებულება, ყრილობა, კონფერენცია და მისთ., რომელნიც აღწერილობის დროს განხილულია მათ მიერ გამოშვებულ ნაწარმოებთა ავტორებად. იხ. აგრ.: თანაავტორი და თანაშრომელი.

**კრებული** (Collection; Sammlung; recueil; сборник) — ერთის ან რამდენიმე ავტორის სტატიების, ესკიზების, ნარკვევებისა და მისთანათა კრებული, რაიმე თემით, მეტნაკლებად გაერთიანებული. თემის გამომხატველია კრებულის ან სათაური ან მისი ლიტერატურული მიმართულება. ზოგჯერ ნაწარმოებები, რომლებიც შეადგენენ კრებულს, გაერთიანებულია არა თემით, არამედ რაიმე გარემოებით. მაგ.: საიუბილეო თარიღით, საქველმოქმედო მიზნით და მისთ. ენციკლოპედიისაგან განსხვავებით, კრებულს არა აქვს წინასწარ განსაზღვრული გეგმა. ამასთანავე არა აქვს პრეტენზია ამოწუროს ცოდნის ესათუის დარგი. ქრესტომატიასთან შედარებით, კრებულს არა აქვს პედაგოგიური ამოცანები და ჩვეულებრივ შესდგება ჯერ არ დაბეჭდილ ნაწარმოებთაგან. სერიებისა და გაგრძელებული ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, კრებული წარმოადგენს დასრულებულ ნაწარმოებს.

**კრიპტონიმი** (Kryptonym) — ასოები ან სხვა რაიმე ნიშნები, რომლების ქვეშაც ამოფარებულია ავტორის ვინაობა. ამგვარ ნიშნად შეიძლება იყოს: ასტერისკი, სასვენი ნიშანი, ინიციალები, ანაგრამი, შემოკლებული და რეზუსით გამოსაცნობი სახელები. იხ. აგრ.: ფსევდონიმი და მეტსახელი.

**კუხტოდი** (Catchword; Kustoden; кустоды) — გვერდის ქვედა კიდებუტექსტის ქვეშ მოთავსებული სიტყვა ან სიტყვის ნაწილი, რომლითაც იწყება შემდეგი გვერდი.

**მდაბიური ლიტერატურა** (журбальная литература) — ნაკლებ კულტურულ მკითხველთა გემოვნებაზე გამოცემული მასიური და იაფი ლიტერატურა, ჩვეულებრივ ბრჭყვიალა და ტლანჭად დასურათებული კანით და შევირაღა სათაურით, მდარედ და უმეტრად გამოცემული.

**მეტსახელი** (Nickname; Beinahme; surdon; прозвище или кличка) — ავტორის ის სახელწოდება, რომლითაც იგი უფრო ცნობილია ცხოვრებაშია და ლიტერატურაშია, ვიდრე მისი საკლთაოი გვარი და სახელი. იხ. აგრ. ფსევდონიმი.

**მთავართაური** (Haupttitel; grand titre) — სათაური, მოთავსებული თავფურცელზე.

**შთავარი თავფურცელი** (общий титульный лист)—შეიცავს მრავალტომიანი ნაწარმოების ან სერიის ზოგად სათაურს.

**მითითება** (Reference; verwelung; référence, ревоი; ссылка)—მითითება აღწერილობის თავეკის ერთი ფორმიდან მეორე ფორმასზე. იხ. აგრ.: ზოგადი მითითება, ჯვარადი მითითება, საგნობრივი მითითება, კერძო, ანუ ბაზადი მითითება.

**მინაბეჭდი** (Beigedruckte Schrift; припечатка)—წიგნის ნაწილი, მასთან ერთად გამოსული, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი შინაარსი, ცალკე პაგინაცია, საკუთარი თავფურცელი და საკუთარი ბეჭდილობის ცნობები, მაგრამ არ არის აღნიშნული წიგნის არც თავფურცელზე და არც ზანდუქში.

**მრავალტომიანი ნაწარმოები** (Work in several volumes; Mehrbändig; ouvrage en plusieurs volumes; многотомное сочинение)—ნაწარმოები, რომელიც გამოცემულია ორ ან მეტ ტომად, ნაწილად, კვთად და მისთანად. გაგრძელებული და პერიოდული გამოცემებისაგან განსხვავებით, მრავალტომიანი ნაწარმოები შეზღუდულია ტომების განსაზღვრული რიცხვით.

**ნონპარელი**—სტამბის უკინნესი შრიფტი.

**ოქტავო** (Octavo)—წიგნის ფორმატი, ზომით 20—27 სანტიმეტრი, რომელიც წარმოადგენს რვად ფაღვირებულ (დაკეცილ) ნაბეჭდ თაბახს.

**პაგინაცია** (pagina—ლათ.) წიგნის გვერდთა აღრიცხვა (Paging; Pagnierung, pagination) იხ. აგრ. ცალკეული პაგინაცია, ჯუმლადი პაგინაცია, შემხვედრი პაგინაცია.

**პალეოტიპები**—1501 წლიდან 1551 წლამდე დაბეჭდილი წიგნები.

**პერიოდული გამოცემა** (Periodical; Zeitschrift; périodique)—გამოცემა, რომელიც გამოდის დროის ცოტად თუ ბევრად თანაბარ მანძილზე, გარეგნულად მსგავს კვეთებად, რომელთაც აქვთ მიმდევარი ნუმერაცია, და რომლის განუწყვეტელი არსებობა ნაგულისხმევია. პერიოდ. გამოცემის თითოეული კვეთი შეიცავს რამდენიმე ავტორის ნაწარმოებთ, რომელთაგან ზოგი იბეჭდება რამდენიმე კვეთის მანძილზე. პერიოდ. გამოცემაშივე იბეჭდება საზოგადოებრივი და სამეცნიერო ცხოვრების მიმდინარე ამბები ქრონიკის, მიმოხილვის, ბიბლიოგრაფიისა და მისთ. სახით. სხდომათა ჟურნალები, ანგარიშები და დაწბათა მსგავსი გამოცემები. აგრეთვე წლედები პერიოდ გამოცემებს არ ეკუთვნის. იხ. გაგრძელებული გამოცემა.

**პლანი, გეგმა** (plan)—ადგილის პორიზონტალური ქრილი განსაზღვრული მასტაბით ნახაზი. იხ. აგრ., რუკა.

**პრივატული გამოცემა**. (Privately printed; Privatdruck; édition privée; приватное издание) რომლის დაწიშნულებია არა გაყიდვა, არამედ გაყიდვება მხოლოდ ვიწრო წრის წევრთა შორის. ყოველ შემთხვევაში, თუ გაყიდვა—არა წიგნით მოვაჭრეების საშუალებით, არამედ კერძოდ და პირადად.

**რედაქტორი**. (Editor; Herausgeber; redacteur; редактор)—პირი, რომელიც ამხადებს დასაბეჭდად სხვის ნაწარმოებს ან ნაწარმოებთა კრებულს. რედაქტორის შრომა არ განისაზღვრება მხოლოდ მასალის სტამბისათვის გეგმა-



ლებით. მას შეუძლია ტექსტის შესწორებაც და განმარტებაც, აგრეთვე შენიშვნებისა და წინასიტყვის გაკეთებაც.

**რექტო.** (Recto; Page impaire)—ლია წიგნის მარჯვენა გვერდი, ჩვეულებრივ კენტი კოლონიფერით, აგრეთვე ერთფურცლიან ბეჭდური ნაწარმოების პირველი გვერდი. იხ. აგრ. Verso.

**რიგადი სიტყვა.** (Entry word; Ordnungswort; mot d'ordre; порядковое слово)—აღწერილობის ის თავსიტყვა, რომელიც განსაზღვრავს აღწერილობის ადგილს ალფაბეტურ გატალოგში. იხ. აგრ.: აღწერილობის თავეკი და თავსიტყვა. რუკა. (Map; Karte; carte; karta)—დედამიწის რომელიმე ნაკვეთის სფერულ-პორიზონტალური ხატულობა სიბრტყეზე, სადაც აღნიშნულია ადგილის რელიეფიც.

**საავტორო სერია.** (Авторская серия)—ერთი და იგივე ავტორის სხვადასხვა ნაწარმოები, საერთო თაურით გაერთიანებული და ცალკე კვებებად გამოსული. თითოეულ კვეთს აქვს საკუთარი სახელწოდება და განსხვავებული შინაარსი საგნობრივი აღწერილობა ანუ აღწერილობა ფორმალურ თავეკის მიხედვით (Subject entry; Schlagwortaufnahme; предметное описание) ეწოდება ისეთ აღწერილობას სადაც თავეკად აღებულია წიგნის საგანი.

**საგნობრივი კატალოგი.** (Subject catalog; Schlagwortkatalog; catalogue par mots-matières; предметный каталог)—ეწოდება ისეთ კატალოგს სადაც კარტაკები დალაგებულია რუბრიკათა ალფაბეტურ რიგზე. იხ. აგრ. ალფაბეტური კატალოგი და სიტყვარული კატალოგი.

**საგნობრივი მითითება.** (Subject-reference; предметная ссылка)—მითითება ერთი საგნობრივი თავეკიდან მეორისადმი.

**საგნობრივი რუბრიკა.** (Subject heading; Schlagwort, Stichwort; mot-matière; предметная рубрика)—ეწოდება იმ სიტყვას, ან სიტყვებს, რომელნიც გამოხატავენ წიგნის საგანს ან შინაარსს.

**საცენსურო თარიღი.**—იხ. თარიღი.

**საცნობი კარტაკი.**—(General reference; справочная карточка) 1) კარტაკი, რომელიც შეიცავს ისტორიულ, ბიოგრაფიულ და სხვა შთავარ ცნობებს იმ პირის, დაწმის, საგნის ან რომელიმე ნაწარმოების შესახებ, რომელიც აღნიშნულია აღწერილობის თავეკში; 2) კარტაკი, რომელიც მითითების მაგივრობას ეწევა და შეიცავს იმ სიტყვისა თუ სიტყვების განმარტებას, რომლებიც აღნიშნულია აღწერილობის თავეკში. ამასთანავე იმყარებს ბაშს (связь) აღწერილობის სხვადასხვა თავეკს შორის.

**სერია.**—Series, Serie, Folge; Sèrie)—წიგნთა მთელი რიგი, საერთო სათაურით გაერთიანებული და მეტწილად დასრულებულ ნაწარმოებთაგან შემდგარი. ნაგულისხმევია მათი შეუზღუდავი გაგზავლება. კვეთები, რომლებსაც აწვადს სერია შესდგება, გამოდის ვადა დაუდებელი ინტერვალებით და გარეგნულად ერთი ნეორეს მიაგავს. იხ. აგრ.: საავტორო სერია და საგნობრივი სერია.

**სერიული აღწერილობა** (Series entry; Serienaufnahme; серийное описание)—ბიბლიოთეკაში არსებული ერთი რომელიმე სერიის ნაწარმოებთა აღწერილობა.



**სვეტი** (Columns; Spalten, Kolumnen; colonnes; столбы) ტექსტის გვერდთა ვერტიკალური დაყოფა ორ და მეტ ნაწილად, მეტწილად ცალკეულად ნუმირებული.

**სიგნატურა**—(Signature; Signatur; signature)—ფორმის ანუ ბეჭდვური თაბახის რიგადი ნუმერი ან წიგნის შემოკლებული სათაური, აღნიშნული თითოეული „ფორმის“ პირველ გვერდზე.

**სიტყვარული კატალოგი**—(Dictionary catalog; Kreuzkatalog, catalogue dictionnaire; словарный каталог) კატალოგი, სადაც აღფაბეტურ რიგზე დაწყობილია: აღწერილობანი ავტორზე, აღწერილობანი თაურზე და აღწერილობის საგნობრივი რუბრიკები. იხ. ავრ.: აღფაბეტური კატალოგი და საგნობრივი კატალოგი.

**სპეციფიკაცია**: (შინაარსის აღნიშვნა) Contents; Inhalt; contenu)—აღწერილობის ის ნაწილი, რომელიც მრავალტომიან ნაწარმოებში ან სერიაში აღნიშნავს თითოეულ ტომის თავისებურობას და შინაარს, ხოლო ერთტომიან ნაწარმოებში აღნუსხავს შიგ მოთავსებულ ცალკეულ ნაწარმოებებსა და სტატიებს.

**სტერეოტიპური გამოცემა** (Stereotypic edition; Stereotypische Ausgabe; édition stéréotype)—გამოცემა, დაბეჭდილი ფიქსირებულ ანაწყოებიდან, სტერეოტიპიდან.

**სუპერექსლიბრისი**—ყდის ზედა პირზე ტვიფრული ექსლიბრისი.

**სუპერკანი ანუ ხალთა** (Суперобложка или сорочка) ქალაღდის შესახვევი წიგნის ყდის ან კანის ზევიდან გაკეთებული. მისი დანიშნულებაა დეკორატიული გაფორმება და ყდის და კანის დაცვა.

**ტექსტის ვარეშე ილუსტრაცია** (plates; Abbildungen ausserhalb des Textes; illustrations hors texte; иллюстрации вне текста) ეწოდება ისეთ ილუსტრაციებს, რომლებიც დაბეჭდილია ცალკე ფურცლებზე, და განსაკუთრებულ ქალაღზე, მეტწილად პაგინაციაში არ ჩათვლილი, ჩაწებებული ან წიგნში სხვაგვარად მიმავრებული.

**ტირაჟი** ეწოდება ერთი და იმავე ბეჭედიით ნაწარმოების საერთო რიცხვს, სტამბიდან ერთდროულად გამოშვებულს. იმავე ანაწყოების ახალ ტირაჟს ეწოდება მეორე გამოშვება (второй выпуск).

**ტომი** (Volume; Band; tome, volume): 1) მრავალტომიანი ნაწარმოების ნაწილი, ცალკე გამოცემული, რომელსაც აქვს საკუთარი თავფურცელი და დამოუკიდებელი პაგინაცია; 2) ყოველი დასრულებული ნაწარმოები (მონოგრაფია, კრებული და მისთ.); 3) ბეჭდვური მასალა ერთ ყდაში გაერთიანებული.

**ტრანსკრიპცია** (Transcription ყველა ენაზე)—ერთი აღფაბეტის ასოთა შეცვლა სხვა აღფაბეტის ასოებით.

**ტრეხინგი** (Tracing; справка)—ძირითადი აღწერილობის ყველა დამხმარე აღწერის აღნუსხვა კარტაკის ქვედა პირზე.

**ფაქსიმილე** (Facsimile ყველა ენაზე)—ხელნაწერისა ან ბეჭდვური დოკუმენტის ზუსტი ანასახი, ზოგჯერ სათანადო პროპორციით გადიღებული ან შემცირებული.

**ფოლიო (Folio)**—ბეჭდვური თაბახი, ორად ფალცირებული; წიგნის ფორმატი, რომლის სიმაღლე 35 სანტიმეტრს აღემატება.

**ფარმატი (Size; Größe; Format; размер)** ბეჭდვური ნაწარმოების სიმაღლე ან სიგანე, ასოების ან ციფრების საშუალებით წიგნის ზომისა თუ სიდიდის პირობითი მაჩვენებელი, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენ კეცად იყო ბეჭდვური თაბახი ფალცირებული.

**ფრონტისპიხი (Frontispiece; Titelbild; frontispiece)** ილუსტრაცია, რომელიც წინ უძღვის თავფურცელს, ფრონტისფისადგე იწოდება გრაფიკული-ბული თავფურცელი.

**ფსევდონიმი (Pseudonym, pen-name; nom de plume)**—მოგონილი სახელი, რომლითაც ავტორი აქვეყნებს თავის ნაწარმოებთ. იხ. აგრ.: მეტსახელი.

**ქვეთაური (Subtitle; Untertitel; sous-titre; подзаголовок)**—სათაურის მეორე ხარისხოვანი ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ნაწარმოების ზოგჯერ ლიტერატურულ ფორმას, ზოგჯერ მის დანიშნულებას და ზოგჯერაც მის შინაარსს.

**ქრესტომატია (Chrestomathy ყველა ენაზე)**—სალიტერატურო გინდ საშეცნიერო ნაწარმოებთა ან მათ ნაწყვეტთა კრებული, უმთავრესად სკოლებში სახმარებელი.

**ქრონოგრამა (Chronogram, ყველა ენაზე)**—რამდენიმე ასოსაგან შემდგარი თარიღი, რომელსაც ციფრის მნიშვნელობი აქვს.

**ყდის სათაური (Binders-title; titre du relieur; переплетное заглавие)**—სათაური, რომელიც ამოტვიფრულია წიგნის ყდაზე.

**ყუბის სათაური (title of the back; Rückentitel; titre du dos; корешковое заглавие)**—კანის ან ყდის ყუაზე გაკეთებული სათაური.

**შემდგენელი (Compiler; Zusammensteller; compilateur; составитель)**—პირი, რომელიც ავროებს სხვადასხვა წყაროდან ბეჭდვით ან ხელნაწერ მასალას და ამუშავებს მას ქრესტომატიის, კრებულის და მასთანაა სახით.

**შემოკლება (Epitome; сокращение)**—ტექსტის გადაბეჭდვა ადგილების ან ნაწილების გამოტოვებით. იხ. აგრ.: დამუშავება და გადაკეთება.

**შენიშვნა (Annotations, notes; Anmerkungen; annotations, notes; примечания)**—აღწერილობის ტექსტის ის ნაწილი, რომელიც იძლევა დამატებით ცნობებს აღსაწერი ეჭვმპლარის ინდივიდუალური თავისებურების შესახებ. იხ. აგრ. ანოტაცია.

**შიფრი (Call number, shelf-number; Standnummer; cote de placement)** წიგნზე და მის აღწერილობაზე აღნიშნული ნიშანი, ციფრებისა ან ასოებისაგან ან ორივეს კომბინაციისაგან შემდგარი, რომელიც აჩვენებს წიგნის ადგილს თაროზე. იხ. აგრ.: ინდექსი.

**შეუსცაფული (Bastard-title, half-title; Schmutztitel; Vortitel; Faux-titre; шмуцтитул)**— ის ფურცელი, რომელიც ხან წინ უძღვის და ხან მისდევს თავფურცელს და რომელზედაც დაბეჭდილია მოკლე სათაური, მოკლებული ბეჭდილობის ცნობებს და ხშირად ავტორის ვინაობასაც.

**ცალკეული პაჟინაცია** (Various paging; getreute paginierung; раздельная пагинация)—როდესაც წიგნის ძირითად ტექსტს აქვს გვერდთა რამდენიმე დამოუკიდებელი ნუმერაცია.

**ძირითადი აღწერა** (Main entry; Hauptaufnahme; entrée principale; основное описание)—შთავარი აღწერილობა, რომელიც შეიცავს ბეჭდვური ნაწარმოების არსებითი ხასიათის ყველა ბიბლიოგრაფიულ ელემენტს.

**წიგნის შიდა ბიბლიოგრაფია** ეწოდება ნაწარმოებთა იმ ნუსხას, რომელსაც ბეჭდვური შრომა ემყარება და რომლის გამოყენება შემდგომად შეიძლება იმ სიკითხების გაშუქებისათვის, რომლებიც წამოყენებულია ბეჭდვურ ნაწარმოებში. წიგნის შიდა ბიბლიოგრაფია მოთავსებულია ჩვეულებრივ წიგნის ბოლოს, ან ცალკე თავებისა და სტატიების შემდეგ, ან შენიშვნებში.

**ხალთა ანუ გარკანი.** იხ.: სუბერკანი.

**ჯამადი აღწერილობა** (Сводное описание)—იხ. სერიული აღწერილობა-ჯვარედინა ან **ორმავი მითითება** (Gross reference; Doppelverweisung; double renvoi; перекрестная ссылка)—ბამადი მითითება აღწერის ერთი თავიდან მეორისადმი და პირუკუ.

**ჯვარედინა კატალოგი**—იხ. სიტყვარული კატალოგი.

**ჯუშმლადი პაჟინაცია**—როდესაც წიგნის გვერდებს აქვს სამზე მეტი დამოუკიდებელი ნუმერაცია და ეს ცალკეული ნუმერაციები კოლაციაში შეერთებულია ერთი ციურით და ჩასმულია კავებში.

## შ ი ნ ი შ ვ ს ა

ერთი და იგივე ენის უცხო ტერმინები დაშორებულია მიმდებარე, ხოლო სხვადასხვა ენის ტერმინები ერთი მეორისაგან დაშორებულია წერტილ მიმდებარე. დაცულია ენათა შემდეგი მიმდევრობა: ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული. როდესაც ქართული და რუსული ტერმინი ერთნაირია, მაშინ რუსული ტერმინი აღ რაა მოყვანილი (მაგ.: ტომი, სერია, ავტორი და შინა.). როცა ტერმინი ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე ერთნაირია, ფრანგულში მოყვანილია მხოლოდ ერთი მათგანი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. „Терминология“. (В кн. Инструкция по составлению алфавитного каталога. Вып. I, изд. 2-е М. 1934. Стр. 4-16).
2. Словарь библиотечных терминов на русском, английском, немецком и французском языках. М. 1928.
3. ბიბლიოთეკონომიის, ბიბლიოგრაფიისა და პოლიგრაფიული წარმოების ტერმინოლოგია რუსულ ქართული და ქართულ-რუსული.—ტფ. 1932.
4. ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია რუსულ ქართული და ქართულ რუსული.—ტფ. 1928.
5. ნარაშვილი, ივ.—ქართული ტერმინებისათვის (ქურნ.: „საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები.—ტფ. 1934, გვ. 169-186).
6. ბაქრაძე, გ.—ბიბლიოთეკონომიური ტერმინოლოგია (პროექტი) ქურნ.: „წიგნის მეგობარი“—ტფ. 1925. № 1-2. გვ. 29-35).

## მართი საშუალებად წიგნის შესახებ<sup>1</sup>.

შოთა რუსთაველის ბიბლიოგრაფიაზე მუშაობის დროს, ერთი მომუშავე-თავანი წააწყდა პატარა წერილს, რომელმაც მიიქცია ჩენი ყურადღება, ჯერ ერთი იმიტომ რომ მოხსენებულია რუსთველი, და მეორეც იმიტომ, რომ ავტორი, რთგორც ჩანდა ამოხაწერებიდან, ებება საინტერესო წიგნს, რომელიც მას შეუწირავს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის.

დაინტერესებულ პიროვნებებს, სხვათა შორის ესაძეცაც, ეს წიგნი ვეღარ უნახავთ, ეტყობა წ. კ. საზოგადოების დაუქარგავს. [ბებურიშვილი, ბებურ. შეკითხვა (წერილი რედაქციისადმი) ეურ. „ნიშადური“. ტფ. 1908, № 45, გვ. 13. თუმცა ამ პატარა წერილში სათაური და წიგნის ავტორი მოხსენებული არ არის, მაგრამ განზრახული გვქონდა მოგვეძებნა წიგნი ტფილისის ბიბლიოთეკებში რათა ამოგვეწერა ის ადგილი, რომელიც ებება რუსთველსა და მის პოემას.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, საქართველოში ბიბლიოთეკის რარიტეტსაცვაში ვათვლიერებდით წიგნებს და ერთმა მათგანმა მიიპყრო ჩენი ყურადღება. ზოგიერთი ადგილი სავსებით უდგებოდა ბებურიშვილის მიერ მოყვანილ ციტატებს, უდგებოდა გამოცემის ადგილი და თარიღიც.

წიგნის აღწერილობა ასეთია: Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии. Сочинено в Александро-Невской академии<sup>2</sup>. В Санктпетербурге с дозволения указного, печатано в типографии Шнора, 1802 г.<sup>3</sup> [4], 100, [1] стр. [3] вкл. л, табл. (21×13) [Б. ц.]<sup>4</sup>.

წინასიტყვაობაში უცნობი ავტერი ამბობს, რომ „Все известія о Грузіи до сего изданныя большею частию писаны французскими путешественниками, часто описывающими земли без познанія оных“. შემდეგ, აუცილებელ საჭიროებათ თელის საქართველოს შესახებ სწორი ცნობების შეკრებას. წინამდებარე ცნობები: „Почерпнуто не из иностранных европейских путешественников, но из оригинальных источников боль-

<sup>1</sup> წერილი უკვე გადაცემული ჰქონდა რედაქტორს, როდესაც წაეკითხეთ ა. ბარამიძის წერილი, „ფაქტები და შენიშვნები“. (ლიტერატურული საქართველო. 1926 წ. № 10 გვ. 6).

<sup>2</sup> მოხსენებულია ბებურიშვილის წერილშიაც.

<sup>3</sup> ბ. ბებურიშვილი შეეცდომით აღნიშნავს 1801.

<sup>4</sup> წიგნი მოხსენებულია ა. ვაწერელიას მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიაში „შ. რუსთველი. ვეფხისტყაოსანი. კ. ტიბინიანის რედაქციით ტფ. 1934, გვ. 686. და დ.დ. პავლიჩის „Перечень некоторых книг, статей и заметок о Кавказе“. Тифл. 1913, გვ. 351 № 1791.



ИСТОРИЧЕСКОЕ ИЗОБРАЖЕНИЕ

Г. Р У З И И

ВЪ ПОЛИТИЧЕСКОМЪ, ЦЕРКОВНОМЪ И УЧЕБНОМЪ  
ЕЯ СОСТОЯНІИ.

---

Сочинено въ Александро-Невской  
Академіи.

---

ВЪ САНКТ-ПЕТЕРБУРГѢ  
съ дозволенія Указнаго, печатанно въ  
шипографіи Шнора, 1852 года.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის თავფურცელი.

шею частью сообщенных от пребывающих ныне в Санктпетербурге Грузинских посланников и депутатов\*.

წიგნის შინაარსი ასეთია: I. О древностях грузинского народа и значнейших в нем происшествиях. II. О просвещении Грузии христианскою верою и о состоянии церкви грузинской. III. О богослужении и церковных книгах грузинских и о их церковной типографии. IV. О языке и письменнах грузинских. V. О учебном состоянии Грузии ея школах и классических книгах. VI. О грузинских летописях и других в народе обращающихся книгах. VII. О грузинском стихотворстве и музыке. Записка об упомянутых в сей книге Ордынских народах, окружающие Грузию. Родословныя грузинских царей.

რასაკვირველია, ასგვერდიან წიგნში ყოვლად შეუძლებელი რყო საქართველოს ისტორიის სისრულით ვადმოცემა, მაგრამ მაინც ვასაოცარი სისწორით ვადმოცემულია საქართველოს პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა, ჩვენ ვერ შეგვხვებით მრავალ საინტერესო მომენტს ამ წიგნში ვაშუქებულს, მაგრამ არ შეგვიძლია ხაზი არ გავუსვათ იმ ადგილს, რომელიც ეხება რუსთველსა და მის პოემას. „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით ყველგან მოხსენებულია ჩახრუხადის „თამარიანიც“.

„Обе (ე. ი. „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“) у грузинов сохранены доныне в целости, и чрез столько веков различных угнетений, порабощений, опустошений их отечества истребивших многие их памятники, не могли изгладиться из их памяти. Содержание первой поэмы Велхисткаосани есть почти романическое, взятое из индейской истории. Сцены действий подобны Ариостовой поэме, Роланду: но красоты, оригинальность картин, естественность идей и чувствований,—Оссиановы. Поэма сия при царе Вахтанге V был. в Тифлисе напечатана, однакож вскоре истреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры. гв. 86. შემდეგ ნაჭებია „თამარიანი“ და ნათქვამია, რომ „Сие сочинение, большую часть красот своих в механизме стихов и в игре грузинского языка заключающее, никогда не может быть переведено ни на какой язык с точностию. Напротив того Руставеля можно надеяться увидеть некогда и на российский языке, хотя и не скоро“. гв. 87—88.

ავტორი ეხება ქართულ ლექსთწყობასაც და შაირის განმარტების დროა მოჰყავს მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“, ქართული სიტყვები ვადმოცემულია რუსული ასოებით: „Ромелиан шекина самкаро“ და სხვ. ტიპი ვადართავზნია რუსულად:

„Кто сотворил твердь силою своею крепкою,  
И осуществовав свыше душу, создал с небес дуновением,  
Дал человекам и землю неизчислимо оразнообразенную,  
От того суть цари и его суть образ“. იხ. გვ. 90—91.

ეს უნდა ჩაითვალოს „ვეფხისტყაოსნის“ ერთგვარი ტაგების პირველ თარგმნათ რუსულ ენაზე.

ბოლოში წიგნს დართული აქვს სამი ფურცელი: I. Родословная кахетинских царей. II. Родословная Карталинских царей. III. Родословная Имеретинских царей.

91

Чивень кацша мотвица квеканя гваквсь ушвадани  
перипша  
Мисгань арсь кован хелмцине сахиша мись  
миериша.

Спихи сии значашь по буквальному  
переводу:

*Кто сотворилъ твердь силою своею круѣлкою,  
И осуществовавъ свыше душу, создалъ съ  
небеси духовеніе.мг.  
Далъ челоуѣкамъ и землю неизчислимо ораз-  
ноображенію,  
Отъ того суть цари и его суть образъ.*

ფურც ამოზატყვდი ე ბოლხოვიტინოვ ს წიგნიდან

ვინ არის ამ საყურადღებო წიგნის ავტორი? ამაზე პასუხს გვაძლევს საქ. საჯარო ბიბლიოთეკის რარიტეტსაცავში დაცული ეგზემპლარი. პირველ ფურცელზე ჩვენ ვკითხულობთ უცნობის ხელით მინაწერს: „Это изображение Грузии составлено трудами архимандрита Евг. Болховитинова“<sup>1</sup>. წიგნის ბოლოში ე. ვეიდენბაუმის<sup>2</sup> ხელით მიწერილია: „Принадлежность этого „Исторического изображения“ перу Евгения Болховитинова несомненна, так, как в одном из своих писем он сам говорит, что сочинил грузинскую историю. См. Письма Евг. Болховитинова к В. И. Македонцу в „Русском архиве“ 1870 г. №№ 4 и 5“. ვეიდენბაუმის ხელითვე პირველ ფურცელზე მიწერილია: „Сочинение это переведено на немецкий

<sup>1, 2</sup> ციფრებით აღნიშნული პირების შესახებ იხ. წერილის ბოლოში.

язык Шмидтом Riga 1804\*.

უკანასკნელ ფურცლებზე ისევ ე. ვეიდენბაუმი  
ხელით მიწერილია ფრანგულათ მ. ბროსეს აზრი ამ წიგნის შესახებ.

ახლა ენახოთ, რას ამბობს თვითონ ევგ. ბოლხოვიტინოვი თავის შრომის  
შესახებ, ე. ი. მაკედონეტთან მიწერილ წერილებში, რომელზედაც მიგვითითებს  
ე. ვეიდენბაუმი.

1870 წლის „Русский архив“-ში, გვ. 769 — 880, მოთავსებულია „Вы-  
держки из дружеских писем Евгения (впоследствии митрополита Ки-  
евского) к Воронежскому приятелю его В. И. Македонецу“. ამ წერი-  
ლებიდან ჩვენთვის საყურადღებოა ზოგიერთი ადგილი, მაგ. წერილი № 33.  
13 მასი 1802 წ. ს. — პეტერბურგი.

...„Провожу только иногда вечера с грузинским преосвящ. Вар-  
лаамом“ — и знаете-ли, что из этих вечерних у меня с ним время-пре-  
провождений вышло? Он мне все рассказывал да рассказывал про  
Грузию, а я слушал да слушал, да на ус себе мотал, а там як при-  
сев писать, ажь смотрю, уже целая книга о Грузии маранья скопилась.  
Прочел владыке Варлааму он ажь изумился, и ну пополнять, поправ-  
лять, с находящимся здесь грузинскими князьями\*\* советоваться и спра-  
шиваться. Попросил я помощи и от Бантыша-Каменского<sup>1</sup>. Он все  
любопытное из своего гнезда мне сообщил. Вот и книга. Показал  
митрополиту. Одобрено, велено напечатать и теперь уже под тисками.  
Два листа уже отпечатаны.

Мы с Грузинским сами хохочем, что из шуток вышла книга\*\*\*.  
Название ея суть следующее: Историческое изображение Грузии в  
политическом, церковном и учебном ея отношении. Просим не про-  
гневаться: вы скоро ее читать будете. Там увидите и по грузински  
„отче наш“ и несколько стихов. И все это писал ни слово по грузин-  
ский<sup>1</sup> не знающий и от роду Грузии не видавши“.

მართალია „Русский архив“-ი სქოლიოში მიგვითითებს 35-ე და 44-ე  
წერილებზე, მაგრამ არც ერთ ამ წერილში ნათქვამი არ არის, თუ რითი ისარ-  
გებლა კიდევ ბოლხოვიტინოვმა წიგნის შედგენის დროს. რაც შეეხება წინა-  
სიტყვაობას, იქ გარკვეულად ამბობს ბოლხოვიტინოვი, რომ „Чужестранные  
известия о Грузии не могут быть для нас руководством к познанию  
ея“, რუსულ ენაზე კი არაფერი არ იყო გამოცემული იმ დროს. ქართული მან  
არ იცოდა. მაშასადამე როგორც თვითონ აცხადებს, ბოლხოვიტინოვს უდიდეს  
სამსახურს გაუწევდნენ ვარლამ არქიეპისკოპოსი და ქართველი ბატონიშვილები.

\* მ. ბროსე აღნიშნავს 1803 წ. იხ. „Brosset Additions à l'Histoire de la Géorgie“. გვ. 290.

\*\* „Русский архив“-ის 814 ვერგზე სქოლიოში. „პეტერბურგში იმ დროს ცხოვრობ  
დენ სხვათა შორის ქართველი ბატონიშვილები: ბაგრატი, იოანე და მიხეილი“.

\*\*\* იქვე. „ევგენი მასხრობს თავის შრომის შესახებ. მას საფუძვლად დაედო არა მარტო  
ბანტიშ-კამენსკის მიერ გადაეცემული მასალები, არამედ თვით ევგენის მიერ წაკითხული შრო-  
მები საქართველოს შესახებ, როგორც მოხსენებულა წიგნის წინასიტყვაობაში. შეადარე წერი-  
ლები 35-ე და 44-ე“.

თუ არ მათი დახმარება, ყოვლად შეუძლებელი იყო ასეთი საყურადღებო წიგნის შედგენა იმ პიროვნების მიერ, რომელმაც „არც ერთი სიტყვა ქართული არ იცოდა. საქართველოში არ ყოფილა“ და მას გაეცნო პირველად ვარლამ არქი-ეპისკოპოსის საშუალებით.

წერილი № 35. 15 ივლისი 1802 წ. ს. პეტერბურგი. ...„Присылаю вам экземпляр моей Грузии. Прилагаю при том еще и грузинскую грамматику, сочиненную преосв. Варлаамом\* или бишь выкраденную без толку из большой каталикосовой\*\* грамматики. Однакожь я в ней ни мало не участвовал. Авось и вы по грузинский выучитесь Её напечатано только 200 экземпляров начет автора и в продаже нет... Из посвящения вы увидите, что автору не хотелось выставлять себя\*\*\* (ლაპარაკობს თავის შრომაზე. თ. შ.). Мое дело было всегда работать для общей пользы и не ожидать наград... И сия книга отправлена митрополитом государю; но ответу еще нету“.

ეს მეორე წერილი, საყურადღებოა იმით, რომ წიგნი უკვე დაბეჭდილია 1802 წ. ამავე წელს გამოსულა ვარლამის გრამატიკა ტირ. 200, ს.-პეტერბურგში. საინტერესოა ბოლხოვიტინოვის აზრი ამ გრამატიკის შესახებ და ეს ადგილიც „Однакожь я в ней ни мало не участвовал“. (ე. ი. გრამატიკის შედგენაში, თ. შ.) „Авось и вы по грузинский выучитесь“. როგორ უნდა მიეღო მას მონაწილეობა ქართული გრამატიკის შედგენაში. „И вы выучитесь“, შეიძლება ეს ნათქვამია იმ აზრით, რომ მე ვიცი და თქვენც ისწავლეთ ქართულიო.

წერილი № 42. 8 მაისი 1803 წ. ს.-პეტერბურგი. ბოლხოვიტინოვი სწერ მაკედონცეს: „В Геттингенских ученых ведомостях\*\*\*\* напечатана очень лестная для меня рецензия Грузинской моей истории“. დაუწერია პროფ. შლეცერს: ...Слышно, что книга моя переведена уже на немецкий, французский и английский языки\*\*\*\*\*. Но Шлецер делал рецензию с русского оригинала\*...

თუ მივიღებთ მხედველობაში ევგ. ვეიდენბაუმის მინაწერს, საქართველოს ისტორია გერმანულ ენაზე გამოსულა რიგაში 1804 წელს, მ. ბროსსე კი აღნიშნაეს 1803 წელს.

ამ წერილების გამოქვეყნების შემდეგ, 1888 წელს, „Жур. Минист. нар. просв.“ ათავსებს ე. შმურლოს საინტერესო გამოკვლევას ე. ბოლხოვიტინოვის

\* „Русский архив“-ის 817 გვერდზე სქოლიოში: „ვარლამის ამ გრამატიკის, აგრეთვე კათალიკოსის დიდ გრამატიკას, ევგენი ახსენებს თავის საქართველოს ისტორიაში“.

\*\* იქვე. ე. ი. ანტონის, მაგრამ ის კი არა, რომელიც იმ დროს ცხოვრობდა, არამედ მისი წინაპარი, ცნობილი თავისი გრამატიკის გარდა, მრავალი ორიგინალური და ნათარგმნითხულებებით ქართულ ენაზე“.

\*\*\* იქვე: „თავდფრცხვზე ნარტიკათ სწერია: „Сочинено в Александро-Невской академии“.

\*\*\*\* „Русский архив“-ის 824 გვერდზე სქოლიოში: „1803 წ. მარტის 12, განვ. 12, სტ. 4.

\*\*\*\*\* აქვე: „ეს თარგმანები ნამდვილათ შესრულებული იყო“.

შესახებ. ეს გამოკვლევა იბეჭდებოდა ჟურნალის რამოდენიმე ნომერში, მაგრამ მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ მაისის ნომრისაკენ, სადაც ავტორი დაწერილებით აგვიწერს ჩვენთვის საყურადღებო წიგნის ისტორიას. ანაზაძე  
Шмурло, Е. „Евгений митрополит киевский“. (Жур. Минист. нар. просв. СПб. 1888 წ. ССLVII, მაისი, გან. II, გვ. 164—172).

კიევი-სოფიის ბიბლიოთეკაში დაცული ყოფილა (ხელნაწერი № 559, in Folio) კრებული ე. ბოლხოვიტინოვის მიერ დასათარგმნელი — „Записки принадлежащая к истории о Грузии“. აქ მოთავსებულია საბჭოები და ცნობები სხვადასხვა შინაარსის, რომელთაც უსარგებლია ევგენის საქართველოს ისტორიის შედგენის დროს. სქოლიოში ე. შმურლო ასახელებს 14 საბუთს, მათ შორის:... 8) перечень книг, переведенных по грузински, 1 стр. — без заглавия, рукою Евгения. 9) О стихах (2<sup>1</sup>/<sub>2</sub> л.), остихосложении, с нотами, частью рукою Евгения... 13) Перевод из собрания Российской истории 4-й книги, из 2-х частей в СПб. 1760 года при импер. Акад. наук напечатаной (7<sup>1</sup>/<sub>2</sub> л.) — перевод стр. 86—89 (о Кахетии), 148—156 (о лезгинах, абхазах и синдах) и 402—410 (о терских казаках) „Sammlung Rvssischer Geschichte, Bnd. IV“. — ეტყობა, ამ წიგნისთვის, ევგენის ყურადღება მიუქცევია პროფ. შლეცერის მითითების შემდეგ.

ე. ბოლხოვიტინოვის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორია გადაუთარგმნიათ ევროპულ ენებზე, ცნობილია გერმანულ ენაზე თარგმანი: — Georgien oder historisches Gemälde von Grusien. In politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht. Aus dem Russischen übersetzt von Fr. Schmidt, doktor der Philosophie. Riga und Leipzig. 1804. რაც შეეხება რეცენზიებს საზღვარგარეთულ გამოცემებში, ე. შმურლო ასახელებს ორს: 1. პროფ. შლეცერის რეც. — Göttingische gelehrte Anzeigen 1803, 42 Stück, den 12 März seti. 409—442; მალტ-ბრენის — Analyse du Tableau historique, polit., ecclès. et littéraire de la Georgie, écrit en russe, par l'archimandrite Eugenius. — Annales des voyages 1810, tom XII, pag 73—100. ორივე რეცენზიის მოკლე შინაარსი მოთავსებულია Журн. министр. народн. просв. — ზემოთ დასახელებულ ნომერში.

ერთი საყურადღებო ცნობაც: აკადემიკოსი მ. ბროსე დაინტერესებული ქართული ენით სწორეთ ე. ბოლხოვიტინოვის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის წყალობით, (იხ. „Bibliographie analytique des ouvrages de Mr. M. F. Brosset, pag. IX“) და შემდეგ, თავის გამოკვლევებში ხშირად იმოწმებდა ამ წიგნს. (მაგ. Notice sur la Langue Géorgienne. Journal asiatique 1827, t. X, pag. 353 და სხვ. ამის შესახებ იხ. ე. შმურლოს გამოკვლევა.

შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი: I ჩვენთვის ცხადია, რომ საქართველოს ისტორია რუსულად პირველად დაბეჭდილა 1802 წელს, შეუდგენია ევგენი ბოლხოვიტინოვს, შემდეგში კიევის მიტროპოლიტს, არქიეპისკოპოს ვარლამის და ბატონიშვილების დახმარებით.

II ეს არის აგრეთვე პირველი რუსული შრომა, სადაც მოხსენებულია ჩვენი ილიბილარი შოთა რუსთველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

III ამავე წიგნში მოთავსებულია „ვეფხისტყაოსანის“ ერთერთი ტაეპის პირველი თარგმანი რუსულ ენაზე.

IV 1803—1804 წლებში როგორც ჩანს, საქართველოს ისტორია უთარგმნიათ გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

ამ წერილს ვამთავრებთ ცნობილი კავკასოლოგის მ. ბროსსეს სიტყვებით: „ეს შრომა ახლა იშვიათია და ჩემი აზრით ღირსია დაცვის, როგორც თავის დარგში კლასიკური ნაწარმოები. ის ჩვეულებრივით მიეწერება R. d. კიევის მიტროპოლიტ ვეგენის, რომელიც გარდაიცვალა 1837 წ. ეს წიგნი თავის სახელწოდებით აღნიშნულია სმირდინის ბიბლიოთეკის და იმპ. საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგებში. გერმანულ ენაზე უთარგმნია შმიდტს რიგაში 1803 წ.“ (იხ. Brosset „Additions à l'Histoire de la Géorgie“. St. Pet. 1851, p. 290, ტექსტი და სქოლიო).

### ამ წერილში ნახსენები ზოგიერთი პირების შესახებ.

1. ვეგენი ბოლხოვიტინოვი, შემდგში კიევის მიტროპოლიტი (1767—1837). მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მისი სახელი ცნობილი ყოფილა როგორც სასულიერო ისე საერო მწერლობაშიც. აქვს მრავალი თხზულება ისტორიული და ფილოსოფიური. დიდი მუშაობი ყოფილა ცნობილი არქეოგრაფი ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის, ალექსანდრო-ნევის აკადემიის პრეფექტათ დანიშნეს 1800 წელს. მის შესახებ იხ. Большая советская энциклопедия, т. 6. ბროკჟუხის და ფერონის ენციკლოპედია ტ. 25. „Русский архив“ 1870 გვ. 871; „Русский вестник“ 1869, № 8.

2. ვეგენი ვეიდენბაუმი ცნობილი კავკასოლოგი (1845—1918 წ.) გარდაიცვალა ტფილისში. მის შესახებ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს აქვს დაწერილი 17 გვერდიანი ნეკროლოგი „Е. Г. Вейденбаум, как кавказовед“, იქვე მოთავსებულია ბიბლიოგრაფია ე. ვეიდენბაუმის შრომების, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის ვეიდენბაუმის სტატიას, „Хизаны в Грузии“, შენიშნავს, რომ ამ საკითხის შესახებ ავტორის წინააღმდეგ გაილაშქრა ქართველმა თავად-ახაურობამო, იხ. გვ. 16.

ამას დაემატებთ შემდეგს: საქართველოს საერო ბიბლიოთეკის კავკასოლოგის კაბინეტში დატულია „Прекращение хизанских отношений в Грузии“, ვეიდენბაუმის საყურადღებო მინაწერებით. მეექვსე გვერდზე ტექსტში: „Исторический очерк „Хизаны в Грузии“ составленный членом совета наместника тайным советником Е. Г. Вейденбаумом...“ მინაწერი: „В моем труде нигде не сказано, что он составлен членом совета и тайным советником. Поэтому чины и титулы можно бы оставить в стороне и разбирать мой труд как труд частного лица“. მეცხრე გვერდზე ტექსტში: „Вейденбаум своим очерком доказал совершенно обратное тому, что он идя навстречу предуказаниям Совета наместника, желал доказать“. მინაწერი: „Я не пишу сочинений по заказу или по предуказаниям. Мысли высказанные в моем труде, принадлежат мне и ответствен за них только я“. 36-ე გვერდზე კი ე. ვეიდენბაუმს მიუწერილი: „Политическое сочинение это составлено М. В. Мачабели и А. Ф. Кипшидзе, ездившими в Петербург по поручению дворянства Тифлисской губ. для противодействия законопроекту о поземельном устройстве хизанов. Успехи их не имели успеха в комиссии Госуд. думы и даже повели к тому, что комиссия эта отчасти изменила законопроект в пользу помещиков, а именно уменьшила вдвое вознаграждение за отходящая к хизанам земли“.—ე. ვეიდენბაუმის ბიბლიოთეკა დატულია საქ. საერო ბიბლიოთეკაში, უმთავრესათ რარიტეტსაცავში და კავკასოლოგის კაბინეტში. თვითველი წიგნი საყურადღებოა მისი ყოფილი პატრონის დიდად განათლებული ადამიანის მნიშვნელოვანი მინაწერებით.

3. ვარლამ კსნის ერისთავი, საქართველოს პირველი ვეზარზოსი 1814—1817 წლებდგ. ვ. ბ. დაიკვალა მოსკოვის დანილოვის მონასტერში 1825 წ. მან ხელი შეუწყო ქართული სასულიერო წიგნების შესწორებას და ბეჭდვას. მოსკოვში ჰქონია ქართული სტამბა. სხვათა შორის, ვარლამ ერისთავმა დიდად შეუწყო ხელი ქართ. ეკლესიის უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარებას. მის შესახებ იხ. „Е. К. Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX стол. Тфл. 1901. Акты собранные Кавказ. археогр. комиссиею т. IV და V, აგრეთვე „Русский архив“ 1870, გვ. 790 ბოლხოვიტინოვის წერილი მაცედონეცთან.

4. ბანტიშ-კამენსკი, ნ. ნ. (1737—1814) გარეშე საქმეთა კოლეჯის მოსკოვის არქივის გამგე, ცნობილი არქეოგრაფი. მის შესახებ იხ. Б. С. Э. т. 5; Русский биографический словарь, т. II СПб. 1900. Словарь достопамятных людей русской земли, сост. Бантыш-Каменским ч. I. СПб. 1847.

თ. შაკვატარიანი.



## ლეიბნიცი ქართულ ენაზე

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.)

ქრნალი „ციცკარის“ 1865 წლის იელისის ნომერში მოთავსებული ლეი-  
მელის წერილი, სათაურით—„ჩვენი დროების მწერლებს“, პოლემიკური ხასიათი-  
საა. ავტორი, როგორც „შვილების თაობის“ წარმომადგენელი, მეტად ცხარე  
და დაუნდობელი ტონით აკრიტიკებს „მამების“ მოღვაწეობას და უკიდურესად  
ნილილისტურ აზრებამდის მიდის. ის ამტკიცებს, რომ ქართულ განათლებულ  
წრეებში ძველად კასტური კარჩაკეტილობა მეფობდა და ლიტერატურული სფერო  
სრულიად მიუწვდომელი იყო ხალხისათვის. თუ რამ არსებობდა, მხოლოდ  
რჩეულთათვის, უმეტესობას ვერ წვდებოდა და არც გამოადგებოდაო. ამის სა-  
ბუთად მიაჩნია, სხვათა შორის, ლეიბნიცის ქართული თარგმანის შესრულება და  
ამ შრომის უნაყოფობა ქართველობისათვის.

„ეგრეთვე მინახავს—ამბობს ლეიმიელი—ერთი ეგზემპლიარი ლეიბნიცის  
თხზულება ქართულად ნათარგმნი“.

ეს გარემოება ავტორს სასაცილოდ არ ყოფნის: „სასაცილო რაჟაა. ღირ-  
და კი ლეიბნიცის თხზულების თარგმნაზედ დრო დაეკარგათ! ცკითხება იგი  
მკითხველს.“

ლეიმიელმა კარვად იცის, რომ „ლეიბნიცი ყოველად შემძლებელი გენიაა“. მაგრამ ვისთვის იყო საჭირო მისი ქართული თარგმანი: საქართველოში ხომ  
წარმოდგენაც არა ჰქონდათ ელემენტარულ მოქალაქეობრივ უფლებებზე.

„და იმის (ლეიბნიცის) წიგნი თარგმნეს ქართველებისათვის, იმ ხალხისათ-  
ვის, რომელსაც მართლმსაჯულების მაგიერად საკირე და შანთი ჰქონდა, რომელ-  
საც კაცის დარჩობა, გატყავება და შეწვა (?) არად მიაჩნდა“.

აქ ავტორი მიადგება მთარგმნელის ეინაობის საკითხს. მაგრამ, სამწუხა-  
როდ, არ ასახელებს მთარგმნელს: „და ვინ თარგმნა?—ამბობს ის, იმ გვაგმა, რომ-  
ლის კეთილი გონიერება შთამომავლობამ არა თუ მარტო თავისი თავი... რომ-  
ელსაც ეკუთვნოდა!“

წერტილები ტექსტში სწორედ ისეთ ადგილას არის, რომ ავტორის ეინაო-  
ბა ბუნდოვანი და გაუგებარი რჩება მკითხველისათვის. ძნელია გამოცნობა—რე-  
დაქტორის ხელმა ამოიღო ამ ადგილას რამდენიმე სიტყვა, თუ თვით ავტორი  
მოერიდა მთარგმნელის ეინაობის გამომჟღავნებას. ასე თუ ისე მთარგმნელის ეი-  
ნაობა უცნობი რჩება.

„მაშ ხედავთ, ამ წიგნებმაც ვერაფერი საშუალება ან და სარგებლობა  
მოუტანა ჩვენს ხალხს, რომელიც (?) ძლიერ შესანიშნავი პირებია ევროპიის ლი-

ტერატურაშიდ,“ („ცისკარი“ 1865 წ. ივლისის, წიგნი გვ. 73,74). ამით ათა-  
ვებს ავტორი ჩვენთვის საყურადღებო საგანზე საუბარს. აღსანიშნავია, რომ ამ  
წერილის დიდი ნაწილი—75—95 გვ.—ცენზორის მაკრატელს ამოუჭრია.

ზემომოთხრობილი ბუნდოვანი ცნობებიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ  
წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში არსებულა ლეიბნიცის  
რომელიდაც ნაშრომის, ან მთელი მისი შრომების, ქართული  
თარგმანი. მთარგმნელის ენაობა გაურკვეველი რჩება. ვარაუდით შეიძლება  
ვიფიქროთ, რომ ამ შრომის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო სოლომონ დოდა-  
შვილი, ცნობილი 1832 წ. შეთქმულების სულის ჩამდგმელი, „ტფილისის უწყე-  
ბათა“ სალიტერატურო ნაწილის რედაქტორი და ფილოსოფიური თხზულებების  
მთარგმნელი.

სამწუხაროდ „ცისკარის“ თანამშრომელი არც იმას გვეუბნება, თუ სად და  
როდის უნახავს მას ლეიბნიცის ქართული თარგმანი. შესაძლებელია ხელნაწერის  
სახით იგი ჩვენ დრომდისაც იყოს მოღწეული. ლეიბნიცის ქართულად თარგმნის  
ფაქტი, ყოველ შემთხვევაში, სამოციან წლებზე ადრინდელი ამბავი ყოფილა. წი-  
ნაალმდეგ შემთხვევაში ავტორი ვერ იტყოდა 1865 წ. „მაშ ხედავთ ამ წიგნებ-  
მაც (sic!) ვერაფერი საშუალება ან და სარგებლობა მოუტანა ჩვენს ხალხს.“ო.

### X. III.

## ЛЕЙБНИЦ НА ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### РЕЗЮМЕ

Библиографическая справка о переводе сочинений Лейбница на  
грузинский язык, сделанном в первой половине XIX века. Переводчик  
не известен. Автор заметки полагает, что перевод должен быть ис-  
полнен известным Соломоном Додашвили, одним из организаторов  
заговора 1832 года, редактором литературного отдела „Тифлиских  
Ведомостей“ и автором „Курса логики“ на русском языке.

## LEIBNITZ IN GEORGIAN

by Ch. Sh.

### Summary.

The author gives in this article a bibliographical information on  
the translation of Leibnitz works into georgian in the first half of the  
XIX century by an anonymous translator.

The author of the article is inclined to think him to be Solomon  
Dodashvili, one of the leaders of the plot in 1832, editor of the mis-  
cellaneous section of the „Tifliskie Vedomosti“ and author of the „Coun-  
se of logic“ in russian.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნები.

საქ. საჯარო ბიბლიოთეკა კავკასიელებს კაბინეტს, სხვა სამუშაოთა შორის, გვერძში აქვს შეტანილი, ძველი რუსული ფურ-გაბუთებიდან და წიგნებიდან ცნობების ამოკრება საქართველოს შესახებ. ეს სამუშაო არც ისე მალე დამთავრდება და რადიან მრავალ საინტერესო მასალას ვხვდებით, ამიტომაც საქართველო დაეინაშნეთ რაც ხელთ გეკავს იმის მცირე ნაწილი გამოვეყვანეთ ბიბლიოთეკის შრომებში.

### I. ქართველი კლასიკოსების ბიბლიოგრაფიისათვის.

1. Чавчавадзе, И. Г. [გეოგრაფი] (жур. „Исторический вестник“. СПб. 1907. № 10, отд. Некрологи, гв. 366) [იქვე ცნობ , რომ ნეტოლოგი ავრეთვე უფილა გახ. С. Петербургския ведомости № 193].
2. Из кн. И. Чавчавадзе [ლექსი „გეოგრაფი ქვეყანაე რახედ მოგიწყენა“]. Пер. Л(евана) Кипиани. (Жур. „Кавказский вестник“, Тфл. 1901, № 4, гв. 14).
3. Хаканов, А. Грузинские поэты на малорусском языке. (Библиографический отчет) (Кавказский вестник, Тфл. 1900, № 5 гв. 168-176) [უკრაინულ ენაზე ი. ჭავჭავაძის ლექსები: „Весна“, „Вотчий“, „Дипни“, „ელგია“; ა. წერეთლის: „Хора“, „Новий рік“; რად. ერისთვის: „На що тобі дзериало мая ти мила?“... ი. დავითა-შვილის: „Так вяжко, так нудно вальятися на світі“...; მ. გურგენის: „По горам що ирвовью вплилися“... ნაწევრები ი. ჭავჭავაძის ლექსების: „მოტი“ და „ფოქონს-დედა“—„Орач“; ნ. ბარათაშვილის „Зглянься, о, Боже, на грішного синя“...].
4. Чавчавадзе, И. Г. „Сцены из времен освобождения крестьян“. Перев. Н. Николадзе („Вестники Грузии“ Тфл. 1907, № 1, гв. 81—204).
5. ამავე კრებულში „Вестники Грузии“, მოთავსებულია ი. ჭავჭავაძის 8 ლექსი რუსულად გადათარგმნილი ვ. ველისკის და დ. ერისთვის მიერ. ნაწევრები „კაცია-ადამიანი“-დან, „გლახის ნაწილობა“-დან და ი. ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.
6. Церетели, Лканий. „Баши-ачух“—Перев. К. Д. Кипиани (жур. „Кавказский вестник“ Тфл. 1901, № 9, гв. 17—48; № 10 гв. 1—25).
7. Путик (Лендер, Н.) Черное море и Кавказ. СПб. 1900. თავი: „В дедовском гнезде“, გვ. 101—104 [ამ წიგნის ავტორი უფილა მოტი აკაცი წერეთელთან სამხერეში, საინტერესოდ აგიწყრს მოტის გარეგნობას, მის სახლ-კარს და მოწულობას].
8. Уманец, С. Грузинский поэт-народник (портрет при кн. Рафаил Давидович Эривост) („Исторический вестник“, 1901. № 10, гв. 180—187).
9. Церетели, Г. Е. „Тегушка Аснат“. Пер. Ел. Г. Церетели. (жур. „Кавказский вестник“, Тфл. 1901, № 5, гв. 96—141, № 6, гв. 64—90).
10. Ниношвили, Е. Распоряжение. (Рассказ)—Перев. (?) (журн. „Кавказский вестник“. Тфл. 1900, № 2, гв. 97—108).
11. Бараташвили, Н. Судьба Грузии. Пер. А. Рчеулова. „Вестники Грузии“. 1907, № 1, гв. 57—74).
12. Важа-Пшавела. Сельские картины: Село; Князь Пшатадзе, Парун Хечо. Перев. А. Никитина. (Жур. „Кавказская жизнь“ Тфл. 1897, кн II, гв. 14—16).
13. საქ. სახ. საჯ. ბიბლიოთეკის შრომები



13. Чавчавадзе, Илья. Разбойник Габро (Рассказ нищего). Перевод с грузинского Гр. и Вл. Джафари. Под редак. и вступит. статей об авторе А. Хаханова. М. Изд-во „Польза“ В. Аятки и и-о [S. d.] 78 стр. (14×10), 10 к.
14. Церетели, Акакий. Башки-Ачул. Перев. с грузинского Гр. и Вл. Джафари. Под редак. и вступит. статей об авторе А. Хаханова. М. Изд-во „Польза“ В. Аятки и и-о [S. d.] 111 стр. (14×10), 10 к.

II. სხვა-და სხვა მიბლიოგრაფიული ცნობები.

1. Грузинский ежемесячный литературно-научный и политический журнал *Мовიზა* (Вестник) (жур. „Северный вестник“ 1894, № 5, отд.—Библиография) [ტყუპობი ავტორი აღნიშნავს, რომ რუსული სახელგანთქა სრულდებით არ იცნობს ქართულ ლიტერატურას, აგრეთვე უცნობია ქართ. ლიტერატურა ევროპაშიაც. მაგ. როდესაც იტბილგზე ვახ. „დროებას“ რედაქტორი მესალმა ვ. ზუგოს, მის განცვიფრებას სახლვარი არ ჰქონდა; პირველად გაიგონა ქართველებზე და საქართველოს, ამავე დროს, ქართველი პუბლიცისტები უფრო ცდილობენ გააცნონ რუსებს ლდი ბლანი და გამბეტა, როგორც მაგ. ნ. ნიკოლაძე, რომლის შესახებ სერანო-სოლოვიოვიანმა სიტყვა: „Николадзе Николоз исписал газеты воз про дела грузинския“. შემდეგ ავტორი გვაცნობს უფრ. „მოამბის“ შინაარსს, მის მნიშვნელობას ქართული სახელგანთქის და ახასიათებს თანამშრომლებს<sup>1)</sup>.

2. Сибирский, Ф. „Местные языки и будущие реформы“ (Письмо с Кавказа) („Русское богатство“ 1914, № 8, გვ. 271—288) [საკითხი ვროვნულ უმცირესობათა ენების შესახებ ანოერკავასიაში, გაკრიტიკებულია სასამართლო და ადგილობრივი თვითმართვლობა, სადაც სკნელები ირთვა და წყდება მცხოვრებლებისათვის გაუგებარ ენაზე. „Русский язык должен служить только орудием взаимного обращения, но не орудием обрусения, какии он является до сих пор“. საყურადღებოა, რომ ავტორი ყველგან ამბობს „Кавкази“ და არა „грузини“<sup>2)</sup>.

3. Архив графов Мордвиновых. СПб. 1903, т. VII, გვ. 65—66, [1827 წელს ნ. მორდვიანოვს, რომელიც იყო იმ დროს სახელმწიფო კვანშიის დეპარტამენტის თავმჯდომარეთ, წარუდგენია მოხსენება ნიკოლოზ I-სთვის: „Соображения при рассмотрении росписи на 1828 год“.

ეს მოხსენება დაყოფილია რამოდენიმე თავათ და პირველ თავში, „Население и устройство гордых“, მომხსენებელი ამტკიცებს, რომ რუსეთის იმპერიისათვის დიდად სასარგებლო იქნება თუ საქართველო პირტო-ფრანკოთ გამოცხადდება. საქართველოს, დასახლების შემდეგ, (გულისხმობს რუსეთიდან გადმოსახლებას), შეუძლია მისცეს რუსეთს სუბტროპიკული ნეკლეული. ამის გარდა, საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შემოსავლია უმდიდრეს წყაროთ გადაიკვეთა, რადგან ის შემავრთებელი ხილია ევროპა და აზიის შუა].

4. Архив графов Мордвиновых. СПб. 1903, т. X, გვ. 321. [საქართველოს მეტრანეტე საუკ. ისტორიისათვის საინტერესო დოკუმენტი ყოფილა ნ. მორდვიანის არქივში. „Полезность Закавказского края для России“ Записка сенатора Мечникова, в котором излагает настоящее положение Закавказского края и меры сделать сей край полезным для России“. სენატორი მენიკოვი ყოფილა საქართველოში მეტრანეტე საუკ. დასაწყისში და თავის აზრს გამოთქვამს, თუ როგორი უნდა იყოს მართვა-გამგეობა ა. /კავასიაში. მის მიერ დასახლებული ხომები აშკარაავენებ თვითმკვირბელობის იმპერიალიტურ-კოლონიალურ პოლიტიკას].

1) ქართული პერიოდიკის ისტორიისათვის ამ საყურადღებო წერილის სრული თარგმანი გადავიციო 1936 წ. ივნისში ვახ. „ლიტერატურული საქართველო“-ს რედაქციას, მაგრამ როგორც ნტყობა დაბეჭდვის ღირსად არ სცნეს.

2) ამ წყაროზე მივითითა ლ. ევორაშვილი.

5. „Хлеб и воля“ ანარქისტების ორგანო, რომელიც გამოდიოდა საზღვარგარეთ 1903—1905 წლებში ბ. კრაპოტკინის და ვ. ლუქეზინსკის მონაწილეობით, ხშირად ბეჭდავდა ცნობებს რევოლუციონერთა მოძრაობის შესახებ საქართველოში. პატარ-პატარა ცნობებია მოთარგმნებული „Хлеб и воля“ 1903 წ. № 2, გვ. 1; იგივე, 1904 წ. № 7, გვ. 5. დიდი წვრილებით არის, მაგ. „Конференция грузинских революционных групп („Хлеб и воля“ 1904, № 8, გვ. 7—8) [კონფერენცია შემდგარა ქენედაში 1904 წლის აპრილში. აქვეა კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია].

„Письмо из Грузии“ (Хлеб и воля, 1904, № 10, გვ. 4—5) [წერილის ავტორი ეზება ენზეციის მოქმედებას გურიაში და აღნიშნავს პროპაგანდის სიმწიფეს ქართულ ენაზე არაღელვალური ლიტერატურის უქონლობის გამო].

„Крестьянское движение в Грузии“. (Хлеб и воля, 1905, № 16, გვ. 5—8) [აწერილია სულთან კრიმ-გირეის მოგზაურობა გურიაში და გურიის გლეხების მოთხოვნილებები. გლეხთა მოძრაობა საქართველოს დანარჩენ კუთხეებში. წერილი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „Да, растут цепи неволи“, как говорит грузинский национальный поэт Важа-Пшавела].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვათავსებთ მხოლოდ მცირე ნაწილს იმ მდიდარი მასალისა, რომელიც ხელთ აქვს კავკასმეოდეოპის კაბინეტს. კაბინეტმა ჯერ-ჯერობით დაამთავრა აღწერა შემდეგი უფროსელების: I. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“ 1881—1929 წწ. 46 ტომი II. „Известия Кавказ. отдела имп. Русского географического общества“ 1872—1917 წწ. 25 ტომი. III. „Кавказский календарь“ 1846—1917 წწ.

შედეგნილია აგრეთვე ბიბლიოგრაფია შამილის შესახებ. 235 სახელწოდება ქართ., რუსულ და უცხო ლიტერატურიდან აქვე არის მოცემული მასალა შამილის ცნობილი ნაბის საკონერადის შესახებაც.

## Библиографические заметки.

### РЕЗЮМЕ

Кабинет Кавказоведения Гос. Публичной библиотеки Грузии в свой план работы включил задание: выписать из старой русской переводки и книг статьи и заметки о Грузии. В виду того, что эта работа должна затянется, а материал набирается очень интересный, решили опубликовать хоть незначительную его часть:

I. К библиография грузинских классиков.

II. Разные библиографические сведения.

Завончена подборка статей из следующих изданий: 1 Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа 1881—1929 гг. 46 томов. 2. Известия Кавказского Отдела Имп. Русского Географического Общества. 1872 — 1917 гг. 25 томов. 3. Кавказский календарь. 1846—1917 гг.

Кабинетом составлена так же библиография о Шамиле—235 названий из груз. русск. и европ. литературы.





ԱՅ Գ Լ Ն Օ Դ Ի Ե Ն  
 Ի Շ Դ Կ Ն Ժ Ե Ս  
 Օ Մ Վ Ժ Ն Զ Օ Վ  
 Փ Բ Ո Վ Յ Ի Ը Կ Բ  
 Տ Ե Վ Ջ Ն Կ

Ա Գ Լ Ն Օ Դ Ի Ե Ն  
 Ի Շ Դ Կ Ն Ժ Ե Ս Օ Մ Վ Ժ Ն Զ Օ Վ  
 Փ Բ Ո Վ Յ Ի Ը Կ Բ Տ Ե Վ Ջ Ն Կ

Գրքի հեղինակը՝ Գրգոր Գրիգորյանը, 1888-89 թթ. հայտնաբերել է այս գրությունը Երևանի մոտ գտնվող Գրգորյանների տաճարի պեղումների ժամանակ:



რედაქტორი—გ. დავითაშვილი  
კორექტორი—ან. ლვინიაშვილი  
გამომცემი—ალ. ჩხენკელი

გად. წარმ. 10/XI—1936 წ.  
ხელმ. დასაბ.—19/VII—37 წ.  
წ. ს. 7×11. ტირ. 1000.  
შეჯ. № 10. მთავ. № 30076.

შემჩინებული შეცდომების გასწორება.

გვ.	სტ. ზევ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
12	32	С С Р	С С С Р
14	2	"	"
34	9	ბიორკომის	ბიორკომის
80	38	სპეციატიისტი	სპეციალისტი
101	4	Вэтой статьемы	В этой статье мы
199	1	სიციშვილი	ციციშვილი
220-გვერდიდან	შეცდომით	იწყება გვერდების ნუმერაცია	223-დან, უნდა იწყებოდეს 221-დან.

